ნ. კალაძე
თადარიგის გენერალ-მაიორი

სტალინგრადი
კურსკი
ბერლინი

მეორე შევსებული და
შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971

საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ სტალინგრადთან დასაბამი მისცა ძირეულ გარდატეხას დიდი სამამულო ომისა და, საერთოდ, მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, კურსკის ბრძოლებში განცდილმა სასტიკმა მარცხმა გარდუვალი კატასტროფის წინაშე დააყენა ჰიტლერული სახელმწიფო, ბერლინის ოპერაცია კი ჩვენი დიადი ხალხისა და მის შეიარაღებულ ძალთა ძლევამოსილების ნამდვილი გვირგვინი იყო — ამ კამპანიის დროს საბჭოთა ჯარებმა დაამთავრეს ფაშისტური გერმანიის სრული განადგურება და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

წიგნის ავტორი თადარიგის გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კალაძე ამ გრანდიოზული ოპერაციების უშუალო მონაწილეა. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, დივიზიის უნარიანი მეთაურობისათვის იგი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით და უმაღლესი მთავარსარდლის ამხ. ი. ბ. სტალინის ბრძანებებში თორმეტჯერ არის მადლობით მოხსენიებული.

წიგნი მოგვითხრობს საბჭოთა ჯარების მძიმე მოგერიებით და შესანიშნავ შეტევით ოპერაციებზე, ჩვენი სამხედრო მეცნიერებისა და სტრატეგიის უდიდეს ტრიუმფზე, საბჭოთა ადამიანების უმაგალითო გმირობასა და თავდადებაზე, მათ სულიერ ძლიერებაზე. ავტორი ცდილობს ნაწილობრივ მაინც გააშუქოს ის დიდი წვლილი, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა შეიტანეს ამ ბრწყინვალე გამარჯვებებში.

ავტორი იყენებს მრავალ საინტერესო დოკუმენტურ წყაროს, გადმოგვცემს საკუთარი თვალით ნახულსა და განცდილს...

ა

გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე კალაძე.
1971 წელი

წინასიტყვაობა

თანმიმდევრობით ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, კომუნისტურმა პარტიამ ისტორიულად მოკლე პერიოდში წარსულში ჩამორჩენილი რუსეთი აქცია მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. ომამდელ ხუთწლედებში მიღწეულმა წარმატებებმა სსრ კავშირს შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვნად განემტკიცებინა შეიარაღებული ძალების სამხედრო-ეკონომიური ბაზა. შეიქმნა საავიაციო და სატანკო მრეწველობა, სრულიად ახალ ტექნიკურ ბაზაზე ჩამოყალიბდა გემთმშენებლობა, საარტილერიო და სასროლი აღჭურვილობის, საბრძოლო მასალის, საინჟინრო ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა წარმოება.

ფაშისტური აგრესიის საშიშროება აიძულებდა საბჭოთა კავშირის მთავრობას მნიშვნელოვნად მეტი თანხა გამოეყო სამხედრო საჭიროებისათვის. „1939 წელს იგი შეადგენდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის 25,5 პროცენტს, 1940 წელს — 32,6, ხოლო 1941 წელს — 43,4 პროცენტს. იზრდებოდა თვითმფრინავების, ტანკების, იარაღის, სასროლი აღჭურვილობის, განსაკუთრებით ახალი ნიმუშების გამოშვება. ფართოდ გაიშალა ყველა სახეობის ჯარის ახალი ნაწილებისა და შენაერთების ფორმირება“[1].

ომამდე საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ შემუშავებულ იქნა ბმ-13 ტიპის რეაქტიული ნაღმმცყორცნის („კატუშას“) კონსტრუქცია, რომელმაც სამხედრო ნათლობა 1941 წლის აგვისტოში სმოლენსკთან ბრძოლებში მიიღო და მრისხანე, მტრისთვის თავზარდამცემი იარაღი გახდა.

---

1 В. С. Рябов, Великий подвиг, Военное издательство, Москва, 1970, стр. 35.

1939 წელს კონსტრუქტორთა ჯგუფმა მ. ი. კოშკინის ხელმძღვანელობით შექმნა ცნობილი საშუალო ტანკის ტ-34-ის ნიმუში, ხოლო კონსტრუქტორთა ჯგუფმა ჟ. ი. კოტინის ხელმძღვანელობით — მძიმე ტანკის კვ-ს ნიმუში. საბჭოთა მოტორმშენებლებმა ამ დროისათვის შექმნეს დიზელის ტიპის მძლავრი ტანკის მოტორი ვ-2, ტე-34 და კვ ტიპის ტანკების გამოჩენით საბჭოთა ჯავშანსატანკო ტექნიკამ მეტად მაღალ საფეხურს მიაღწია.

ჩვენი ტანკების უპირატესობა ფაშისტთა ტანკებთან შედარებით იძულებული გახდა ელიარებინა თვით ყოფილ ჰიტლერული არმიის სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკს გუდერიანს. იგი თავის წიგნში „ჯარისკაცის მოგონებები“ წერს:

„...მცენსკთან, ორიოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაჩაღდა ადგილობრივი მნიშვნელობის გააფთრებული ბრძოლები, რომელშიც ჩაება მე-4 სატანკო დივიზია. მაგრამ უგზოობის გამო ვერ აღმოვუჩინეთ საჭირო დახმარება. რუსებმა ბრძოლაში დიდი რაოდენობით ჩააბეს ტე-34 ტიპის ტანკები, რომლებმაც განუსაზღვრელი ზარალი მიაყენეს ჩვენს ტანკებს. ჩვენი სატანკო ჯარების მატერიალურ ძალთა უპირატესობა, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი, მთლიანად გადავიდა მოწინააღმდეგის ხელში. ამით ბოლო მოეღო სწრაფი და განუწყვეტელი წარმატებების პერსპექტივას. ამ, ჩვენთვის სრულიად ახალი, მდგომარეობის შესახებ წერილობით მოვახსენე არმიის ჯგუფის სარდალს, რომელშიც დაწვრილებით ავსახე ტე-34 ტიპის ტანკების უპირატესობა ჩვენი ტე-IV ტიპის ტანკებთან შედარებით და მივუთითე, რომ აუცილებლად საჭირო იყო ჩვენი ტანკების კონსტრუქციის შეცვლა მომავალში“.

ამავე წლებში მოხდა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების ტექნიკური რეკონსტრუქცია. 1939 წლის იანვარში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით შეიქმნა საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი. აუცილებლად საჭირო იყო უმოკლეს ვადაში გადაგვეწყვიტა მოტორმშენებლობის უმსხვილესი პრობლემები და გადაჭრით გაგვეუმჯობესებინა საბჭოთა თვითმფრინავების ფრენის სისწრაფე, სიმაღლე და მანძილი.

ამ საკითხზე ავიაკონსტრუქტორი ა. ს. იაკოვლევი სრულიად სამართლიანად წერს:

„1939 წელს საგანგებო ღონისძიებები გატარდა. პარტიის ცენ-

ტრალურმა კომიტეტმა საავიაციო მრეწველობის საწარმოო ბაზის მნიშვნელოვანი განმტკიცების, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების რაოდენობის მკვეთრი გაზრდის ღონისძიებანი მიიღო. კონსტრუქტორთა კოლექტივებში მოვიდნენ ახალი ძალები და გაიშალა მუშაობა ახალი თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავების — უმთავრესად, გამანადგურებლების — შექმნისათვის.

...მიღებული ზომების წყალობით ყველა აუცილებელი ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი სერიულ წარმოებას გადაეცა. მაგრამ ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ომის დასაწყისისათვის მათი დიდი რაოდენობით გამოშვება ვერ მოვასწარით"[1].

„კარგად მახსოვს, თუ ახალი თვითმფრინავების გამოცდის პერიოდში როგორ ყოველდღიურად ღამის 12 საათზე ადგენდნენ ცნობებს საცდელი გაფრენების შედეგებზე, რათა ისინი სტალინისათვის მოეხსენებინათ.

...ჩვენ ყველა იმ ძლიერ დაძაბული, ტიტანური მუშაობის მოწმენი ვიყავით, პარტიის ცენტრალური კომიტეტი რომ აწარმოებდა 1939 — 1941 წლებში წითელი არმიის განმტკიცებისა და თანამედროვე იარაღით მისი აღჭურვისათვის. ჩვენ ერთი-ერთნახევარი წელი არ გვეყო ომისათვის მოსამზადებლად, როგორც ეს ვიწრო წრეში არაერთხელ უთქვამს სტალინს"[2].

საბჭოთა სამხედრო მეცნიერება დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იდგა უახლესი მიღწევების დონეზე. ეყრდნობოდა რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ომისა და არმიის შესახებ, ჩვენმა მეცნიერებამ გახსნა სამხედრო საქმის განვითარების ძირითადი ტენდენციები, სწორად განსაზღვრა მომავალი ომის ხასიათი, მასში შეიარაღებული ძალებისა და სხვადასხვა სახეობის ჯარების როლი და ადგილი. შემუშავებულ იქნა არმიისა და ფლოტის მშენებლობის, მათი ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადების საფუძვლიანი ღონისძიებები.

საბრძოლო მომზადების, მანევრების, საბრძოლო თამაშობების დროს საბჭოთა მეომრები ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას, ამაღლებდნენ ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნას, მტკი-

---

[1] ა. იაკოვლევი, ცხოვრების მიზანი. 1969, მეორე შევსებული გამოცემა, გვ. 223.

[2] იქვე, გვ. 338—339.

ცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ პრინციპს: ისწავლე ყოველივე ის, რაც გამოგადგება ომში.

„საბჭოთა სამხედრო ხელოვნების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ღრმა ოპერაციის თეორიის დამუშავება. ამ თეორიის არსი მდგომარეობს ორი თანმიმდევრული ამოცანის გადაწყვეტაში. პირველი ამოცანა — მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის ღრმად გარღვევა მთელი საფრონტო ოპერაციის მთავარი დარტყმის მიმართულებით, მეორე ამოცანა — გარღვევის ადგილას მექანიზებული შენაერთების შეყვანა, რომლებმაც ავიაციასთან ერთად გაბედულად უნდა მიიტანონ იერიში მოწინააღმდეგის ოპერატიული თავდაცვის მთელ სიღრმეზე.

ითვლებოდა, რომ მთელ ოპერატიულ სიღრმეზე მოწინააღმდეგის განადგურების საფუძველია: ძალებისა და საშუალებების, უპირველეს ყოვლისა არტილერიის, ტანკების და ავიაციის მხრივ უპირატესობა; ავიაციით და არტილერიით მოწინააღმდეგის მთელი თავდაცვის სიღრმის განადგურება; ჰაერიდან განუწყვეტელი მხარდაჭერა; გადამწყვეტი მოქმედება მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა ფლანგებსა და ზურგში მათი ხელში ჩაგდებისა და განადგურების მიზნით.

ეს იყო ტექნიკურად აღჭურვილი არმიის შეტევითი ოპერაციის პრინციპულად ახალი თეორია.

საბჭოთა სამხედრო სტრატეგიამ სწორი ორიენტაცია მისცა ჩვენს კადრებს იმ მხრივ, რომ მომავალი ომი იწარმოებდა მასობრივი მრავალმილიონიანი არმიებით, რომ ეს ომი გაიშლებოდა უზარმაზარ სივრცეზე"[1].

ჩვენი სამხედრო მეცნიერება მომავალი ომის ხასიათის განსაზღვრის დროს გამოდიოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებიდან იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ომი აგრესორთა წინააღმდეგ იქნება სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომი.

ომში სამხედრო-პოლიტიკური მიზნის მისაღწევი ფორმების და საშუალებების განსაზღვრის დროს საბჭოთა სტრატეგია ეყრდნობოდა იმ უცილობელ ფაქტს, რომ თანამედროვე ომი არის ხალხთა ომი. მასში ჩაბმულია მრავალმილიონიანი არმია, მისთვის შრომობენ

---

[1] КПСС и строительство Советских Вооруженных сил, Военное издательство, Москва, 1967, второе издание, стр. 162.

ზურგში მყოფნი, ომის ინტერესებისათვის მობილიზებულია ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ამიტომ გამარჯვება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოამარაგებდა ზურგი ფრონტს ადამიანთა რესურსებით, მატერიალური საშუალებებით და, რაც მთავარია, გადავაჭარბებდით თუ არა მტერს მორალური ძლიერებით და ამტანობით. ამ შეხედულების სისწორე სრულიად დაადასტურა წარსული ომის გამოცდილებამ.

„მეტისმეტად რთულმა საერთაშორისო მდგომარეობამ, ომის საშიშროების გაძლიერებამ უშუალოდ ჩვენი ქვეყნის მიმართ გვაიძულა ყოველნაირად აგვემაღლებინა სიფხიზლე და გაგვეზარდა წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება... შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი 1939 წლიდან ომის დაწყებამდე თითქმის სამჯერ გაიზარდა. შეიქმნა 125 ახალი დივიზია...

მიღებულ იქნა ზომები საზღვართან მყოფი სამხედრო ოლქების ჯარების გაძლიერებისა, განსაკუთრებით დასავლეთით, სადაც მათი რიცხვი ორნახევარჯერ გაიზარდა. 1941 წლის გაზაფხულზე აქეთ გაიგზავნენ დივიზიები, კორპუსები და არმიები ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან, ურალის, ვოლგისპირეთის, ხარკოვის და ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქებიდან. დაახლოებით 800 ათასი კადრის სამხედრო ვალდებული მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში გაწვეულ იქნა სასწავლო შეკრებებზე. 1941 წლის ივნისში შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი, მათ შორის 2,9 მილიონი — დასავლეთის ოლქებსა და ფლოტებში“[1].

„საბოლოოდ დასავლეთის სასაზღვრო ოლქებისა და ფლოტების ჯარებში ითვლებოდა 170 დივიზია და 2 ბრიგადა (2,9 მილიონი კაცი), 1540 ახალი ტიპის თვითმფრინავი და მოძველებული კონსტრუქციის თვითმფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეზღუდული საფრენი რესურსებით, 34 695 ქვემეხი და ნაღმმტყორცნი, 1800 მძიმე და საშუალო ტანკი (მათ შორის 1475 ახალი ტიპისა). გარდა ამისა, სასაზღვრო ოლქების შემადგენლობაში იყო მოძველებული კონსტრუქციის მსუბუქი ტანკების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეზღუდული მოტორესურსებით“[2].

---

[1] В. С. Рябов, Великий подвиг, Военное издательство, Москва, 1970, стр. 37.

[2] 50 лет Вооруженных сил СССР, Военное издательство, 1968, стр. 252.

მთელი ეს ძალები განლაგებული იყო ფრონტის 4,5 ათას კილომეტრზე, 400 კმ სიღრმეში. ამასთან ერთად 100 ათასამდე კაცი მესაზღვრეთა ჯარებში შედიოდა.

„ითვალისწინებდა რა ომის საშიშროების შემდგომ მატებას... 14—19 ივნისს სასაზღვრე ოლქების სარდლობამ მიიღო მითითება გამოეყვანა ფრონტების (არმიების) მმართველობები საველე პუნქტებზე, ხოლო 19 ივნისს — ბრძანება აეროდრომების, სამხედრო ნაწილებისა და სამხედრო ობიექტების შენიღბვის შესახებ. ფლოტებმა და ფლოტილიებმა მიიღეს მითითება აემაღლებინათ საბრძოლო მზადყოფნა და გაეძლიერებინათ გემების დაზვერვა“[1].

ამგვარად, ომამდელ წლებში და უშუალოდ ომის დაწყებამდე ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა და სამხედრო კადრმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარეს ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად.

ამის შესახებ საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ა. მერეცკოვი თავის მოგონებებში ხაზგასმით აღნიშნავს:

„საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ სსრ კავშირის თავდაცვის საკითხებს. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაოდენ ხშირად ინტერესდებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი წითელი არმიის მდგომარეობით, მუდამ როგორ ღრმად სწვდებოდა მის ცხოვრებას ი. ბ. სტალინი, გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ პარტიის ხელმძღვანელობა მთელ თავის ჩანაფიქრს მიმართავდა სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველსაყოფად, რათა ქვეყანა ყოველთვის მზად ყოფილიყო მტრის დარტყმის მოსაგერიებლად. არც ერთი დიდი ამოცანა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში არ წყდებოდა იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორ იყო დაკავშირებული სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, რა გავლენას მოახდენდა იგი საერთაშორისო მდგომარეობაზე და როგორ იმოქმედებდა არმიის ძლიერების ზრდაზე“[2].

---

[1] 50 лет Вооруженных сил СССР, Военное издательство, 1968, стр. 250—251.

[2] К. А. Мерецков. На службе народа, Издательство политической литературы, Москва, 1969, стр. 169.

მაგრამ მცირე დრომ, რომელიც ჩვენ გაგვაჩნდა, საშუალება არ მოგვცა გადაგვეწყვიტა ყველა საკითხი. ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, პარტიამ და ხალხმა მიაღწია იმას, რაც მთავარი იყო. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევდა არა მარტო გაეძლო ფაშისტური თავდასხმისათვის, არამედ სრულიად გაენადგურებინა აგრესორი.

დასავლეთ ევროპაში მოპოვებული იოლი წარმატებებით თავბრუდახვეული და გათავხედებული ფაშისტური გერმანია 1941 წლის 22 ივნისს მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. თავით ფეხამდე შეიარაღებული ჰიტლერული ურდოები შემოიჭრნენ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებში.

საბჭოთა არმია იძულებული იყო უკიდურესად მძიმე პირობებში ეწარმოებინა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ მაშინ მარტოდმარტონი ვიყავით და მხოლოდ საკუთარი მხრეებით ვიტანდით მთელ სიმძიმეს იმ უდიდესი და უსაშინელესი ომისას, რომელსაც მასშტაბების გრანდიოზულობის მხრივ ბადალი არ მოეპოვება კაცობრიობის ისტორიაში. მტრის განკარგულებაში იყო უზარმაზარი ძალები.გერმანელებმა ომში თავიანთი ვასალებიც ჩააბეს და ჩვენს წინააღმდეგ მომართეს თითქმის მთელი ევროპის უმდიდრესი რესურსები.

მტრის მუხანათური თავდასხმისა და პირველივე დღეებში განცდილი უდიდესი დანაკარგების (განსაკუთრებით საომარი ტექნიკის მხრივ) გამო საბჭოთა ჯარებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ შეექმნათ ღრმადეშელონირებული თავდაცვა, განსაკუთრებით ძლიერი ტანკსაწინააღმდეგო ნაგებობათა და საშუალებათა მხრივ. საბჭოთა ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ ფართო ფრონტზე, რომელიც მცირე სიღრმისა იყო. მათ არ გააჩნდათ მეორე ეშელონები და რეზერვები. საინჟინრო თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებლად იყო მოწყობილი თავდაცვითი ზღუდეები და რაიონები.

სწრაფი გადასვლა თავდაცვაზე არ გვაძლევდა საცეცხლე სისტემის შექმნის, ჯარების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფისა და მათი მყარი მართვის შესაძლებლობას. ჩვენი ნაწილების არასაკმარისი მოქნილობა აძნელებდა ძალთა და საშუალებათა მანევ-

რის განხორციელებას ბრძოლების მსვლელობაში, განსაკუთრებით კი ჰაერში მოწინააღმდეგის ავიაციის ბატონობის პირობებში.

ომის პირველი სამი თვის განმავლობაში მტერმა დიდ წარმატებას მიაღწია, 600—850 კილომეტრის სიღრმეზე შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის შიგნით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის უდიდეს ღონისძიებათა შედეგად, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეოხებით შევძელით შეგვეჩერებინა ფაშისტური ურდოების წინსვლა, შემდეგ კი თანმიმდევრული, სულ უფრო მზარდი ძალის დარტყმებით გადამწყვეტი დამარცხება მიგვეყენებინა მათთვის და სრული გამარჯვებით დაგვემთავრებინა ომი.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ხალხი ერთ მთლიან, მჭიდროდ დარაზმულ ბანაკად შედუღაბდა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავგანწირულად იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ სრულ გამარჯვებამდე. უმძიმესი განსაცდელის ჟამს საბჭოთა მეომრებმა მასობრივი გმირობის სასწაულები ჩაიდინეს, გვიჩვენეს ერთგულება თავიანთი ხალხისადმი, პარტიისადმი, კომუნიზმის დიადი იდეებისადმი.

საბჭოთა არმიამ დაძაბული თავდაცვითი ბრძოლებით მოქანცა. სისხლისაგან დასცალა ფაშისტური ჯარების დამკვრელი ძალა, შეაჩერა მათი შეტევა ლენინგრადის, მოსკოვის მისადგომებთან და შექმნა პირობები კონტრშეტევაზე გადასვლისათვის მოსკოვთან. მტრის ზურგში პარტიზანული ომი გაჩაღდა.

სრული კრახი განიცადა ჰიტლერელთა ვარაუდმა იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება არამტკიცე აღმოჩნდებოდა, რომ ფრონტზე პირველივე წარუმატებლობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ეროვნული შუღლი ჩამოვარდებოდა.

1941 წლის შემოდგომაზე და ზამთრის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთა განკარგულებაშიც უკვე მნიშვნელოვანი რეზერვები იყო, განახორციელეს კონტრშეტევა მოსკოვთან, აგრეთვე მთელი რიგი შეტევითი ოპერაციები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა უბნებზე. მათ გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების ძირითადი დაჯგუფებანი გადამწყვეტი მიმართულებით — მოსკოვის მიმართულებით.

ბრძოლა მოსკოვის მისადგომებთან დიდი სამამულო ომის პირველი წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ ბრძოლაში საბჭოთა არმიამ პირველი დიდი დამარცხება მიაყენა ჰიტლერული გერმანიის ჯარებს და ხელთ იგდო სტრატეგიული ინიციატივა. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა საბოლოოდ ჩაფუშეს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ელვისებური ომის ფაშისტური გეგმა და დაამსხვრიეს მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ.

ბრძოლა სტალინგრადთან 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უბრწყინვალესი და უმნიშვნელოვანესი ფურცელია. ამ ბრძოლაში განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის აღმოსავლეთის ფრონტის მთელი სამხრეთი ფრთა.

სტალინგრადთან გერმანელების დიდი დაჯგუფების განადგურების შემდეგ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა კვლავ ხელთ იგდეს საომარი ინიციატივა და საერთო შეტევა განახორციელეს უზარმაზარ ფრონტზე ლენინგრადიდან კავკასიის მთებამდე. დაიწყო ჰიტლერელ ურდოთა განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან.

საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ სტალინგრადთან ძირეული გარდატეხა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ.

გრანდიოზული ბრძოლა, რომელიც შუა რუსეთის ზეგანისა და მარცხენა ნაპირის უკრაინის გაშლილ ველებზე გაიმართა 1943 წლის ზაფხულში, ისტორიაში კურსკის ბრძოლის სახელწოდებით შევიდა. მან დააგვირგვინა სწორედ დიდი სამამულო ომის მსვლელობაში მომხდარი გარდატეხა. „თუ გერმანელ ფაშისტთა არმიისათვის სტალინგრადთან ბრძოლა მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“.[1]

1944 წელი საბჭოთა არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი იყო. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ათი მძლავრი თანმიმდევრული დარტყმა მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს და დაამთავრეს მტრის განდევნა საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან. წარმატებითი შეტევითი ოპერაციების შედეგად საომარი მოქმედება ფაშისტური

---

[1] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 205.

გერმანიის ტერიტორიაზე — აღმოსავლეთ პრუსიაში იქნა გადატანილი.

ბოლო ხანებში გამოცემული საბჭოთა სამხედრო მემუარული ლიტერატურა ნათლად გვიჩვენებს, რომ მთავარბანაკისა და უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის სტრატეგიული ხელმძღვანელობა შეიარაღებული ძალებისადმი ომის მსვლელობაში საკმაოდ მოქნილი იყო და უზრუნველყოფდა არსებულ ძალთა ეფექტურ გამოყენებას დასახული მიზნების მისაღწევად. თავისებურებას წარმოადგენდა ხელმძღვანელობის მაღალი ცენტრალიზაცია, რომელიც, ამასთან, როდი გამორიცხავდა ფრონტების ჯარების სარდალთა ინიციატივას ოპერაციების წარმოების ყველაზე ეფექტური გზებისა და ფორმების არჩევაში. სტრატეგიულ ოპერაციათა მეთოდები სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა და მათ საკმაოდ მწყობრი სისტემის სახე მიიღეს.

ბერლინის ოპერაცია დიდი სამამულო ომის დამამთავრებელი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული შეტევითი ოპერაციაა. ჰიტლერელ ფაშისტთა ჯარების ძირითადი დაჯგუფების განადგურებისა და ბერლინის დაცემის შედეგად გერმანიის სამხედრო მანქანა პარალიზებულ იქნა. ფაშისტურმა გერმანიამ დაკარგა შემდგომი წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი შესაძლებლობა და ბერლინის დაცემიდან ხუთი დღის შემდეგ იძულებული იყო უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა. ეს ნიშნავდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ევროპაში.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა. წითელმა არმიამ, რომელსაც მხარში ედგა მთელი საბჭოთა ხალხი, გააფთრებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში დაიცვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი ჰონაპოვრები.

ამ გიგანტურ ბრძოლებში საბჭოთა საქართველომ ფრონტზე გაგზავნა 700 ათასამდე მეომარი. ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა თითქმის ერთი მეხუთედი. მათ შორის — დაახლოებით 22 ათასი ოფიცერი, 3 ათასი ქალი, 36 გენერალი და 6 ადმირალი. აქედან დაახლოებით 188000 მეომარი შინ არ დაბრუნებულა. გაწვეულთა შორის იყო 52 600 კომუნისტი და 160 ათასი კომკავშირელი, ბრძოლებში მამაცობისათვის 320 ათასი მეომარი დაჯილდოებულ

იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 137-ს კი მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

წიგნს „სტალინგრადი—კურსკი—ბერლინი“ სრულიადაც არა აქვს ამ უდიდესი საომარი ოპერაციების ამომწურავად ასახვის პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ მოგვეცა მათი მოკლე თანმიმდევრული აღწერა, გვეჩვენებინა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გადამწყვეტი როლი მტრის განადგურებაში, ქართველი მეომრების მონაწილეობა ამ გრანდიოზულ ბრძოლებში.

წიგნზე მუშაობისას გამოყენებული გვაქვს მრავალი დოკუმენტური მასალა, სხვადასხვა სამხედრო-ისტორიული ლიტერატურა, საბჭოთა თუ უცხოელ სამხედრო მოღვაწეთა მემუარები და მოგონებები. მკითხველი აქ გაეცნობა ბევრ საინტერესო ფაქტსა და ეპიზოდს, რომლებიც საკუთარი თვალით ვნახე და პირადად განვიცადე როგორც ამ ბრძოლების უშუალო მონაწილემ.

სტალინგრადის ეპოპეა

ბრძოლები სტალინგრადთან არა მარტო დიდი სამამულო ომის, არამედ მთელი მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი თვალსაჩინო, შესანიშნავი მოვლენაა. ეს ბრძოლა შეუნელებელი დაძაბულობით გრძელდებოდა ექვსნახევარი თვის განმავლობაში — 1942 წლის 17 ივნისიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე. მასში ორივე მხრიდან ერთდროულად მონაწილეობდა ჯარისკაცთა უზარმაზარი მასები და დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა.

ბრძოლა სტალინგრადთან თავისი შინაარსით მოიცავს საბჭოთა ჯარების მოგერიებითი და შეტევითი ოპერაციების მთელ კომპლექსს.

პირველი ოთხი თვის მანძილზე (1942 წლის 17 ივლისიდან 19 ნოემბრამდე) საბჭოთა არმიის მეომრებმა ჯერ სტალინგრადის მისადგომებთან, ხოლო შემდეგ თვით ქალაქში წარმოებულ შეუპოვარ მოგერიებით ბრძოლებში მოქანცეს ვოლგისაკენ გაჭრილი მტრის მსხვილი დაჯგუფება და აიძულეს იგი თავდაცვაზე გადასულიყო.

შემდგომი ორნახევარი თვის განმავლობაში (1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე) კონტრშეტევაზე გადასულმა საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს სტალინგრადთან მოწინააღმდეგის ძირითადი დაჯგუფების ფლანგები, ალყა შემოარტყეს და მთლიანად მოსპეს გერმანელ ფაშისტთა 330-ათასიანი არმია.

უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მთელი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცურმა და თავგანწირულმა ბრძოლამ, ძლიერ და საშიშ მტერთან შერკინებაში საბჭოთა ჯარების უმაგალითო სიმტკიცემ და არნახულმა გმირობამ არა მარტო ჩაფუშა სტრატეგიული გეგმა ჰიტლერელთა სარდლობისა, რომელიც ისწრაფოდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა აეღო სტალინგრადი, არამედ თავდაყირა დააყენა აგ-

რეთვე ინგლის-ამერიკის რეაქციული წრეების ყველა ვარაუდი საბჭოთა კავშირის დასუსტებისა და სისხლისაგან დაცლის შესახებ.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი, ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის დიადი მაორგანიზებელი და დამრაზმველი ძალა — აი, რა იყო საბჭოთა არმიის უძლეველობის მთავარი წყარო სტალინგრადისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ჯარების გამარჯვება სტალინგრადთან საბჭოთა სამხედრო მეცნიერების ზეიმი იყო. მან ნათელყო საბჭოთა სამხედრო სტრატეგიის დიდი უპირატესობა ჰიტლერელთა სტრატეგიის წინაშე.

საბჭოთა არმია, აღჭურვილი ყველაზე მოწინავე თანამედროვე საომარი ტექნიკით, შედუღაბებული საბჭოთა ზურგის მშრომელებთან, განუწყვეტლივ მდიდრდებოდა სამხედრო გამოცდილებით, ყოველდღიურად ახალი ძალითა და ენერგიით ივსებოდა, მძიმე მოგერიებით ბრძოლებში ეუფლებოდა მტრისათვის შეუცდომლად დარტყმის ხელოვნებას.

სტალინგრადის ბრძოლაში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა არმიის სწორუპოვარი მორალური და საბრძოლო თვისებები.

ჰიტლერული გერმანიის გეგმების ჩაფუშვა საბჭოთა კავშირთან ომის პირველ წელს

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერულმა გერმანიამ, ომის გამოუცხადებლად და რაიმე პრეტენზიის წარდგენის გარეშე, მუხანათურად დაარღვია ხელშეკრულება და უეცრად, მოულოდნელად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ ფაშისტურმა გერმანიამ უკვე დაამთავრა საომარი მოქმედება ევროპაში და, თავის სატელიტებთან ერთად, თანამედროვე საომარი ტექნიკით აღჭურვილი, თავით ფეხამდე შეიარაღებული, ვერაგულად შემოიჭრა საბჭოთა კავშირის საზღვრებში.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის მომენტში კაპიტალისტურ ევროპაში არ არსებობდა ძალა, რომელიც გაუმკლავდებოდა და წინ აღუდგებოდა ფაშისტ აგრესორს. ამ დროისათვის ჰიტლერულმა გერმანიამ თავის ნებას დაუქვემდებარა ევროპის მთელი რიგი ქვეყნები. „ერთი თვეც არ დასჭირვებია გერმანელთა ჯარებს პოლონეთის დასაპყრობად, ნორვეგია მთლიანად იქნა ოკუპირებული ორ თვეში, დანია — ერთი დღის განმავლობაში. 19 დღეში ფაშისტურმა გერმანიამ დაიმონა ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. შემდეგ 44 დღის განმავლობაში გაანადგურა საფრანგეთი“.[1]

მხოლოდ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს გზა გადაეღობათ ფაშიზმისათვის, წინ აღსდგომოდნენ მის მისწრა-

---

[1] Международные отношения после второй мировой войны, т. I, Государственное издательство политической литературы, Москва, 1962, стр. 8.

ფებას მსოფლიო ბატონობისაკენ. ამ აშკარა ფაქტს აღიარებდნენ და ითვალისწინებდნენ თვით ჰიტლერული რაიხის მეთაურებიც.

ამიტომ მთელი ძალების და საშუალებების ძირითადი მასა ჰიტლერელებმა გაშალეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ... „190 დივიზია (5,5 მლნ კაცი), 3712 ტანკი (მათ შორის 2786 საშუალო და 926 მსუბუქი), 4950 სამხედრო თვითმფრინავი, 47260 ქვემეხი და ნაღმმტყორცნი და 193 სამხედრო გემი"[1].

„მოწინააღმდეგის დივიზიები მთლიანად დაკომპლექტებული იყო პირადი შემადგენლობით, შეიარაღებით და ტრანსპორტით. თითოეულ ქვეით დივიზიაში შედიოდა 16,8 ათასი მებრძოლი, სატანკოში — 16 ათასი, ხოლო მოტოდივიზიაში — 14 ათასი. მტრის სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა საუკეთესო ტექნიკურ მდგომარეობაში იყო. ოფიცრებს და ჯარისკაცებს ჰქონდათ საომარი გამოცდილება"[2].

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისას ფაშისტურ გერმანიას თავის განკარგულებაში ჰქონდა არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მის მიერ ოკუპირებული ევროპის ყველა ქვეყნის ეკონომიური და ადამიანთა რესურსები. გერმანიის შეიარაღებული ძალების აღჭურვისათვის მთელი დატვირთვით მუშაობდა როგორც გერმანიის მრეწველობა, ისე მის მიერ დაპყრობილ ევროპის სხვა სახელმწიფოთა ქარხნებიც. აი, ამიტომაც, ფაშისტ აგრესორებს ომის დასაწყისში ბევრად მეტი ქვემეხი, ტანკი, თვითმფრინავი და სხვა საომარი ტექნიკა გააჩნდათ, ვიდრე ჩვენს ქვეყანას.

იმპერიალისტური იაპონია და თურქეთი, ეფარებოდნენ რა ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ გერმანიას და უცდიდნენ ხელსაყრელ მომენტს სსრ კავშირზე თავდასხმისათვის. იაპონიას საომარ მზადყოფნაში ჰყავდა კვანტუნის მილიონიანი არმია, ხოლო თურქეთმა საბჭოთა კავშირის საზღვართან თავი მოუყარა 26-ზე მეტ დივიზიას.

ჰიტლერულმა გერმანიამ დამპყრობლური ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თავისი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე გადაიყ-

---

[1] 50 лет Вооруженных сил СССР, Военное издательство, Москва, 1968, стр. 251.

[2] იქვე.

ვანა, მოახდინა ჯარების სრული მობილიზება და საბჭოთა კავშირის საზღვრებთან თავდასხმისათვის მზადყოფნაში ჰყავდა არმია. ამ არმიას, რომელიც შედგებოდა რჩეული ჰიტლერელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან, ევროპაში დიდი საომარი ოპერაციების წარმოების ორ წელზე მეტი ხნის გამოცდილება ჰქონდა.

თავდასხმის უეცრობა, მოულოდნელობა შესაძლებლობას აძლევდა მას პირველ ხანებში ხელთ ჰქონოდა საომარ მოქმედებათა ინიციატივა.

ჰიტლერული სარდლობის აზრით, საბჭოთა კავშირთან ომს უნდა ჰქონოდა ელვისებური ხასიათი და გაგრძელებულიყო არა უმეტეს ექვსი-რვა კვირა, რომლის განმავლობაში ფაშისტური ჯარები გავიდოდნენ ხაზზე: არხანგელსკი—მდინარე ვოლგა—ასტრახანი.

საფრანგეთში წარმოებული ბრძოლების გამოცდილების მიხედვით, ჰიტლერმა თავის ურდოებს დაუნიშნა ვადა აეღოთ მოსკოვი სსრ კავშირში შეჭრიდან სამი კვირის შემდეგ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს და ინგლისს, რომლებიც იძულებული იყვნენ გამხდარიყვნენ ჩვენი ქვეყნის მოკავშირენი, შეექმნათ ანტიფაშისტური კოალიცია და ეწარმოებინათ ომი ფაშისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, უარი არ უთქვამთ თავის რეაქციულ პოლიტიკურ მიზნებზე. ისინი არაფერს აკეთებდნენ ფაშიზმის სწრაფი და ეფექტური განადგურებისათვის, რადგან ვარაუდობდნენ საბჭოთა კავშირის ხანგრძლივ ომში დასუსტებას. ომის დროს ისინი სისტემატურად არღვევდნენ თავიანთ მოკავშირულ ვალდებულებებს, არ სწყვეტდნენ სეპარატული შეთანხმების მიღწევის გზების ძიებას, აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას; თავს უყრიდნენ თავიანთ ძალებს მეორეხარისხოვან ფრონტებზე. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრმა, შემდგომში პრეზიდენტმა ტრუმენმა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელთა თავდასხმის მეორე დღესვე განაცხადა:

„თუ ვნახავთ, რომ გერმანია იმარჯვებს, მაშინ უნდა დავეხმაროთ რუსეთს, ხოლო, თუ გამარჯვება რუსეთის მხარეს გადაიხრება. მაშინ გერმანიას უნდა ამოვუდგეთ მხარში და, ამრიგად, დე, მათ რაც შეიძლება მეტად გაჟლიტონ ერთმანეთი“[1].

---

[1] Фальсификаторы истории (историческая справка), Госполитиздат, М., 1952, стр. 67—68.

ბევრ უცხოელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს ეგონა, რომ საბჭოთა სახელმწიფო ვერ გაუძლებდა გერმანელ ფაშისტთა არმიის შეტევას. ისინი მალე დაღუპვას უწინასწარმეტყველებდნენ სოციალიზმის ქვეყანას. მაგრამ საომარ მოქმედებათა მსვლელობა სრულიად სხვა გზით წარიმართა, ვიდრე ამას „წინასწარმეტყველები“ ფიქრობდნენ. სსრ კავშირში ჰიტლერელი დამპყრობლები ისეთ წინააღმდეგობას წააწყდნენ, როგორიც მანამდე არსად და არასოდეს არ შეხვედრიათ. სამშობლოს ბრძანებით ჩვენი ქვეყნის საზღვრების დამცველმა სახელოვანმა საბჭოთა ჯარებმა გზა გადაუღობეს ძლიერ და ვერაგ მტერს, შესაძლებლობა მოგვცეს მოგვეგო ქვეყნის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სრული მობილიზებისა და აღჭურვისათვის საჭირო დრო.

სამ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში იგერიებდა ბრესტის ციხე-სიმაგრის გარნიზონი მტრის ჭარბი ძალების გააფთრებულ შეტევებს. ბრესტის გმირები უკანასკნელ ვაზნამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ და სამხედრო მოვალეობის შესრულების ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენეს.

ბრესტის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან იცავდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის შვილები, რომელთა შორისაც ბევრი ქართველი ვაჟკაცი იყო. აქ გმირულად დაიღუპნენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი: კაპიტნები — ბატალიონის მეთაური იაკობ გელაშვილი და პოლკის სკოლის უფროსი ალექსანდრე ჯიჯიშვილი; უფროსი ლეიტენანტები — ასეულის მეთაურები ნესტორ ბოკერია და ვლადიმერ უგრეხელიძე, პოლიტხელი ონისიმე ასათიანი; ზემდეგი პ. აფხაზავა; უმცროსი მეთაურები და ჯარისკაცები პ. პატარაშვილი, გ. სოზაშვილი, მ. ოტიაშვილი, გ. დათიშვილი, ა. ქათამაძე, ძმები კაპანაძეები და მრავალი სხვა.

ბრესტის ციხე-სიმაგრის გმირ დამცველთაგან დღესაც ცოცხალი არიან და დიდ სამხედრო პატრიოტულ მუშაობას ეწევიან:

ალექსანდრე კალანდაძე — ორლოვსკის მე-6 მსროლელი დივიზიის 333-ე მსროლელი პოლკის ასეულის ყოფილი პოლიტხელი, ახლა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ავტორი მშვენიერი ნარკვევისა „დღე ბრესტის ციხე-სიმაგრეში“;

✓ თამარ ჯიჯიშვილი — 333-ე მსროლელი პოლკის სკოლის უფროსის ალექსანდრე ჯიჯიშვილის მეუღლე; საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ მუშაობა დაიწყო მედდად და მკურნალობდა დაჭრილ მებრძოლებს — ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველებს; როცა ქმარი, ალექსანდრე, გმირულად დაეცა ბრესტის კედლებთან, იგი ვაჟკაცურად განაგრძობდა ბრძოლას და შეძლო სიცოცხლე შეენარჩუნებინა თავისი პატარა (3 წლის) ვაჟისათვის — თამაზისათვის; ამჟამად თამაზი მუშაობს და დედასთან ერთად ცხოვრობს მშობლიურ ქალაქ თბილისში;

✓ ალექსანდრე ხარაბაძე — კაპიტანი, ბატალიონის ყოფილი მეთაური, შემდეგ 333-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილე მომარაგების დარგში;

სერგო ინჯია — 125-ე მსროლელი პოლკის მსროლელი ასეულის ყოფილი მეთაური; ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე გაჩაღებული გააფთრებული ბრძოლის დროს რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ მწყობრი არ დაუტოვებია და ბოლომდე გაბედულად ხელმძღვანელობდა ასეულს; აგვისტოს დასაწყისში ციხე-სიმაგრის სხვა დამცველებთან ერთად ბრძოლით გაარღვია ალყა და საბჭოთა არმიის ნაწილებს შეუერთდა;

ალავერდ ივანოვი — პოლკის სასულე ორკესტრის ყოფილ. მუსიკოსი; ჩვენს ქვეყანაზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა თავდასხმის მომენტიდან სამხედრო მწყობრში ჩადგა და დაუღალავი სნაიპერი იყო.

ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველთა შორის ფართოდ იყო ცნობილი მამაცი მებრძოლების — მიხეილ მუმლაძის, გენადი ჭანტურიძის, მიხეილ ფურცხელაშვილის, ალექსი ჯარიაშვილისა და სხვათა სახელები.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში მცხოვრებმა ოლღა ავალიანმა დიდ სამამულო ომში გაგზავნა სამი ვაჟკაცი: ზურაბი. შალვა და ბეგლარი. ომის დამთავრების შემდეგ არც ერთი აღარ დაბრუნებულა შინ. ისინი გმირულად დაეცნენ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ძმებიდან ყველაზე უმცროსი ბეგლარ გიორგის ძე ავალიანი საბჭოთა არმიაში ომის დაწყებამდე გაიწვიეს. მისი ნაწილი — 333-ე პოლკი (მე-6 მსროლელი დივიზია) ბრესტის ციხე-სიმაგრეში გადი-

ოდა საბრძოლო წვრთნას. უკანასკნელ წერილში, რომელიც გამოგზავნილია ბრესტიდან 1941 წლის 19 ივნისს, ბეგლარი წერს, გერმანელების პირისპირ ვდგავართო. იგი ომის პირველ დღეებში დაეცა ბრძოლის ველზე.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲫᲛᲐᲛ, შალვა გიორგის ძე ავალიანმა, 1942 წლის მაისში დაამთავრა მეთაურთა სკოლა სვერდლოვის ოლქში, მიიღო ლეიტენანტის წოდება და მონაწილეობდა მძიმე ბრძოლებში, 1942 წლის 3 აგვისტოს მან ასტრახანის ჰოსპიტლიდან მოიწერა: „დავიჭერი 1942 წლის 22 ივნისს, ძვალი მქონდა გატეხილი, ახლა კი არა მიშავს, დედა, არ იჯავრო, მუდამ კარგად ვიქნები“.

გამოჯანმრთელების შემდეგ იგი კვლავ ფრონტზე იგზავნება. და კვლავ გამამხნევებელ წერილს სწერს დედას: „დედა! დარწმუნებული ვარ, მთელი თქვენი ფიქრები დამყარებულია შვილებზე, ისწრაფვით მათ ნახვას. მტერთან შეტაკებისას მოსალოდნელია რომელიმე ჩვენთაგანის დაღუპვა, და ეს ასე რომ მოხდეს, მაშინ გმართებს სიმაგრე.

ფრონტზე დაღუპული შვილი ძლიერ არ უნდა იჯავრო, რადგან იგი სამშობლოს დაცვას ეწირება“.

შალვა მართლაც შეეწირა სამშობლოს.

უფროსი შვილი ზურაბ გიორგის ძე ავალიანი ირიცხებოდა 265-ე პოლკში, იბრძოდა ქერჩში, სადაც იგი დაიღუპა 1942 წელს. ზურაბის შვილები იზოლდა, მანანა, გიორგი, რომლებმაც შექმნეს საკუთარი ოჯახები, დღემდე მწარედ განიცდიან მამის უდროოდ დაკარგვას.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლას. პარტიამ მოუწოდა საბჭოთა ადამიანებს — მთელი ძალები მიემართათ მტრის უკუსაქცევად, მის გასანადგურებლად.

იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, პარტიამ მოგვიწოდა სამხედრო ყაიდაზე გარდაგვექმნა მთელი მუშაობა, ყოველნაირად დავხმარებოდით ფრონტს, გაგვედიდებინა შეიარაღების, საომარი მასალების, ტანკების, თვითმფრინავების წარმოება და ა. შ.

დიადი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული პროგრამა საფუძვლად დაედო მთელი ჩვენი ხალხის შრომასა და ბრძოლას. იგი აღაფრთოვანებდა საბჭოთა ადამიანებს საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის, უნერგავდა ხალხს საკუთარი ძალებისადმი ღრმა რწმენას, ჩვენი მართალი საქმის გამარჯვების რწმენას.

ახორციელებდა რა ჰიტლერელ დამპყრობთა განადგურების პროგრამას, კომუნისტურმა პარტიამ გიგანტური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გაშალა, რომ ქვეყანა ერთიან საომარ ბანაკად გადაექცია. საბჭოთა სახელმწიფოს მატერიალური და მორალური ძალების უსწრაფესი მობილიზაციის მიზნით 1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

დიდი ბედნიერება იყო, რომ მძიმე განსაცდლის ჟამს, როცა ჩვენს ქვეყანას მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრებოდა, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და წითელ არმიას სათავეში ედგა ნაცადი სახელმწიფო მოღვაწე ი. ბ. სტალინი. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხსა და არმიაში. მის სახელს წარმოთქვამდნენ ხოლმე საბჭოთა მეომრები, როცა მტერს სამკვდროსასიცოცხლოდ ერკინებოდნენ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში თავმოყრილი იყო მთელი ძალაუფლება. ამან უზრუნველყო ერთი მიზნისაკენ — ჰიტლერელ დამპყრობთა განადგურებისაკენ მიმართულ მოქმედებათა გეგმაზომიერება და ერთიანობა.

აი, როგორ იგონებს ი. ბ. სტალინთან პირველ შეხვედრას 1942 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში ჩამოსვლისას დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი:

„მე მივედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციურ ბელადს და ბრძენ რუს სახელმწიფო მოღვაწესა და მეფმარს, რომელთანაც მომდევნო სამი წლის განმავლობაში მომელოდა მჭოლოდა ახლო, მკაცრი, მაგრამ ყოველთვის ამაღელვებელი, ხოლო ზოგჯერ კი გულითადი ურთიერთობა“.

როცა საბჭოთა მთავრობისათვის „ტორჩის“ ოპერაციის (1942 წლის ოქტომბერში ინგლის-ამერიკის ჯარების ჩრდილოეთ აფრიკა-

ში მოქმედების გეგმის) შინაარსის გაცნობის ამბავს აღწერს, უ. ჩერჩილი აღნიშნავს:

„ამ მომენტში სტალინმა, როგორც ჩანს, ერთბაშად შეაფასა „ტორჩის“ სტრატეგიული უპირატესობა. მან „ტორჩის“ სასარგებლოდ ჩამოთვალა ოთხი მთავარი საბუთი. ჯერ ერთი, ეს იქნება ზურგიდან დარტყმა რომელისათვის; მეორე, ეს დააშინებს ესპანეთს; მესამე, ეს გამოიწვევს ბრძოლას გერმანელებსა და ფრანგებს შორის საფრანგეთში; მეოთხე, ეს უშუალო დარტყმის მუქარას შეუქმნის იტალიას.

ამ შესანიშნავმა განცხადებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

...იგი ცხადყოფდა, რომ რუსი დიქტატორი სწრაფად და სრულად დაეუფლა პრობლემას, რომელიც აქამდე ახალი იყო მისთვის. ცოცხალ ადამიანთა შორის ძალზე ცოტანი თუ შეძლებენ რამდენიმე წუთში ჩასწვდნენ მოსაზრებებს, რომლებზეც ასე დაჟინებით ვიმტვრევდით ჩვენ თავს მრავალი თვის მანძილზე. მან ყოველივე ეს ელვის სისწრაფით შეაფასა“.

ᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Გ. Კ. ᲟᲣᲙᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ:

„სტალინი ფლობდა საფრონტო და ფრონტის ჯგუფთა ოპერაციების ორგანიზაციის საკითხებს, საქმის სრული ცოდნით ხელმძღვანელობდა მათ, კარგად ერკვეოდა დიდ სტრატეგიულ საკითხებშიც. სტალინის ეს მხედართმთავრული უნარი ძირითადად გამოვლინდა სტალინგრადთან ბრძოლების დასაწყისში.

მთელი შეიარაღებული ბრძოლების ხელმძღვანელობაში ი. ბ. სტალინს ეხმარებოდა მისი ბუნებრივი ნიჭი, მდიდარი ინტუიცია. მას შეეძლო სტრატეგიულ ვითარებაში მოენახა მთავარი რგოლი. ჩასჭიდებოდა მას და მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია, ესა თუ ის დიდი შეტევითი ოპერაცია განეხორციელებინა. უეჭველია, იგი ღირსეული უმაღლესი მთავარსარდალი იყო“.[2]

---

[1] საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი, მოგონებები და ფიქრები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 344.

საბჭოთა მთავრობამ ომის პირველივე დღეებში უდიდესი ღონისძიებანი განახორციელა ქვეყნის იმ რაიონების სამრეწველო საწარმოთა აღმოსავლეთში (ღრმა ზურგში) ევაკუირების მიზნით. რომლებსაც მტრის მიერ ოკუპაციის საფრთხე ემუქრებოდათ. აუცილებელი იყო, ჯერ ერთი, რაც შეიძლება სწრაფად აგვემუშავებინა ეს საწარმოები ახალ ადგილებზე და, მეორეც, არ მიგვეცა მტრისათვის საბჭოთა ქონების გამოყენების შესაძლებლობა.

„ივნის—ოქტომბრის განმავლობაში უკრაინიდან აღმოსავლეთში გადატანილ იქნა საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 283 საწარმო და, გარდა ამისა, უშუალოდ უკრაინის სარეწაო საბჭოს დაქვემდებარებული სარეწაო კოოპერაციის 136 საწარმო... ბელორუსიიდან ევაკუირებული იყო საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის 109 საწარმო... სექტემბრის დამდეგისათვის ლენინგრადიდან... გაიტანეს 92 მსხვილი საწარმო... ნოემბრის ბოლოსათვის მოსკოვიდან და მოსკოვის ოლქიდან ევაკუირებულ იქნა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 498 საწარმო, თუ არ ჩავთვლით რესპუბლიკური დაქვემდებარებისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს. გარდა ამისა, ევაკუირებული იყო ბევრი უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, თეატრი. ამ საწარმოებსა და დაწესებულებებთან ერთად დედაქალაქიდან გაემგზავრა 210 ათასი მუშა, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. ტვირთის გადაზიდვასა და ადამიანთა გადაყვანას 17 ათასზე მეტი ვაგონი დასჭირდა...

ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში 1941 წლის იელის-ნოემბერში გადატანილი იყო 1523 სამრეწველო საწარმო, მათ რიცხვში 1360 მსხვილი სამხედრო საწარმო. ვოლგისპირეთის რაიონში განლაგდა 226 საწარმო, ურალში — 667, დასავლეთ ციმბირში — 244, აღმოსავლეთ ციმბირში — 78, ყაზახეთსა და შუა აზიაში — 308.

სულ 1941 წელს რკინიგზით გადაზიდულ იქნა 1,5 მილიონამდე ვაგონი საევაკუაციო ტვირთი“.[1]

უკიდურესად მძიმე პირობებში ხდებოდა სამრეწველო საწარმოთა ევაკუაცია ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. არაერთი ქარხნის

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 — 1945 гг., т. II, стр. 147—148.

დემონტაჟი და გატანა მიმდინარეობდა მოწინააღმდეგის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ. ბევრი ეშელონი დაუბომბია მტერს ჰაერიდან. ადგილზე მისვლისას ადამიანები 30—40 გრადუს ყინვაში ღია ცის ქვეშ მართავდნენ ჩარხებს და უკვე რამდენიმე დღეში აძლევდნენ ფრონტს თავიანთ პროდუქციას — თვითმფრინავებს, ტანკებს, ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებსა და ა. შ.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ჩვენი ხალხის უდიდეს ღონისძიებათა შედეგად 1941 წლის დეკემბრისათვის მივაღწიეთ მრეწველობის მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას — დაიწყო საერთო აღმავლობა. 1942 წლის პირველ ნახევარში ჩვენმა სამხედრო მრეწველობამ არა მარტო აღადგინა დაკარგული სიმძლავრეები, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მათ. ყოველდღიურად იზრდებოდა ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების და შეიარაღების სხვა სახეობათა წარმოება.

„სამხედრო ტექნიკის ძირითადი ნაწილი სამამულო ომის პერიოდში წარმოებული იყო სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში. ურალში სამხედრო პროდუქციის წარმოება 1942 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა ხუთჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1943 წელს — ექვსჯერ. დასავლეთ ციმბირის რაიონებში სამხედრო პროდუქციის წარმოება 1942 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 27-ჯერ, ხოლო 1943 წელს — 34-ჯერ. ვოლგისპირეთის რაიონებში სამხედრო პროდუქციის წარმოება 1942 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა ცხრაჯერ, ხოლო 1943 წელს — თერთმეტჯერ".[1]

მტერზე დარტყმები დღითიდღე ძლიერდებოდა. ომის მძიმე პირობებში ეს იყო საბჭოთა ადამიანების დიდი გამარჯვება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის, საბჭოთა ადამიანების არნახული გმირობისა და სიმამაცის შედეგად ჰიტლერული გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური გეგმები ჩაიფუშა ომის პირველივე თვეებში.

ომის დასაწყის პერიოდში, მიუხედავად ძალთა მეტად არახელსაყრელი შეფარდებისა, საბჭოთა ჯარები ყოველ ღონეს ხმარობდნენ

---

[1] Н. Вознесенский, Военная экономика СССР в период Отечественной войны, Госполитиздат, М., 1949, стр. 77—78.

იმისათვის, რომ შეეჩერებინათ მტერი თავდაცვის ბუნებრივ ზღუ-
დეებზე და მაქსიმალური ზარალი მიეყენებინათ მისთვის.

სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე გმირულად იბრძოდა ბევრი ქართველი მეომარი.

დიდი სამამულო ომის მთელ მანძილზე საბჭოთა კავშირის სამ-ხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ ქირურგად მუშაობდა ჩვენი თანა-მემამულე, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იუსტინ, ივლიანეს ძე ჯანელიძე. ამ მეტად პასუხსაგებ თანამდებობაზე გამოჩ-ენილ ავნდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი, იგი ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა ომში დაჭრილთა და დაზიანებულთა მკურნა-ლობის საქმეს.

პირადად ი. ჯანელიძის მადლიან ხელს მრავალი მძიმე დაჭრი-ლი უხსნია სიკვდილისაგან. სამამულო ომში დიდი დამსახურები-სათვის ი. ჯანელიძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპა-ტიო წოდება.

ი. ჯანელიძე გამოჩენილი საბჭოთა ქირურგი, საკავშირო სამე-დიცინო აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სოცია-ლისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიდი საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი პედაგოგი. სამედიცინო სამსახუ-რის გენერალ-ლეიტენანტი, დაიბადა 1883 წელს ქალაქ სამტრედია-ში. 1903 წელს ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას და სწავ-ლას აგრძელებს ხარკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულ-ტეტზე, მაგრამ 1905 წელს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილე-ობისათვის გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან. შემდეგ ი. ჯანელიძე მიემგზავრება შვეიცარიაში უმაღლესი სამედიცინო განათლების მი-საღებად, საიდანაც რუსეთში ბრუნდება ექიმის დიპლომით.

ი. ჯანელიძე იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი, შესანიშნავი კლინიცისტი და ვირტუოზი დასტაქარი. მან ჯერ კიდევ სულ ახალ-გაზრდა ექიმმა 1911 წელს რუსეთში პირველად გააკეთა გულის ოპერაცია, ხოლო 1913 წელს მსოფლიოში პირველმა დიდი წარმა-ტებით გაკერა ასწვრივი აორტის ჭრილობა.

ი. ჯანელიძეს ასზე მეტი მეცნიერული შრომა აქვს გამოქვეყნე-ბული კლინიკური ქირურგიის მეტად აქტუალურ საკითხებზე. ი. ჯანელიძე იყო ნ. ი. პიროგოვის სახელობის ქირურგიული საზოგა-

დოების საპატიო წევრი და მრავალჯერ არჩეული ამავე საზოგადოების თავმჯდომარედ. 1946 წელს ი. ჯანელიძე აირჩიეს ქირურგთა საკავშირო 25-ე საიუბილეო ყრილობის თავმჯდომარედ, ხოლო 1947 წელს — საკავშირო ქირურგთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ.

მხცოვანი მეცნიერი მრავალჯერ მეთაურობდა საბჭოთა მედიკოსთა დელეგაციას საერთაშორისო ყრილობაზე — საზღვარგარეთ მის შესანიშნავ საქმიან ლექციებსა და მოხსენებებს განცვიფრებაში მოჰყავდა მსმენელები.

საყოველთაოდ აღიარებული დიდი მეცნიერი ი. ჯანელიძე გარდაიცვალა 1950 წელს. დასაფლავებულია ქალაქ ლენინგრადში გაშოჩენილი მეცნიერების პიროგოვისა და პავლოვის გვერდით.

ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ი. ჯანელიძის დამსახურება საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში და მისი სახელი მიანიჭა ლენინგრადის სასწრაფო დახმარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და დააარსა მისივე სახელობის ორი სტიპენდია სწავლაში განსაკუთრებით წარჩინებული სტუდენტებისათვის.

ომის პირველ დღესვე თავი ისახელა ქართველმა არტილერისტმა, 823-ე საჰაუბიცო პოლკის ბატარეის მეთაურმა ლეიტენანტმა გიორგი სოლომონის ძე შოგირაძემ. ფაშისტების თავდასხმის დროს მისი ნაწილი იდგა დასავლეთის საზღვართან, ბრესტის ოლქში, სოფ. ლიკოვის რაიონში.

გ. შოგირაძის არტილერისტებმა გერმანელი ფაშისტების მძლავრი ცეცხლის ქვეშ სასწრაფოდ დაიკავეს დროებითი საცეცხლე პოზიცია და მტერს გრიგალისებური ცეცხლი დაატეხეს, რითაც საშუალება მიეცა პოლკის სხვა განაყოფებს დაეკავებინათ გეგმით გათვალისწინებული წინასწარ მომზადებული საცეცხლე პოზიციები.

26 ივლისს გ. შოგირაძემ ქ. ბობრუისკის მისადგომებთან მიიღო ბრძანება, არიერგარდში გამოყოფილ ქვეით ჯართან ერთად შეეჩერებინა მტრის ტანკების იერიში, რათა ჩვენს ჯარებს ორგანიზებულად გადაელახათ მდინარე ბერეზინა და აღმოსავლეთ ნაპირზე დაეკავებინათ მოგერიებითი ზღუდე. 27 ივნისს, დილით, ფაშისტთა ტანკებმა იერიში მიიტანეს ბატარეის წინააღმდეგ. ლეიტენანტ გ. შოგირაძის ბრძანებით მტრის ტანკები მიუშვეს 300—400 მეტრზე,

შემდეგ გაუხსნეს მძლავრი ცეცხლი, რის შედეგად მტერმა დიდი ზარალი ნახა და იძულებული გახდა უკან დაეხია. ამით განაწყენებულმა ფაშისტებმა გააძლიერეს საჰაერო თავდასხმა, მაგრამ მამაცი არტილერისტები არ შეუშინდნენ მტრის ბომბებს, ფარულად ახალი საცეცხლე პოზიცია დაიკავეს და, როდესაც მტერს ბატარეა უკვე განადგურებული ეგონა, ხელახალ შეტევაზე გადავიდნენ. ამ ბრძოლაში პირდაპირი დამიზნებით დაწვეს მტრის 6 ტანკი და მოსპეს 100-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი. გაზეთი „იზვესტია" 1941 წლის 9 ივლისის ნომერში და ჟურნალი „ოგონიოკი" (№ 21) ქებით იხსენიებენ ბატარეის მეთაურს ლეიტენანტ გ. შოგირაძეს და მის მებრძოლებს.

შემდგომში ის მამაცურად იბრძვის ლენინგრადის ბალტიისპირეთის ფრონტებზე. 1944 წლის გაზაფხულზე გ. შოგირაძე უკვე პოდპოლკოვნიკის წოდებით საარტილერიო ბრიგადის შტაბის უფროსი იყო. მაგრამ მამაცი არტილერისტი გამარჯვების დღეს ვერ მოესწრო. იგი 1944 წლის 2 აგვისტოს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ვაჟკაცური შემართებითა და გამჭრიახი სამხედრო ალღოთი არაერთხელ გამოიჩინა თავი ნიჭიერმა ოფიცერმა, 28-ე მოტორიზებული მსროლელი პოლკის მეთაურმა მაიორმა სპირიდონ ნიკოლოზის ძე შერაზადიშვილმა. 28-ე მოტორიზებული მსროლელი პოლკი შედიოდა 28-ე სატანკო დივიზიის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი, შემდგომში გამოჩენილი მხედართმთავარი, არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ივანე დავითის ძე ჩერნიახოვსკი (ეს დივიზია შედიოდა 1-ელ მექანიზებულ კორპუსში, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-11 არმიის შემადგენლობაში იბრძოდა).

ქ. შაულიაის მისადგომებთან მაიორ ს. შერაზადიშვილმა პირადად ი. ჩერნიახოვსკისაგან მიიღო საბრძოლო დავალება: თავისი პოლკით ორი დღის განმავლობაში შეეჩერებინა მტრის შეტევა კალტინენაიას ზღუდეზე, რათა უზრუნველეყო 1-ლი მექანიზებული კორპუსის გეგმაზომიერი უკანდახევა ახალ თავდაცვით ზღუდეებზე, მისი ქვეგანაყოფების გადაჯგუფება და წესრიგში მოყვანა. პოლკმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს ამოცანა.

ქ. ლიეპაიას მისადგომებთან ფაშისტებმა მრავალრიცხოვანი სა-

ჰაერო დესანტი ჩამოსხეს. მისი ლიკვიდირება მაიორ შერაზადიშვილის პოლკს დაევალა. უნარიანად გამოიყენა რა ადგილმდებარეობის რელიეფი და თავისი მობილურობა, პოლკმა ეს ამოცანაც სანიმუშოდ განახორციელა. ბრძოლის ველზე დარჩა 300-ზე მეტი მტრის მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი.

შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა დასავლეთ დვინაზე. გერმანელები ჩქარობდნენ გადმოელახათ წყლის ზღუდე, მაგრამ ჩვენი ჯარების სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მაიორ შერაზადიშვილის მებრძოლებმა რვაჯერ გადაყარეს ისინი მდინარეში.

ლატვიის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქალაქ მადონთან, ჰიტლერელებმა შეძლეს ზურგში მოქცეოდნენ ჩვენს ჯარებს. ქალაქისაკენ გაჭრა უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან იქ იყო რკინიგზის საკვანძო სადგური, რომელიც ამ რაიონს აღმოსავლეთ ოლქებთან აკავშირებდა. სპირიდონ ნიკოლოზის ძემ შეადგინა დამკვრელი ჯგუფი და წაიყვანა იერიშზე. ხელჩართულ ბრძოლაში მტერი ძლეულ იქნა, ჩვენებმა ალყა გაარღვიეს და ქალაქში შევიდნენ.

1941 წლის 26 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და, ამავე დროს, გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მაიორი ს. ნ. შერაზადიშვილი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

აი, რას წერდა დაჯილდოების ფურცელში დივიზიის მეთაური ი. ჩერნიახოვსკი: „...მაიორი შერაზადიშვილი ბრძოლაში მოსაზრებული, მამაცი და აუღელვებელია. იქ, სადაც იგი და მისი მებრძოლები იმყოფებოდნენ, მუდამ გამარჯვება იყო...“.

გმირი ვერ მოესწრო საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა დღეებს. იგი დაიღუპა 1941 წლის 23 ივლისს ლენინგრადის ოლქის დნოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვოს მახლობლად. დაკრძალულია ქალაქ სტარაია რუსაში.

ოდნავ სამხრეთით, დვინსკის (დაუგავის), დრისის, კრაასლავის რაიონში, გმირულად იბრძოდა 112-ე მსროლელი დივიზია, რომლის 524-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი, შემდგომში გენერალ-მაიორი ვალენტინ ანდრიას ძე აფაქიძე (112-ე მსროლელი

დივიზია დასავლეთის ფრონტის 22-ე არმიის შემადგენლობაში იბრძოდა).

ვალენტინ ანდრიას ძე უნარიანად იყენებდა თავდაცვისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ ზღუდეებს და არ აძლევდა მოწინააღმდეგის 32-ე ქვეითი და მე-14 მოტორიზებული დივიზიების ნაწილებს აღმოსავლეთისაკენ შეტევის განვითარების შესაძლებლობას.

1941 წლის ივლისის ბოლოს გერმანელ ოკუპანტებთან გააფთრებული ბრძოლების დროს ვალენტინ ანდრიას ძე მძიმედ დაიჭრა. გამოჯანსაღების შემდეგ დანიშნეს მოსკოვის სამხედრო ოლქის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსის მოადგილედ. შემდგომში დიდხანს მუშაობდა სამხედრო სასწავლებლის უფროსად.

1960 წლიდან დათხოვნილია თადარიგში. დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენებითა და 6 მედლით.

1941 წლის 18 ივლისს ცენტრალური ფრონტის 21-ე არმიის ჯარებმა კონტრდარტყმით გადალახეს მდინარე დნეპრი ქ. ჟლობინის ჩრდილოეთით (120 კილომეტრზე მოგილიოვის სამხრეთით), გადაკვეთეს რკინიგზა მოგილიოვ-ჟლობინი და შეავიწროვეს გერმანელი ფაშისტების 53-ე საარმიო კორპუსი, რომელიც გზას იკაფავდა ბობრუისკიდან გომელისაკენ.

21-ე არმიის პირველ ეშელონში იბრძოდა 102-ე მსროლელი დივიზია, რომლის 467-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა ნიჭიერი და გაბედული ოფიცერი პოლკოვნიკი შალვა გიორგის ძე ყიფიანი. კონტრდარტყმის დროს 467-ე მსროლელი პოლკის მებრძოლებმა ბრწყინვალედ შეასრულეს საბრძოლო ამოცანა — შეაჩერეს მტრის შეტევა.

20 ივლისისათვის მტერმა შეძლო თავისი ჯარების გადაჯგუფების დამთავრება ამ მიმართულებით და მძლავრი საარტილერიო-საავიაციო მომზადების შემდეგ განაახლა იერიში. ფაშისტები ცდილობდნენ დნეპრში გადაეყარათ 102-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლები, გაენადგურებინათ ისინი და კვლავ განეგრძოთ შეტევა გომელისაკენ. დაძაბულ ბრძოლებში მტრის ძალზე ჭარბ ნაწილებთან 102-ე მსროლელი დივიზია იძულებული გახდა უკან დაეხია და დნეპრის მარცხენა ნაპირზე გამაგრებულიყო. დივიზიის ორგანიზებულ უკან დახევას უზრუნველყოფდა არიერგარდში გამოყოფილი

467-ე მსროლელი პოლკი შ. ყიფიანის მეთაურობით. მტრის ჭარბ ძალებთან გააფთრებულ ბრძოლებში 467-ე პოლკის მებრძოლებმა გზა გადაუკეტეს მტერს, შეანელეს მისი შეტევის ტემპი და დივიზიას ახალ ზღუდეზე განლაგების საშუალება მისცეს. ბრძოლებში პოლკის მეთაური შ. ყიფიანი პირადი მოქმედებით აღაფრთოვანებდა თავის მეომრებს, უნერგავდა მათ გამარჯვების რწმენას. მასთან ერთად მხარდამხარ გადადიოდა შეტევაზე, მიუხედავად იმისა, რომ მკერდში დაჭრილი იყო. დღის ბოლოს (1941 წ. 20 ივლისს), ხელჩართული ბრძოლის დროს პოლკოვნიკ შ. ყიფიანს ორივე ფეხი მოსტეხეს. მიუხედავად მძიმე ჭრილობისა და ტკივილებისა, იგი თავის მებრძოლებს მზრუნველობას არ აკლებდა, სწორად აფასებდა ბრძოლის ველზე შექმნილ მდგომარეობას და განაყოფებს სათანადო ბრძანებას აძლევდა ღამის წყვდიადში უკან დასახევად და დივიზიის ნაწილებთან შესაერთებლად. დნეპრის მარცხენა ნაპირთან მისვლამდე მტრის დაზვერვასთან შეტაკებისას დაიღუპა პოლკოვნიკი შალვა ყიფიანი, პოლკი კი დაკისრებული ამოცანის შესრულების შემდეგ შეუერთდა დივიზიას. იგი დაკრძალულია მინსკის ოლქის დაბა გადილოვიჩის ძმათა სასაფლაოზე.

შალვა ყიფიანმა 1925 წელს დაამთავრა ქართული გაერთიანებული სამხედრო მეთაურთა სკოლის ცხენოსანთა განყოფილება. 1932 წელს ის უკვე ქართული ცხენოსანი პოლკის შტაბის უფროსად მუშაობდა. 1940 წელს ხარკოვის სამხედრო ოლქში 102-ე მსროლელი დივიზიის 467-ე პოლკის მეთაურად ინიშნება. აი, როგორ იგონებს შ. ყიფიანს 102-ე მსროლელი დივიზიის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი პორფილე გუძი. მშვიდობიანობის დროს, — აღნიშნავს იგი, — ერთი წლის განმავლობაში პოლკოვნიკმა ყიფიანმა 467-ე მსროლელი პოლკი ისე გაწვრთნა, რომ დივიზიაში წამყვანი ადგილი დაიჭირა. მისი მებრძოლები გამოირჩეოდნენ მკაცრი დისციპლინით და სამხედრო-პოლიტიკური მომზადების მაღალი დონით. პოლკის შემადგენლობაში პოლკოვნიკი შ. ყიფიანი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

გერმანელთა 1-ლი სატანკო ჯგუფის მძლავრი შეტევის შედეგად მძიმე ბრძოლებით იხევდა უკან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-6 არმია, სადაც 190-ე მსროლელი დივიზიის 391-ე საარტილერიო პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში იყო ბატალიონის

კომისარი ვარლამ კიმოთეს ძე ციკოლია. 1941 წლის 10 ივლისს იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ივანპოლის რაიონში (ივანპოლი მდებარეობს 45 კილომეტრზე ქ. ბერდიჩევის დასავლეთით).

ამ დღეს მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ მოწინააღმდეგის 55-ე საარმიო კორპუსის ნაწილებმა კონცენტრირებული დარტყმა განახორციელეს ქ. კაზატინის მიმართულებით. მტერმა მოახერხა გაერღვია ჩვენი თავდაცვა ივანპოლ—კაზატინის გზატკეცილის გასწვრივ და რამდენიმე ტანკით ღრმად შეეჭრილიყო საბჭოთა ჯარების განლაგებაში.

ამ დროს ვ. ციკოლია პოლკის სხვა ოფიცრებთან ერთად სასწრაფო ზომებს იღებს მდგომარეობის აღსადგენად. მან პირველმა მიირბინა საცეცხლე პოზიციებთან, სადაც იდგა ქვემეხი გათვლის გარეშე, პირდაპირი დამიზნებით გახსნა ცეცხლი და მოწინააღმდეგის სამი მანქანა მოსპო. პოლკის ოფიცრებმაც მიბაძეს მის მაგალითს და რამდენიმე წუთში კიდევ ოთხი ქვემეხი ამოქმედდა. მტრის კიდევ რამდენიმე მანქანა გაეხვია ცეცხლში. ერთი საათის შემდეგ მამაცმა ოფიცრებმა აღადგინეს მდგომარეობა და აიძულეს გერმანელი ფაშისტები შეეწყვიტათ შეტევა.

შუადღისას მტერმა კვლავ განაახლა მძლავრი საჰაერო და საარტილერიო დაბომბვა და ცდილობდა ქ. კაზატინის მიმართულებით გაჭრას. ამ საჰაერო დაბომბვის დროს დაიღუპა ვარლამ ციკოლია, რომელიც ამავე რაიონშია დაკრძალული.

თავის გმირობით და თავდადებული მოქმედებით სამუდამოდ ასახელა ქართველი ერი ბორჯომის რაიონის სოფელ დიდი ცემის მკვიდრმა, უმცროსმა ლეიტენანტმა, ავიაგამანადგურებელი პოლკის მფრინავმა კომკავშირელმა მოსე ერემიას ძე ტაბატაძემ.

ის 1941 წლის ზაფხულში სმოლენსკის მიმართულებით მოულოდნელად ჩაება უთანასწორო საჰაერო ბრძოლაში ერთი — 12-ის წინააღმდეგ.

მამაცმა შევარდენმა მტერს არ მისცა საშუალება საბრძოლო ამოცანის შესრულების, გერმანელთა თვითმფრინავზე ტარანის დროს ჰაერში დაამსხვრია „მესერშმიტი“ და მტერი მიწას დაანარცხა. ამ დაძაბულ ბრძოლებში მ. ტაბატაძე გმირის სიკვდილით დაეცა.

გენერალ-მაიორი პავლე ივლიანეს ძე აბრამიძე დიდი სამამულო ომის პირველ დღესვე ჩაება დაძაბულ ბრძოლებში, 72-ე მსროლელი

დივიზია, რომელსაც ის მეთაურობდა, იცავდა დასავლეთის საზღვარს ქ. პერემიშლის სამხრეთით, სოფელი ბიჩა — ქ. სანოკი და მდინარე სანის დინების ხაზზე, დაბა ხიროვი და დობრომილი.

1941 წლის 22 ივნისს გათენებისას მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ გერმანელი დამპყრობლები მექანიზებული ჯარით და ტანკებით თავს დაესხნენ 72-ე მსროლელ დივიზიას, ფაშისტები ცდილობდნენ რამდენიმე ადგილას სოლივით შეეჭრილიყვნენ დივიზიის მოგერიების ზოლში, გაეთიშათ ერთმანეთისაგან ნაწილები და ცალ-ცალკე გაენადგურებინათ თითოეული მათგანი. მაგრამ გენერალმა პ. აბრამიძემ სწორად განსაზღვრა მტრის ჩანაფიქრი და არ მისცა საშუალება, რომელიმე ნაწილი მოეწყვიტა დივიზიისათვის. დაძაბულ ბრძოლებში მტრის ჭარბი ნაწილები მხოლოდ დიდი დანაკარგის ფასად ნელა მიიწევდნენ წინ.

72-ე მსროლელი დივიზია მოქმედებდა მე-6 არმიაში (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე). ამავე არმიაში შედიოდა 190-ე მსროლელი დივიზია, სადაც ვიყავი დივიზიის სამხედრო კომისარი. ორივე დივიზია მხარდამხარ იბრძოდა ტორნპოლის, პროსკუროვის, კაზატინის, ორატოვის და უმანის მიმართულებით. შეერთებული ძალებით 72-ე და 190-ე დივიზიის მებრძოლებს არა ერთი ბრძოლა ჩაუტარებიათ წარმატებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბა ორატოვისათვის ბრძოლა (დაბა ორატოვი მდებარეობს ქ. ვინიცის აღმოსავლეთით 75 კილომეტრზე).

მტრის პირველმა სატანკო ჯგუფმა 24 ივლისს ბელაია ცერკოვის რაიონიდან განავითარა შეტევა აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, რის შედეგად მტრის 48-ე მექანიზებულმა კორპუსმა ჩვენს ნაწილებს დაბა ორატოვში აღმოსავლეთისაკენ გზა გადაუკეტა. საჭირო იყო მტრის თავდაცვის გარღვევა, აღმოსავლეთისაკენ გზის გაკაფვა და არმიის ნაწილებთან შეერთება. ამიტომაც სასწრაფოდ მოფიქრებული ერთიანი გეგმით 72-ე და 190-ე მსროლელი დივიზიები სხვა ნაწილებთან ერთად 1941 წლის 26-27 ივლისს, ღამით, ცეცხლის გახსნის გარეშე, მთელ ფრონტზე უხმაუროდ ეკვეთნენ მტერს. გერმანელები არ ელოდნენ ღამით ჩვენს შეტევას. ამიტომაც შაბათ საღამოს მხიარულად დროის გატარების შემდეგ ტკბილად ისვენებდნენ (საერთოდ გერმანელები ომის დასაწყისში ღამით ბრძოლებს არ ატარებდნენ, ისინი იბრძოდნენ მხოლოდ დღისით,

ღამით ბრძოლები მათ ჩვენგან ისწავლეს). ღამის წყვდიადში მოქმედების დაწყებისას მტრის საველე ყარაული და დაცვა სწრაფად იქნა მოხსნილი. მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდა ჩვენი შეტევა, როდესაც მთელი ძალებით მივადექით დასახლებულ პუნქტს. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, მტერი პანიკამ მოიცვა. ისინი ცდილობდნენ მანქანებით გაქცევას, მაგრამ 26 ივლისს, საღამოს, წვიმა მოვიდა და მანქანებით მოძრაობა შეაფერხა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენმა ნაწილებმა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მტრისათვის გადაეკეტათ დაბა ორატოვიდან აღმოსავლეთისაკენ გასასვლელი გზები, დროულად დაიკავეს თავიანთი პოზიციები და მტრის ყოველი ცდა, თავი დაეღწია ჩვენი დარტყმისათვის, უშედეგოდ დამთავრდა. 48-ე მექანიზებული კორპუსის შტაბი და კორპუსის სპეციალური ნაწილები, აგრეთვე თავდაცვაში მყოფი ორი მექანიზებული პოლკი მთლიანად იქნა განადგურებული და ჩვენმა ნაწილებმა გზა გაიკაფეს აღმოსავლეთისაკენ არმიის ნაწილებთან შესაერთებლად.

ᲞᲐ. ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲫᲔ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐᲡ. ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲨᲔᲕᲮᲕᲔᲓᲠᲘᲕᲐᲠ ᲛᲐᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ: ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 1940 ᲬᲔᲚᲡ ᲗᲔᲗᲠᲤᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ. ᲘᲡ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲔᲠᲙᲕᲔᲝᲓᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

1941 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲢᲔᲠᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲘᲡᲠᲝᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲨᲔᲭᲠᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲨᲘ.

1941 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ, ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲢᲔᲠᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲛᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 51 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ (13 ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ, 33 ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲓᲐ 5 ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ) ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲞᲧᲠᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ-

ში საბჭოთა მეომრები უმაგალითო თავდადებას, გმირობასა და მამაცობას ავლენდნენ.

1941 წლის 6 დეკემბრიდან საბჭოთა არმია მოსკოვის მიმართულებით კონტრშეტევაზე გადავიდა. გერმანელ ფაშისტთა ჯარების მილიონნიანი დაჯგუფება 1941 წლის დეკემბრის განმავლობაში განადგურებულ იქნა საბჭოთა არმიის მიერ.

ბრძოლა მოსკოვთან, რომელიც დაახლოებით ექვსი თვე გაგრძელდა, საბჭოთა ჯარების მთელ რიგ თავდაცვით და შეტევით ოპერაციებს მოიცავს. ყველა ამ ოპერაციაში მოსკოველთა მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ უკრაინელები და ბელორუსები, ყაზახები და უზბეკები, ქართველები და თურქმენები — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები. ყველა მათგანი ერთი აზრით იყო გამსჭვალული — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლა და არ გაეშვა მტერი დედაქალაქისაკენ.

ᲩᲛ მოსკოვისათვის ბრძოლებში ბევრმა ქართველმა მეომარმა ისახელა თავი. აი, მათი სახელები.

კონსტანტინე ლესელიძე — 50-ე არმიის არტილერიის მეთაური. პოლკოვნიკი, შემდეგ კი გენერალ-პოლკოვნიკი. გაბედულად გამოიყენა არტილერიის პირდაპირი დამიზნებით სროლა. მისმა არტილერისტებმა მოსკოვის სამხრეთით, ქ. ტულის მისადგომებთან, გზა გადაუღობეს გერმანელთა სატანკო არმიას, რომელსაც ცნობილი ფაშისტი გენერალი გუდერიანი მეთაურობდა. გააფთრებულ ბრძოლებში ჩვენმა არტილერისტებმა მოწინააღმდეგის ბევრი ტანკი მოსპეს, დაასუსტეს მტერი და აიძულეს უარი ეთქვა შეტევაზე. საბჭოთა არმიის შემდგომი მძლავრი დარტყმით გერმანელები შორს იქნენ უკუგდებული დასავლეთისაკენ.

პორფილე ჩანჩიბაძე — გენერალ-მაიორი, შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკი; მეთაურობდა 107-ე მოტორიზებულ დივიზიას (შედიოდა 30-ე არმიის შემადგენლობაში), რომელიც მოსკოვის ჩრდილოეთით მოქმედებდა. მოსკოვზე გერმანელთა ნოემბრის შეტევის (1941 წ.) დროს გენერალ ჩანჩიბაძის დივიზიას მტრის სამი დივიზია დაესხა თავს ტანკებისა და ავიაციის დიდი ძალებით. ფაშისტები ვარაუდობდნენ სწრაფად მოესპოთ დივიზია და გზა გაეხსნათ მოსკოვისაკენ თავიანთი ჯარებისათვის. გააფთრებული ბრძოლები ოთხი დღე გრძელდებოდა შეუსვენებლივ. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა, რომ-

ლებსაც ბევრად ჭარბი ძალები ჰყავდათ, ვერ შეძლეს გაერღვიათ გენერალ ჩანჩიბაძის დივიზიის თავდაცვა და იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ შეტევა ამ მიმართულებით.

30-ე არმიის ყოფილი სარდალი არმიის გენერალი ლელიუშენკო თავის მემუარებში „გამარჯვების აისი“ პ. ჩანჩიბაძეს ასე ახასიათებს: „არმიაში გენერალ-მაიორ ჩანჩიბაძეს იცნობდნენ როგორც ისეთ კაცს, რომლისთვისაც არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობანი“.

შალვა ბრეგვაძე — პოლკოვნიკი, იყო მე-5 არმიის ქიმიური სამსახურის უფროსი. გამოიგონა ქიმიური ცეცხლმფრქვევი, რომელმაც შესანიშნავი შედეგები მოგვცა გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანტონ ნაკაშიძე — პოლკოვნიკი, საზენიტო-საარტილერიო დივიზიის მეთაური. ამ დივიზიამ მტრის დიდი რაოდენობით თვითმფრინავი გაანადგურა მოსკოვთან.

მიხეილ კიკნაძე — არტილერიის პოლკოვნიკი, ახლა გენერალ-მაიორი, მეთაურობდა საზენიტო-საარტილერიო პოლკს, შემდეგ — დივიზიას.

მიხეილ მიქელაძე — პოლკოვნიკი, ახლა გენერალ-მაიორი, მუშაობდა გენერალურ შტაბში — დაკომპლექტების მთავარ სამმართველოში.

ერმალოზ კობერიძე — საბჭოთა კავშირის გმირი, პოდპოლკოვნიკი, ახლა გენერალ მაიორი, მეთაურობდა 47-ე მსროლელი დივიზიის პირველ მსროლელ პოლკს კალინინის ფრონტზე.

ის მოსკოვის ჩრდილოეთ მისადგომებთან მოგერიებითი ბრძოლების აქტიური მონაწილეა. საერთო შეტევის დროს მისმა პოლკმა მრავალი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა ფაშისტებისაგან კალინინის ოლქში. 1942 წლის 16 დეკემბერს ე. კობერიძე კალინინისათვის ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა.

გამოჯანმრთელების შემდეგ ინიშნება ჯერ პოლკის მეთაურად 117-ე მსროლელ დივიზიაში, შემდეგ ამავე დივიზიის მეთაურად. ე. კობერიძემ მძიმე საბრძოლო გზა სახელოვნად განვლო. იბრძოდა ბელორუსიაში, პოლონეთში და გერმანიაში. მან დიდი მამაცობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა პოლონეთის ტერიტორიაზე ქ. ლუბლინისათვის ბრძოლებში, რომელიც ჩვენმა ჯარებმა აიღეს 1944 წლის 24 ივ-

ლისს. დაბა პულავი კი 26 ივლისს იერიშით აიღო 117-ე მსროლელ-მა დივიზიამ, რომელსაც ე. კობერიძე მეთაურობდა და გავიდა მდინარე ვისლაზე (110 კილომეტრზე ვარშავის სამხრეთით). დივიზიამ 69-ე არმიის შენაერთებს შორის ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაუ-ყოვნებლივ სახელდახელო საშუალებებით გადალახა მდინარე ვის-ლა და 28 ივლისს ხელთ იგდო პლაცდარმი, რომელიც დიდი სამა-მულო ომის ისტორიაში ცნობილია „პულავის პლაცდარმის" სახელ-წოდებით.

ე. კობერიძე სახელმოხვეჭილი, გულისხმიერი, ობიექტური, შრომისმოყვარე, დინჯი, სამხედრო ხელოვნების კარგი მცოდნე მე-თაურია.

მითაიშვილი იპოლიტე ავგუსტის ძე — ბატალიონის კომისარი, პოლკოვნიკი, 354-ე მსროლელი დივიზიის 1203-ე მსროლელი პოლ-კის კომისარი, შემდეგ ამავე პოლკის მეთაური. იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან მე-16 არმიის შემადგენლობაში (ცენტრალური ფრონტი) ისტრა სიჩოვკის მიმართულებით. იგი მოსკოვისა და სმო-ლენსკის ოლქში მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლე-ბისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეა. შემდგომში პოლკოვნიკი ი. მითაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა კურსკის, ბელორუსიის, პოლონეთის და გერმანიის ტერიტორიაზე მტრის განადგურებაში. ომის უკანასკნელ ხანებში ი. მითაიშვილი დააწინაურეს დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში, იგი მრავალი ორდენის კავალერია.

დასავლეთის ფრონტზე 49-ე არმიის შემადგენლობაში მოქმე-დებდა სასწრაფოდ ფორმირებული 34-ე კურსანტთა დამკვრელი ბრიგადა, რომლის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ვარლაპ სოსრამის ძე ჯანჯღავა.

1941 წლის 14 დეკემბერს ბრიგადამ, არმიის სხვა ნაწილებთან მტკიცე ურთიერთმოქმედებით, გაარღვია მტრის მოგერიება ქ. სერ-პუხოვის სამხრეთით, განავითარა შეტევა ალეშკოვო-იუხნოვის მი-მართულებით და გაათავისუფლა ფაშისტთა ბატონობისაგან რამდე-ნიმე ასეული დასახლებული პუნქტი.

ბრიგადამ განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები ჩაატარა სხვა ნაწი-ლებთან ერთად ქ. დეტიჩნოსათვის, რომელიც განთავისუფლებულ

იქნა 1942 წლის 9 იანვარს, და ქ. იუხნოვისათვის, რომელიც მტრისაგან გაწმინდა ჩვენმა ჯარმა 1942 წლის 5 მარტს.

ამ დაძაბულ ბრძოლებში თავისი გაბედული და გააზრებული მოქმედებით ვ. ჯანჯღავამ უზრუნველყო ბრიგადაში შემავალი ნაწილების მიერ საბრძოლო ამოცანის საუკეთესო შესრულება. ამის შედეგად 1942 წლის მაისში 34-ე ბრიგადის ბაზაზე გაიშალა 233-ე მსროლელი დივიზია, რომლის პოლიტგანყოფილების უფროსად კვლავ ვ. ჯანჯღავა დანიშნეს. 1942 წლის ივნისში 233-ე მსროლელი დივიზია სასწრაფოდ იქნა გადასროლილი სტალინგრადის მიმართულებით. 1942 წლის 23 სექტემბერს სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით 25 კილომეტრზე დაძაბული ბრძოლების დროს ვ. ჯანჯღავა მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი ინიშნება 414-ე დივიზიის მეთაურის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში და აქტიურად მონაწილეობს ტამანისა და ყირიმის ნახევარკუნძულების განთავისუფლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლებში.

მოსკოვისათვის ბრძოლებში შესანიშნავი საბრძოლო გზა განვლო სერჟანტმა, შემდეგ უფროსმა სერჟანტმა, სერგო დარისპანის ძე გელენიძემ. იბრძოდა 143-ე მსროლელი დივიზიის (რომელიც მოქმედებდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგზე მე-3 არმიაში) მე-800 მსროლელ პოლკში ტანკსაწინააღმდეგო თოფის ათეულის მეთაურად, შემდეგ ოცეულის მეთაურის მოადგილედ. მან განსაკუთრებით ისახელა თავი ქ. ელეცისათვის ბრძოლებში. 1942 წლის 9 დეკემბერს, როდესაც გერმანელების მოიერიშე ჯგუფი (34-ე საარმიო კორპუსი, მე-2 სატანკო არმია) გზას იკაფავდა დასავლეთიდან ქ. ელეცის მიმართულებით, ს. გელენიძის ტანკსაწინააღმდეგო თოფმა მტრის 2 ტანკი გაახვია კვამლში. ფაშისტები ძლიერი ცეცხლით დაჟინებით მოიწევდნენ წინ, მაგრამ ტანკსაწინააღმდეგო თოფიდან ზედიზედ რამოდენიმე გასროლის შემდეგ კიდევ სამი ტანკი გამოვიდა მწყობრიდან. 5 ტანკის უეცრად დაკარგვამ მტერი აიძულა მოქმედების კურსი შეეცვალა. გელენიძის ათეული ვაჟკაცურად განაგრძობდა ბრძოლას ქ. ხამუტოვის, ნოვოსის და სხვა დასახლებული პუნქტების განსათავისუფლებლად. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ქ. ნოვოსისათვის ბრძოლებში ს. გელენიძე მძიმედ დაიჭრა.

გამოჯანმრთელების შემდეგ ის კვლავ მწყობრშია. 1943 წლის

ივლისის დამლევს ქ. ორიოლის რაიონში (ბრიანსკის ფრონტი) ისევ მძიმედ დაიჭრა. დიდი სამამულო ომის დროს ს. გელენიძე ფრონტზე ოთხჯერაა მძიმედ დაჭრილი. უკანასკნელი ჭრილობიდან ახლაც აქვს მას მკერდის არეში ტყვია. მიუხედავად იმისა, რომ იგი II ჯგუფის ინვალიდია, განაგრძობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ალექსანდრე მიხეილის ძე ბერიძე, პოლიტხელი, ამჟამად პოლკოვნიკი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობდა 385-ე მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროს ინსტრუქტორად (ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დარგში). დივიზია იბრძოდა მე-10 არმიის (დასავლეთის ფრონტის) შემადგენლობაში. შეტევითი ოპერაციის დროს არმიის შენაერთებმა 1941 წლის 6 დეკემბერს გაარღვიეს გერმანელთა მოგერიებითი ზღუდეები მიხაილოვ-პლონსკის ზღუდეზე და სწრაფად განავითარეს შეტევა დასავლეთისაკენ. 385-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა არმიის სხვა შენაერთებთან ერთად მრავალი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს ფაშისტების მონობისაგან. მათ შორის: მიხაილოვ-სტალინოგორსკი, პლავსკი, ბელევი, კოზელსკი, სუხინიჩი და კიროვი. ამხ. ა. ბერიძე ამ ქალაქების განთავისუფლების აქტიური მონაწილეა. დივიზიის ხელმძღვანელობის დავალებით ის განუწყვეტლივ ეხმარებოდა ნაწილების პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანების საუკეთესოდ შესრულებაში. იგი თითქმის სულ ცეცხლის ხაზზე იყო მებრძოლთა შორის, ამხნევებდა მათ მტერზე გამარჯვების საქმეში. 1942 წლის 17 თებერვალს 1268-ე მსროლელი პოლკის საბრძოლო განლაგებაში, ქ. კიროვის რაიონში სოფელ პროსოლოვკასათვის ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ ა. ბერიძე კვლავ მოქმედი არმიის რიგებს დაუბრუნდა.

მოსკოვის მისადგომებთან თავი ისახელა ქართველმა ცხენოსანმა, გაბედულმა და მამაცმა ოფიცერმა ალექსანდრე გრიგოლის ძე ვარდიშვილმა. იგი იბრძოდა მე-16 არმიაში, მე-17 ცხენოსანი დივიზიის შტაბის მე-2 განყოფილების (დაზვერვის) უფროსად. დივიზიის მებრძოლებმა ბევრი საგმირო ფურცელი ჩაწერეს მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლების ისტორიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი გმირობა 1941 წლის ნოემბრის მძიმე მოგერიებით ბრძოლებში ქ. კლინთან, დიმიტროვთან და იახრომასთან. ნოემბერში დიდი ყინ-

ვების შედეგად გაიყინა ტბები, მდინარეები, ჭაობიანი ადგილები, რაც გერმანელებმა კარგად გამოიყენეს მანევრისათვის. ისინი გვერდს უვლიდნენ გზებს, დასახლებულ პუნქტებს და ტყეების გავლით ცდილობდნენ ჩვენი მოგერიების ზურგში გაჭრას. როდესაც ამას ვერ აღწევდნენ, მაშინ გარკვეული მიმართულებებით ქმნიდნენ ავიაციის, ტანკების, ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ნაღმმტყორცნების მძლავრ დაჯგუფებებს და ცდილობდნენ პირდაპირი ფრონტით გაერღვიათ ჩვენი მოგერიება.

ა. ვარდიშვილი გაბედული და დაუღალავი შრომით დროულად იღებდა მტრის მოქმედების შესახებ საჭირო ცნობებს. მის მიერ დაზუსტებული ცნობები და ფაშისტების მოქმედების განსაზღვრა ყოველთვის სწორი იყო, რაც დივიზიის მეთაურს, პოლკოვნიკს, ამჟამად გენერალ-ლეიტენანტ ვ. ა. გაიდუკოვს საშუალებას აძლევდა თავის დროზე მიეღო სათანადო ზომები მტრის უკუსაგდებად.

ესტატე ტატანაშვილი — ავიაციის პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალ-მაიორი, მეთაურობდა საავიაციო პოლკს, ავიადივიზიას. პირადად მონაწილეობდა ბევრ საჰაერო ბრძოლაში მოსკოვთან, ჩამოგდებული ჰყავს 7 თვითმფრინავი.

პოლკოვნიკი სუხიშვილი — მეთაურობდა საზღვაო ბრიგადას, რომელმაც არაერთხელ გამოიჩინა თავი მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლებში.

პოდპოლკოვნიკი გ. ზ. კაზიშვილი — მუშაობდა 243-ე მსროლ. დივიზიის არტილერიის უფროსად.

გრიგოლ კანაჩაძე — პოლკოვნიკი, იყო მე-19 არმიის 91-ე მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი. პოლკოვნიკი კონსტანტინე მამარდაშვილი 194-ე მსროლელი დივიზიის სამხედრო კომისარი. ეს დივიზია დასავლეთის ფრონტის 49-ე არმიის შემადგენლობაში იბრძოდა. დივიზიის მებრძოლებმა კ. მამარდაშვილის ხელმძღვანელობით განსაკუთრებით ისახელეს თავი სერპუხოვის, ტარუს, დამანკოს და იუხნოვისათვის გმირულ ბრძოლებში.

ლევან შავდია — პოლკოვნიკი, კალინინის ფრონტის საავიაციო ბაზირების რაიონის უფროსი, რომელმაც საუკეთესოდ გაართვა თავი ამ რთულ და დიდად საპასუხისმგებლო საქმეს და უზრუნველყო ავიაციის დღედაღამ შეუფერხებელი მოქმედება მოსკოვის მისადგომებთან.

და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა...

ფაშისტთა ჯარების განადგურებას მოსკოვთან და საბჭოთა არმიის შეტევას 1941—1942 წლების ზამთარში უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გამარჯვებები საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების, მისი არმიის უძლეველობის ნათელი, მკაფიო დადასტურება იყო.

ჰიტლერელთა განადგურება მოსკოვთან იყო ომის პირველი წლის გადამწყვეტი მოვლენა და გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში. მოსკოვთან ბრძოლაში საბჭოთა არმიამ გაანადგურა ჰიტლერელთა ჯარების მთავარი დაჯგუფება; ამავე დროს, მტერმა სერიოზული დარტყმა იგემა დონის როსტოვის რაიონში და ტიხვინთან. მოსკოვთან ბრძოლაში სამუდამოდ გაიფანტა და დასამარდა მითი ჰიტლერელთა არმიის უძლეველობის შესახებ. გერმანელთა სარდლობის გეგმა „ბარბაროსა", რომელიც „ელვისებურ" ომს ემყარებოდა, მთლიანად ჩაიფუშა.

საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირულ ბრძოლას საომარ მოქმედებათა პირველი წლის განმავლობაში, რომლის შედეგადაც ჩაიფუშა ჰიტლერული გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი მსვლელობისათვის.

საერთო მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1942 წლის ზაფხულისათვის

ზამთარში (1941 — 1942 წწ.) განცდილი დამარცხების შემდეგ გერმანელთა სარდლობამ მკაცრი ზომების მიღებით განამტკიცა წესრიგი არმიაში. რადგან ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ არ ეწეოდნენ საომარ მოქმედებას გერმანიასთან, ჰიტლერმა ამით ისარგებლა და 1942 წლის ზაფხულში მთელი თავისი მთავარი ძალები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადმოისროლა.

„საკუთრივ გერმანელთა 256 დივიზიიდან, რომლებიც ამ დროისათვის ჰიტლერის განკარგულებაში იმყოფებოდნენ, 179 დივიზია თავმოყრილი იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გარდა ამისა, აქვე მოქმედებდა რუმინელთა 22, ფინელთა 14, იტალიელთა 10,

უნგრელთა 13, სლოვაკთა 1 და ესპანელთა 1 დივიზია. ამრიგად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1942 წლის ზაფხულისათვის ჰიტლერულმა გერმანიამ და მისმა სატელიტებმა თავი მოუყარეს 240 დივიზიას 3 მილიონამდე ჯარისკაცისა და ოფიცრის რაოდენობით".[1]

ჰიტლერელთა არმიამ შესაიარაღებლად მიიღო სრულყოფილი ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევები (მგ-12), ახალი ავტომატი და ავტომატური შაშხანა. გამოშვებულ იქნა აგრეთვე ახალი 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი.

გაითვალისწინეს რა ომის გამოცდილება, გერმანელებმა ეკრანიზაციის გზით 50 მმ-მდე გაზარდეს თავისი ძირითადი ტანკის ტ-III-ის ჯავშნის სისქე. ეკრანირებულ იქნა აგრეთვე ტანკი ტ-IV. დაიწყო ახალი, უფრო სრულყოფილი გამანადგურებელი მე-109გ და ფვ-190-ის მასობრივი გამოშვება.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების საომარი შესაძლებლობანი 1942 წლის ზაფხულისათვის ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობა მოკლე ვადაში გარდაქმნილ იქნა სამხედრო ყაიდაზე და დაიწყო აღჭურვილობის გამოშვების განუწყვეტელი ზრდა. მრეწველობამ აითვისა იარაღისა და საომარი ტექნიკის უფრო სრულყოფილი სახეობანი. საბჭოთა არტილერია შეიარაღდა ახალი 76-მილიმეტრიანი (ზის-3) და 45-მილიმეტრიანი (ტანკსაწინააღმდეგო) ქვემეხებით. 1942 წლის ივნისიდან რეაქტიული არტილერია იარაღდება ახალი, უფრო მძლავრი ჭურვებით მ-30-ით, ხოლო ცოტათი გვიან — მ-31-ით.

1942 წლის ზაფხულში დაიწყო ახალი ტანკების ტ-70, გამანადგურებლების ლა-5 და იაკ-7-ბ და ორადგილიანი მოიერიშეების ილ-2 გამოშვება.

საომარი ტექნიკის წარმოების გადიდებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეუმჯობესებინა საბჭოთა არმიის ნაწილებისა და შენაერთების ტექნიკური აღჭურვილობა.

1942 წლის მარტ-აპრილში დაიწყო პირველი სატანკო კორპუ-

---

[1] И. В. Анисимов, Г. В. Кузьмин, Великая Отечественная война Советского Союза 1941 — 1945 гг., Воениздат, М., 1952, стр. 46.

სების და სატანკო არმიების ფორმირება, აგრეთვე ყველა ახლად ფორმირებული ცხენოსანი დივიზიების შეერთება კორპუსებად.

სამხედრო-საჰაერო ჯარებში, ნაცვლად შერეული საავიაციო შენაერთებისა, დაიწყო ერთი ტიპის საომარი ტექნიკით აღჭურვილი საავიაციო დივიზიების ფორმირება.

1942 წლის მაისში შეიქმნა პირველი საჰაერო არმიები და დაიწყო უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის საავიაციო კორპუსების ფორმირება.

1942 წლის აპრილში დაიწყო ფორმირება საინჟინრო ბრიგადებისა, რომელთა დანიშნულება იყო ადგილმდებარეობის დანაღვმა და ნაღმებისაგან გაწმენდა, აგრეთვე უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის საპონტონო ბრიგადებისა, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ 50 ტონამდე ტვირთამწეობის მქონე ნ2პ-თი და დმპ-42-ით. საინჟინრო ჯარები უკვე იღებენ გაცილებით მეტ ტექნიკასა და სანაღმო-ასაფეთქებელ საშუალებებს.

საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ, ფლობდა რა სტრატეგიულ ინიციატივას, დაგეგმა 1942 წლის ზაფხულში რიგი შეტევითი ოპერაციები, რომლებსაც 1941 — 1942 წლების ზამთარში მოპოვებული წარმატება უნდა განევითარებინა.

ჰიტლერელთა სარდლობამაც დაგეგმა 1942 წლის ზაფხულში გადამწყვეტი შეტევით კვლავ ხელთ ეგდო სტრატეგიული ინიციატივა, გაენადგურებინა საბჭოთა არმიის ძირითადი ძალები, დაეპყრო სტალინგრადის რაიონი და განევითარებინა შეტევა ჩრდილო-აღმოსავლეთით.

გერმანელ ფაშისტებს უკვე აღარ ჰქონდათ სამივე ძირითადი მიმართულებით (სამხრეთით, ჩრდილოეთით და ცენტრში) შეტევის წარმატების იმედი, როგორც ეს იყო პირველ თვეებში.

ახლა გერმანელებმა თავიანთი ძალების დიდ ნაწილს თავი მოუ-

„ნ2პ" — ახალი გადასაყვანი პარკი, რომლისგანაც შეიძლება გაკეთდეს 16-ტონიანი 250—300 მეტრი სიგრძის ან 40—50-ტონიანი 100 მეტრი სიგრძის ხიდი, ან კიდევ 16 ტონა ტვირთამწეობის 8 და 40 ტონა ტვირთამწეობის 5 ბორანი.

„დმპ-42" — ხის ხიდის პარკი 1942 წლისა, რომლისგანაც შეიძლება გაკეთდეს 16-ტონიანი 250—300 მეტრი სიგრძის ან 30-ტონიანი 100—120 მეტრი სიგრძის ხიდი, ან კიდევ 40 ტონა ტვირთამწეობის 8 და 60 ტონა ტვირთამწეობის 4 ბორანი.

ყარეს ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის უბანზე, სადაც შექმნეს ძალთა დიდი უპირატესობა.

გადამწყვეტი შეტაკების დაწყებამდე, 1942 წლის მაის-ივნისში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, განსაკუთრებით ყირიმსა და ხარკოვის რაიონში, სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა. ამ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა სერიოზული მარცხი განიცადეს, დაკარგეს ქერჩის ნახევარკუნძული და იწყეს უკანდახევა ხარკოვის მიმართულებით.

1942 წლის მაის-ივნისში ჩატარებული ოპერაციების ასეთმა წარუმატებლობამ განაპირობა ჩვენი ჯარების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

შექმნილი მდგომარეობის გამო საბჭოთა სარდლობა იძულებული გახდა დროებით უარი ეთქვა შეტევით გეგმებზე და მიიღო გადაწყვეტილება მოგერიებაზე გადასულიყო, რათა მოგერიებით ბრძოლებში დაესუსტებინა, სისხლისაგან დაეცალა მოწინააღმდეგე და ამით თავის სასარგებლოდ შეეცვალა ძალთა შეფარდება და საერთო ვითარება ფრონტზე.

საბჭოთა ჯარების თავდაცვითი ოპერაციები სტალინგრადის მისადგომებთან 1942 წლის ზაფხულში

1942 წლის 22 ივნისს ჰიტლერელებმა დაიწყეს შეტევითი ოპერაციები ხარკოვისა და იზიუმ-ბარვენკოვის, აგრეთვე კურსკ-ვორონეჟის მიმართულებით. მტრის ძლიერმა დამკვრელმა დაჯგუფებამ, რომელიც კურსკ-ხარკოვის რაიონებში მოქმედებდა, შეძლო გაერღვია ჩვენი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მოგერიება და განევითარებინა შეტევა საერთო მიმართულებით სტარი ოსკოლსა და ვორონეჟზე.

მოწინააღმდეგე ცდილობდა ერთი მძლავრი დარტყმით გასულიყო ფართო სამოქმედო ოპერატიულ არეზე დონსა და ვოლგას შორის.

საბჭოთა ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად მტერი შეჩერებულ იქნა ვორონეჟთან. ამ უბანზე ჰიტლერელები საბჭოთა ჯარების გადაულახავ მოგერიებას წააწყდნენ და სამხრეთისაკენ იბრუნეს პირი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲔ-4 ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ ᲒᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲔ-6 ᲐᲠᲛᲘᲐᲛ ᲞᲐᲣᲚᲘᲣᲡᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲩᲔᲠᲙᲝᲕᲝ-ᲛᲘᲚᲔᲠᲝᲕᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲓᲐ ᲛᲔ-4 ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘᲪ 1000-ᲛᲓᲔ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲔᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲘᲒᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ: „ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲦᲬᲘᲐ ᲕᲝᲚᲒᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ ᲞᲣᲜᲥᲢᲗᲐᲜ, ᲔᲠᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲜ. ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲕᲘᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓᲘ ᲘᲥ ᲐᲠᲐ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, —ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ. ᲛᲔ ᲛᲘᲕᲓᲘᲝᲓᲘ ᲘᲥ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲐ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡᲐ. ᲐᲥ ᲘᲧᲠᲘᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲓ, ᲐᲥ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲜᲘ. ᲐᲥ ᲘᲧᲝ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲒᲐᲓᲐᲛᲡᲠᲝᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲐᲛᲔᲦᲝ ᲘᲡ“.[1]

ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲛᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔ-6 ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲢᲔᲕᲓᲐ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲛᲐ ᲞᲐᲣᲚᲘᲣᲡᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲛᲔᲦᲐᲕᲜᲐ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲡᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ. ᲘᲒᲘ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ „...ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲞᲚᲐᲪᲓᲐᲠᲛᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲔᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ, ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ (ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲡᲛᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ) ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲔᲠᲘᲝ-

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 11.

ზულ საშიშროებას ქმნიდა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის და საბჭოთა სარდლობის მიერ მთელი ომის წარმოებისათვის"...[1]

1942 წლის ივლისის მეორე ნახევარში მტრის დიდი დაჯგუფება მე-4 სატანკო და მე-6 არმიების შემადგენლობით გავიდა მდინარე დონის მოსახვევთან ბოკოვსკაია-მოროზოვსკი-მილეროვო-კანტემიროვკის რაიონში. შემდგომში, წააწყდა რა საბჭოთა ჯარების შეუპოვარ წინააღმდეგობას სტალინგრადის შორეულ მისადგომებთან, ჰიტლერელთა სარდლობა იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო ამ დაჯგუფების გასაძლიერებლად.

საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ დროულად გამოიცნო ჰიტლერელთა სარდლობის ავანტიურისტული ჩანაფიქრი და დაუპირისპირა მას გერმანელთა ჯარების განადგურების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც ყოველმხრივ იყო გათვალისწინებული მოწინააღმდეგის სუსტი და ძლიერი მხარეები და ღრმად გაანალიზებული ძალთა შეფარდების განმსაზღვრელი ყველა ფაქტორი. ამოცანა ის იყო, რომ შეუპოვარი, მტკიცე და აქტიური მოგერიებით მოგვექანცა და სისხლისაგან დაგვეცალა მტრის ჯარები, შეგვეჩერებინა მათი შემდგომი წინსვლა, ამით მოგვეგო დრო და შეგვექმნა პირობები სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლისათვის მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფების გარემოცვისა და განადგურების მიზნით.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის განკარგულებით კლეტსკაია-სუროვიკინოს საზღვარზე განლაგებულ იქნა 62-ე არმია, რომელმაც მიიღო ამოცანა მოგერიებითი პოზიციები დაეკავებინა სტალინგრადის შორეულ მისადგომებზე. ამავე დროს, დონთან თავს იყრიდნენ საბჭოთა არმიის ახალი ნაწილები მთავარბანაკის რეზერვიდან.

ამ ჯარების საომარ მოქმედებათა კოორდინაციის მიზნით 1942 წლის 12 ივლისს შეიქმნა სტალინგრადის ფრონტი, რომელსაც მიეცა ამოცანა გზა გადაეღობა მოწინააღმდეგისათვის სტალინგრადისაკენ.

გარდა ამისა, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა სტალინგრადის დაცვის უზურნველსაყოფად ჩაატარა რიგი ღონისძიებები, როგორიცაა, მაგალითად, გამაგრებული წრიული ზღუდეების შე-

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 11.

მოვლება სტალინგრადის ირგვლივ, აქტიური თავდაცვისა და ხშირი შეტევითი ოპერაციების ორგანიზაცია ფრონტის სხვა უბნებზე სტალინგრადის მიმართულებისაგან მოწინააღმდეგის ძალების ჩამოშორების მიზნით, არა მარტო თავდაცვისათვის, არამედ აგრეთვე კონტრშეტევისათვისაც საკმარისი ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვების, ასევე ბრძოლის წარმოების მატერიალური საშუალებების მომზადება და თავმოყრა და ა. შ.

სამხედრო ნაწილებისა და სტალინგრადის ოლქის მოსახლეობის შეუპოვარი, გმირული შრომით მოკლე ვადაში აგებულ იქნა 2850 კმ საერთო სიგრძის მოგერიებითი ზღუდეები, 1170 კმ სიგრძის ტანკსაწინააღმდეგო ორმოები, 85 000 საცეცხლე წერტი, 129 000 სანვარი და ა. შ. მიწის სამუშაოთა მოცულობამ მილიონი კუბ. მეტრი შეადგინა. ყოველდღიურად მოგერიებითი ზღუდეების მშენებლობაზე მუშაობდა სტალინგრადის ოლქის 150 — 180 ათასი მცხოვრები.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოგერიებითი ზღუდეების მშენებლობის დაჩქარებას სტალინგრადის ახლო მისადგომებზე.

თუმცა მოგერიებითი სამუშაოები მტრის ჯარების დონთან მისვლის მომენტისათვის მთლიანად არ იყო დამთავრებული, მაგრამ მათ დიდი როლი შეასრულეს მოგერიებით ბრძოლებში.

ჰიტლერელთა სარდლობის პირვანდელი გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ ორი დიდი დაჯგუფების ძალებით კონცენტრირებული დარტყმა მიეყენებინათ დონის მისადგომებთან განლაგებული საბჭოთა ჯარების ორივე ფლანგისათვის, გარემოეცვათ ისინი და ხელში ჩაეგდოთ გადასასვლელი მდინარე დონზე. შემდგომში მტრის ჩანაფიქრი ითვალისწინებდა შეუჩერებელი მარშით სვლას სტალინგრადისაკენ და ქალაქის ერთბაშად აღებას. მოწინააღმდეგის ეს გეგმა ჩაიფუშა საბჭოთა ჯარების გმირული ბრძოლების შედეგად. უკიდურესად მძიმე პირობებში საბჭოთა ჯარები აკავებდნენ მოწინააღმდეგის შეტევას დონის დასავლეთ ნაპირზე.

1942 წლის 16 ივლისისათვის 62-ე არმიამ დაიკავა თავდაცვის ხაზი კლეტსკაია—სუროვიკინო და შეუდგა თავისი მოგერიებითი ზღუდეების გამაგრებას.

მოგერიებითი ზღუდეების დაფარვის, მტრის ჯარების დაჯგუ-

ფების დაზვერვისა და თავდაცვის ხაზის შორეულ მისადგომებთან მათი მოქანცვის, სისხლისაგან დაცლის მიზნით შეიქმნა რამდენიმე მეწინავე რაზმი. ამ რაზმებმა მოგერიების წინა ხაზიდან მდინარე ჩირისაკენ ათეული კილომეტრით წაიწიეს წინ.

17 ივლისს მეწინავე რაზმები ბრძოლაში ჩაებნენ მოწინააღმდეგის ავანგარდულ ნაწილებთან. ამ შეტაკებებმა თავიდანვე გააფთრებული ხასიათი მიიღო. მეწინავე მოტორიზებული ნაწილების საფარქვეშ ჰიტლერელებმა თავი მოუყარეს თავიანთ მთავარ ძალებს 62-ე არმიის მოგერიების ზღუდესთან.

მეწინავე რაზმები ხუთი დღის განმავლობაში აკავებდნენ მტრის ჯარების წინსვლას და ამით შესაძლებლობა მისცეს საბჭოთა სარდლობას მოეგო დრო მოგერიებითი ზღუდეების შემდგომი გამაგრებისათვის.

22 ივლისიდან მოგერიების მთავარ ზღუდეზე გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. ჰიტლერელები ცდილობდნენ მძლავრი დარტყმით ერთბაშად გაეტეხათ 62-ე არმიის წინააღმდეგობა და გაჭრილიყვნენ სტალინგრადისაკენ. მაგრამ მოგერიებით ბრძოლებში ჩვენი ჯარების შეუპოვრობამ და სიმტკიცემ ჩაფუშა მტრის ეს ცდა.

ჰიტლერელები უდიდესი დანაკარგების ფასად ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ. მიუხედავად ამისა, მტრის ჯარებს დონის დიდ მოსახვევთან — კლეტსკაია-სიროტინსკაიას ზღუდესთან გასვლის მომენტისათვის ჯერ კიდევ მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სტალინგრადის შორეულ მისადგომებთან ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა განსაცვიფრებელი, არნახული სიმამაცე, მორალური სიმტკიცე და ამტანობა გამოავლინეს. საკმარისია გავიხსენოთ ოთხი მებრძოლის ბოლოტოს, ოლეინიკოვის, სამოილოვისა და ბელიკოვის გმირობა, რომლებმაც მოიგერიეს გერმანელთა ტანკების გააფთრებული შეტევა და ბრძოლაში გაანადგურეს მტრის 15 მანქანა.

მაღალი სამხედრო ხელოვნებისა და ურყევი სიმტკიცის მაგალითი გვიჩვენა სატანკო კორპუსის დაზვერვის უფროსმა, ახალგაზრდა კაპიტანმა ბორის გიორგის ძე სტურუამ, ქართველი ხალხის გამოჩენილი მებრძოლი რევოლუციონერის გიორგი სტურუას შვილმა, რომელიც პირადად წარუძღვა მტრის წინააღმდეგ მზვერავთა რაზმს. 1942 წლის 29 ივნისს კურსკის ოლქის სოფელი ნატალინო

მტრის სატანკო კოლონებისა და ჩვენი ჯარების ორთაბრძოლის ადგილად იქცა. ბრძოლამ თავიდანვე გააფთრებული ხასიათი მიიღო. ჰიტლერელებმა დიდი ზარალი განიცადეს და იძულებული გახდნენ შეეცვალათ შეტევის კურსი. უთანასწორო ბრძოლაში გმირული სიკვდილით დაეცა კაპიტანი ბორის სტურუა.

კომკავშირელი არტილერისტის ალეკანცევის ქვემეხი სანიმუშოდ ითვლებოდა პოლკში. ერთ-ერთ ცხარე ბრძოლაში ქვემეხის გათვლამ მიიღო მეტად რთული ამოცანა: საფარში ჩამჯდარს მოეგერიებინა მტრის ტანკთა კოლონის შემოტევა. როდესაც ძრავების გუგუნი გაისმა, ალეკანცევმა დაინახა, რომ მისი ქვემეხისაკენ 30-ზე მეტი ტანკი მოდიოდა. როცა მტრის მანქანები სულ ახლოს მოვიდნენ. მან გასცა ბრძანება: „ცეცხლი"! ზუსტი სროლით რამდენიმე ტანკი გამოყვანილ იქნა წყობილებიდან, მაგრამ დანარჩენები ბორცვს მოეფარნენ და განაგრძობდნენ წინსვლას. მაშინ ალეკანცევმა უბრძანა ბორცვზე აეგორებინათ ქვემეხი და იქიდან პირდაპირ დაეშინათ მტრისათვის. კომკავშირელებმა კიდევ 3 ტანკი დაწვეს...

მტრის ჭურვები სკდებოდა ქვემეხის ირგვლივ. სვეტებად ატყორცნილი მიწა ეყრებოდათ მებრძოლებს. გმირულად დაეცნენ ჭურვის მიმტანი და ქვემეხის გამტენი, მძიმედ დაიჭრა მემიზნე. ალეკანცევი მარტო დარჩა. უკვე მოწინააღმდეგის 8 ტანკია მოსპობილი. გადარჩენილი ტანკების გადაჯგუფების შემდეგ მტერი ცდილობდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, წინ გაჭრილიყო. მაგრამ ალეკანცევიც არ აპირებდა ბრძოლის შეწყვეტას. მან გაისროლა ქვემეხი ერთჯერ, მეორედ და განაპირა მარცხენა ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. ამან გაამხნევა, აღაფრთოვანა მამაცი არტილერისტი. მან სწრაფად გატენა ქვემეხი და მეწინავე ტანკს დაუმიზნა. გაისმა სროლა — მტრის კიდევ ერთი მანქანა აბოლდა. ქვემეხის საცეცხლე პოზიციას მტრის ტყვიები და ჭურვთა ნამსხვრევები აწვიმდა. ალეკანცევი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა სროლას და კიდევ ერთი ტანკი გამოიყვანა წყობილებიდან. აი, გერმანელთა ჭურვმა დააზიანა ქვემეხის ლულა, ალეკანცევი უუმბარის ნამსხვრევით მეორედ დაიჭრა ფეხში. ამანაც ვერ გატეხა მისი რკინისებური ნებისყოფა. ალეკანცევმა ააფეთქა დარჩენილი ჭურვები, ზურგზე მოიკიდა მძიმედ დაჭრილი მემიზნე და როგორც იყო თავისი პოლკის შტაბამდე მიაღწია.

1942 წლის ივლისის ბოლოს შეჩერებულ იქნა 62-ე არმიის

ზურგში გაჭრილ ჰიტლერელთა შეტევა. მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფება ხანგრძლივ ბრძოლებში ჩაება დონის დასავლეთ ნაპირზე. ჰიტლერელთა პირველი ცდა, ერთბაშად დაეპყროთ სტალინგრადი, ჩაიფუშა. მაშინ ჰიტლერის კატეგორიული ბრძანებით შეფუცხუნებულმა ფაშისტებმა გადაწყვიტეს გაჭრილიყვნენ სტალინგრადისაკენ სამხრეთ-დასავლეთიდან და დაიწყეს შეტევა ტიხორეცკ — სტალინგრადის რკინიგზის გასწვრივ.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ყველა ზომა მიიღო, რათა მტრის ეს გეგმაც ჩაეფუშა.

1942 წლის 5 აგვისტოს სტალინგრადის ფრონტი ახალი შენაერთებით იქნა გაძლიერებული.

10 აგვისტოსათვის გენერალ შუმილოვის ჯარებმა აბგანეროვოპლოდოვიტოეს რაიონიდან უკუაგდეს აგვისტოს პირველ რიცხვებში მოგერიების ცალკეულ უბნებზე გაჭრილი მტრის დიდი ძალები.

მოგერიებითი ბრძოლები დონის დასავლეთ ნაპირზე დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდა. ამ ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს გერმანელ ფაშისტებს, მოსპეს მტრის ათეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, ასობით ტანკი და თვითმფრინავი. ჰიტლერელთა წინსვლა სტალინგრადისაკენ შეჩერებულ იქნა. გზას, რომლის გავლასაც მტერი 2—3 დღეში ფიქრობდა, თითქმის ერთი თვე მოუნდა. გერმანელებს კიდევ 10 დღე დასჭირდათ იმისათვის, რომ წესრიგში მოეყვანათ ბრძოლებში შეფერთხილი ნაწილები და თავი მოეყარათ დამატებითი რეზერვებისათვის.

ჯამრიგად, ჩვენი ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობით მტერი თითქმის 40 დღით იქნა შეჩერებული სტალინგრადის შორეულ მისადგომებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოწინააღმდეგის მოტორიზებული ჯარების შეტევის ტემპი შეადგენდა დაახლოებით 3 კილომეტრს დღე-ღამეში. ამან შესაძლებლობა მოგვცა მოგერიებისათვის მოგვემზადებინა სტალინგრადის შინა და გარე ზღუდეები, დაგვეწყო თავდაცვითი სამუშაოები თვით სტალინგრადში, თავი მოგვეყარა ახალი რეზერვებისათვის. რათა მოგვეგერიებინა შემდგომი დარტყმები ჰიტლერელთა ჯარებისა, რომლებიც დაჟინებით მიილტვოდნენ ვოლგის ციხე-სიმაგრისაკენ.

ამჯერად ჰიტლერელთა სარდლობამ გადაწყვიტა მოემზადებინა და განეხორციელებინა უფრო ფართო შეტევითი ოპერაცია.

მისი გეგმის მიხედვით, ორ არმიას უნდა დაერტყა:

1) ხუტორ ვერტიაჩის რაიონიდან — სტალინგრადის ჩრდილოეთი გარეუბნისათვის მე-6 არმიას (ექვსი ქვეითი, ორი სატანკო და ორი მოტორიზებული დივიზიის შემადგენლობით);

2) პლოდოვიტოე-აბგანეროვოს რაიონიდან — რკინიგზის გასწვრივ სტალინგრადის სამხრეთი გარეუბნისათვის მე-4 სატანკო არმიას (სამი ქვეითი, ორი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზიის შემადგენლობით).

გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო დამხმარე დარტყმა დასავლეთიდან — კალაჩის რაიონიდან სამი დივიზიის ძალებით.

სტალინგრადი უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ სწორად განჭვრიტა სტალინგრადის მიმართულებით გაჩაღებული საომარი ოპერაციის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ომის მთელი შემდგომი მსვლელობისათვის.

ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ რიცხვებში უმაღლესი მთავარსარდლობა სტალინგრადის ფრონტის სარდალს მიუთითებდა, რომ: „სტალინგრადის დაცვას, სტალინგრადზე დასავლეთიდან და სამხრეთიდან მომავალი მტრის განადგურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ფრონტისათვის.

უმაღლესი მთავარსარდლობა გავალებთ თქვენ, არ დაზოგოთ ძალები და არ მოერიდოთ არავითარ მსხვერპლს, რათა შეინარჩუნოთ სტალინგრადი და დაამარცხოთ მტერი“.[1]

მოწინააღმდეგე სტალინგრადიდან 70 — 80 კილომეტრზე იმყოფებოდა. საბჭოთა სარდლობამ იცოდა, რომ მტერი ჯარების გადაჯგუფებას ახდენდა, თავს უყრიდა ახალ რეზერვებს და ამზადებდა დარტყმას დონიდან ვოლგისაკენ — სტალინგრადზე. ამასთან დაკავშირებით უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობდა მზადება შეუპოვარი მოგერიებითი ბრძოლებისათვის სტალინგრადის ახლო მისადგომებზე.

შევინარჩუნოთ სტალინგრადი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, „არც ერთი ნაბიჯი უკან“ — ასეთი იყო კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მოთხოვნა.

„ქვეყნის სამხრეთში შექმნილმა მძიმე ვითარებამ პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი შეშფოთება გამოიწვია. 28 ივლისს

[1] Газ. «Красная звезда» 2 февраля 1951 г.

თავდაცვის სახალხო კომისარმა ი. ბ. სტალინმა მიმართა ჯარებს, № 227 ბრძანებით, რომელშიც მკაცრი პირდაპირობით დაახასიათა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთის ფრთაზე შექმნილი საშიში მდგომარეობა და მოითხოვა მტრისადმი წინააღმდეგობის გადაჭრით გაძლიერება, მისი წინსვლის შეჩერება.

— დროა შეწყვიტოთ უკან დახევა. არც ერთი ნაბიჯი უკან, — ნათქვამი იყო ბრძანებაში.

— საჭიროა შეუპოვრად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვათ ყოველი პოზიცია, საბჭოთა ტერიტორიის ყოველი მეტრი, მოვეჭიდოთ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს და შევინარჩუნოთ იგი უკანასკნელ შესაძლებლობამდე".[1]

№ 227 ბრძანებამ აღაფრთოვანა მთელი საბჭოთა არმია. იმის შეგნებამ, რომ ჩვენს სამშობლოს კვლავ დაემუქრა საშინელი საფრთხე, ახალი ძალა შემატა საბჭოთა მეომრებს, განამტკიცა მათი საბრძოლო სულისკვეთება.

სტალინგრადის დამცველებს კარგად ესმოდათ, რომ კიდევ უფრო მძიმე ბრძოლები ელოდათ წინ, მაგრამ ეს მხოლოდ აძლიერებდა მათ სიძულვილს ფაშისტი დამპყრობლებისადმი, ამაღლებდა მხედრული მოვალეობის გრძნობას სოციალისტური სამშობლოს წინაშე, პასუხისმგებლობის შეგნებას ხალხისა და კომუნისტური პარტიის წინაშე. უფრო მომთხოვნი ხდებოდნენ მეთაურები და პოლიტმუშაკები, უფრო დისციპლინირებულნი და მუყაითნი — საბჭოთა მეომრები.

საბჭოთა არმიის პოლიტორგანოები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მეთაურთა შემადგენლობა დაძაბულად მუშაობდნენ მტერზე გამარჯვების გამოსაჭედად, ჯარებში სამხედრო დისციპლინისა და ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცებისათვის, დაგროვილი საბრძოლო გამოცდილების შეთვისებისა და უნარიანად გამოყენებისათვის. ისინი ზრდიდნენ მებრძოლებსა და მეთაურებს საბჭოთა არმიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების, სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის, კომუნისტური პარტიის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. II, стр. 430.

1942 წლის 18 აგვისტოსათვის გერმანელებმა დაამთავრეს თავიანთი ძალების თავმოყრა და დაჯგუფება დონის მთელ დასავლეთ ნაპირზე და ბრძოლით დაიწყეს ჩვენი პოზიციების დაზვერვა. მაგრამ საბჭოთა ჯარები სპობდნენ მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გადმოსულ მტრის ნაწილებს.

20 აგვისტოს დღის ბოლოსათვის ჰიტლერელებმა უდიდესი ზარალის ფასად შეძლეს ნიჟნე-ჩირსკაიას რაიონში გადმოელახათ დონი და მოწინავე რაზმით დაიკავეს პლაცდარმი მის აღმოსავლეთით. მეწინავე რაზმების საფარქვეშ გერმანელებმა იწყეს მთავარი ძალების გადმოსროლა. 23 აგვისტოს ღამის გახმავლობაში მოწინააღმდეგემ დონის აღმოსავლეთ ნაპირზე გადმოიყვანა 4-მდე დივიზია, ხოლო 23 აგვისტოს გათენებისას საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა.

ჰიტლერელებმა გაარღვიეს ფრონტი ნიჟნე-გლინოვსკი-პესკოვატკას უბანზე და დაიკავეს ვერტიაჩი და პესკოვატკა. მდინარე სუხაია მეჩიოტკას რაიონში, სტალინგრადის ჩრდილოეთით, გერმანელებმა ჩამოხსნეს საჰაერო დესანტი 200 მეავტომატის შემადგენლობით.

ავითარებდა რა შეტევას 564-ე კილომეტრზე მდებარე ასაქცევ — რინოკის მიმართულებით, მოწინააღმდეგე 14 საათისათვის გავიდა ვოლგასთან ერზოვკა-რინოკის უბანზე. ამრიგად, ამ გარღვევის შედეგად შეიქმნა 8-კილომეტრიანი დერეფანი.

გერმანელების მიერ ფრონტის გარღვევამ ხუტორ ვერტიაჩის რაიონში და სტალინგრადის ჩრდილოეთით ვოლგასთან გასვლამ გააუარესა ჩვენი ჯარების საერთო მდგომარეობა სტალინგრადის რაიონში. მაგრამ იმ ნაწილების ფრონტის გარღვევა, რომლებიც იცავდნენ სტალინგრადს სამხრეთ-დასავლეთიდან, მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო.

„სადგურ კოტლუბანის რაიონში, სამოფალოვკასთან ბრძოლებში თავი გამოიჩინეს 35-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მებრძოლებმა რუბენ რუის იბარურის — ესპანელი ხალხის გმირი ქალის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დოლორეს იბარურის შვილის მეთაურობით. მეთაურის ვაჟკაცობით აღფრთოვანებულმა გვარდიელებმა გზა გადაუღობეს მტრის ტანკებს სადგურ კოტლუბანისაკენ. ამ ბრძოლაში რუბენ იბარური სასიკვდილოდ დაიჭრა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის გვარდიის ლეიტენანტ რუბენ რუის იბარურს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება".[1]

24 აგვისტოს განთიადისას ჯარის ნაწილებმა და სატრაქტორო ქარხნის და ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის" გამანადგურებელმა ბატალიონებმა თავდაცვითი ზღუდე დაიკავეს მდინარე სუხაია მეჩიოტკას გასწვრივ.

ამავე დღეს მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაება სახალხო ლაშქარი. ბრძოლა 6 საათს გაგრძელდა. გამანადგურებელი ბატალიონების დარტყმის შედეგად ჰიტლერელები იძულებული გახდნენ სამი კილომეტრით უკან დაეხიათ. გამანადგურებელი ბატალიონები დასახმარებლად მოსულ სამხედრო ნაწილებთან ერთად მტკიცედ ინარჩუნებდნენ მოგერიების დაკავებულ ზღუდეებს.

25 აგვისტოს ბრძოლები გაჩაღდა ახალი ძალით და უფრო ფართო ფრონტზე. მოწინააღმდეგემ გადმოლახა მდინარე დონი და გააფთრებული ბრძოლების შედეგად მოახერხა დაეკავებინა კუსტოვსკი და ქალაქ კალაჩის ჩრდილოეთი გარეუბანი. საბჭოთა არმიამ აქაც გადაუღობა მას გზა.

1942 წლის 1 სექტემბერს ორი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზიით, ავიაციის ძლიერი მხარდაჭერით, მოწინააღმდეგემ გაარღვია ფრონტი რაკოტინო-ვარვაროვკის უბანზე და დღის ბოლოს გავიდა ასაქცევ ბასარგინოს რაიონში. მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები კონტრშეტევაზე გადადიოდნენ და ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ. ამ ბრძოლებში გერმანელებმა დიდი ზარალი განიცადეს როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკის მხრივ. 62-ე არმიის მარცხენა ფლანგმა შეძლო შეეჩერებინა ჰიტლერელთა ბასარგინოს დაჯგუფების წინსვლა.

რადგან მოწინააღმდეგემ შეტევითი ოპერაციების წარმოებისას რიგი მიმართულებებით წარმატებას ვერ მიაღწია, კვლავ იწყო მოქმედება ფრონტის ვიწრო უბნებზე.

3 სექტემბრიდან გერმანელები განუწყვეტლივ აძლიერებდნენ იერიშებს. უშუალოდ სტალინგრადს უტევდა 12-მდე დივიზია, 500-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. II, стр. 436.

მდე ტანკი, დაახლოებით 1500 ქვემეხი და 100-მდე თვითმფრინავი. შეიქმნა მტრის მიერ სტალინგრადის აღების რეალური საფრთხე. 62-ე არმიას ძალა არ ჰყოფნიდა შეეჩერებინა მოწინააღმდეგის მთელი დამკვრელი დაჯგუფების შეტევა. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, რათა მტრის ჯარების ნაწილი ჩამოგვეშორებინა სტალინგრადისაგან, შეგვესუსტებინა გერმანელთა შეტევა 62-ე არმიაზე და ამით მოგვეგო დრო ჩვენი ძალების გადაჯგუფებისა და ქალაქის უშუალო დაცვის ორგანიზებისათვის.

3 სექტემბერს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მიერ მთავარბანაკის წარმომადგენლის გ. კ. ჟუკოვის სახელზე გაგზავნილ დირექტივაში ნათქვამი იყო:

„ვითარება სტალინგრადთან უარესდება. მტერი სტალინგრადიდან სამი ვერსითაა დაშორებული. სტალინგრადი შეუძლიათ აიღონ დღეს ან ხვალ, თუ ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფი დაუყოვნებლივ არ აღმოუჩენს მას დახმარებას.

მოითხოვეთ, რათა სტალინგრადიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდგომი ჯარების სარდლებმა დაუყოვნებლივ დაარტყან მოწინააღმდეგეს და დაეხმარონ სტალინგრადელებს. დაუშვებელია ყოველგვარი დაყოვნება; დაყოვნება ახლა დანაშაულს უდრის. მთელი ავიაცია გადაისროლეთ სტალინგრადის დასახმარებლად. თვით სტალინგრადში ძალზე ცოტა ავიაცია დარჩა.

ამ განკარგულების მიღება და დასახული ღონისძიებები მაცნობეთ დაუყოვნებლივ.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი“.[1]

1942 წლის სექტემბრის დასაწყისში, ხოლო შემდეგ 18-დან 30 სექტემბრამდე სტალინგრადის ჩრდილოეთით თავმოყრილმა საბჭოთა ჯარების ჯგუფმა ორი დიდი ოპერაცია ჩაატარა სამხრეთის მიმართულებით — სტალინგრადზე მოიერიშე მტრის დამკვრელი დაჯგუფების მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ. ამ ოპერაციების მიზანი იყო: მოწინააღმდეგის მიერ სტალინგრადის ჩრდილოეთით შექმნილი დერეფნის ლიკვიდაცია, ვოლგისაკენ გაჭრილი მტრის დაჯგუფების განადგურება და 62-ე არმიის მარჯვენა ფლანგთან შეერთება.

---

[1] А. И. Еременко, Сталинград, 1961, стр. 163.

მართალია, მნიშვნელოვან ტერიტორიულ წარმატებას ამ ოპერაციების პერიოდში ჩვენმა ჯარებმა ვერ მიაღწიეს, მაგრამ მათ აიძულეს გერმანელები შეესუსტებინათ სტალინგრადზე შეტევა და მოგერიებითი ბრძოლების ბოლომდე ჩამოაშორეს ამ მიმართულებაზ მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ძალები. უფრო მეტიც, მოწინააღმდეგე ელოდა ამ მიმართულებით ჩვენი ჯარების მთავარ დარტყმას. ამრიგად, სტალინგრადის დამცველი საბჭოთა ჯარებისათვის კრიტიკულ მომენტში გერმანელები იძულებული იყვნენ ჩრდილოეთისაკენ მიემართათ თავიანთი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამან შეასუსტა ჰიტლერელთა შეტევა სტალინგრადზე, შესაძლებლობა მისცა 62-ე არმიას შეეჩერებინა მოწინააღმდეგე ქალაქის გარეუბნებში.

სისხლისმღვრელი ბრძოლები სტალინგრადის შორეულ და ახლო მისადგომებთან ორ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. ჰიტლერელთა ჯარებმა უაღრესად დიდი ზარალი განიცადეს. მათი წინსვლის ტემპი სულ უფრო კლებულობდა. გერმანელებმა დათქმულ ვადაში — 25 ივლისისათვის ვერ შეძლეს არამცთუ სტალინგრადის აღება, არამედ მასთან მიახლოებაც კი.

უაღრესად დიდი ზარალის ფასად მტერმა ქალაქთან მისვლა მოახერხა მხოლოდ 14 სექტემბერს. ამ დროიდან დაიწყო მძიმე ბრძოლები თვით სტალინგრადში.

სტალინგრადის გმირული დაცვა

1942 წლის 13 სექტემბრისათვის სტალინგრადთან უკიდურესად რთული ვითარება შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე იძულებული იყო თავისი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი სტალინგრადიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართა, 62-ე არმიის ფრონტთან მას შედარებით მაინც დიდი უპირატესობა ჰქონდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

62-ე არმია (სარდალი — გენერალ-ლეიტენანტი ჩუიკოვი) და 64-ე არმიის (სარდალი — გენერალ-მაიორი შუმილოვი) შენაერთების ნაწილი, რომლებსაც 12 სექტემბერს დაეკისრათ ქალაქის უშუალო დაცვის ამოცანა, მედგრად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შეტევებს დასავლეთიდან. ამავე დროს, სტალინგრადის დაცვის საერ-

თო ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად ჩრდილოეთიდან სტალინგრადისაკენ შეტევით ოპერაციებს განაგრძობდნენ სტალინგრადის ფრონტის 24-ე, 1-ლი გვარდიული და 66-ე არმიების ჯარები, რომლებიც ამ უბანზე აბანდებდნენ გერმანელთა ერთ სატანკო და ორამდე საარმიო კორპუსს.

ამ ფრონტის 63-ე და 21-ე არმიები აქტიური ოპერაციებით უკიდურესად ბოჭავდნენ იტალიელთა მე-8 არმიისა და გერმანელთა ორი კორპუსის მოქმედებას.

სტალინგრადის სამხრეთით აქტიურ მოგერიებით ბრძოლებს აწარმოებდნენ და ამ მიმართულებით მტრის მნიშვნელოვან ძალებს აბანდებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის 64-ე, 57-ე და 51-ე არმიის ნაწილები.

ჰიტლერელთა არმიების ქალაქთან გაჭრამ ვოლგაზე მიმწყვდეული სტალინგრადის დამცველები აიძულა მეტად მცირე სიღრმის უბანზე ეწარმოებინათ მოგერიებითი ბრძოლები.

უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებოდათ ქალაქში ბრძოლა 62-ე არმიის ჯარებს. არმიის მოგერიების 25-კილომეტრიან ფრონტს 200—300 მეტრიდან 2,5 კილომეტრამდე სიღრმე ჰქონდა; მანევრი სიღრმიდან შეუძლებელი იყო ვოლგაზე მუდმივი გადასასვლელების უქონლობის გამო, ხოლო მანევრი ფრონტის გასწვრივ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ ვიწრო სანაპირო ზოლით და ისიც ღამით, რადგან მოგერიებით ხაზს მთელ სიღრმეზე მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ცხრილავდა ყველა სახის იარაღის ცეცხლით.

ჰიტლერელები ფიქრობდნენ, რომ ჩვენ ვერ შევძლებდით სტალინგრადი ხანგრძლივად დაგვეცვა არტილერიისა და ავიაციის უზარმაზარი ძალებისაგან. მაგრამ სტალინგრადის დამცველთა შეუპოვარმა სიმტკიცემ, არნახულმა სიმამაცემ და გმირობამ, შერწყმულმა მაღალ სამხედრო ხელოვნებასთან, გერმანელ ფაშისტთა არმიებისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქციეს ქალაქი. სტალინგრადის მისადგომებთან ბრძოლებში გერმანელ ფაშისტთა არმიები საფუძვლიანად დაზარალდნენ და არ შეეძლოთ მაშველი ჯარების გარეშე ეწარმოებინათ ახალი ოპერაციები. გერმანელთა სარდლობამ თავი მოუყარა ახალ რეზერვებს და 13 სექტემბრის დილიდან, ძლიერი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ, განსაკუთრებული ძალით დაიწყო ქალაქზე შეტევა.

ჰიტლერელთა სარდლობას განზრახული ჰქონდა გაერღვია ჩვენი მოგერიება ფრონტის ცალკეულ უბნებზე, გაეთიშა, ერთმანეთისაგან მოეწყვიტა საბჭოთა ჯარები, მიემწყვდია ისინი ვოლგაზე და შემდეგ ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინა.

14 საათისათვის მეავტომატეთა ცალკეული ჯგუფები 112,5 სიმაღლის რაიონიდან ხევ-ხევ ქალაქისაკენ გაიჭრნენ და 16 საათზე ცენტრალური ვაგზალი დაიკავეს. ქალაქში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მტრის მეავტომატეებთან, რომლებმაც დღამებისას განუწყვეტელი ცეცხლი დაუშინეს ცენტრალურ გადასასვლელს ვოლგაზე. განსაკუთრებით დაძაბული ხასიათი მიიღო ბრძოლებმა იმ მომენტიდან, როცა გერმანელებმა მოახერხეს დიდი დანაკარგების ფასად დაეკავებინათ ქალაქზე გაბატონებული 102,0 სიმაღლე (მამაის ყორღანი).

16 სექტემბერს გენერალ როდიმცევის გვარდიელებმა მტრისაგან გაწმინდეს მამაის ყორღანი. ეს სიმაღლე რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში მოგერიებითი ბრძოლების დროს მამაის ყორღანის რაიონში არ არის არც ერთი სანტიმეტრი მიწისა, სადაც გერმანელი ფაშისტებისა და საბჭოთა მეომრების სისხლი არ დაღვრილიყო. აქ მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე ყუმბარის, ჭურვის, ნაღმის, გრანატის 2000-მდე ნამსხვრევი მოდიოდა.

14 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში 62-ე არმია გააფთრებით იბრძოდა. ცენტრალურ უბანზე იგი დროდადრო კონტრიერიშზე გადადიოდა, რათა წონასწორობა აღედგინა. სამხრეთის უბანზე არმია იგერიებდა მოწინააღმდეგის მრავალგზის შეტევას ქვემო ელშანკა-კუპოროსნოეს მიმართულებით.

ამ დღეს მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა ჩვენი ჯარების განლაგებას, გზას უკაფავდა თავის ტანკებსა და ქვეით ნაწილებს.

მთელი დღის მანძილზე საბჭოთა ქვეითი ჯარები საარტილერიო და სატანკო ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით შეუპოვრად იცავდნენ და ინარჩუნებდნენ დაკავებულ პოზიციებს, იგერიებდნენ მტრის ყველა შეტევას და თავდაცვით ბრძოლებში ანადგურებდნენ მას. საბჭოთა მეომრებს ერთი ნაბიჯით არ დაუხევიათ უკან.

ბრძოლებმა მეორე დღეს კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. მოწინააღმდეგემ შეტევა გაშალა მთელ ფრონტზე, განსაკუთრებით მწვავედ — მის ცენტრალურ და სამხრეთ უბნებზე. გერმანელთა სარდლობა ახალ და ახალ ეშელონებს ისროდა ფრონტზე, სულ უფ-

რო აძლიერებდა შეტევას, ცდილობდა ვიწრო უბნებზე გაერღვია ჩვენი თავდაცვა. მტერმა ბრძოლის მზაკვრული, მუხანათური მეთოდების გამოყენება დაიწყო — თავის ტანკებს საბჭოთა ტანკების ფერად ღებავდა და ისე უშვებდა ბრძოლაში. მაგრამ ეს ფანდი სწრაფად იქნა გამოცნობილი.

„მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, მოწინააღმდეგე ყოველდღე დილიდან დაღამებამდე უტევდა ქალაქს. 27 სექტემბრისათვის მან დაიკავა სტალინგრადის რაიონი მდინარე ცარიცადან კუპოროსნოემდე, ხოლო ქალაქის ამ ნაწილის ჩრდილოეთით კვლავ დაეუფლა მამაის ყორღანის ნახევარს.

ქალაქის ცენტრში გერმანელ ფაშისტთა ჯარები ვოლგასთან გავიდნენ. სტალინგრადის დამცველები მდინარის ნაპირთან მიიმწყვდიეს.

სტალინგრადის ქუჩებში გამართულ შეტაკებებში განსაკუთრებული თავგანწირვით იბრძოდნენ 62-ე და 64-ე არმიების მებრძოლები. იყო დღეები, როცა მათ უხდებოდათ მტრის 12-მდე და მეტი შეტევის მოგერიება. ყოველ ხელსაყრელ მომენტში ისინი თვით გადადიოდნენ კონტრშეტევაზე და დიდ ზარალს აყენებდნენ მტერს.

გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა ყოველი კვარტალისათვის. ყოველი ქუჩისათვის, ყოველი სახლისათვის, სახლებში — სართულებისა და ოთახებისათვის, ხოლო შემდეგ — ნანგრევებისათვისაც კი. ეს მოითხოვდა არა მარტო დიდ გმირობასა და მამაცობას, არამედ აგრეთვე მაღალ საბრძოლო ხელოვნებასაც“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერელებმა უდიდესი ზარალი ნახეს როგორც ადამიანების, ისე საომარი ტექნიკის მხრივ, გერმანელ ფაშისტთა სარდლობას მაინც არ აუღია ხელი სტალინგრადის დაპყრობაზე, მაგრამ ძალებისა და საშუალებების ნაკლებობის გამო იძულებული გახდა ვიწრო უბნებზე თანმიმდევრული დარტყმების ტაქტიკაზე გადასულიყო.

27 სექტემბერს ჰიტლერელთა სარდლობამ დაიწყო თავისი ჯარების თავმოყრა გოროდიშის სამხრეთით და მამაის ყორღანის მისადგომებთან. მისი მიზანი იყო დაეკავებინა ქარხანა „კრასნი ოკ-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. II, стр. 442.

ტიაბრის“ დასახლება და 102,0 სიმაღლე. ამ ამოცანის შესასრულებლად მოწინააღმდეგის ოთხი დივიზია 28 სექტემბერს შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ საბჭოთა სარდლობამ დროულად გამოიცნო ჰიტლერელთა ჩანაფიქრი და გზა გადაუღობა მტერს.

13 ოქტომბერს გერმანელთა სარდლობამ დაამთავრა თავისი ჯარების თავმოყრა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, ქარხანა „ბარიკადის“ და ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ მისადგომებთან.

14 ოქტომბერს 5 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ დაიწყო ძლიერი საავიაციო და საარტილერიო მომზადება, ხოლო 8 საათზე ორი ქვეითი დივიზიის ძალებით, რომლებსაც მხარს უჭერდა 150 ტანკი, შეტევაზე გადმოვიდა. ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ ძალების მნიშვნელოვანი უპირატესობის გამო მოწინააღმდეგემ შეძლო გაერღვია ჩვენი მოგერიება. შექმნილ დერეფანში გერმანელებმა გადმოისროლეს სატანკო ჯგუფი მეავტომატეთა თანხლებით და დაიკავეს სატრაქტორო ქარხნის ტერიტორია, თუმცა 37-ე გვარდიული და 95-ე დივიზიების მამაცმა მებრძოლებმა მალე გაწმინდეს იგი მტრისაგან.

დადგა სტალინგრადის დაცვის ყველაზე კრიტიკული მომენტი. ბრძოლაში გარდატეხის მიღწევა დამოკიდებული იყო იმაზე, შეძლებდნენ თუ არა სტალინგრადის დამცველები პოზიციების შენარჩუნებას.

17 ოქტომბერს ფაშისტებმა კვლავ წამოიწყეს შეტევა სატრაქტორო ქარხანაზე და ერთდროულად იერიში მიიტანეს ქარხანა „ბარიკადზე“.

გერმანელებს, რომლებსაც მხარს უჭერდნენ დიდი რაოდენობით ავიაცია და ტანკები, დღეში რამდენჯერმე მიჰქონდათ იერიში ქარხანა „ბარიკადის“ დამცველ ნაწილებზე. ხშირად იმართებოდა ხელჩართული შეტაკებები. იბრძოდნენ ყოველი შენობისა და საამქროსათვის.

„15 ოქტომბერს ბრძოლები სტალინგრადში უდიდესი დაძაბულობით გრძელდებოდა. ამაზე მოგვითხრობს 62-ე არმიის სარდლის ვ. ი. ჩუიკოვის დღიურის ჩანაწერები, რომლებიც ნათლად, მკაფიოდ ასახავენ ამ შექმნილ მძიმე ვითარებას, ბრძოლის უკიდურესად გამწვავებას:

5 ს ა ა თ ი და 30 წ უ თ ი — მოწინააღმდეგემ ფრონტზე, დაწ-

ყებული მდინარე მოკრაია მეჩიოტკადან დასახლება კრასნი ოკტიაბ-
რამდე, გუშინდელივით კვლავ დაიწყო ძლიერი საარტილერიო მომ-
ზადება.

8 საათი — მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა ტანკებით
და ქვეითი ჯარით. ბრძოლა მიმდინარეობს მთელ ფრონტზე.

9 საათი და 30 წუთი — მოწინააღმდეგის შეტევა სტალინ-
გრადის სატრაქტორო ქარხანაზე მოგერიებულია. ქარხნის ეზოში
იწვის ფაშისტთა 9 ტანკი.

10 საათი — 37-ე დივიზიის 109-ე გვარდიული ქვეითი პოლ-
კი გადათქერეს ტანკებმა და ქვეითებმა.

11 საათი და 30 წუთი — 95-ე მსროლელი დივიზიის 524-ე
მსროლელი პოლკის მარცხენა ფრთა განადგურებულია, მოწინააღ-
მდეგის დაახლოებით 50 ტანკი მუსრს ავლებს მის საბრძოლო რი-
გებს.

11 საათი და 50 წუთი — მოწინააღმდეგემ დაიკავა სატ-
რაქტორო ქარხნის სტადიონი. ძირითად ნაწილებს მოწყვეტილი,
მტრის ალყაში მოქცეული ჩვენი ქვეგანაყოფები განაგრძობენ ბრძო-
ლას.

12 საათი — მოკლულია 117-ე მსროლელი პოლკის მეთაური
გვარდიის მაიორი ანდრეევი.

12 საათი და 20 წუთი — რადიოგრამა ექვსწახნაგოვანი
კვარტალიდან, 416-ე პოლკის ქვეგანაყოფი იუწყება: „გარშემორტ-
ყმული ვართ, ვაზნები და წყალი არის. მოვკვდებით, მაგრამ არ დავ-
ნებდებით".

12 საათი და 30 წუთი — გენერალ ჟოლუდევის სამეთაუ-
რო პუნქტს ბომბავენ მოპიკირე თვითმფრინავები. გენერალ ჟოლუ-
დევი კავშირის გარეშე დარჩა ჩანგრეულ და მიწით დაფარულ ბლი-
ნდაჟში. კავშირის დამყარებას ამ დივიზიის ნაწილებთან ჩვენს თავზე
ვიღებთ.

13 საათი და 10 წუთი — არმიის შტაბის სამეთაურო პუნქ-
ტზე დაზვავდა ორი ბლინდაჟი, ერთ ოფიცერს ნანგრევში ფეხი მოჰ-
ყვა, ვერ შეძლეს მისი ამოყვანა.

13 საათი და 20 წუთი — გენერალ ჟოლუდევის ბლინდაჟ-
ში ჰაერი შეუშვეს (მილის მეშვეობით)...

14 საათი და 40 წუთი — სატელეფონო კავშირი ნაწი-

ლებთან გაწყდა. რადიოკავშირზე გადავედით. ჩვენი თვითმფრინავები ვერ ახერხებენ აეროდრომებიდან აფრენას. აეროდრომები ბლოკირებულია მოწინააღმდეგის ავიაციის მიერ.

15 საათი და 25 წუთი — არმიის შტაბის დაცვა ბრძოლაშ ჩაება.

16 საათი — კავშირი 114-ე გვარდიულ პოლკთან გაწყვეტილია, პოლკის მდგომარეობა გაურკვეველია.

16 საათი და 20 წუთი — მოწინააღმდეგის დაახლოებით 100-მდე ტანკი შეიჭრა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე. მტრის ავიაცია წინანდებურად თავზე დაგვტრიალებს, გვბომბავს და ზედიზედ მოაქვს იერიში.

16 საათი და 35 წუთი — პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი უსტინოვი მოითხოვს მისკენ მივმართოთ არტილერიის ცეცხლი, მისი სამეთაურო პუნქტი ალყაშემორტყმულია გერმანელი მეავტომატეებით.

17 საათი — რადისტები ძლივს ასწრებენ რადიოგრამების ჩაწერას ქვეგანაყოფებიდან, რომლებიც მტრის ალყაში მოქცეულნი განაგრძობენ ბრძოლას.

21 საათი — კიდევ ერთი რადიოგრამა 37-ე დივიზიის გვარდიული ჯგუფიდან. ისინი განაგრძობენ ბრძოლას სატრაქტორო ქარხნის რაიონში და თავის პატაკს ამთავრებენ სიტყვებით: „სამშობლოსათვის მოვკვდებით, მაგრამ არ დავნებდებით"[1].

გააფთრებული ბრძოლები არც დღისით და არც ღამით არ წყდებოდა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტალინგრადის სახელოვანი დამცველები თვითონ არაერთხელ გადადიოდნენ კონტრშეტევაზე, ხოლო მოწინააღმდეგე იძულებული იყო თავი დაეცვა. მაგრამ მტერს ხელი არ აუღია თავის განზრახვაზე ვოლგაში გადაეყარა საბჭოთა ჯარები. ჰიტლერელთა სარდლობა სულ ახალ-ახალ რეზერვებს აბამდა ბრძოლაში და შეტევას შეტევაზე ახორციელებდა.

11 ნოემბერს გერმანელები კიდევ ერთხელ შეეცადნენ სტალინგრადის აღებას. უდიდესი ზარალის ფასად მოწინააღმდეგემ შე-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., II, стр. 445.

ძლო ვიწრო უბანზე ვოლგასთან გასვლა და ქარხანა „ბარიკადის“ რაიონში 138-ე დივიზიის მოწყვეტა 62-ე არმიის მთავარი ძალებისაგან.

ეს იყო ჰიტლერელთა ჯარების უკანასკნელი წარმატება სტალინგრადში. ქალაქის გმირ დამცველთა უმაგალითო სიმტკიცემ და გამძლეობამ ძლიერი მორალური დარტყმა აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რწმენა დაუკარგა მათ შეტევის წარმატებაში და, ამავე დროს, კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო სულისკვეთება.

სტალინგრადისათვის გმირული ბრძოლის მატიანეში ღირსეული ადგილი უკავია სერჟანტ ი. პავლოვის სახელს. მისი მეთაურობით საბჭოთა მებრძოლების პატარა ჯგუფი 58 დღე-ღამის განმავლობაში ინარჩუნებდა ქალაქის ცენტრში მდებარე სახლს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტალინგრადის დაცვისათვის.

1942 წლის სექტემბრის ბოლოს ჰიტლერელები გაიჭრნენ ლენინის სახელობის მოედანზე და დაიკავეს № 61 სახლის (მდინარე ვოლგის ნაპირიდან 250 მეტრზე) ნაწილი. ამ სახლში დაზვერვის მიზნით გაგზავნილი იყო ოთხი მებრძოლი სერჟანტ პავლოვის მეთაურობით. მათ სახლის სარდაფში აღმოაჩინეს ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებისგანაც შეიტყვეს, რომ მე-2 სადარბაზოს პირველ სართულზე გერმანელები იმყოფებოდნენ. ოთხმა საბჭოთა მზვერავმა ხელყუმბარებითა და ავტომატების ცეცხლით მოსპეს ჰიტლერელები და მთლიანად დაიკავეს სახლი. მაშველი ძალების მოსვლის შემდეგ სახლის გარნიზონში უკვე 12 კაცი იყო, მათ შორის: 3 რუსი — პავლოვი, ალექსანდროვი და აფანასიევი; 2 უკრაინელი — საბგაიდა და გლუშენკო; 2 ქართველი — მოსიაშვილი და სტეფანაშვილი; 1 აფხაზი — სუკბა; 1 უზბეკი — ტურგანოვი; 1 ყაზახი — მურზაევი; 1 ტაჯიკი — ტურდიევი; 1 თათარი — რამაზანოვი.

გარნიზონის მრავალეროვანი მეგობრული მებრძოლი ოჯახთანდათან სრულყოფდა თავდაცვას: სახლი ირგვლივ მთლიანად შემონაღმეს, დატოვეს მხოლოდ ერთი გასასვლელი ვოლგისაკენ; მალე ამ გასასვლელში გათხარეს სანგარი, რომლის მეშვეობით მამაცი გარნიზონი ინარჩუნებდა კავშირს სამეთაურო პუნქტთან. ამ გზით იქნენ ევაკუირებული სარდაფში დარჩენილი სახლის მცხოვრებლები.

მტერი ყოველდღიურად ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ძლიერ ცეცხლს უშენდა სახლს, ბომბავდა ჰაერიდან, მერე იწყებოდა მთვრალი გერმანელი მეავტომატეების გააფთრებული შეტევები, რომლებსაც მხარს უჭერდა 10—15 ტანკი. მაგრამ მამაცი გარნიზონი შეუპოვრად იცავდა თავს და გაიმარჯვა კიდეც ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში.

ამ სახლს გარნიზონის მეთაურის პატივსაცემად პავლოვის სახელი ეწოდა. სახლი აღდგენილია პირვანდელი სახით და გაკეთებულია მემორიალური დაფა.

გერმანელთა სარდლობა ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აეღო სტალინგრადი, განუწყვეტლივ გზავნიდა იქ ახალ-ახალ ჯარებს. მტერს ეჭვიც კი არ ეპარებოდა წარმატებაში. ჰიტლერელები უკვე დიდი ხანია ემზადებოდნენ საქვეყნოდ გამოეცხადებინათ სტალინგრადის აღების შესახებ. გაზეთებში ყოველდღე ტოვებდნენ ადგილს ცნობისათვის „დაწვრილებით სტალინგრადის დაცემის შესახებ“. სტალინგრადის აღების აღსანიშნავად ბერლინში ჩამოასხეს მედლის ნიმუში.

მაგრამ საბჭოთა ჯარების არნახული სიმტკიცისა და გმირობის შედეგად სამარცხვინოდ ჩაიფუშა მტრის ყველა განზრახვა. „მიუხედავად გერმანელ ფაშისტთა სარდლობის თავდაპირველი ვარაუდისა, იგი იძულებული გახდა ხანგრძლივ და მომქანცველ ბრძოლებში ჩაება უზარმაზარი ძალები: გერმანელთა მე-6 და მე-4 სატანკო არმიები, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა ჯარების მთავარი დამკვრელი ძალა იყო, რუმინელთა მე-3 და მე-4, იტალიელთა მე-8 არმიები — სულ 50 დივიზია, თუ არ ჩავთვლით დიდი რაოდენობით სპეციალურ ნაწილებს.

აქ მოქმედებდა მტრის მთელი ქვეითი დივიზიების მეხუთედი და სატანკო დივიზიის მესამედი ნაწილი. სტალინგრადთან იმყოფებოდა მოწინააღმდეგის მილიონზე მეტი ჯარისკაცი. ეს იყო გერმანელთა ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე აქტიური დაჯგუფება.

სტალინგრადთან ბრძოლებში მტრის ჯარებმა უდიდესი ზარალი განიცადეს. ქალაქის მისადგომები მოფენილი იყო გერმანელთა დამსხვრეული და დამწვარი ტანკების ჩონჩხებით და ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით. თვით ჰიტლერელები გზას სტალინგრადისაკენ „სიკვდილის გზას“ უწოდებდნენ. 20 სექტემბერს გერმანიის სახმე-

ლეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ჰალდერი შეშფოთებით აღიარებდა, რომ გერმანელთა შემტევი ჯარების სულ უფრო და უფრო მეტი დაუძლურება შეიმჩნევაო. ჰიტლერელთა სარდლობა იძულებული იყო თითქმის მთელი შევსება, რომელიც ფრონტზე მიდიოდა, სტალინგრადის რაიონში გადაესროლა. ყოველთვიურად აქ იგზავნებოდა დაახლოებით 250 000 ახალი ჯარისკაცი და ოფიცერი. აქეთვე მოდიოდა საომარი ტექნიკის — ტანკების, არტილერიის, ნაღმსატყორცნების ძირითადი რაოდენობა. და ყოველივე ეს განადგურდა და დაიფერფლა გმირი ქალაქის კედლებთან"[1].

სტალინგრადმა შთანთქა ჰიტლერელთა უზარმაზარი ძალები და თითქმის მთელი რეზერვები. ასეთ პირობებში სტალინგრადის აუღებლობა გერმანიისათვის სამარცხვინო კრახს ნიშნავდა. სწორედ ამიტომ ჰიტლერი იძულებული იყო განეცხადებინა: „სტალინგრადზე უარის თქმით მთელი ლაშქრობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდაო".

ჰიტლერი კატეგორიულად მოითხოვდა თავისი გენერლებისაგან, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, აეღოთ სტალინგრადი, მაგრამ ყველა ეს ცდა წარუმატებლად მთავრდებოდა.

დაძაბული ბრძოლების ოთხი თვის მანძილზე საბჭოთა ჯარებმა მოქანცეს და სისხლისაგან დასცალეს გერმანელ ფაშისტთა არმიები და შეაჩერეს მათი წინსვლა.

მტრის 22 დივიზია მონაწილეობდა სტალინგრადის რაიონში გაჩაღებულ ხანგრძლივ მომქანცველ ბრძოლებში. 30 დივიზია, უმთავრესად ფაშისტური გერმანიის სატელიტ სახელმწიფოთა ჯარებისა. იძულებული იყო დაეცვა იტრის ამ დაჯგუფების ფლანგები. ამასთან, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სტალინგრადზე შემტევი გერმანელთა ჯარების ოპერატიული მდგომარეობა უკიდურესად არახელსაყრელი აღმოჩნდა. მოწინააღმდეგის აქ მოქმედი დაჯგუფების ორივე ფლანგი (მე-6 და მე-4 სატანკო არმიები) გარემოცული იყო ჩვენი ჯარების მიერ.

პლაცდარმების დაკავება და შენარჩუნება მდინარე დონის მარჯვენა ნაპირზე კლეტსკაიას, ნოვო-გრიგოროვსკის (50 კილომეტრზე

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 12.

კლეტსკაიადან ჩრდილო-აღმოსავლეთით) რაიონებში და სერაფიმოვიჩის სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების გამოსვლა სარპას, ცაცას და ბორმანცაკის ტბებს შორის მდებარე ხეობიდან ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ჩვენი დამკვრელი დაჯგუფებების გაშლისათვის კონტრშეტევაზე მათი გადასვლისას.

კომუნისტური პარტიის, ი. ბ. სტალინის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და ჩვენი ჯარების უმაგალითო გმირობის შედეგად ამ დროის მანძილზე ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა ძალთა შეფარდება და, ამრიგად მიუხედავად მეორე ფრონტის არარსებობისა, ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა საბჭოთა ჯარების გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლისათვის[1].

საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა და ჰიტლერელთა გარემოცვა სტალინგრადთან

როდესაც სტალინგრადის თავდაცვის ორგანიზებას ახდენდა, უმაღლესი მთავარსარდლობა არ შემოფარგლულა მარტოოდენ ერთი: ამოცანით — შეეჩერებინა და მოეგერიებინა მტრის ჯარების შეტევა. თავდაცვით ოპერაციებს სტალინგრადთან მთავარბანაკი განიხილავდა, როგორც ბრძოლის პირველ ეტაპს, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მეორე ეტაპი — ჩვენი ჯარების კონტრშეტევა მოწინააღმდეგის დამკვრელი დაჯგუფების განადგურებისა და ომის მიმდინარეობის საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოდ შეცვლის მიზნით.

სტალინგრადის ბრძოლაში წყდებოდა დიდი სამამულო ომის შემდგომი ბედ-იღბალი.

შეუპოვარ თავდაცვით ბრძოლებში 1942 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ საბოლოოდ გატეხა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ძალები და ფრონტის მეტწილ უბნებზე აიძულა მოწინააღმდეგე შეე-

---

[1] მთავარბანაკის 1942 წლის 30 სექტემბრის დირექტივით სტალინგრადის ფრონტს ეწოდა დონის ფრონტი (სარდალი — გენერალი როკოსოვსკი), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტს — სტალინგრადის ფრონტი (სარდალი — გენერალი ერიომენკო).

დონის ფრონტის მარჯვენა მხარეს, მდინარე დონის გასწვრივ, გაიშალა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი (სარდალი — გენერალი ვატუტინი).

ჩერებინა შეტევა. მხოლოდ სტალინგრადში განაგრძობდნენ ჰიტლერელები შეტევას, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ციხე-სიმაგრედ ქცეული ქალაქი.

საბჭოთა სარდლობამ სათანადო პირობები შექმნა ჩვენი ჯარების გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასვლისათვის — აღმოსავლეთისაკენ წამოწეული მოწინააღმდეგის მთელი დაჯგუფების სრული განადგურებისა და შემდგომი შეტევითი ოპერაციების ფართო ფრონტზე გაშლის მიზნით.

1942 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში სტალინგრადის მიმართულებით მოწინააღმდეგის ჯარების ძირითადი მასა ერთ ეშელონში მოქმედებდა. არმიების რეზერვში და „ბ" არმიების ჯგუფში მხოლოდ რვა დივიზია იყო და ისიც დიდ ტერიტორიაზე გაფანტული.

მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვა შედგებოდა 5-დან 8 კილომეტრამდე სიღრმის ერთი ზოლისაგან, რომელშიც მოწყობილი იყო ორი პოზიცია. თვითეულ პოზიციას ჰქონდა ერთი-ორი ტრანშეა და ფრონტის ყოველ კილომეტრზე საშუალოდ სამი-ოთხი ძელმიწური. თავდაცვის წინა ხაზის წინ იყო დანაღმული მინდვრები და მავთულხლართის ღობურები. მთელი რიგი დასახლებული პუნქტები წინააღმდეგობის მძლავრ კვანძებად იყო ქცეული.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვის საერთო სისტემაში მთავარი ზოლი ყველაზე მძლავრად ითვლებოდა. მისი გარღვევისათვის აუცილებელი იყო მძლავრი დამკვრელი დაჯგუფებების შექმნა.

მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი სტალინგრადის მიმართულებით იყო ფლანგები, სადაც ფართო ფრონტზე თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ ჰიტლერელთა ნაწილებთან შედარებით უფრო დაბალი ბრძოლისუნარიანობის მქონე იტალიელთა და რუმინელთა ჯარები და სადაც არ არსებობდა წინასწარ მომზადებული ზურგის თავდაცვითი ზღუდეები.

1942 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში სტალინგრადის მიმართულებით მოქმედი საბჭოთა ჯარები სამ ფრონტად გაერთიანდნენ: სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი — სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ვატუტინი, დონის ფრონტი — სარდალი გენერალ-ლეიტენანტი როკოსოვსკი და სტალინგრადის ფრონტი — სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ერიომენკო.

სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტების ძირითა-

დი ძალები თავს იყრიდნენ სტალინგრადის რაიონში ვოლგისაკენ გაჭრილი მტრის დაჯგუფების ფლანგების წინააღმდეგ. დონის ფრონტი გაიშალა 150-კილომეტრიან ხაზზე კლეტსკაიადან ერზოვკამდე.

საბჭოთა ჯარებს მტერთან შედარებით საერთო რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ მხოლოდ ბრძოლის ტექნიკური საშუალებების მხრივ (არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მხრივ — 1,8-ჯერ, თვითმფრინავების მხრივ — 1,3-ჯერ, ტანკების მხრივ — 1,2-ჯერ), ხოლო ცოცხალი ძალის მხრივ ისინი ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს 57 000 ჯარისკაცითა და ოფიცრით.

ძალთა ასეთი შეფარდება საბჭოთა სარდლობისაგან მოითხოვდა შეტევით მოქმედებათა უკიდურესად ზუსტ ორგანიზაციასა და ყოველმხრივ უზრუნველყოფას, ჯარების ზედმიწევნით ოსტატურ გადაჯგუფებას, რათა გადამწყვეტი უპირატესობა მოგვეპოვებინა როგორც ცოცხალი ძალის, ისე საომარი ტექნიკისა და საშუალებების მხრივ ფრონტებისა და არმიების მთავარ დარტყმათა მიმართულებებით.

სტალინგრადის რაიონში საბჭოთა ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლის გადაწყვეტილება მიღებული იყო ჯერ კიდევ თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში.

ოქტომბერში დამუშავდა მოქმედების კონკრეტული გეგმა და სწრაფი ტემპით დაიწყო დამკვრელ დაჯგუფებათა შექმნა. მისი ძირითადი იდეა იყო სტალინგრადთან მტრის ჯარების მთავარი დაჯგუფების გარემოცვა და განადგურება ურთიერთშემხვედრი მიმართულებით ორი დარტყმის მიყენების გზით: ერთისა — სერაფიმოვიჩ-კლეტსკაიას რაიონიდან და მეორისა — სტალინგრადის სამხრეთით მდებარე ტბების რაიონიდან, საერთო მიმართულებით კალაჩისაკენ.

საბჭოთა სარდლობის ამ სტრატეგიულ განზრახვასთან დაკავშირებით ფრონტებს შემდეგი ამოცანები ეკისრებოდათ.

ს ა მ ხ რ ე თ დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ს მე-5 სატანკო და 21-ე არმიების ძალებით სერაფიმოვიჩის რაიონიდან მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა კალაჩის საერთო მიმართულებით, გაენადგურებინა რუმინელთა მე-3 არმიის ჯარები, შემდგომ განევითარებინა შეტევა და ოპერაციის მესამე დღის ბოლოს სტალინგრადის ფრონტთან ურთიერთმოქმედებით დაემთავრებინა ჰიტლერელთა გარშემორტყმა კალაჩ-სოვეტსკის რაიონში. ფრონტის ამოცანის

სიღრმე შეადგენდა 140 კილომეტრს. ძალების ნაწილით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობა დარტყმას ახორციელებდა სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, რათა გასულიყო მდინარე ჩირთან და შეექმნა ამ ზღუდეზე გარემოცვის გარეთა ფრონტი.

სტალინგრადის ფრონტს 51-ე, 57-ე არმიების ძალებით და 64-ე არმიის ძალების ნაწილით სარპის, ცაცის და ბორმანცაკის ტბების რაიონიდან მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა სოვეტსკი-კალაჩის მიმართულებით, გაენადგურებინა რუმინელთა მე-6 საარმიო კორპუსი, შემდგომ განევითარებინა შეტევა ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტთან ურთიერთმოქმედებით ალყაში მოექცია და მოესპო მტერი. ფრონტის ამოცანის სიღრმე შეადგენდა 100 კილომეტრს. ძალების ნაწილით ფრონტს შეტევა უნდა წარემართა აბგანეროვო-კოტელნიკოვოსაკენ, რათა შეექმნა გარემოცვის გარეთა ფრონტი.

დონის ფრონტს უნდა განეხორციელებინა ორი დამხმარე დარტყმა: ერთი — 65-ე არმიის ძალებით კლეტსკაიას რაიონიდან, რომ დონის მარჯვენა ნაპირით შემოეფარგლა მოწინააღმდეგის თავდაცვა; მეორე — 24-ე არმიის მარჯვენა ფლანგით, საერთო მიმართულებით სოფელ ვერტიაჩისაკენ, რათა სტალინგრადისაგან მოეწყვიტა მოწინააღმდეგის დაჯგუფება, რომელიც თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდა მდინარე დონის მცირე მოსახვევთან[1].

ამრიგად, ამ ამოცანის შესრულებას უნდა გამოეწვია მტრის ფრონტის მთელი სამხრეთი ფრთის განადგურება, ამ მიმართულებით გერმანელთა ზაფხულის შეტევის შედეგების სწრაფი და სრული ლიკვიდაცია.

საბჭოთა სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრი ითვალისწინებდა მტრის თავდაცვის გარღვევას ერთდროულად შვიდი მიმართულებით, რაც უზრუნველყოფდა გერმანელთა ფრონტის დაყოფა-დაქუცმაცებას, უკარგავდა მოწინააღმდეგეს თავისი ჯარებით ერთი უბნიდან მეორეზე მანევრების შესაძლებლობას, აიძულებდა გაეფანტა ოპერატიული რეზერვები ჩვენი დარტყმების მოსაგერიებლად ფართო, 400-კილომეტრიან ფრონტზე.

---

1 დონის მცირე მოსახვევი — დონის მოსახვევი კლეტსკაიასა და სიროტინსკაიას შორის.

1942 წლის 19 ნოემბრამდე დაძაბული მუშაობა წარმოებდა ამ დიდი შეტევითი ოპერაციის მოსამზადებლად. მას თან ახლდა უაღრესად დიდი სიძნელეები. საჭირო იყო მეტად რთული ამოცანის გადაწყვეტა: კონტრშეტევის მომზადება თავდაცვითი ბრძოლების პროცესში, უკიდურესად მძიმე და რთულ პირობებში. თუ ჩვეულებრივი შეტევისათვის მზადება შედარებით მშვიდ ვითარებაში, წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით, მოწინააღმდეგის მხრივ რაიმე განსაკუთრებული ხელშეშლის გარეშე ხდება ხოლმე, მზადება კონტრშეტევისათვის ხორციელდება ძნელ და რთულ პირობებში, მოწინააღმდეგის შემტევ ნაწილებთან დაძაბული, გააფთრებული ბრძოლების პერიოდში. სტალინგრადთან კონტრშეტევის ორგანიზაციასა და მომზადებას კიდევ უფრო აძნელებდა საომარ მოქმედებათა თეატრის უაღრესი თავისებურებანი, აგრეთვე საბჭოთა ჯარების თავმოყრისა და ოპერატიული გაშლის სირთულე. დამკვრელ დაჯგუფებათა თავმოყრის რაიონებში არასაკმარისად განვითარებული რკინიგზის ქსელი და მისი მცირე გამტარუნარიანობა, აგრეთვე მოწინააღმდეგის ავიაციის ინტენსიური მოქმედება სარკინიგზო კვანძების ტერიტორიაზე აიძულებდა ჩვენს სარდლობას გადმოესხა ჯარები მათი თავმოყრის რაიონებიდან 200-მდე კილომეტრის დაშორებით. შემდგომი მარშები, ვოლგისა და დონის ფორსირება, შემოდგომის უგზოობა ჯარებისაგან ფიზიკური და მორალური ძალების განსაკუთრებულ დაძაბვას მოითხოვდა.

კონტრშეტევის მომზადების პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს საინჟინრო ჯარებმა: შეტევის საწყისი რაიონების მომზადება, ჯარების თავმოყრის შენიღბვა, გადასასვლელების მოწყობა. მაგალითად, მარტოოდენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ზოლში მდინარე დონზე აიგო ხიდისა და ბორანის ტიპის 18 გადასასვლელი. კონტრშეტევის დაწყების წინ მხოლოდ სტალინგრადის ფრონტზე მესანგრეებმა სამნახევარი საათის განმავლობაში 64 გასასვლელი გააკეთეს მტრის მიერ შექმნილ წინაღობებში და 5000-ზე მეტი ნაღმი გააუვნებლეს.

ჯარების თავმოყრა და გადაჯგუფება ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ღამით, შენიღბვის ყველა წესის დაცვით. ყველა განკარგულება გადაჯგუფების შესახებ აუცილებლად ზეპირად და ისიც პირადად ეძლეოდათ უშუალოდ შემსრულებელ პირებს.

ნოემბრის განმავლობაში საბჭოთა ჯარების ნაწილებისა და შე-

ნაერთების შტაბებში, დიდ სამამულო ომში პირველად, სპეციალური მეცადინეობები ტარდებოდა მომავალი საომარი მოქმედებისათვის მეთაურთა შემადგენლობის მომზადების მიზნით. მეცადინეობები ტარდებოდა სამხედრო თამაშობათა სახით რუკებზე და სილიან ყუთებზე, ეწყობოდა აგრეთვე საველე გასვლები ადგილმდებარეობის გასაცნობად.

ჯარებთან ტარდებოდა სპეციალური საწვრთნელი მეცადინეობები მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევაში, რომლებზეც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვეითი ჯარების არტილერიასთან, ტანკებთან და ავიაციასთან ურთიერთმოქმედების ორგანიზაციას.

საომარ მოქმედებათა დაგეგმვა შტაბებში მკაცრი საიდუმლოების დაცვით წარმოებდა. დაგეგმვაში ჩაბმული იყო ადამიანთა მეტად ვიწრო წრე. ოპერაციის გეგმას ასევე მეთაურთა შემადგენლობის უაღრესად შეზღუდული რაოდენობა იცნობდა და ისიც მხოლოდ თავ-თავისი ამოცანებისა და მოვალეობების ფარგლებში.

კონტრშეტევის დაწყების წინ პატრიოტულმა განწყობამ საბჭოთა ჯარების პირად შემადგენლობას შორის უმაღლეს დონეს მიაღწია. უსაზღვრო იყო საბჭოთა მეომრების სურვილი — რაც შეიძლება მალე დაემარცხებინათ და მოესპოთ საძულველი მტერი.

კონტრშეტევის დაწყებამდე ორი დღით ადრე ბრძოლით იქნა დაზვერილი მოწინააღმდეგის პოზიციები: პირველი ეშელონის დივიზიების გაძლიერებულმა მსროლელმა ასეულებმა არტილერიის მხარდაჭერით ფართო ფრონტზე დაიწყეს შეტევა. ამ შეტევის მსვლელობის დროს მოწინააღმდეგის საბრძოლო დამცველი რაზმი განდევნეს დაკავებული პოზიციებიდან და მსროლელი ასეულები მიადგნენ მტრის თავდაცვის მთავარი ზოლის წინა ხაზს.

ოპერაციის გეგმის შესაბამისად, სამხრეთ-დასავლეთისა და დონის ფრონტების ჯარები 1942 წლის 19 ნოემბერს 8 საათსა და 50 წუთზე, მძლავრი 80-წუთიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ, შეტევაზე გადავიდნენ.

მოწინააღმდეგის თავდაცვის ზღუდეებზე შეტევა დაიწყო არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში: ძლიერმა თოვამ და დილის ბურუსმა საშუალება არ მოგვცა საარტილერიო მომზადების პერიოდში ავიაცია გამოგვეყენებინა. ცუდმა ამინდმა საჰაერო არმიებს დღისითაც შეუშალა ხელი საომარ მოქმედებათა გაშლაში.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დამკვრელმა დაჯგუფებამ შეტევის პირველ დღესვე გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის ტაქტიკური ზონა რუმინელთა მე-3 არმიის ზოლში. სატანკო კორპუსებმა, რომლებიც შუადღეს ჩაებნენ ბრძოლაში გარღვევის წარმატებით დაგვირგვინების მიზნით, შეასრულეს ეს ამოცანა და წინ წაიწიეს მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში 30—35 კილომეტრით.

კლეცკის პლაცდარმიდან ბრძოლაში შეყვანილ იქნა მე-3 ცხენოსანი გვარდიული კორპუსი, რომლის მე-6 ცხენოსან გვარდიულ დივიზიაში 25-ე გვარდიულ ცხენოსან პოლკს მეთაურობდა მაიორი, შემდეგ პოდპოლკოვნიკი, იოსებ სიმონის ძე ცუცქირიძე.

25-ე ცხენოსანი პოლკი დივიზიის სხვა ნაწილებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით წარმატებით ავითარებდა შეტევას მტრის ზურგში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი თოვლი იყო (სიღრმით 50-60 სანტიმეტრი) და ძალზე აძნელებდა ცხენებისა და ტრანსპორტის მოძრაობას.

23 ნოემბერს, დღის ბოლოს, 65-ე არმიის მარჯვენა ფლანგზე მოქმედმა შენაერთებმა მე-3 ცხენოსან გვარდიულ კორპუსთან ერთად შემოუარა მტრის დაჯგუფებას კლეტსკის და სიროტინსკის შორის და გავიდა ზღუდეზე ბოლშენაბატოვსკიი, ბლიჟნია პერეკოპკა (70-კილომეტრიან ფრონტზე), რის შედეგად ყველა გზა დასავლეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჩვენი ჯარების მიერ გადაკეტილი იყო. ი. ცუცქირიძის ცხენოსნების მამაცურმა მოქმედებამ ბოლშენაბატოვსკის, მალანაბატოვსკის და ევლამ-პიევსკის რაიონში დაძაბული ბრძოლების დროს მტერი მთლიანად შებოჭა და არ მიცა საშუალება თავი დაეღწია გარემოცვისათვის.

გერმანელთა სარდლობის ცდას — შეეჩერებინა ჩვენი ჯარების შემდგომი წინსვლა და მოესპო გარღვევით წარმოშობილი დერეფანი ბრძოლაში თავისი ოპერატიული რეზერვების (22-ე და 1-ლი სატანკო, მე-7 ცხენოსანი, მე-15 ქვეითი და მე-14 სატანკო დივიზიების) ჩაბმის გზით — წარმატება არ მოჰყოლია. ჩვენი ჯარები, რომლებმაც ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილ გაანადგურეს მოწინააღმდეგის რეზერვები, წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას.

23 ნოემბერს მე-4 და 26-ე სატანკო კორპუსების ნაწილებმა დაიკავეს კალაჩი და სოვეტსკის რაიონში კავშირი დაამყარეს აქ გა-

მოსულ სტალინგრადის ფრონტის მე-4 მექანიზებული კორპუსის შენაერთებთან.

მე-5 სატანკო და 21-ე არმიების მსროლელი ჯარები, რომლებმაც თავიანთი ძალების ნაწილით რასპოპინსკაიას რაიონში ალყა შემოარტყეს რუმინელთა ორი კორპუსის შენაერთებს, დანარჩენი ძალებით სწრაფად გაიჭრნენ წინ, სარგებლობდნენ რა სატანკო კორპუსების წარმატებით.

რასპოპინსკაიას რაიონში ალყაშემორტყმული მტრის დაჯგუფების ცდებს — თავი დაეღწია გარემოცვისათვის — წარმატება არ მოჰყოლია. ორდღიანი გააფთრებული ბრძოლების შედეგად მტრის წინააღმდეგობა გატყდა. 23 ნოემბერს რუმინელთა რასპოპინსკაიას დაჯგუფება იძულებული იყო კაპიტულაცია მოეხდინა. ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 27 000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

20 ნოემბერს შეტევაზე გადავიდნენ სტალინგრადის ფრონტის ჯარები. დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგის თავდაცვა სტალინგრადის სამხრეთით წარმატებით იქნა გარღვეული სამ უბანზე: ივანოვკას რაიონში, სარპისა და ცაცის ტბებს შორის, ცაცისა და ბორმანცაკის ტბებს შორის. ბრძოლაში ჩაბმულმა მე-13 და მე-4 მექანიზებულმა და მე-4 ცხენოსანმა კორპუსებმა სწრაფი შეტევა განავითარეს ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რითაც დაიწყეს მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარშემოვლა სამხრეთიდან. მე-4 მექანიზებული კორპუსი, რომელიც ბრძოლაში ჩაება 51-ე არმიის ზოლში, 23 ნოემბერს გავიდა სოვეტსკის რაიონში და კავშირი დაამყარა ამ რაიონში გამოსულ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-4 და 26-ე სატანკო კორპუსებთან.

„როგორც კი გამოჩნდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის პირველი ტანკები, სტალინგრადელმა ტანკისტებმა პირობითი სიგნალი მისცეს — გაუშვეს მწვანე შუშხუნები. მე-4 სატანკო კორპუსის მებრძოლებმა ასეთივე სიგნალით უპასუხეს და უდიდესი სიჩქარით გაიჭრნენ წინ. უკან დარჩა ასეულ კილომეტრზე მეტი ძნელი საბრძოლო გზა. მრავალი დღე და ღამე ისწრაფოდნენ საბჭოთა მეომრები ერთმანეთის შესახვედრად. ისინი შეუჩერებლივ მიდიოდნენ წინ ღრმა ხევებითა და ხრამებით დასერილ ვოლგისპირეთის ტრამალებზე და გზადაგზა ამსხვრევდნენ მტრის ყოველგვარ წინააღმდეგობას.

უცნობი ადგილმდებარეობა, უგზოობა, თოვლ-ჭყაპი, ტრამალების ნახევრად გაყინული პატარ-პატარა მდინარეები — ყოველივე ეს მათგან მოითხოვდა ძალთა უდიდეს დაძაბვას. სამხრეთ-დასავლეთის და სტალინგრადის ფრონტების ტანკისტები, არტილერისტები და მოტოქვეითი ჯარები სწრაფად იკაფავდნენ გზას, ამასთან. ზუსტად იცავდნენ დასახულ მიმართულებას. სტალინგრადთან გამარჯვებით გულანთებულები სამშობლომ პატივისა და დიდების შარავანდედით შემოსა.

და, აი, ორი ფრონტის სატანკო ნაწილები შეერთდნენ. ამით დამთავრდა სტალინგრადთან მოწინააღმდეგის გარემოცვა.

დიდი ხნის ნანატრმა შეხვედრამ საყოველთაო ზეიმი და აღფრთოვანება გამოიწვია. ჰაერში ისროდნენ ქუდებს, ირგვლივ მჭექარე „ვაშა" გრიალებდა. მაგრად ართმევდნენ ხელს, ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთურთს პირველად შეხვედრილი უცნობი, მაგრამ ერთმანეთისათვის ღვიძლი ადამიანები"[1].

გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ცდილობდა არ დაეშვა სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტების მოძრავი ჯარების შეერთება. ამ მიზნით სტალინგრადის მისადგომებთან კალაჩისა და სოვეტსკისაკენ გაიგზავნა მოწინააღმდეგის 24-ე და მე-16 სატანკო დივიზიები. მაგრამ ამ უკანასკნელებმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს შეეჩერებინათ ჩვენი სატანკო ჯარების შეტევა, როცა მათ უკვე დაიკავეს კალაჩი და მთელი რაიონის ვრცელი პლაცდარმი დონის მარცხენა ნაპირზე.

23 ნოემბერს დღის ბოლოს საბჭოთა ჯარებმა დაამთავრეს სტალინგრადთან მტრის დაჯგუფების ძირითადი ძალებისათვის ალყის შემორტყმა და მის ირგვლივ გარემოცვის მჭიდრო შიგნითა ფრონტი შექმნეს.

ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა მტკიცედ ჩაკეტეს დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოწინააღმდეგის უკუსაქცევი ყველა გზა. სტალინგრადის ფრონტის 57-ე და 64-ე არმიების ჯარები გავიდნენ მდინარე ჩერვლენაიასთან და ასევე მჭიდროდ ჩაურაზეს გერმანელებს სამხრეთისაკენ უკანდასახევი გზა.

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 40—41.

30 ნოემბრისათვის ჩვენი ჯარების ფრონტი სტალინგრადის მიმართულებით გადიოდა ხაზზე: მდინარე კრივაია, მდინარე ჩირი, ზემო კურმოიარსკაია, კოტელნიკოვო, ობილნოე. მისი დაშორება გარემოცვის შიგნითა ფრონტიდან მერყეობდა 30—100 კილომეტრის ფარგლებში.

დონის და სტალინგრადის ფრონტების ჯარებმა 24 ნოემბერს განაახლეს შეტევა და 30 ნოემბრამდე გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ სტალინგრადთან გარშემორტყმულ გერმანელთა მე-6 არმიასთან და მე-4 სატანკო არმიის ძალების ნაწილთან.

ამ ბრძოლების შედეგად ფართობი, რომელიც ეკავა მტრის გარშემორტყმულ დაჯგუფებას, ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა. 30 ნოემბრისათვის იგი უდრიდა არა უმეტეს 1500 კვადრატულ კილომეტრს (40 კილომეტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და 30—40 კილომეტრი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ).

მოწინააღმდეგის ალყაში მოქცეული დაჯგუფების მოსპობის დაჩქარებისათვის გადაწყდა დონის ფრონტის გასაძლიერებლად გაეგზავნათ მე-2 გვარდიული არმია (გენერალ-ლეიტენანტ რ. ი. მალინოვსკის სარდლობით), რომელსაც ევალებოდა მთავარი დარტყმის მიყენება სტალინგრადზე დასავლეთიდან.

მაგრამ თავისი გარშემორტყმული დაჯგუფების განთავისუფლების მიზნით კოტელნიკოვოს რაიონიდან მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა. ამიტომ სტალინგრადის ფრონტის ჯარების ძირითადი ყურადღება კოტელნიკოვოს მიმართულებაზე იქნა გადატანილი.

მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების განადგურების ოპერაცია დროებით გადაიდო.

1942 წლის 10 დეკემბრიდან 1943 წლის 10 იანვრამდე დონისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარები, რომლებიც გერმანელთა გარშემორტყმული დაჯგუფების წინააღმდეგ იბრძოდნენ, არ აწარმოებდნენ დიდ ოპერაციებს; ისინი იფარგლებოდნენ მხოლოდ კერძო ოპერაციებით, რომელთა მიზანი იყო საწყისი მდგომარეობის გაუმჯობესება მომავალი შეტევისათვის, აგრეთვე მტრის გარემოცული ჯარების მოქანცვა და სისხლისაგან დაცლა.

ამ დიდ ბრძოლებში, სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ხელიხელჩაკიდებული, მონაწილეობდნენ ქართველი ხალხის გმირი შვილებიც.

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო 76-ე მსროლელმა დივი-

ზიამ, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი (ამჟამად გენერალ-მაიორი) ნიკოლოზ ტარიელის ძე თავართქილაძე. 76-ე მსროლელმა დივიზიამ ჯერ კიდევ 1942 წლის ნოემბრის თვეში გადალახა მდინარე დონი და დაიკავა ქ. კლეტსკი — პლაცდარმი დონის დასავლეთ ნაპირზე. ჰიტლერელები დაჟინებით ცდილობდნენ მდინარეში გადაეყარათ საბჭოთა ჯარები და მოესპოთ პლაცდარმი, მაგრამ მათ მრავალგზის ცდას წარმატება არ მოჰყოლია. 76-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლები თავგანწირვით იცავდნენ პლაცდარმს, რომელიც 19 ნოემბერს გამოიყენეს როგორც კონტრშეტევის საწყისი რაიონი. 76-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლთა გმირობას მაღალი შეფასება მისცა ჩვენმა სარდლობამ. დივიზიას გვარდიის სახელი მიენიჭა და შემდგომ იწოდებოდა 51-ე გვარდიულ მსროლელ დივიზიად. ეს დივიზია სხვა ნაწილებთან ერთად 1942 წლის 19 ნოემბერს კონტრშეტევაზე გადავიდა და ბევრი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტთა ჯარებისაგან.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები წარმოებდა 25—26 ნოემბერს მტრისაგან სოფ. დიმიტროვკის და სოფ. კარპოვკის (70 კილომეტრზე სტალინგრადის დასავლეთით) განსათავისუფლებლად. კარპოვკასთან მოწინააღმდეგის დაჯგუფების განადგურების დროს ურთიერთმოქმედებდა ორი თანამემამულე: 51-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი თავართქილაძე, რომელიც ჩრდილოეთიდან უტევდა კარპოვკას, და 120-ე მსროლელი დივიზიის მეთაური პოდპოლკოვნიკი (ამჟამად გენერალ-მაიორი) კირილე ჯახუა, რომელსაც იერიში მიჰქონდა ამ სოფელზე დასავლეთიდან. ორივე დივიზიამ ღირსეულად შეასრულა დაკისრებული ამოცანა.

კარპოვკასთან გერმანელ ფაშისტთა დაჯგუფების განადგურების დროს სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის 120-ე მსროლელ დივიზიას, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ჯახუა მეთაურობდა, გვარდიის სახელი მიენიჭა და შემდგომ იწოდებოდა 69-ე გვარდიულ მსროლელ დივიზიად.

შემდგომში ორივე დივიზია აქტიურად მოქმედებდა სტალინგრადთან გარშემორტყმული მტრის დაჯგუფების გასანადგურებლად.

კონტრშეტევის განვითარებასა და სტალინგრადთან გარშემორტყმული მტრის დაჯგუფების დებლოკირების ცდის ჩაშლაში თავი

გამოიჩინეს მე-13 გვარდიული მსროლელი კორპუსის ჯარებმა გენერალ-მაიორ პ. გ. ჩანჩიბაძის მეთაურობით. მათ დაასწრეს მტერს მდინარე მიშკოვის (70—80 კილომეტრზე სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით) ზღუდეზე გასვლა, გზა გადაუღობეს მას სტალინგრადისაკენ და შემდეგ მე-2 გვარდიული არმიის სხვა შენაერთებთან ერთად გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა დაჯგუფება კოტელნიკოვოსთან.

ვერხნე-კუმსკაიას რაიონში (100 კილომეტრზე სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით) 1378-ე მსროლელი პოლკის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა, შემდგომში პოლკოვნიკმა, მიხეილ სტეფანეს ძე დიასამიძემ კარგად გამოიყენა ადგილმდებარეობა, ოსტატურად მოაწყო ცეცხლის სისტემა და ყველა საცეცხლე და ტექნიკური საშუალების ზუსტი ურთიერთმოქმედება. 55-ე სატანკო პოლკის მეთაურ პოდპოლკოვნიკ ა. ა. ასლანოვთან ერთად მან მოიგერია მტრის რამდენიმე გააფთრებული შეტევა და გზა გადაუჭრა სტალინგრადისაკენ.

მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლის კრიტიკულ დღეებში პოდპოლკოვნიკმა მიხეილ სტეფანეს ძე დიასამიძემ დეპეშა მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინისაგან. მასში ნათქვამი იყო: „ვამაყობ თქვენი შეუპოვარი ბრძოლით! არც ერთი ნაბიჯი უკან. ის მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც თავი ისახელეს, წარმოადგინეთ მთავრობის ჯილდოზე“.

მ. დიასამიძის მებრძოლებმა ღირსეულად შეასრულეს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანება და ბევრი მათგანი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიხეილ სტეფანეს ძე დიასამიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა მე-8 საჰაერო არმია, რომელიც ამ ფრონტზე მოქმედ მთელ ავიაციას აერთიანებდა.

საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სტალინგრადის ფრონტის უზრუნველყოფას საჰაერო ძალებით, რადგან მოწინააღმდეგე ამ მიმართულებით მსხვილი საავიაციო შენაერთებით ეწეოდა საომარ მოქმედებას.

სტალინგრადის ბრძოლის მთელი ხნის მანძილზე მე-8 საავიაციო არმიის სარდლის მოადგილედ მუშაობდა ნიჭიერი მფრინავი და, მეთაური, ავიაციის გენერალ-მაიორი, ახლა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ვარდენის ძე ნანეიშვილი.

ჯერ კიდევ 1942 წლის 23 აგვისტოს, როცა მტერი სტალინგრადის ჩრდილოეთით ერზოვკის რაიონში ვოლგისაკენ გაიჭრა, მან აქ გადმოისროლა მე-4 საჰაერო ფლოტის მთელი ავიაცია, რომელმაც ერთი დღის განმავლობაში 2000-ზე მეტი თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

მხოლოდ ამ დღეს, 23 აგვისტოს, საბჭოთა მფრინავებმა, ფრონტის საზენიტო არტილერიასთან ურთიერთმოქმედებით, სტალინგრადის რაიონში მტრის 90 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ჩვენმა სახელოვანმა შევარდნებმა ბრწყინვალედ შეასრულეს მათ წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანა, სასტიკ ბრძოლებში, რომლებიც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, საერთო უპირატესობას მიაღწიეს და ჰაერში ბატონობა მოიპოვეს. ისინი ყოველგვარად უშლიდნენ ხელს მტრის ავიაციას საბჭოთა საბმელეთო ჯარების გეგმაზომიერ დაბომბვაში, საიმედოდ უზრუნველყოფდნენ ჩვენი ძალებისა და საშუალებების დროულ მანევრს, მომაკვდინებელ დარტყმას აყენებდნენ ჰაერიდან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დაჯგუფებას. არღვევდნენ მის საბრძოლო რიგებს, გზას უკაფავდნენ ჩვენს ტანკისტებსა და ქვეით ჯარს სწრაფი შეტევისათვის.

ავიაციის მაიორი (შემდგომში ავიაციის გენერალ-მაიორი) შალვა ლავრენტის ძე ჭანკოტაძე მეთაურობდა სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის განსაკუთრებული დანიშნულების ავიაჯგუფს (შემდგომში ის მეთაურობდა სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის მე-7 და 87-ე პოლკებს და 1-ელ დივიზიას). სტალინგრადისათვის დაძაბულ ბრძოლებში, საფრენოსნო საქმის ოსტატობას დაუფლებული შ. ჭანკოტაძე თავგამოდებით იბრძოდა მტერზე გამარჯვებისათვის. მასთან იყვნენ საუკეთესო თბილისელი მფრინავები — ამბერკი კაციტაძე, ვარტკეს კურკჩიანცი, გრიგოლ ვაშაკიძე, ივანე ბერიძე, დავით პაპუნაშვილი, ალექსანდრე შორნიკოვი და მრავალი სხვა. მთელი თავისი გამოცდილება, ცოდნა და ოსტატობა ამხ. შ. ჭანკოტაძემ მოახმარა სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ინტერესებს.

„მე და ჩემი მფრინავები,—აღნიშნავს ამხ. შ. ჭანკოტაძე,—ყოველთვის განსაკუთრებული ხალისით ვკისრულობდით სარდლობის ძიერ მოცემულ საპასუხისმგებლო დავალებათა შესრულებას. დღისით და ღამით, კარგ ამინდსა თუ უამინდობაში ჩვენი თვითმფრინავები მუდამ მზად იყვნენ მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა დასახმარებლად“.

მფრინავი კომუნისტი ამბერკი პოლიკარპეს ძე კაციტაძე გაბედული გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პილოტია. სტალინგრადთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს მის ეკიპაჟს ბევრჯერ გადაუსერია დიდად სახიფათო საჰაერო გზა. იგი ამჟამადაც განაგრძობს სასარგებლო შრომას, მიუხედავად ომში მიღებული მძიმე ტრავმისა.

მფრინავ ვარტკეს ქრისტეფორეს ძე კურჩიანცმა, ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მრავალჯერ გამოამჟღავნა სამშობლოსათვის თავდადების, ოსტატობისა და სწრაფი ორიენტირების უნარი. მას ხშირად უხდებოდა ფრენა მტრის ზურგშიც. 1942 წლის ნოემბერში. როდესაც საბრძოლო ამოცანის საუკეთესოდ შესრულების შემდეგ მოფრინავდა მტრის ზურგიდან, მოულოდნელად თავს დაესხნენ გერმანელთა გამანადგურებლები. უთანასწორო ბრძოლის შემდეგ ამხ. ვ. კურჩიანცის დაზიანებული თვითმფრინავი მაინც განაგრძობდა ფრენას აეროდრომისაკენ, მაგრამ ვერ მიაღწია და ვოლგაში ჩავარდა სოფ. ერზოვკის სამხრეთით. ასე უდროოდ გამოეცალა მებრძოლთა რიგებს შესანიშნავი ადამიანი.

ახალგაზრდა მფრინავი კომკავშირელის გრიგოლ ნოეს ძე ვაშაკიძის ვაჟკაცობა, გამბედაობა და უნარიანი საქმიანობა ბრძოლის ველზე ბევრჯერ ყოფილა მადლობით მოხსენიებული. გ. ვაშაკიძის საატესტაციო ფურცელში წერია: „შემსრულებელი, დისციპლინიანი და კვალიფიციური მფრინავია, უყვარს თავისი საქმე...“ იგი არის მემკვიდრე პირველი მსოფლიო ომის გმირის ტარასი ვაშაკიძისაჟ რომელსაც მეტსახელად „შაითან-კაპიტანს“ ეძახდნენ[1].

---

[1] 1914 წლის 22 დეკემბერს რუსეთ-თურქეთის ომის დროს სარაყამიშის რაიონში მოხდა ასეთი შემთხვევა. 156-ე დარუბანდის პოლკის ასეულმა, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე, დაატყვევა და წამოიყვანა თურქეთის მე-9 კორპუსის მეთაური გენერალი ისხან ფაშა, სამი დივიზიის მეთაური, გენერლები: მე-17 დივიზიის მეთაური ტახირ-ბეი, 28-ე დივიზიის მეთაუ-

მას ბევრჯერ უხიფათოდ დაუღწევია თავი რთული საჰაერო ბრძოლებიდან, მაგრამ 1942 წლის დეკემბრის დამლევს ბედმა უმტ-

---

რი არიფ-ბეი, 29-ე დივიზიის მეთაური ეხდემ-ბეი, 80 ოფიცერი, 1306 ასკერი და ხელთ იგდო უამრავი ნადავლი.

ეს არაჩვეულებრივი ისტორიული შემთხვევა ასე მოხდა: თურქების მე-9 კორპუსი დაჟინებით მიიწევდა წინ, ჩრდილოეთისაკენ. მის წინააღმდეგ რუსების მცირერიცხოვანი ჯარი მოქმედებდა. საჭირო იყო თურქების პოზიციის დეტალურად დაზვერვა და მათი განზრახვების დაზუსტება, რაც კაპიტან ტ. ვაშაკიძის ასეულს დაევალა. ასეულის შემადგენლობაში 128 ჯარისკაცი და 1 ოფიცერი იყო. მათ გეზი ტურნაგელის ქედის მიმართულებით აიღეს. სუსხიანი ღამე იყო, თოვლი, ძლიერი ყინვა, ქარბუქი. ასეულს ციცაბო კლდეებზე უხდებოდა ცოცვა, თანაც შეუმჩნეველად გვერდი უნდა აევლოთ მტრის საცეცხლე წერტებისათვის, რათა არ გამოემჟღავნებინათ თავიანთი მოქმედება. გათენებისას ასეულმა დაიკავა მაღალი მთა, საიდანაც კარგად მოჩანდა თურქების განლაგება. მტერმა შეამჩნია ტ. ვაშაკიძის ასეული და ცეცხლი გაუხსნა. კრიტიკული წუთები დადგა. უკან დახევა არ შეიძლებოდა, არც დამხმარე ძალა იყო ახლოს. ასეულს განადგურება ემუქრებოდა. ასეთ დაძაბულ პირობებში ტ. ვაშაკიძემ განუმეორებელი გმირობა გამოიჩინა. მან გასცა ბრძანება და ასეული ხმამაღლა ვაშას ყიჟინით ხიშტით იერიშზე გადაიყვანა. ამ გაბედულმა მოქმედებამ, მთებში „ვაშას“ გამოძახილმა (ექომ) თურქებში არეულობა შეიტანა. იფიქრეს, ალბათ, რუსების დიდი ძალებით ვართ გარემოცულიო, უკან დაიხიეს და შემდეგ ბრძოლაც შეწყვიტეს. სწორედ ამ დროს ძლიერი ქარბუქი იყო, მხედველობა ძალზე განსაზღვრული, რამაც უთუოდ ხელი შეუწყო ასეულის მოქმედებას.

ბრძოლის დროს ტ. ვაშაკიძესთან გამოცხადდნენ თურქების პარლამენტიორები — მოლა და ოფიცერი. კორპუსის მეთაურის გენერალ-ფაშას დავალებით მათ ითხოვეს ბრძოლის შეწყვეტა თურქების ჯარის სრული გარემოცვის გამო. კაპიტანი ტ. ვაშაკიძე უცებ გაერკვა მდგომარეობაში, ჩქარი ნაბიჯით მივიდა ისხან-ფაშასთან და აუღელვებლად, თავდაჯერილად გამოუცხადა, რომ მისი ჯარები გარემოცულია რუსების დიდი ძალებით, თვითონ კი მხოლოდ მოწინავე რაზმს შეთაურობს და მოითხოვა თურქებს უსიტყვოდ დაეყარათ იარაღი. კორპუსის მეთაური ისხან-ფაშა თავის შტაბიანად ტყვედ დანებდა. როდესაც ისხან-ფაშა რუსების არმიის შტაბში მიიყვანეს, იკითხა, რომელი ნაწილებით იყო გარემოცული მისი კორპუსი და ვინ დაატყვევა იგი. როდესაც გაიგო, რომ მხოლოდ ტ. ვაშაკიძის ასეულმა ჩაიდინა ეს გმირობა, ბრაზმორეულმა ფაშამ მუშტი მაგიდას დაარტყა და დაიყვირა: „შაითან კაპიტან“, „შაითან კაპიტან“ (შაითან თათრულად ნიშნავს ეშმაკს). ეს ზედმეტი სახელი ტ. ვაშაკიძეს სიკვდილამდე შერჩა (იგი გარდაიცვალა 1937 წ. ქ. თბილისში). ტ. ვაშაკიძის ასეულის ყველა მებრძოლი წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა. პირადად ტ. ვაშაკიძემ წმ. გიორგის ჯვრის გარდა საფრანგეთის მედალი მიიღო.

ყენა და როდესაც უკან ბრუნდებოდა საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ. ფაშისტების გამანადგურებლებმა მოულოდნელად გზა გადაუჭრეს ქ. ურიუპინსკთან (სტალინგრადის ოლქი). უთანასწორო ბრძოლაში გ. ვაშაკიძის თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა. ასე დაიღუპა ეს შესანიშნავი ადამიანი.

+ სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ფაშისტებზე გამარჯვების ისტორიაში კომკავშირის აღზრდილებმა დავით ალექსანდრეს ძე პაპუნაშვილმა და ივანე სიმონის ძე ბერაძემ. ისინი მრავალჯერ გადაფრენილან დატვირთული თვითმფრინავებით ფრონტის ხაზზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი დამსახურება მტრის ზურგში მოქმედი საბჭოთა არმიის ნაწილებისა და პარტიზანთა დახმარების საქმეში.

ასევე წარჩინებით იბრძოდა სტალინგრადის ოპერაციაში თავის მეგობრებთან ერთად სახელმოხვეჭილი მფრინავი ალექსანდრე სერგის ძე შორნიკოვი. აი რას სწერდა იგი მეუღლეს ფრონტიდან თბილისში: „სიკვდილისა არ ეშინია იმას, ვისაც სილაჩრე არ ახასიათებს. თქვენ იცით, რომ ჩემთვის სილაჩრის გრძნობა უცხოა და იმედი გქონდეთ ან დაებრუნდები სამშობლოს წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი. დაებრუნდები სახელოვნად, ისე რომ ჩემმა ბავშვებმა იამაყონ მამით, და ან აღარ დაებრუნდები. მაშინ, ჩემო მეგობარო, შენ უნდა უპატრონო ჩვენს პატარებს, შენ უნდა აღზარდო ისინი სამშობლოს ერთგულ შვილებად და ჩაუნერგო მათ მტკიცე გადაწყვეტილება, რომ იბრძოლონ იმ საქმისათვის, რომლის დასაცავად მათმა მამამ სიცოცხლე შესწირა...“

შემდგომში ა. შორნიკოვმა განსაკუთრებით ისახელა თავი იუგოსლავიის სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელთა გადარჩენაში. როგორც ცნობილია, 1944 წლის მაისის მეორე ნახევარში გერმანელი დამპყრობლები ძლიერ ავიწროებდნენ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლეს შტაბს. შეიქნა მისი განადგურების საფრთხე. საჭირო იყო შტაბის ადგილსამყოფელის სასწრაფოდ შეცვლა.

4 ივნისს, ღამით, საბჭოთა სამხედრო მისიის თვითმფრინავმა, რომელსაც მფრინავი ალექსანდრე სერგის ძე შორნიკოვი მართავდა,

ორი რეისით კუპრეშკოს მინდვრიდან (75—80 კმ. სარეკოს დასავლეთით) ჩაიყვანა ბარიში (იტალია) მარშალი ი. ტიტო, იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და უმაღლესი შტაბის ძირითადი შემადგენლობა. შემდგომში ისინი გადავიდნენ კუნძულ ვისზე. ამრიგად, ჩაიფუშა გერმანელთა განზრახვა, გაენადგურებინათ იუგოსლავიის სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელები.

ა. შორნიკოვს დიდ სამამულო ომში მამაცობისათვის, საბრძოლო ამოცანების სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ის აგრეთვე იუგოსლავიის გმირია.

1184-ე ტანკსაწინააღმდეგო პოლკს (მთავარსარდლის რეზერვი) მეთაურობდა გვარდიის პოლკოვნიკი ლონგინოზ დავითის ძე ერისთავი. ის მოქმედებდა სტალინგრადის ბრძოლებში პირველ გვარდიულ და 21-ე არმიაში. ლ. ერისთავმა გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ ბრძოლებში ბევრჯერ ისახელა თავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საზრიანი მოქმედება 1942 წლის ნოემბერში მდ. დონის გადალახვის დროს, ქ. კლეტსკის აღებისას. მართალია, კლეტსკი — პლაცდარმი დონის მარჯვენა ნაპირზე — ჩვენმა ჯარებმა აიღეს ღამით მტრისთვის მოულოდნელად. მაგრამ, როგორც კი ინათა, მტერი გაერკვა მდგომარეობაში და მძლავრი კონტრდარტყმით — ტანკებით, არტილერიით, ავიაციით და მოტორიზებული ქვეითი ჯარით შეეცადა აღედგინა მდგომარეობა. დაძაბულ ბრძოლებში მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა. ლ. ერისთავმა შეძლო თავისი მამაცი არტილერისტებით შეებოჭა მტრის ტანკების მოქმედება და იძულებული გაეხადა გერმანელები უარი ეთქვათ შეტევით მოქმედებაზე ამ რაიონში, რითაც ქ. კლეტსკის რაიონში პლაცდარმი საბოლოოდ დაისაკუთრეს ჩვენმა ნაწილებმა. სტალინგრადთან საერთო შეტევის დროს ეს პლაცდარმი გამოყენებულ იქნა როგორც საწყისი პოზიცია მტერზე შეტევისათვის. შემდგომში ლონგინოზ ერისთავს როგორც საუკეთესო ოფიცერს ნიშნავენ საარტილერიო ბრიგადის მეთაურად. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კურსკის შვერილზე დიდ ბრძოლებში და სამამულო ომის სხვა ოპერაციებში.

სტალინგრადის ოპერაციაში გმირულად იბრძოდა ახალგაზრდა ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი, ამჟამად პოდპოლკოვნიკი რევაზ ივანეს ძე ჭანტურია, რომელიც საარტილერიო ბატარეას მეთაურობდა 244-ე მსროლელი დივიზიის 776-ე საარტილერიო პოლკში (62-ე არმია). უშუალოდ ქალაქ სტალინგრადისათვის ბრძოლების დროს რევაზ ჭანტურიას ბატარეას საცეცხლე პოზიცია ეჭირა ვოლგის მარჯვენა ნაპირზე — მუსკომედიის თეატრსა და მდინარე პიონერსკას შორის, სწორედ იქ, სადაც იყო მდინარე ვოლგაზე ცენტრალური გადასასვლელი.

გერმანელი ფაშისტები დღედაღამ განაგრძობდნენ გააფთრებულ იერიშებს ამ მიმართულებით. ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მამაის ყორღანი და სტალინგრადის ცენტრალური სადგური (რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა), გაჭრილიყვნენ ვოლგაზე ლენინის მოედანსა და გმირთა ხეივნის უბანზე, ხელთ ეგდოთ ჩვენი ცენტრალური გადასასვლელი.

244-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა და მათ შორის რევაზ ჭანტურიას ბატარეამ ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ყოველ ღონეს მიმართავდა, მაინც ვერ შეძლო მიზნის მიღწევა.

სტალინგრადის შემდგომ რევაზ ჭანტურია იბრძვის უკრაინის განთავისუფლებისათვის. იგი მონაწილეა მთელი რიგი ბრძოლებისა: პავლოგრადის (დნეპროპეტროვსკის ოლქი), ნიკოპოლის, ოდესის და მრავალი სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მამაცობა ქ. პავლოგრადის მახლობლად 1943 წლის თებერვლის შუა რიცხვებში. რევაზ ჭანტურიას ბატარეამ მოიგერია მტრის დიდძალი ტანკების რამდენიმე შემოტევა და მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში დაწვა მტრის 12 ტანკი. ამ ბრძოლებში მსუბუქად დაიჭრა რევაზ ჭანტურია, მაგრამ წყობილებიდან არ გამოსულა. ის აგრეთვე მოლდავეთის სსრ (კიშინიოვის), რუმინეთის, ბულგარეთის და იუგოსლავიის განთავისუფლების მონაწილეა.

ყირიმში საბრძოლო ნათლობის მიღების შემდეგ, სტალინგრადის ფრონტზე, 57-ე არმიაში პოლიტგანყოფილების ლექტორად მუშაობდა კაპიტანი, ამჟამად მაიორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქ-

ტორი, პროფესორი გრიგოლ ვასილის ძე ბრეგაძე. ის არა მარტო ლექციებს კითხულობდა ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან, არამედ ეწეოდა დიდ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას დივიზიებში, პოლკებში. ეხმარებოდა ნაწილების მეთაურებს და მათს მოადგილეებს პოლიტიკურ დარგში, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს პირადი შემადგენლობის მომზადებაში. ოპერაციის მსვლელობის დროს გრიგოლ ბრეგაძე ბრძოლის ველზე უშუალოდ უწევდა დახმარებას ყველა კატეგორიის მეთაურებს საბრძოლო ამოცანების წარჩინებით შესრულებაში. მას ყოველთვის იმ ნაწილებში ნახავდით, სადაც რთული ვითარება შეიქმნებოდა.

იგი დაუღალავად მუშაობდა, რომ მოკლე დროში თითოეული ოფიცრის და ჯარისკაცის შეგნებამდე დაეყვანა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1942 წლის 28 ივლისის № 227 ბრძანების შინაარსი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არმიის ნაწილებში სამხედრო დისციპლინისა და ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მათი პოლიტიკური, მორალური მდგომარეობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ გ. ბრეგაძე იბრძოდა ლენინგრადის მისადგომებთან, ბელორუსიაში, აღმოსავლეთ პრუსიაში და მანჯურიაში.

მოსკოვის მისადგომებთან საბრძოლო ნათლობის შემდეგ სტალინგრადისათვის ბრძოლებში სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო 156-ე გამაგრებული რაიონის ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაურმა კაპიტანმა კარლო მეგრელიშვილმა. მან თავი ისახელა, როგორც ნიჭიერმა ოფიცერმა, საარტილერიო ცეცხლის დიდმა ოსტატმა, როგორც მოგერიებითი, ისე შეტევითი ბრძოლების დროს სტალინგრადის რაიონში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მამაცობა 1942 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში სოფელ ორლოვკისათვის (მდებარეობს 8 კილომეტრზე სტალინგრადის ჰესის დასავლეთით) ბრძოლაში, მტრის 5 ტანკი გამოიყვანა წყობილებიდან და გზა გაუკაფა ჩვენს ტანკებს და ქვეით ჯარს ორლოვკისაკენ.

სტალინგრადთან დიდ ბრძოლაში, გარდა ზემოთ დასახელებული მეთაურებისა, მონაწილეობდნენ და გმირულად მოიხადეს თავიანთი ვალი დედასამშობლოს წინაშე საქართველოს სახელოვანმა შეი-

ლებმა: პოლკოვნიკმა კუხალეიშვილმა, პოლკოვნიკმა ჩიტაიშვილმა, პოლკოვნიკმა ა. დალაქიშვილმა, პოლკოვნიკმა ლ. ლომთათიძემ, პოლკოვნიკმა ვ. გ. წილოსანმა, პოდპოლკოვნიკმა ტ. სოხაძემ, კაპიტანმა დ. კოლიტოვმა, კაპიტანმა დ. კ. გვრიტიშვილმა (ამჟამად პროფესორი), კაპიტანმა მ. სვანიძემ, პოლიტხელმა ნ. იაშვილმა, კონსტანტინე ბარათაშვილმა, პეტრე გოლიაძემ, ნიკოლოზ ტიგიშვილმა, გიორგი სუხიშვილმა, ნიკოლოზ ლონდარიძემ, რ. ა. ლოლაძემ, კ. ვ. ხოპოლავამ. დ. ს. ვერულავამ, უფროსმა ლეიტენანტმა, მფრინავმა საბჭოთა კავშირის გმირმა გ. თვაურმა, ლეიტენანტმა მფრინავმა, გ. სანიშვილმა. საბჭოთა კავშირის გმირებმა ჭ. ბენდელიანმა, გვენცაძემ, ბუაჩიძემ, გოცირიძემ, ლეჟავამ, ჩოჩიევმა, თავაძემ, ი. ციციშვილმა (ამჟამად პროფესორი) და ზ. ხითარიშვილმა, მამაცმა მზვერავებმა დავით ჩაფიჩაძემ, გიორგი პაპინაშვილმა და მრავალმა სხვამ.

კონტრშეტევის განვითარება და მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების დეგლოკირების ცდის ლიკვიდაცია საბჭოთა ჯარების მიერ

მე-6 არმიის მთლიანად და მე-4 სატანკო არმიის ნაწილის გარშემორტყმის დამთავრების შემდეგ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა შეუდგა ჩვენი ჯარების შეტევის საერთო ფრონტის გაფართოების გეგმის განხორციელებას.

ამ მიზნით დაიწყო მომზადება შეტევითი ოპერაციისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების და ვორონეჟის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარების ძალებით. ოპერაციის მიზანი იყო ნოვაია კალიტვა-ვეშენსკაიას ფრონტის ხაზზე თავდაცვაში მყოფი იტალიელთა მე-8 არმიის, აგრეთვე მდინარე ჩირისაკენ და ტორმოსინის რაიონში ნოემბრის შეტევის დროს უკუგდებული მტრის ჯარების განადგურება.

ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარების შედეგად ჩვენს ჯარებს გზა ეხსნებოდათ შეტევის შემდგომი განვითარებისათვის დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. გარდა ამისა, ამ ოპერაციის ჩატარებას უნდა უზრუნველეყო სტალინგრადთან გარშე-

მორტყმული მტრის დაჯგუფების განადგურების ოპერაციის წარმატებით დამთავრება.

ეს ამოცანა უნდა გადაჭრილიყო ურთიერთშემხვედრი მიმართულებით ორი დარტყმის მიყენების გზით: ერთი — ვერხნე-მამონის სამხრეთით მდებარე პლაცდარმიდან სამხრეთისაკენ, მეორე — ჩერნიშევსკაიას ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან დასავლეთისაკენ, მილეროვოს საერთო მიმართულებით.

ოპერაციის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი იყო აგრეთვე დარტყმა სამხრეთიდან — მდინარე ჩირის ქვემო დინებიდან, ტაცინსკაიას საერთო მიმართულებით.

ამ ოპერაციის შედეგად საბჭოთა ჯარები უნდა გასულიყვნენ ზღუდეზე: ნოვაია კალიტვა, მარკოვკა, მდინარე დერკული ვოლოშინომდე, მილეროვო, ილინკა, მდინარე კალიტვა, მდინარე ჩრდილო დონეცი შესართავამდე, და შემდეგ წინ წაეწიათ კამენსკისაკენ მოძრავი ნაწილები — პლაცდარმის დასაკავებლად მდინარე ჩრდილო დონეცის მარჯვენა ნაპირზე ლიხაიას რაიონში.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გასაძლიერებლად ჯერ კიდევ ნოემბრის შეტევის პერიოდში მთავარბანაკის რეზერვიდან მთელი რიგი შენაერთები გაიგზავნენ. სტალინგრადის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე, მდინარე ლისკას შესართავიდან ვერხნე-რუბეჟნამდე მდებარე უბანზე. მთავარბანაკის რეზერვიდან გადმოსროლილ იქნა მე-5 დამკვრელი არმია. ამ არმიას გადაეცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-5 სატანკო არმიისა და სტალინგრადის ფრონტის 57-ე არმიის ძალების ნაწილი.

გარდა ამისა, სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობაში მთავარბანაკის რეზერვიდან გაიგზავნენ მთელი რიგი შენაერთები და ნაწილები. დონის ფრონტი გაძლიერებულ იქნა მე-2 გვარდიული არმიით, რომელიც თავს იყრიდა ვერტიაჩის რაიონში.

იმ მიზნით, რათა მოეხდინა თავისი გარშემორტყმული დაჯგუფების დებლოკირება, გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ გადაწყვიტა თავი მოეყარა ახალი ძალებისათვის კოტელნიკოვოსა და ტორმოსინის რაიონებში, განევითარებინა შეტევა სტალინგრადის მიმართულებით და გაერღვია გარემოცვის ფრონტი გერმანელთა მე-6 არმიისა და მე-4 სატანკო არმიის ნაწილის ირგვლივ, შემდეგ კი ამ არმიების ჯარებთან ერთად აღედგინა საერთო მდგომარეობა სტალინ-

გრადთან. ამ ოპერაციის ჩასატარებლად შეიქმნა არმიების ჯგუფი „დონი“ გენერალ-ფელდმარშალ მანშტაინის სარდლობით.

არმიების ჯგუფი „დონი“ გაიშალა 600-კილომეტრიან ფრონტზე ვეშენსკაიადან მდინარე მანიჩამდე. იგი თავის შემადგენლობაში, სტალინგრადთან გარშემორტყმული დაჯგუფების გარდა, ითვლიდა 30-მდე დივიზიას, მათ რიცხვში — ექვს სატანკოს და ერთ მოტორიზებულს. ჩვიდმეტი დივიზია ამ ჯგუფის შემადგენლობიდან მოქმედებდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ზოლში, ხოლო ცამეტი დივიზია — სტალინგრადის ფრონტის მე-5 დამკვრელი და 51-ე არმიების წინააღმდეგ.

1942 წლის 12 დეკემბერს, დილით, მოწინააღმდეგის დაჯგუფება ახლად ფორმირებული მე-4 სატანკო არმიისა და რუმინელთა მე-4 არმიის (საარმიო ჯგუფი „გოტი“) შემადგენლობით შეტევაზე გადავიდა კოტელნიკოვოს რაიონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ტიხორეცკ-სტალინგრადის რკინიგზის გასწვრივ.

ამ მიმართულებით მოქმედი 51-ე არმიის ჯარები სამი მსროლელი. სამი ცხენოსანი და ერთი სატანკო ბრიგადის შემადგენლობით, მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობის გამო, იძულებული იყვნენ შეუპოვარი ბრძოლებით უკან დაეხიათ მდინარე აკსაისაკენ. 15 დეკემბერს მოწინააღმდეგის შეტევა შეჩერებულ იქნა ამ მდინარის ზღუდეზე.

51-ე არმიის ჯარებმა მდინარე აკსაის ზღუდის მისადგომებთან ოთხი დღის შეუპოვარი ბრძოლების შედეგად მნიშვნელოვნად დაასუსტეს მოწინააღმდეგის კოტელნიკოვოს დაჯგუფების დამკვრელი ძალა და აიძულეს გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ახალი ძალების მოსვლამდე შეეჩერებინა შეტევა მდინარე აკსაისთან.

რამდენადაც სტალინგრადთან გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციის ოპერაცია გაჭიანურდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი განხორციელებისათვის აუცილებელი იყო დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, აგრეთვე იმის გამო, რომ კოტელნიკოვოს მიმართულებით მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა, ხოლო ტორმოსინის რაიონში მან მნიშვნელოვან ძალებს მოუყარა თავი, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გადაწყვიტა შეეცვალა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დარტყმების ადრე დაგეგმილი მიმართულება. ამასთან, მხედველობაში იყო მიღებული იტალიელთა მე-8 არმიის

ჯარებისა და ოპერატიული ჯგუფის „ჰოლიდტის“ განადგურების შემდეგ ძირითადი ძალებით ტორმოსინის რაიონში თავმოყრილი მტრის დაჯგუფების ფლანგზე გასვლა. შექმნილ ვითარებაში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალს ებრძანა უზრუნველეყო დონის ფრონტის ჯარების მოქმედება და სტალინგრადის ფრონტთან ურთიერთმოქმედებით ჩაეფუშა გერმანელთა სარდლობის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ალყაში მოქცეული დაჯგუფების განთავისუფლებას.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა ვერხნე-მამონის რაიონიდან არა სამხრეთის მიმართულებით, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისი უახლოესი ამოცანა იყო 1-ლი და მე-3 გვარდიული არმიების ძალებით, ვორონეჟის ფრონტის მარცხენა ფლანგზე განლაგებული მე-6 არმიის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით, გარემოეცვა და გაენადგურებინა იტალიელთა მე-8 არმია, აგრეთვე მტრის დაჯგუფება ბოკოვსკაიას რაიონში და შემდგომ განეგრძო შეტევა მოროზოვსკზე.

დაზუსტებული გეგმის თანახმად, 1-ლ გვარდიულ არმიას უნდა გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა ვერხნე-მამონის სამხრეთით მდებარე რაიონში არსებული პლაცდარმის წინ და განევითარებინა შეტევა სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გარემოეცვა დასავლეთიდან და გაენადგურებინა იტალიელთა მე-8 არმიისა და „ჰოლიდტის“ ჯგუფის ძალები და შემდეგ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით სწრაფი შეტევით გასულიყო ტაცინსკაიას და მოროზოვსკის რაიონებში.

მე-3 გვარდიულ არმიას უნდა გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა ბოკოვსკაიას რაიონში, განეხორციელებინა დარტყმა მოროზოვსკის საერთო მიმართულებით, ძალების ნაწილით სამხრეთიდან გარემოეცვა მტრის აღნიშნული დაჯგუფება და ოპერაციის ბოლოსათვის გასულიყო ნიკოლსკაია-ტაცინსკაიას ზღუდეზე.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-5 სატანკო არმია და სტალინგრადის ფრონტის მე-5 დამკვრელი არმია შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ ტაცინსკაიას საერთო მიმართულებით და ტორმოსინთან გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის დაჯგუფება.

დასავლეთიდან ოპერაცია უზრუნველყოფილი იყო ვორონეჟის ფრონტის მე-6 არმიის შეტევით კანტემიროვკაზე.

ვორონეჟის ფრონტის მე-6 არმიის მოქმედებისათვის მხარი უნდა დაეჭირა მე-2 საჰაერო არმიის ავიაციას, 1-ლი და მე-3 გვარდიული არმიების მოქმედებისათვის — მე-7 საჰაერო არმიას.

მართალია, ჩვენი ძალები აქ ოდნავ აღემატებოდნენ მოწინააღმდეგისას, მაგრამ საბჭოთა სარდლობამ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მიღწევა მთავარ დარტყმათა მიმართულებით.

სამხრეთ-დასავლეთის და ვორონეჟის (სარდალი — გენერალ-ლეიტენანტი გოლიკოვი) ფრონტების დამკვრელ დაჯგუფებათა შეტევა დაიწყო ერთდროულად 16 დეკემბერს, დილით, საათნახევრიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ. იმის გამო, რომ შეტევის საარტილერიო მომზადება მიმდინარეობდა დილით ბურუსიან ამინდში, არტილერიას არ ჰქონდა შესაძლებლობა ეწარმოებინა სროლა ხილული დამიზნებით. ამიტომ არ მოხერხდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტებისა და საშუალებების სრული ჩახშობა. თავდაცვის გარღვევა გაჭიანურდა. მტრის ჯარები ხშირად გადმოდიოდნენ კონტრშეტევაზე.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის სწრაფად დამთავრების მიზნით ოპერაციის პირველივე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 1-ლი გვარდიული და მე-6 არმიების სატანკო კორპუსები, ხოლო 17 დეკემბერს — მე-3 გვარდიული არმიის მექანიზებული კორპუსი.

სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად მტრის თავდაცვა გაარღვიეს ხუთი მიმართულებით. მოწინააღმდეგის ფრონტი ნოვაია კალიტვიდან ჩერნიშევსკაიამდე, რომლის სიგრძე 200 კილომეტრს აღწევდა, დანაწევრებული აღმოჩნდა ოთხ იზოლირებულ უბნად.

მთავარი დარტყმის მიმართულებით 1-ლი გვარდიული და მე-6 არმიების შეტევის ზოლში მტრის თავდაცვა გარღვეულ იქნა 60-კილომეტრიან ფრონტზე და 40 კილომეტრამდე სიღრმეზე. ამ არმიების ჯარები 18 დეკემბერს დღის ბოლოს თავისი სატანკო კორპუსებით გავიდნენ მდინარე ბუგუჩარის სამხრეთ ნაპირზე.

მე-3 გვარდიული არმიის ზოლში მოწინააღმდეგის თავდაცვა გარღვეულ იქნა 20 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე და 15 კილომეტრამდე სიღრმეზე.

მხოლოდ მე-5 სატანკო არმიის დამკვრელმა ჯგუფმა ვერ შეძლო მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა. მაგრამ მან მტკიცედ შე-

ბოჭა მის წინააღმდეგ მოქმედი რუმინელთა მე-3 არმიის შენაერთები.

იტალიელთა მე-8 არმიის სარდლობის ცდას, შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა მდინარე ბუგუჩარისაკენ, შედეგი არ მოჰყოლია. დემორალიზებულმა იტალიელთა და გერმანელთა ჯარებმა ფრონტიდან ჩვენი მსროლელი შენაერთების, ხოლო ფლანგებიდან და ზურგიდან სატანკო და მექანიზებული კორპუსების დარტყმების შედეგად დაკარგეს ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი უნარი და უწესრიგოდ იწყეს უკანდახევა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

მე-6 არმიის (რომელიც 19 დეკემბერს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს გადაეცა) და 1-ლი გვარდიული არმიის სატანკო კორპუსები, აგრეთვე მე-3 გვარდიული არმიის მექანიზებული კორპუსი ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის უკანდახეულ კოლონებს და ზურგს, სწრაფად ავითარებდნენ შეტევას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და 24 დეკემბერს დღის ბოლოსათვის გავიდნენ ზღუდეზე მილეროვო-ტაცინსკაია-მოროზოვსკი, სადაც ბრძოლაში ჩაებნენ მტრის ახალ დივიზიებთან. ეს დივიზიები გერმანელ ფაშისტთა სარდლობის მიერ ფრონტის სხვა უბნებიდან იქნა გადმოსროლილი. 3 დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლების შედეგად ფრონტის მოძრავმა ჯარებმა წინ წაიწიეს 100 — 200 კილომეტრით.

ფრონტის მსროლელმა შენაერთებმა მოძრავი ჯარების წარმატების შედეგად 24 დეკემბერს დღის ბოლოს დაამთავრეს ალექსეევო-ლოზოვსკოესა და ვერხნე-ჩირსკაიას რაიონებში გარშემორტყმული მტრის დაჯგუფების (8 დივიზიის) განადგურება და განავითარეს შეტევა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

იტალიელთა მე-8 არმიისა და არმიების ჯგუფის „დონის" მარცხენა ფრთის („ჰოლიდტის" ჯგუფის და რუმინელთა მე-3 არმიის) განადგურებასთან დაკავშირებით გერმანელ ფაშისტთა სარდლობა იძულებული იყო დაუყოვნებლივ გადმოესროლა აქ ჯარები ფრონტის სხვა უბნებიდან, აგრეთვე საფრანგეთიდან მოსული შენაერთები, რათა შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების შემდგომი შეტევა. ამ შეტევის განვითარება ღრმა გარემოცვით ემუქრებოდა ტორმოსინისა და კოტელნიკოვოს რაიონებში თავმოყრილი გერმანელთა ჯარების დაჯგუფების მარცხენა ფრთას, აგრეთვე ქმნიდა ვორონეჟის მიმარ-

თულებით მოქმედი გერმანელ-უნგრელთა დაჯგუფების მარჯვენა ფრთის გარემოცვის საშიშროებას.

ბრძოლების მსვლელობაში გერმანელთა სარდლობამ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების შეტევის ზოლში გადმოისროლა ოთხი სატანკო და ოთხი ქვეითი დივიზია, რომლებსაც ევალებოდათ სტალინგრადზე შეტევა და თავისი გარშემორტყმული დაჯგუფების განთავისუფლება.

24 დეკემბერს ჩვენი ჯარები ბრძოლაში ჩაებნენ გერმანელთა ახალი ძალების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ჩერტკოვოს სამხრეთით, მილეროვოს რაიონში, ტაცინსკაიას რაიონში და მოროზოვსკის ჩრდილოეთით.

მოწინააღმდეგის ცდებს, მაშველი ძალების მეოხებით აღედგინა მდგომარეობა შუა დონის რაიონში, წარმატება არ მოჰყოლია. 30 დეკემბერს დღის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები გავიდნენ ზღუდეზე ნოვაია კალიტვა-სკასირსკაია-ჩერნიშკოვსკი, სადაც მტკიცედ გამაგრდნენ, წარმატებით შეასრულეს რა მათ წინაშე დასმული ამოცანა.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ძალებმა და ვორონეჟის ფრონტის ჯარების ნაწილმა დეკემბრის შეტევის შედეგად გაანადგურეს იტალიელთა მე-8 არმიის, ოპერატიული ჯგუფის „ჰოლიდტის“ ძირითადი ძალები და დაამთავრეს რუმინელთა მე-3 არმიის მოსპობა.

სულ ფრონტის ამ უბანზე მთლიანად იქნა განადგურებული იტალიელთა ხუთი დივიზია და სამი ბრიგადა, გერმანელთა ორი და რუმინელთა ოთხი დივიზია, რომლებიც შემდგომში მოქმედებდნენ როგორც დივიზიების ნარჩენი ძალები.

სამხრეთ-დასავლეთისა და ვორონეჟის ფრონტების ჯარების შეტევის წარმატებით დამთავრებამ საბოლოოდ მოუსპო გერმანელთა სარდლობას სტალინგრადთან გარშემორტყმული დაჯგუფებისათვის დასავლეთიდან, შუა დონის მხრიდან დახმარების გაწევის შესაძლებლობა, შეასუსტა გერმანელთა დაწოლა სტალინგრადის ფრონტის ჯარებზე კოტელნიკოვოს მხრიდან, აგრეთვე ხელსაყრელი პირობები შექმნა საბჭოთა ჯარების შემდგომი შეტევითი ოპერაციებისათვის ვოროშილოვგრადისა და ვორონეჟის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელთა ჯარების შეტევა კოტელნიკოვოს მიმართულებით, რომელიც 12 დეკემბერს დაიწყო, 51-ე

ირმიამ მდინარე აკსაიზე შეაჩერა, ვითარება ფრონტის ამ უბანზე მაინც დაძაბული რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით ფრონტის სარდალმა მდინარე აკსაიზე გადაისროლა მე-13 მექანიზებული კორპუსი 57-ე არმიიდან და ერთი მსროლელი დივიზია და სატანკო ბრიგადა თავისი რეზერვიდან.

გარდა ამისა, ფრონტის სარდლის მითითებით სამმა მსროლელმა დივიზიამ წინასწარ დაიკავა მოგერიებითი პოზიცია მდინარე მიშკოვას ჩრდილოეთ ნაპირზე.

მთავარბანაკის მითითებით მოწინააღმდეგის კოტელნიკოვოს დაჯგუფებასთან საბრძოლველად სტალინგრადის ფრონტს გადაეცა მე-2 გვარდიული არმია დონის ფრონტიდან.

მოწინააღმდეგის კოტელნიკოვოს დაჯგუფების მდინარე აკსაისთან გასვლისა და ამ ზღუდეზე მისი გაჭრის ცდის ჩაფუშვის შემდეგ გერმანელთა სარდლობამ გადააჯგუფა თავისი ჯარები, ამ მიმართულებით ერთი ახალი სატანკო დივიზია გადმოიყვანა და, ამრიგად, ფრონტის ვიწრო უბანზე შექმნა ძლიერი სატანკო დაჯგუფება 300 ტანკის შემადგენლობით.

19 დეკემბერს, დილით, ძლიერი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ მოწინააღმდეგის ჯარებმა განაახლეს შეტევა. გერმანელთა სატანკო დაჯგუფებამ ფრონტის ვიწრო უბანზე გაარღვია 51-ე არმიის ჯარების თავდაცვა და დღის ბოლოს მდინარე მიშკოვასთან გავიდა. მაგრამ აქ იგი შეხვდა ჩვენი ჯარების ორგანიზებულ მოგერიებას, დიდი ზარალი განიცადა და იძულებული გახდა შეეწყვიტა შეტევა.

24 დეკემბრამდე მოწინააღმდეგე არაერთხელ შეეცადა გაერღვია სტალინგრადის ფრონტის ჯარების მოგერიება მდინარე მიშკოვას ზღუდეზე და შეერთებოდა სტალინგრადთან გარშემორტყმული თავისი დაჯგუფების ჯარებს, რომლისგანაც ორმოციოდე კილომეტრით იყო დაშორებული. მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

ყოფილი ჰიტლერელი გენერალი დიორი წერს: „მე-17 სატანკო დივიზიის შეტევა გრომოსლავკაზე მარცხით დამთავრდა ძლიერი თავდაცვის გამო, რომელიც შექმნა აქ რუსების მე-2 გვარდიულმა კორპუსმა. 23-ე სატანკო დივიზია, რომლის აღმოსავლეთის ფლანგი განუწყვეტელ შეტევებს განიცდიდა, კამენკაში გაიჩხირა“[1].

---

[1] Г. Дёрр, Поход на Сталинград, Воениздат, 1957, стр. 95.

მძაფრ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს, აიძულეს იგი შეეწყვიტა შეტევები და 23 დეკემბერს თავდაცვაზე გადასულიყო.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების შეტევის წარმატებამ აიძულა გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ამ უბანზე ჩვენი დარტყმების მოსაგერიებლად გამოეყენებინა ძირითადი ძალები ტორმოსინის დაჯგუფებისა, რომელიც კოტელნიკოვოს დაჯგუფებასთან ერთად სტალინგრადზე შეტევისათვის იყო გათვალისწინებული.

ამრიგად, 24 დეკემბრისათვის გერმანელთა სარდლობის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინგრადთან გარშემორტყმული მე-6 არმიის ჯარებისა და მე-4 სატანკო არმიის ძალების ნაწილის განთავისუფლებას, საბოლოოდ ჩაიფუშა.

ამ დროისათვის მდინარე მიშკოვაზე გაიშალა მე-2 გვარდიული არმია, რომელიც გაძლიერებული იყო ერთი სატანკო კორპუსით. მის მარცხნივ შეტევისათვის მზადებას ამთავრებდა 51-ე არმია, მარჯვნივ მოქმედებდნენ მე-5 დამკვრელი არმიის ჯარები. ჩვენი ავიაცია განუწყვეტლივ ურტყამდა მოწინააღმდეგეს, ამავე დროს, იცავდა მე-2 გვარდიული არმიის თავმოყრას და სტალინგრადის ფრონტის ჯარების გადაჯგუფებას.

მთავარბანაკის, მიერ კოტელნიკოვოს მიმართულებით მოქმედი საბჭოთა ჯარების გაძლიერების მიზნით მიღებულ ღონისძიებათა შედეგად 23 დეკემბრისათვის ძალთა შეფარდება ამ უბანზე მკვეთრად შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ და ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა სტალინგრადის ფრონტის ჯარების შეტევაზე გადასვლისათვის. ეს შეტევა მიზნად ისახავდა კოტელნიკოვოსთან მოწინააღმდეგის დაჯგუფების საბოლოოდ განადგურებას.

1942 წლის 24 დეკემბერს, დილით, სტალინგრადის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ მათ წინააღმდეგ მოქმედი მტრის დაჯგუფების განადგურების მიზნით.

მე-2 გვარდიული არმია მთავარ დარტყმას ახორციელებდა ჩრდილოეთიდან კოტელნიკოვოს მიმართულებით, 51-ე არმია ქალაქს უტევდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ხოლო მისი მე-13 და მე-3 გვარდიული მექანიზებული კორპუსების ამოცანა იყო გაერღვიათ რუმინელთა მე-4 არმიის ფრონტი და ღრმად შემოევლოთ მოწინააღმდეგის დაჯგუფებისათვის სამხრეთიდან.

29 დეკემბერს, დილით, საბჭოთა ჯარები, რომლებმაც გააფთრებულ ბრძოლებში გატეხეს მტრის წინააღმდეგობა, გავიდნენ კოტელნიკოვოს რაიონში. რამდენიმე მხრიდან განხორციელებული მძლავრი დარტყმების შედეგად მათ გაანადგურეს გარნიზონი და გაათავისუფლეს ქალაქი.

მტრის ჯარების ნარჩენებმა სწრაფად დაიხიეს უკან დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

30 დეკემბერს საბჭოთა ჯარები, სდევნიდნენ რა მტერს, გავიდნენ ზღუდეზე: ტორმოსინი-ნიკნე-კურმოიარსკაია-კომისაროვსკი.

1943 წლის 1 იანვრიდან სტალინგრადის ფრონტის 62-ე, 64-ე და 57-ე არმიები. რომლებიც აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ახდენდნენ სტალინგრადთან გარშემორტყმულ გერმანელთა დაჯგუფების ბლოკირებას, დონის ფრონტს გადაეცა. ხოლო მე-5 დამკვრელი არმია — სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს. სტალინგრადის ფრონტს ეწოდა სამხრეთის ფრონტი. მან მიიღო ამოცანა შეტევა განევითარებინა როსტოვის საერთო მიმართულებით.

24-დან 30 დეკემბრამდე სტალინგრადის ფრონტის ჯარების შეტევის შედეგად საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა რუმინელთა მე-4 არმიამ, ხოლო დიდად დაზარალებული გერმანელთა 57-ე სატანკო კორპუსი უკუგდებულ იქნა ზიმოვნიკოვის რაიონში, სტალინგრადიდან 200 კილომეტრის დაშორებით. მოწინააღმდეგის დაჯგუფებამ ტორმოსინის რაიონში ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად ასევე უკან დახევა იწყო.

ვორონეჟის ფრონტის მარცხენა ფრთის, სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარების შეტევითი ოპერაციები, რომლებიც 1942 წლის დეკემბერში განხორციელდა. სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის გაგრძელება და განვითარება იყო.

სტალინგრადთან კონტრშეტევის ერთდროულად საბჭოთა ჯარებმა ნოემბრის ბოლოს და დეკემბერში შეტევითი ოპერაციები განახორციელეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრალურ უბანზე და ჩრდილო კავკასიაში. ამ ოპერაციების მიზანი იყო არ დაგვეშვა მტრის ჯარების გადასროლა სტალინგრადის მიმართულებით და მოგვესპო გერმანელთა სარდლობისათვის თავისი რეზერვებით თავისუფლად მანევრირების შესაძლებლობა.

გერმანელთა სარდლობის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ალყაში მოქცეული თავისი დაჯგუფების დებლოკირებას და მდგომარეობის აღდგენას სტალინგრადთან, მთლიანად და საბოლოოდ ჩაიფუშა.

საბჭოთა ჯარების წინაშე ფართო შესაძლებლობები გადაიშალა. ერთი მხრივ, შეტევის გაგრძელება როსტოვზე — ჩრდილო კავკასიაში მოქმედი მტრის მსხვილი დაჯგუფების ზურგში, ხოლო, მეორე მხრივ, ვორონეჟის მიმართულებით მოქმედი დაჯგუფების გარშემოვლა სამხრეთიდან.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების ალყაში მოქცეული დაჯგუფების ლიკვიდაცია

თვით ალყაში მოქცეული დაჯგუფების მდგომარეობა 1943 წლის იანვრისათვის მკვეთრად გაუარესდა. ტერიტორია, რომელიც მას ეკავა, მნიშვნელოვნად შემცირდა და სულ ერთიანად იცხრილებოდა ჩვენი არტილერიის ცეცხლით.

ჩვენი შეტევები რომ მოეგერიებინა, გერმანელთა ალყაში მოქცეული ჯარების სარდლობა იძულებული იყო მთლიანად ჩაება ბრძოლაში არსებული რეზერვები და ყველა დივიზია გამოეყენებინა თავდაცვის მთავარი ზოლის პირველ ხაზზე.

საომარი მასალების, საწვავის და სურსათის მარაგი მოწინააღმდეგეს გამოლეული ჰქონდა. 1943 წლის იანვარში გარშემორტყმული დაჯგუფება ფაქტიურად შიმშილობდა. გერმანელთა ნაწილები იძულებული იყვნენ დაეხოცათ და შეეჭამათ ყველა ცხენი. ქალაქში გაანადგურეს კატები და ძაღლები. ფელდმარშალ პაულიუსის განცხადებით, გენერლები ღებულობდნენ 150 გრამ პურს დღეში, ჯარისკაცები — 50 გრამს. ჯარისკაცებს შორის თავი იჩინა ავადმყოფობამ, მნიშვნელოვნად გაიზარდა სიკვდილიანობა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 1942 — 1943 წლის ზამთარი მკაცრი იყო, ყინვა მინუს 30°-მდე აღწევდა, დიდი თოვლი დადო და ხშირად ქროდა ძლიერი ქარი.

გერმანელთა სარდლობის ცდა ჰაერიდან უზრუნველეყო გარშემორტყმული ჯარების მომარაგება, მარცხით დამთავრდა. საბჭოთა სარდლობამ აქ გაუვალი საჰაერო ბლოკადა შექმნა საზენიტო არტილერიისა და გამანადგურებელი ავიაციის დახმარებით. ამის შედე-

გად გერმანელთა გარშემორტყმული ჯარები ჰაერიდანაც აპეევ მტკიცედ იქნენ იზოლირებული. სტალინგრადთან განადგურდა მოწინააღმდეგის რამდენიმე ასეული თვითმფრინავი, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ გარშემორტყმული დაჯგუფებისაკენ გაჭრას.

მკვეთრად გაუარესდა გერმანელთა ჯარების მორალური მდგომარეობა. მოწინააღმდეგის სარდლობა, რომელიც უგულებელყოფდა საომარ ვითარებაში მომხდარ ცვლილებებს, თვლიდა, რომ სტალინგრადთან გარშემორტყმულ დაჯგუფებას ჯერ კიდევ შეესწევდა უნარი ხანგრძლივად შეენარჩუნებინა დაკავებული რაიონი და შეებოჭა საბჭოთა ჯარების მნიშვნელოვანი ძალები.

1943 წლის იანვრისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთის ფრთაზე შექმნილი ხელსაყრელი ვითარება ყოველგვარ პირობებს ქმნიდა სტალინგრადთან ალყაში მოქცეული გერმანელთა ჯარების საბოლოო ლიკვიდაციისათვის. საჭირო იყო ამ ამოცანის გადაჭრა უმოკლეს ვადაში, რათა გაგვეთავისუფლებინა საბჭოთა არმიის მნიშვნელოვანი ძალები სხვა მიმართულებით მოქმედებისათვის. აგრეთვე გაგვეთავისუფლებინა სტალინგრადის რკინიგზის კვანძი და აღგვეღგინა სარკინიგზო კავშირი ჩრდილო კავკასიაში და დონის დიდ მოსახვევთან მოქმედ ჩვენს ჯარებთან.

გარშემორტყმული დაჯგუფების განადგურების ამოცანა დაეკისრათ დონის ფრონტის ჯარებს. მისი განხორციელება უნდა მომხდარიყო მოწინააღმდეგის ძალების რამდენიმე ნაწილად დაყოფა-დაქუცმაცებით და შემდგომ თითოეული მათგანის ცალკე განადგურებით.

ოპერაციის მთავარი ჩანაფიქრის მიხედვით, მთავარი დარტყმა, რომლის მიზანი იყო მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების გაყოფა ორ ნაწილად, უნდა განეხორციელებინათ 65-ე არმიის ჯარებს და მათ მეზობლად განლაგებულ 21-ე და 24-ე არმიების ფლანგებს ვერტიაჩის სამხრეთით მდებარე რაიონიდან ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ საერთო მიმართულებით. მეორე დარტყმას ახორციელებდნენ 64-ე და 57-ე არმიების ფლანგები ციბენკოს სამხრეთით მდებარე რაიონიდან ასაქცევ ბასარგინოს საერთო მიმართულებით. შემდგომში ამ არმიების დარტყმა უნდა განვითარებულიყო აღმოსავლეთის მიმართულებით სადგურ ვოროპანოვოსაკენ და შეერთებოდა ფრონტის მთავარი დამკვრელი დაჯგუფების ძირითად დარტყმას.

62-ე და 66-ე არმიებს მტრისთვის უნდა დაერტყათ ურთიერთ-შემხვედრი მიმართულებით გოროდიშჩესაკენ, რათა ალყაში მოექ-ციათ და გაენადგურებინათ მტრის დაჯგუფების ჩრდილო-აღმოსავ-ლეთი ნაწილი.

შეტევის დაწყება ნაბრძანები იყო 10 იანვარს.

8 იანვარს, ამაო სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა სარდლობამ სტალინგრადთან გარშემორტყმული ჯარების სარდლობას წაუყენა ულტიმატუმი შეეწყვიტათ უაზრო წინააღმდე-გობა და კაპიტულაცია მოეხდინათ. მაგრამ გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ უარი თქვა ამ ულტიმატუმზე.

10 იანვარს, დილით, დონის ფრონტის ჯარები გერმანელთა გარშემორტყმული დაჯგუფების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ქვეითი ნაწილებისა და ტანკების შეტევას წინ უძღოდა საავიაციო და მძლავრი 55-წუთიანი საარტილერიო მომზადება.

დღის ბოლოს მოწინააღმდეგის თავდაცვა მთელ რიგ უბნებზე იქნა გარღვეული. გარღვევის სიღრმე 6—8 კილომეტრს შეადგენდა. 11 და 12 იანვარს ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდე-გობას, განაგრძობდნენ წინსვლას და 13 იანვარს დღის ბოლოსათვის ფრონტის მთავარი დამკვრელი დაჯგუფება მდინარე როსოშკასთან გავიდა. მეორე დარტყმის მიმართულებით 64-ე და 57-ე არმიების ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა მდინარე ჩერვლიო-ნაიაზე და ასევე 6—8 კილომეტრით წაიწიეს წინ.

გერმანელთა სარდლობის ცდას შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების შემდგომი წინსვლა მეორე თავდაცვით ზღუდეზე, რომელიც ძირი-თადად სტალინგრადის შუა თავდაცვით რკალზე გადიოდა, წარმატე-ბა არ მოჰყოლია. დონის ფრონტის ჯარებმა 13—14 იანვრის განმავ-ლობაში ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს და 15 იანვარს, დილით, შეტევა განაახლეს. შუადღისას მტრის თავდაცვა ელხისა და ზაპად-ნოვკის უბანზე გარღვეულ იქნა. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და, წინააღმდეგ თავიანთი სარდლობის ნება-სურვილისა, ჩვენი ჯა-რების დარტყმების შედეგად სწრაფად იხევდნენ უკან სტალინგრა-დისაკენ.

სდევნიდნენ რა მოწინააღმდეგის უკანდახეულ ნაწილებს, ჩვენი ჯარები 17 იანვარს, დღის ბოლოს, გავიდნენ ბოლშაია როსოშკას. გონჩარის, ვოროპანოვოს ხაზზე, სადაც მტრის შეუპოვარ წინააღ-

მდეგობას წააწყდნენ წინასწარ მომზადებულ თავდაცვით ზღუდეზე. ამ ზღუდეზე შეტევის მომზადება ოთხ დღეს გაგრძელდა.

მე-15 გვარდიული მსროლელი დივიზია (სადაც მე ვიყავი დივიზიის მეთაურის მოადგილე, ხოლო ამ ოპერაციის დროს დივიზიის მეთაურის მოვალეობას ვასრულებდი) გულმოდგინედ ემზადებოდა მომავალი შეტევისათვის. ჩვენი ამოცანა იყო გაგვენადგურებინა გერმანელთა 44-ე ქვეითი დივიზიის ნაწილები, აგვეღო სოფელი ალექსეევკა, დარგორის 155-ე სიმაღლე და გავსულიყავით ქალაქის ცენტრში.

ჩვენს მარცხნივ უტევდა 69-ე გვარდიული მსროლელი დივიზია პოდპოლკოვნიკ (შემდეგ გენერალ-მაიორი) კირილე ჯახუას მეთაურობით. დივიზიას ევალებოდა გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა და იერიში მიეტანა პიტომნიკის, სოფ. ეფოვკის,[1] ქალაქის ცენტრალური ვაგზლის მიმართულებით.

მოსამზადებელ პერიოდში ყველაფერი გავაკეთეთ საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

22 იანვარს დილიდან ჩვენი ჯარების შეტევა განახლდა მთელ ფრონტზე. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა შიგნითა რკალის სიმაგრეებს, მაგრამ საბჭოთა არტილერიის გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ მტრის თავდაცვა გარღვეულ იქნა. არც გერმანელთა გააფთრებულ წინააღმდეგობას, არც მძიმე კლიმატურ პირობებს (ძლიერი ყინვები, ქარბუქი, თოვლის ნამქერი) არ შეეძლო შეეჩერებინა გვარდიელთა იერიში. ისინი გაბედულად მიიწევდნენ წინ.

47-ე გვარდიულმა მსროლელმა პოლკმა 15 საათისათვის იერიშით აიღო 155,0 სიმაღლე. 50-ე გვარდიულმა მსროლელმა პოლკმა გვერდი აუარა სადგურ ვოროპანოვოს, სოფელ ალექსეევკასკენ აიღო გეზი და უკანდასახევი გზა გადაუჭრა ჰიტლერელებს. საღამოსათვის გვარდიელებმა გაათავისუფლეს ალექსეევკა და მის მახლობლად მდებარე სამხედრო ტყვეთა ბანაკი. მებრძოლებმა აქ ნახეს

---

[1] 1943 წლის 25 იანვარს დილით ჩემთან სათვალთვალო-სამეთაურო პუნქტზე დარეკა 69-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მეთაურმა ამხ. კირილე ჯახუამ და მაცნობა შემდეგი: სწრაფი შემოვლითი მანევრით დღეს განთიადისას მისი დივიზიის ნაწილებს აუღიათ სოფელი ეფოვკა (მდებარეობს 12 კილომეტრზე სტალინგრადის ცენტრიდან დასავლეთით), მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ხევში მშვენივრად მოწყობილი მიწურები აღმოუჩენიათ და ყველაზე საუკეთესო ში-

ფაშისტთა მხეცობის საშინელი სურათი. ასობით მოკლული, შიმშილისა და სიცივისაგან დაღუპული საბჭოთა მეომარი იწვა ეკლიანი მავთულხლართის იქით. აქვე იყვნენ ისინიც, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი დარჩა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო მოძრაობა. ისინი ცოცხალმკვდრები იყვნენ.

ფაშისტების მხეცობამ ალექსეევკასთან ახლოს მდებარე ბანაკში მტრისადმი კიდევ უფრო მეტი სიძულვილი გამოიწვია მებრძოლებში.

მე-15 გვარდიული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა სწრაფი შეტევით გაწმინდეს მტრისაგან დარგარას გარეუბანი, სადგური სევეროკავკაზსკაია და მიადგნენ მდინარე ცარიცას ციცაბო ნაპირებს. 31 იანვარს, ღამით, ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის მთლიანად განადგურებული 44-ე ქვეითი დივიზიის შტაბი დივიზიის მეთაურ გენერალ-ლეიტენანტ დიუბუასთან ერთად.

25 იანვარს ჩვენი ჯარები შეიჭრნენ სტალინგრადში დასავლეთიდან. 26 იანვარს, დღის ბოლოს, 21-ე და 62-ე არმიების ჯარები შეერთდნენ მამაის ყორღანის რაიონში და ორ ნაწილად გათიშეს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფება: სამხრეთ ნაწილად, რომელიც მომწყვდეული იყო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, და ჩრდილოეთ ნაწილად, რომელიც ჩვენს მარწუხებში მოექცა სატრაქტორო ქარხნისა და ქარხანა „ბარიკადის" რაიონში.

გერმანელთა ჯარების ბრძოლისუნარიანობა ამ დროისათვის მკვეთრად დაქვეითდა. მტრის ჯარისკაცები და ოფიცრები მასობრივად გვბარდებოდნენ ტყვედ.

1943 წლის 31 იანვარს საბჭოთა ჯარებმა ალყა შემოარტყეს უნივერმაღს. რომლის სარდაფშიც მოთავსებული იყო ფელდმარშალ

წურში ბევრი შავი ყავა უპოვნიათ; ნახევარი საათის წინ ჩვენს შზვერავებს დაუკავებიათ გერმანელი მაიორი და ჯარისკაცი — მანქანის მძღოლი, რომლებიც მიწურებისაკენ მიიკვლევდნენ გზას, და მათი წინასწარი დაკითხვისას დაუდგენიათ, რომ სოფელ ეკოვკის რაიონში აღმოჩენილ მიწურებში მოთავსებული ყოფილა პაულიუსის შტაბი; დღეს ღამით ისინი სასწრაფოდ გადასულან ქალაქის ცენტრში — უნივერმაღის სარდაფში და წასვლისას დავიწყებიათ შავი ყავა, რომელიც თურმე ძალიან ყვარებია პაულიუსს; გერმანელები ახლა სწორედ მის წასაღებად მობრუნებულან.

ასე უბრალოდ იქნა დადგენილი ფელდმარშალ პაულიუსის შტაბის ადგილმდებარეობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის შემდგომი მსვლელობისათვის.

პაულიუსის შტაბი. საბჭოთა ოფიცრების წინადადებას გარშემორტყმული გარნიზონის მიერ იარაღის დაყრის შესახებ გერმანელთა სარდლობამ პირველად უარით უპასუხა. მაშინ ჩვენმა ჯარებმა შტაბის შენობას არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. საარტილერიო კანონადის დაწყებიდან 10—15 წუთის შემდეგ გერმანელთა სარდლობის წარმომადგენლები პაულიუსის მეთაურობით თეთრი დროშით გამოვიდნენ შენობიდან და ტყვედ დაგვნებდნენ.

ასე დაამთავრეს თავიანთი ლაშქრობა ქალაქ სტალინგრადთან ფაშისტური გერმანიის რჩეულმა ჯარებმა, თუმცა პირადად თვით ჰიტლერი ბეჯითად დაჰპირდა მათ დახმარებას. აი, რას სწერდა იგი თავის 1942 წლის 24 ნოემბრის ბრძანებაში მე-6 არმიის სარდალს:

„მე-6 არმიის ჯარები დროებით გარშემორტყმული არიან რუსების მიერ. განზრახული მაქვს თავი მოვუყარო არმიას რაიონში: სტალინგრადი (ჩრდილოეთ გარეუბანი), კოტლუბანი, სიმაღლე 137, სიმაღლე 135, მარინოვკა, ციბენკო, სტალინგრადი (სამხრეთი გარეუბანი). არმიის პირადი შემადგენლობა შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ყველა ზომას მივიღებ, რათა უზრუნველვყო არმიის ნორმალური მომარაგება და დროულად გავათავისუფლოთ იგი გარემოცვისაგან. მე ვიცნობ მე-6 არმიის მამაც პირად შემადგენლობასა და მის სარდალს, და დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველანი შეასრულებთ თქვენს მოვალეობას.

ჰიტლერი“[1].

1943 წლის 2 თებერვალს მოწინააღმდეგის ჯარები მთლიანად განაიარაღეს და ზურგში გაგზავნეს.

სტალინგრადთან განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის 22 დივიზია — 330 ათასზე მეტი რჩეული ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორის 15 ქვეითი, 3 მოტორიზებული, 3 სატანკო, 1 ცხენოსანი დივიზია და მრავალი სპეციალური ნაწილი.

საჰაერო ბლოკადის შედეგად 1942 წლის დეკემბრისა და 1943 წლის იანვრის განმავლობაში საბჭოთა ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ გაანადგურეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის 1065 თვითმფრინავი, მათ რიცხვში 676 სატრანსპორტო თვითმფრინავი იუ-52.

სტალინგრადთან გერმანელთა განადგურების შემდეგ აქ ბრძო-

[1] Совершенно секретно! Только для командования, стр. 435.

ლის ველზე დარჩა მტრის 147 200 ჯარისკაცის და ოფიცრის გვამი. მხოლოდ 1943 წლის 10 იანვრიდან 2 თებერვლამდე ტყვედ იყო წამოყვანილი 91 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 2500-ზე მეტი ოფიცერი და 24 გენერალი ფელდმარშალ პაულიუსის მეთაურობით. დაიღუპა სტალინგრადის 42 800 მშვიდობიანი მცხოვრები. ქალაქი ნანგრევებად იყო ქცეული. დანგრეული იყო მთელი საცხოვრებელი ფონდის 90%-ზე მეტი. ზარალი 9 მილიარდ მანეთამდე აღწევდა.

ამრიგად, 1943 წლის 2 თებერვალს ისტორიული ბრძოლა სტალინგრადთან ძლევამოსილად დამთავრდა.

სტალინგრადის გმირული დაცვის წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის", რომლითაც დაჯილდოვდა ვოლგის ამ შეუვალი ციხე-სიმაგრის ყველა დამცველი.

მამაის ყორღანის მაღლობზე ქალაქის დამცველთა პატივსაცემად აგებულია მონუმენტი „მხედრული დიდება". გმირი ქალაქის მცხოვრებნი და მთელი საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად 2 თებერვალს აღნიშნავენ საბჭოთა არმიის ლეგენდარულ გამარჯვებას სტალინგრადთან.

1968 წლის 2 თებერვალს, გამარჯვების 25 წლისთავზე, ვოლგოგრადში საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ სტალინგრადის ბრძოლების ვეტერანები და მონაწილეობა მიიღეს დიდ ზეიმში.

მეც წილად მხვდა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნანეიშვილთან და თენგიზ ღვინიაშვილთან ერთად მონაწილეობა მიმეღო ამ ისტორიული დღის აღნიშვნაში.

* * *

სტალინგრადის გმირული დაცვის დღეებში დიდი ბრძოლები გაჩაღდა კავკასიაში. 1942 წლის 25 იელისს გერმანიის ჯარების სარდლობა შეუდგა კავკასიის დაპყრობის „ედელვაისის" გეგმის განხორციელებას. გერმანელებმა დაიკავეს მდ. დონის ქვემო დინება. აიღეს ქ. როსტოვი და შექმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ძალებით შეჭრის საშიშროება. დაპყრობის საფრთხე დაემუქრა მთელ ამიერკავკასიას.

შეტევითი ოპერაციები ჰიტლერელებმა სამი მიმართულებით გაშალეს:

1. შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით — მიზნად

ისახავდა გროზნოს დაკავებას, კასპიის ზღვის სანაპიროზე გასვლას და 1942 წლის სექტემბრის ბოლოს აზერბაიჯანის დედაქალაქის ბაქოს აღებას;

2. შეტევა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ქ. ბათუმის მიმართულებით;

3. შეტევა ჩერქესკის რაიონიდან კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების გავლით სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის მიმართულებებით.

1942 წლის აგვისტოში ჰიტლერელებმა მოახერხეს ხოტიუტაუს, ქლუხორის, მარუხის, სანჭაროს და ზოგიერთი სხვა უღელტეხილის დაკავება.

საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის მიერ დროულად განხორციელებული გადამწყვეტი ღონისძიებების შედეგად მოწინააღმდეგის შეტევა შეჩერებულ იქნა. ფაშისტმა დამპყრობლებმა ვერ შეძლეს გადამწყვეტი დამარცხება მიეყენებინათ საბჭოთა ჯარებისათვის, რომლებიც კავკასიას იცავდნენ. ვერ შეძლეს ხელთ ეგდოთ ბაქოს ნავთობის უმნიშვნელოვანესი რაიონი, დაეკავებინათ შავი ზღვის სანაპირო და ამით მოესპოთ ერთადერთი სასიცოცხლო ბაზები ჩვენი შავი ზღვის ფლოტისათვის.

ამ მრისხანე დღეებში მთელ ამიერკავკასიაში, ისე როგორც დიადი საბჭოთა ქვეყნის სხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში, ზურგი და ფრონტი მტკიცედ შედუღაბებულ ერთ მთლიან მებრძოლ ბანაკად იქცა. სამი მოძმე სოციალისტური რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ხალხები ერთსულოვნად აღსდგნენ კარზე მომდგარი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მუშაობდნენ დევიზით: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“.

ხალხი არაფერს არ ზოგავდა გამარჯვებისათვის. ბევრი ოჯახი მთელი შემადგენლობით მიდიოდა ფრონტზე. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის მცხოვრები გრიგოლ იპოლიტეს ძე მერკვილაძე (უფროსი ლეიტენანტი), ცოლი ვალენტინა პროკოფის ასული მერკვილაძე (სამედიცინო სამსახურის ოფიცერი) და მათი ვაჟები შოთა, გივი და თენგიზი — ყველანი ფრონტზე წავიდნენ. შოთა მფრინავი-ოფიცერი იყო, მის ანგარიშზეა 115 საბრძოლო გაფრენა. გივი ამიერკავკასიის ფრონტზე იბრძოდა. თენგიზი, რომელიც ომის

დაწყებისას მხოლოდ 16 წლისა იყო და ოჯახიდან ყველაზე გვიან წავიდა ჯარში მოხალისედ, ასევე ავიაციაში მსახურობდა.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტი იყო, ომის დაწყებისთანავე. სხვა სტუდენტებთან ერთად, მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში, დაამთავრა ქ. ბაქოს ქვეითი ჯარის სასწავლებელ; და გმირულად იბრძოდა ყირიმში. ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმე ტრავმა მიიღო, რის შედეგად სამამულო ომის ინვალიდი და თავდაცვის სამინისტროს პენსიონერი გახდა. სიმონი სულით არ დაცემულა. მართალია, ბრძოლა აღარ შეეძლო, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა, თავის ხალხს რითიმე მაინც გამოსდგომოდა. მან სწავლა განაგრძო, დაამთავრა ინსტიტუტი და დიდხანს თავდადებით მუშაობდა სახალხო მეურნეობაში. ომში მიღებულმა ტრავმამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა: სიმონმა ორივე ფეხი დაჰკარგა და საწოლზე დარჩა მიჯაჭვული.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲛᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲓᲐ ᲝᲚᲚᲐ ᲩᲘᲢᲐᲘᲔᲑᲛᲐ 6 ᲕᲐᲟᲘ ᲐᲦᲬᲐᲠᲓᲔᲡ: ᲞᲐᲕᲚᲔ, ᲑᲝᲠᲘᲡᲘ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲣᲞᲔᲑᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜᲘ. ᲝᲛᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲔᲥᲕᲡᲘᲕᲔ ᲫᲛᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲓᲐᲛᲭᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲐᲓ ᲛᲝᲘᲮᲘᲐᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘ ᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲗᲘ ᲛᲙᲔᲠᲓᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲙᲔᲠᲐᲡ. ᲐᲠ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ 1941—1945 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲐ. ᲘᲒᲘ ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ — 1942 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ 1943 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ (1942 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ 1943 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ) ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠ, ᲡᲐᲡᲢᲘᲙ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲥᲐᲜᲪᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲪᲚᲘᲓᲐ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲘᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲭᲠᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲪᲮᲠᲐ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, 1943 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ 9 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ, ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲢᲠᲨᲔᲢᲔ-

ვაზე გადავიდა, გაანადგურა მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ ფრთაზე და მთლიანად გაათავისუფლა ჩრდილო კავკასია ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

ამ გიგანტურ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ჩვენმა საბელოვანმა მამულიშვილებმა, საბჭოთა არმიის შენაერთების შესანიშნავმა სარდლებმა და ნიჭიერმა მეთაურებმა.

მოგერიებითი ბრძოლების დროს კავკასიის მთავარი ქედის დაცვა მამისონის უღელტეხილიდან დასავლეთით ხოკუჩის მთამდე (50 კილომეტრზე ტუაფსეს აღმოსავლეთით) დაეკალა 46-ე არმიის სარდალს გენერალ-მაიორ კონსტანტინე ლესელიძეს. (კ. ლესელიძე 46-ე არმიას ხელმძღვანელობდა 1942 წლის 28 აგვისტოდან 1943 წლის 24 იანვრამდე, 47-ე არმიას — ამავე წლის 25 იანვრიდან 23 მარტამდე, მე-18 არმიას — 1943 წლის 20 მაისიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე — 1944 წლის 21 თებერვლამდე). 46-ე არმიის ამოცანა იყო მტკიცე მოგერიებითი ბრძოლით დაეცვა მტრის შემოჭრისაგან 400-კილომეტრიანი ფრონტი, განსაკუთრებით უღელტეხილები: მამისონი, დონღუზ-ორუნ-ბაში, ქლუხორი, მარუხი, სანჭარო, პსეაშხა და ბელორეჩენსკი. აგრეთვე 46-ე არმიის ჯარებს დაეკალა შავი ზღვის სამხედრო ფლოტთან ურთიერთმოქმედებით დაეცვათ მტრისაგან კავკასიის შავი ზღვის სანაპიროები ლაზარევსკიდან (30 კილომეტრზე ტუაფსეს სამხრეთ-აღმოსავლეთით) ბათუმამდე. და საბელმწიფო საზღვარი სამხრეთიდან.

საქართველოსათვის ამ საბედისწერო დღეებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გენერალ-მაიორმა (შემდგომში გენერალ-პოლკოვნიკმა) კონსტანტინე ლესელიძემ. მისი მეთაურობით არმიის მებრძოლებმა სასტიკი დამარცხება აგემეს ფაშისტებს საქართველოს ჩრდილოეთ მისადგომებთან და ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები.

✓ გენერალი კ. ლესელიძე კეთილსინდისიერი, გულისხმიერი, პატიოსანი და დიდად შრომისმოყვარე ადამიანი იყო. იგი დაუღალავად მუშაობდა თავის თავზე ოპერატიულ, ტაქტიკურ და სპეციალურ მომზადებაში. დიდ მზრუნველობას იჩენდა მის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებზე და უზრუნველყოფდა მათ მოწინავეთა რიგებში ყოფნას. კ. ლესელიძეს ყველა პატივს სცემდა როგორც მგზნებარე პატრიოტს. ბევრჯერ შევხვედრივარ მას სხვადასხვა პირობებში.

პირველად შევხვდი ქართულ სამხედრო მეთაურთა სკოლაში, სადაც მე კურსანტი ვიყავი, ის კი — საარტილერიო განყოფილებაში კურსის ოფიცერი, შემდეგ — პირველ ქართულ მსროლელ პოლკში. 1927—1930 წლებში კ. ლესელიძე იყო საარტილერიო ბატარეის მეთაური, მე კი ოცეულის მეთაური მსროლელ ასეულში. აქ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს როგორც სამხედრო-პოლიტიკური მეცადინეობის დროს, ისე პირველადს პარტორგანიზაციაში, სადაც ერთდროულად ვიყავით პოლკის პარტბიუროს წევრები.

46-ე არმიის შტაბის უფროსად იმ ბობოქარ პერიოდში მუშაობდა კარგი ორგანიზატორი და მტკიცე სამხედრო დისციპლინის მქონე გენერალ-მაიორი მიხეილ გერასიმეს ძე მიქელაძე. მან შეძლო რთულ ვითარებაში, მაღალმთიან ადგილებში, როდესაც არმიის ნაწილები ფართო ფრონტზე და ერთმანეთისაგან იზოლირებულად სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებდნენ, ჯარების მყარი და განუწყვეტელი მართვა დაემყარებინა, რითაც უზრუნველყო მტერზე გამარჯვება საქართველოს კარიბჭესთან.

არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო გამოცდილი პოლიტმუშაკი, პოლკოვნიკი გრიგოლ გიორგის ძე სანაკოევი. მან უდიდესი მუშაობა ჩაატარა არმიის მომარაგებისა და მომზადების საქმეში. ჩვენს ნაწილებს უღელტეხილებისათვის ბრძოლა უხდებოდა ძალზე დაძაბულ პირობებში. არმიის პირად შემადგენლობას არ ჰქონდა თბილი საზამთრო ტანსაცმელი, ამავე დროს უგზოობა მეტად აბრკოლებდა ნაწილების მომარაგებას. მიუხედავად ასეთი დიდი სიძნელეებისა, არმიის ხელმძღვანელობამ შეძლო ჯერ კიდევ ოპერაციის პირველ ეტაპზე მომარაგების საგრძნობლად გაუმჯობესება, დისციპლინისა და ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცება, რაც საწინდარი გახდა კავკასიაში მტერზე საამაყო გამარჯვებისა.

ამ მძიმე გასაჭირის ჟამს საბჭოთა მთავრობის სპეციალური დადგენილებით არმიის სამხედრო საბჭოს წევრად მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან მინას ძე ბაქრაძე. კავკასიისათვის ბრძოლების დროს (1942—1943 წწ.) ის უდიდეს მუშაობას ატარებდა არმიის დასახმარებლად ზურგიდან. დაუფასებელია ყველა ის მატერიალური დოვლათი, რომელიც გაიღო ქართველმა ხალხმა დღედაღამ დაძაბული შრომის შედეგად კავკასიის დამცველებისათვის.

ქლუხორის უღელტეხილზე გმირული ბრძოლებით თავი გამოიჩინა სოხუმის სამხედრო სასწავლებლის უფროსმა პოლიტხელმა, ამჟამად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა შალვა ნესტორის ძე ადამიამ.

1942 წლის 15 აგვისტოს მტერმა რამდენიმე კოლონით მოულოდნელად გადალახა ქლუხორის უღელტეხილი და 815-ე მსროლელი პოლკის 394-ე დივიზიის 1-ლი ბატალიონი, რომელიც იცავდა უღელტეხილს, შეავიწროვა მის სამხრეთ ფერდობებზე. ეს მდგომარეობა არმიის სარდლობამ მხოლოდ 17 აგვისტოს გაიგო. უღელტეხილისაკენ სასწრაფოდ გაიგზავნა რამდენიმე ნაწილი, მათ შორის სამხედრო სასწავლებლის რაზმი (შეერთებული ბატალიონი), რომლის სამხედრო კომისრად დაინიშნა უფროსი პოლიტხელი შალვა ადამია.

22 აგვისტოს რაზმი ეკვეთა მტერს უღელტეხილის სამხრეთით. მათი ამოცანა იყო გადაეკეტათ გზა გერმანელი დამპყრობლებისათვის მდინარე კოდორის ხეობაში მთავარი ძალების მოსვლამდე. მტრის ჭარბ ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით კურსანტთა რაზმმა შეძლო გერმანელების წინსვლის შეჩერება. ამ მდგომარეობით გააევებული ფაშისტები 23, 24, 25, 26 აგვისტოს დღედაღამ განუწყვეტლივ განაგრძობდნენ მაქსიმალურად დაძაბულ ბრძოლებს. ისინი ცდილობდნენ გაერღვიათ კურსანტების მოგერიება და გაეკაფათ გზა სამხრეთისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ კურსანტების რაზმმა მებრძოლთა ნახევარზე მეტი დაკარგა, მტერს მაინც არ მისცა წინსვლის საშუალება.

✓ კურსანტებმა თავის მეთაურებთან ერთად ამ დიდ ბრძოლებში მიიღეს საბრძოლო ნათლობა. რაზმის სამხედრო კომისარი შ. ადამია განუწყვეტლივ იმყოფებოდა ცეცხლის ხაზზე მებრძოლთა შორის, ამხნევებდა მათ და ყოველმხრივ ეხმარებოდა საბრძოლო ამოცანის წარჩინებით შესრულებაში. დაძაბული ბრძოლები ხშირად მოითხოვდა მეთაურებისაგან პირადი მაგალითის ჩვენებას ახალგაზრდა კურსანტებისათვის. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა შ. ადამია კურსანტებთან მხარდამხარ კარაბინით ხელში უტევდა მტერს. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში შ. ადამიამ მიიღო მძიმე ტრავმა, რის შედეგად გამოვიდა წყობილებიდან. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი მუშაობდა 46-ე არმიის პოლიტგანყოფილების ლექტორად და სის-

ტემატურად ატარებდა დიდ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას არმიის პირად შემადგენლობაში.

4 მარუხის უღელტეხილისათვის ბრძოლებში დიდი ღვაწლი მიუძღვის 808-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურს კაპიტან ვასილ რაჟდენის ძე რუხაძეს, ამავე ბატალიონის მე-8 ასეულის მეთაურს კომკავშირელ ლეიტენანტს ნიკოლოზ ისიდორეს ძე სხირტლაძეს და მე-8 ასეულის ოცეულის მეთაურს ლეიტენანტ კონსტანტინე ნესტორის ძე სვინტრაძეს, რომელიც ამავე დროს იყო ბატალიონის პარტიული ორგანიზატორი. ნაღმმტყორცნთა ასეულის მეთაურს ლეიტენანტ არტაშეს ვართანიანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მანევრი — ს

მ. ბუსკაძე ოფიცერთა ჯგუფთან ერთად დივიზიის შტაბიდან სწორედ იქით მიეშურებოდა, სადაც ჩვენი ნაწილების მოგერიების გარღვევის საფრთხე იქმნებოდა, და ღებულობდა სასწრაფო ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. შეტევით ბრძოლებში ის ვაჟკაცური შემართებით იბრძვის ქ. ალაგირის, ნალჩიკის, პიატიგორსკის, არმავირის, ტიხორეცკის და სხვა მრავალი პუნქტის განსათავისუფლებლად.

✓ პოლკოვნიკმა ენუქი ივანეს ძე ქანთარიამ შესანიშნავი საბრძოლო გზა განვლო დიდ სამამულო ომში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვაჟკაცობა კავკასიისათვის ბრძოლებში მე-20 სამთო-მსროლელ დივიზიაში, შემდეგ 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში, სადაც მსროლელ პოლკს მეთაურობდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის სანაპიროების, ყუბანისა და ქ. კრასნოდარის განთავისუფლებაში. მოგერიებით ბრძოლებში „ცისფერ ხაზზე", შემდგომ შეტევით ოპერაციებში მონაწილეობს ქ. ანაპის, ტამანის ნახევარკუნძულის, ქ. სიმფეროპოლისა და ქ. სევასტოპოლის განთავისუფლებაში. საბჭოთა არმიის შემღგომ მძლავრ შეტევით ოპერაციებში ე. ქანთარია იბრძვის 129-ე გვარდიულ დივიზიაში 330-ე მსროლელი პოლკის მეთაურად და მონაწილეა ქ. დროგობიჩის. სტრის, უჟგოროდის, ჩოპეს, მიხაილოვცეს, პრეშოვის და ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის პრაღის განთავისუფლებისა. პრაღისათვის ბრძოლების დროს იგი უკვე მე-3 სამთო-მსროლელი ბრიგადის მეთაურია. ე. ქანთარია არჩეულია ქ. დროგობიჩის საპატიო მოქალაქედ, როგორც გერმანელ დამპყრობთაგან მისი ერთ-ერთი განმათავისუფლებელი.

სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი შალვა ალექსანდრეს ძე ნიჟარაძე 1941 წლიდან 1945 წლამდე მუშაობდა 367-ე საევაკუაციო ჰოსპიტლის წამყვან თერაპევტად და ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების უფროსად. მისმა დაძაბულმა შრომამ მრავალ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე. შ. ნიჟარაძე ომის მძიმე დღეებში, როგორც მცოდნე და დიდი გამოცდილების მქონე ექიმი, სისტემატურად იგზავნებოდა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს მიერ სხვადასხვა ჰოსპიტლებში კონსულტაციისათვის. ბევრჯერ ყოფილა ქ. ორჯონიკიძეში, სერნაოცკში და სხვაგან. ამჟამად, მიუხედავად ხან-

დაზმულობისა. დაუღალავად განაგრძობს მუშაობას თავისი სპეციალობით.

1942 წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში 276-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მოგერიების ზოლი დაიკავა ქ. ორჯონიკიძის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე მაღლობებზე საქართველოს სამხედრო გზის გადაკვეთით. დივიზიის მებრძოლთა ამოცანა იყო სხვა ნაწილებთან ერთად მტკიცედ გადაეღობათ მტრისთვის გზა სამხრეთისაკენ, აგრეთვე არ დაეშვათ მტრის შეჭრა ქ. ორჯონიკიძეში. ოთხი თვე მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. გერმანელთა პირველი სატანკო არმიის მე-3 სატანკო კორპუსის ნაწილები ყოველმხრივ ცდილობდნენ გზა გაეკაფათ სამხრეთისაკენ — საქართველოს დედაქალაქის — თბილისისაკენ. მაგრამ ამაოდ. მტერი სისხლისაგან იცლებოდა ჩვენი ნაწილების მოგერიებით ზღუდეებზე, მიზანს კი ვერ აღწევდა.

ორჯონიკიძესთან ბრძოლებში ქართველმა მეომრებმა თავისი ვაჟკაცობით და გააზრებული მოქმედებით საამაყო წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებაში.

276-ე დივიზიის სამხედრო კომისარი იყო პოლკოვნიკი გიორგი ჩარგეიშვილი. დიდი გამოცდილების მქონე მეთაური და პოლიტიკური მომუშავე. ის დღედაღამ თავს დასტრიალებდა მებრძოლებს, უნერგავდა მათ გამარჯვების რწმენას.

ამავე დივიზიის 873-ე პოლკის სერჟანტმა კომუნისტმა ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა უკვდავი სახელი დაუტოვა ჩვენს ერს. ნოემბრის პირველ რიცხვებში ქ. ორჯონიკიძესთან გერმანელმა ფაშისტებმა მძლავრი საარტილერიო ცეცხლით დარტყმის შემდეგ იერიში მიიტანეს 873-ე პოლკის მე-2 ბატალიონზე და დაიწყეს მისი შევიწროება. დაძაბული ბრძოლების დროს მტერმა ნ. გოგიჩაიშვილის ტყვიამფრქვევის გათვლა სულ გაანადგურა. მარტო დარჩენილმა სერჟანტმა უკან არ დაიხია, მიუწვა ტყვიამფრქვევს და გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა მოახლოებულ მტრის ასეულს. ამ უთანასწორო ბრძოლებში ნ. გოგიჩაიშვილმა შეძლო მტრის მოიერიშე ასეულის უმეტესობა მძიმე ტყვიამფრქვევის ცეცხლით ამოეჟლიტა, დანარჩენები კი ბრძოლის ველზე გაეფანტა. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა. ამ მდგომარეობით მყისვე ისარგებლეს მე-11 ბატალიონის მებრძოლებმა და მოხერხებულად დაიკავეს მოგერიების ზღუდე. ასე-

თი მამაცობისათვის ნ. გოგიჩაიშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. შემდეგ ნ. გოგიჩაიშვილი იბრძვის უუბანში, ტამანის ნახევარკუნძულზე, უკრაინაში, ჩეხოსლოვაკიაში. იგი ომის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე დაიღუპა ბრძოლის ველზე. დასაფლავებულია უკრაინის დედაქალაქ კიევში.

276-ე მსროლელი დივიზიის რიგებში სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო 871-ე მსროლელი პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა ჰუსეინ მურადის ძე ბეჟანიძემ და 873-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ დარგში თბილისელმა გიორგი სერგოს ძე პოპოვიანმა. პოლკოვნიკმა ბეჟანიძემ 871-ე პოლკი ჩაიბარა 1943 წლის აპრილში. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უუბანისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. 1943 წლის ოქტომბრიდან დივიზია მე-18 არმიასთან ერთად უკრაინის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში გადაიყვანეს. იბრძვის ჟიტომირის, ბერდიჩევის, ხმელნიცკის, ჩორტკოვის, სტანისლავის (ამჟამად ეწოდება ივან ფრანკო), სამბორის განთავისუფლებისათვის. 1944 წლის ოქტომბრიდან დივიზია გადაჯგუფებულ იქნა უკრაინის მეორე ფრონტზე პირველი გვარდიული არმიის შემადგენლობაში და მონაწილეობა მიიღო კარპატების გადალახვაში, ქ. უჟგოროდის, მიხაილოვცეს, სეჩოვცეს, კოშიცესათვის ბრძოლებში. 1945 წლის იანვარში ქ. კოშიცესათვის ბრძოლებში პოლკოვნიკი ბეჟანიძე მძიმედ დაიჭრა და გამოვიდა წყობილებიდან.

პოდპოლკოვნიკი გიორგი პოპოვიანი ქ. ორჯონიკიძის რაიონში ბრძოლის დროს (1942 წლის სექტემბერ-დეკემბერი) იყო კაპიტანი, 873-ე ქართული მსროლელი პოლკის მე-11 ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ დარგში (შემდგომში დააწინაურეს ამავე პოლკის მეთაურის მოადგილედ პოლიტიკურ დარგში და მიიღო ჯერ მაიორის, შემდეგ პოდპოლკოვნიკის წოდება). გ. პოპოვიანი მოწინავე პოლიტმუშაკი იყო, ბრძოლაში გაბედული. აქტიურად იბრძოდა ჩრდილო კავკასიის, უუბანის, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის უკრაინის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში. 1944 წლის 4 იანვარს ქ. ჟიტომირის დასავლეთით დაძაბულ ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა და მარჯვენა ხელი დაკარგა.

პოლკოვნიკი სევერიანე იოსების ძე აბულაძე 1944 წლის 24 ივნისს ინიშნება ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის კავშირგაბმულო-

ბის უფროსად. ამ დროს შავი ზღვის ფლოტი ითვლებოდა მოქმედ ფლოტად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა გერმანელი ფაშისტების განადგურებაში როგორც შავ ზღვაზე, ისე სანაპირო ხმელეთზე და ჰაერში. პოლკოვნიკმა ს. აბულაძემ, როგორც ნიჭიერმა ოფიცერმა და დიდად შრომისმოყვარე ადამიანმა, ჩინებულად გაართვა თავი რთულ ვალდებულებას და მთლიანად უზრუნველყო ფოთის ბაზიდან ზონაში მყოფი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მყარი მართვა. საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ჯარების მტკიცე ურთიერთმოქმედება. 1945 წლის მარტში ს. აბულაძე გადაჰყავთ შავი ზღვის ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის კავშირგაბმულობის უფროსად. რასაც ჩვეული ენერგიით და გულისხმიერებით ჰკიდებს ხელს.

კაპიტანი, ამჟამად პოლკოვნიკი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი ილია ნესტორის ძე ტიკაძე კავკასიისათვის ბრძოლებში მუშაობდა სპეციალურ ნაწილებში და დიდი წვლილი შეიტანა ჯარში სამხედრო დისციპლინისა და პოლიტიკურ-მორალური სულისკვეთების განმტკიცების საქმეში.

ი. ტიკაძე დღედაღამ დაუღალავად საქმიანობდა ჩვენი სახელოვანი მეომრების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. ის უშუალოდ მონაწილეობდა ნოვოროსიისკის მიმართულებით შეტევით ოპერაციაში და ყუბანის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. შემდგომ ომის დამთავრებამდე ი. ტიკაძე განაგრძობს სამსახურს მე-13 მსროლელ კორპუსში სხვადასხვა თანამდებობაზე პარტიული ხაზით. 1969 წლიდან თადარიგშია.

414-ე დივიზიის 1367-ე მსროლელ პოლკში მეავტომატეთა ასეულს მეთაურობდა მამაცი ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი, ამჟამად პოლკოვნიკი აკაკი გრიგოლის ძე გოგობერიშვილი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ყუბანის და ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეავტომატეთა ასეულის მებრძოლების და მისი მეთაურის ა. გოგობერიშვილის მამაცობა პიატიგორსკის, პროხლადნაიას, გეორგიევსკის, მოზდოკის, იშჩორსკაიას. გრივენსკაიას, ჩერნოერკოვსკაიას, თამაზოვის, კალაბატკის და სხვა მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლებისათვის.

პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ დიმიტრის ძე კიკალეიშვილი 46-ე არმიის 746-ე საველე არმიის ჰოსპიტლის სამხედრო კომისრად დაინიშნა 1942 წლის 15 აგვისტოს. მას შემდეგ იგი აქტიურად იბრძოდა ამ არმიასთან ერთად. მონაწილეობდა კავკასიისათვის ბრძოლებში, შემდეგ ველის, სამხრეთ-დასავლეთის, მეორე და მესამე უკრაინის ფრონტებზე. ვ. კიკალეიშვილის თავდადებული შრომით 746-ე ჰოსპიტალი მოწინავეთა რიგებში იყო და ბევრჯერ დაუმსახურებია სარდლობის მადლობა.

242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ, რომელიც კავკასიისათვის ბრძოლების დროს თითქმის მხოლოდ ქართველი მეომრებით იყო დაკომპლექტებული, 1942 წლის სექტემბერში დაიკავა მოგერიება ზემო სვანეთში და საიმედოდ ჩაკეტა უღელტეხილები: დონღუზორუნბაში, ბეჩო, მესტია, ცანერი და სხვ. მტრის 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსის ნაწილების ყოველი ცდა, გადაელახა უღელტეხილები და განევითარებინა შეტევა საქართველოს ტერიტორიაზე, მარცხით მთავრდებოდა.

ამ ბრძოლებში დივიზიას უნარიანად ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალ-მაიორი, გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილი. დივიზიის სამხედრო კომისარი იყო პოდპოლკოვნიკი, ამჟამად ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვასილ ონიანი. დიდი ვაჟკაცობა, ამტანობა და სიმამაცე გამოიჩინეს დივიზიის მაღალმთიან მწვერვალებზე მოქმედმა მებრძოლებმა. მათ ვერ აშინებდა ვერც სუსხიანი ზამთარი, ვერც ღრმა უფსკრულები და ყინულის ნაპრალები. უგზოობის გამო ხშირად ფერხდებოდა ნაწილებთან და ცალკე განაყოფებთან კავშირი, მათი მომარაგება. მაგრამ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, დივიზიის მებრძოლებმა ვაჟკაცურად შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები კავკასიის ქედზე მოგერიების დროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-900 სამთო პოლკის მებრძოლების და მისი მეთაურის მაიორის, შემდეგ პოლკოვნიკის, ლავრენტი დიმიტრის ძე გოგატიშვილის მამაცი და გააზრებული მოქმედება ბრძოლის ველზე. პოლკი აწარმოებდა მოგერიებით ბრძოლებს ცანერის, ტვიბერის, მესტიისა და ბეჩოს უღელტეხილებზე. პოლკის მთელი კოლექტივის მობილიზაციის და პირადი დაძაბული მუშაობის შედეგად ლ. გოგატიშვილმა შეძლო მოკლე ხანში საცეცხლე წერტე-

ბის მოხერხებულად განლაგება და სრული პროფილის სანგრების, ძელმიწურების, სამეთაურო სათვალთვალო პუნქტების, გასასვლელი თხრილების აგება, მტრის მოსასვლელების დანაღმვა, იარაღის მაღალმთიან ადგილებში ზუსტი სროლისათვის მომზადება და სხვ., მან, მიუხედავად უგზოობისა, საიმედო კავშირი დაამყარა განაყოფებთან და რეგულარულად უზრუნველყოფდა მათ მომარაგებით.

ლ. გოგატიშვილი, დღიდან საბრძოლო რაიონის მიღებისა, აწარმოებდა მტრის ღრმა დაზვერვას და მოულოდნელ თავდასხმას, რითაც აიძულა ფაშისტები შეეწყვიტათ შეტევითი მოქმედება პოლკის მოგერიების ფრონტზე.

1943 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან ჩვენი ჯარების საერთო შეტევაზე გადასვლასთან დაკავშირებით 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია მოხსნეს კავკასიის ქედიდან და შეიყვანეს ნოვოროსიისკის რაიონში განლაგებული მე-18 არმიის შემადგენლობაში.

კავკასიისათვის ბრძოლებში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველ მთამსვლელებს. მთებში საბრძოლო მოქმედება უფრო მეტადაა დამოკიდებული ადგილმდებარეობაზე, ვიდრე ბარად. ციცაბო კლდეები, ალმართ-დაღმართები, გასასვლელი ადგილებისა და გზების მეტისმეტად შეზღუდულობა, უვარგისობა ან სრული უგზოობა აძნელებს მთიან ადგილებში ჯარების მოქმედებას. მწვერვალები და ღრმა უფსკრულები თიშავს ჯარებს ერთმანეთისაგან. კლდიანი ფერდობები, ხრამები მკვეთრად ზღუდავს მანევრირების შესაძლებლობებს და საგრძნობლად ამცირებს ჯარების მოძრაობის ტემპს. მაღალმთიანი კლიმატი ჩქარა ღლის ადამიანს, აძნელებს საბრძოლო მანქანის ექსპლოატაციას. ყოველივე ეს, განსაკუთრებით სუსხიან ზამთარში, მეტისმეტად ზღუდავს ყველა სახეობის ჯარების როგორც ტაქტიკურ, ისე ოპერატიულ შესაძლებლობებს.

მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, ქართველმა მთამსვლელებმა გმირულად შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები. აი რას წერს ამიერკავკასიის ფრონტის სამთო-საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი კონსტანტინე ჯავრიშვილი ნარკვევში „ქართველი მთამსვლელები კავკასიისათვის ბრძოლებში“:

„...ომამდე ისინი (მთამსვლელები) წლობით დადიოდნენ მთებში, სწავლობდნენ მთებს, მთის სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში იწრ-

თობოდნენ, მწვერვალთა დაპყრობა მათ მომავალ ბრძოლებში მტრის დამარცხებას ასწავლიდა...

დადგა ისეთი დრო, როდესაც წლების განმავლობაში მიღებული ცოდნა საქმეში, ბრძოლაში უნდა შემოწმებულიყო. მტერი მოუახლოვდა კავკასიონს და შეესია მის ჩრდილოეთ კალთებს. სამშობლომ თოფქვეშ დააყენა მთელი ქვეყანა. გამარჯვების სურვილმა. სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულმა და მოვალეობის გრძნობამ შეაძლებინა მრავალთ ის, რაც თითქოს ადამიანური შესაძლებლობის მიღმა იყო... ომამდე მთამსვლელთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული ლოზუნგი: „ვინც არ დაიბნევა თოვლიან მთებში, ის არც ომში შედრკება“. ამ მხრივ ქართველი მთამსვლელები სავსებით მომზადებული შეხვდნენ მეორე მსოფლიო ომს — არ შედრკნენ ომში — და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჯერ კავკასიის დაცვისათვის, ხოლო შემდეგ კარპატების ბრძოლებში.

ქართველი მთამსვლელები სათავეში ჩაუდგნენ სამხედრო ნაწილების სამთო-საბრძოლო მომზადებას... შეიქმნა სპეციალური სხვადასხვა საფეხურისა და პროფილის საინსტრუქტორო სკოლები. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან შემოიკრიბეს საუკეთესო ალპინისტები. ისინი მხარში ამოუდგნენ ქართველ მთამსვლელებს და მათთან ერთად შრომობდნენ და იბრძოდნენ ყველგან, სადაც კი საჭირო იყო მთამსვლელების ცოდნა და გამოცდილება“.

ქართველი მთამსვლელების რიგებში იყვნენ ისეთი შესანიშნავი, გაბედული და პატრიოტი მებრძოლები, როგორიცაა: კაპიტანი კონსტანტინე ვასილის ძე ჯავრიშვილი, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის სამთო-საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, რომელმაც ჩინებულად შეასრულა დიდი მნიშვნელობის რთული დავალება და უზრუნველყო ფრონტში შემავალი შენაერთების მაღალი ბრძოლისუნარიანობა. ამჟამად კ. ჯავრიშვილი მუშაობს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დედაქალაქის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგედ;

უფროსი ლეიტენანტი ალექსი ივანეს ძე ივანიშვილი, 75-ე დივიზიის, შემდგომში ირანში განლაგებული საბჭოთა მე-4 არმიის სამთო-სათხილამურო მომზადების უფროსი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ალპინიზმში, ამჟამად ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკმუზეუმის დირექტორია;

კაპიტანმა გიორგი ვასილის ძე რამიშვილმა 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ალპინიზმის ინსტრუქტორმა, შემდგომში ამავე დივიზიის 105-ე სპეციალური ალპინისტური რაზმის მეთაურმა, სახელი გაითქვა თავისი მამაცობით ბრძოლის ველზე. იგი ბევრჯერ გასულა რაზმით ციცაბო მიუვალი კლდეებით მტრის ზურგში და დიდი ზიანი მიუყენებია ფაშისტი დამპყრობლებისათვის. მტრის ღრმა დაზვერვის დროს გ. რამიშვილი მთების უგზოობის მიუხედავად, დღითაც და ღამითაც, თოვლსა და ქარბუქში შესანიშნავად უღებდა ალღოს ადგილმდებარეობას და ყოველთვის მოძრაობის სწორ მიმართულებას ირჩევდა. 105-ე ალპინისტური რაზმის გმირულმა მოქმედებამ გ. რამიშვილის მეთაურობით აიძულა ფაშისტები 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის უბანზე შეეწყვიტათ აქტიური მოქმედება და თავდაცვაზე გადასულიყვნენ... გ. რამიშვილი ბრძოლით მივიდა ჩეხოსლოვაკიამდე. ამჟამად იგი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდია. პენსიონერი. სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი;

ლეიტენანტი დავით ლევანის ძე ფურცელაძე, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის საბრძოლო მომზადების განყოფილების ინსპექტორი, სამთო-სათხილამურო საქმის სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ამჟამად იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

უფროსი ლეიტენანტი გიორგი კონსტანტინეს ძე სულაქველიძე. თავდაცვის სამინისტროს ნალჩიკის ალპინისტური სკოლის უფროსი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტის დეკანი;

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი მაიორი დავით ბესარიონის ძე წერეთელი, ამიერკავკასიის ფრონტის სამთო მომზადების უფროსი ინსტრუქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;

კაპიტანი ივანე გიორგის ძე მარი, ამიერკავკასიის ფრონტის სამთო მომზადების ინსპექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ამჟამად გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე;

უფროსი ლეიტენანტი კონსტანტინე იაკობის ძე ახსტახიშვილი,

68-ე სამთო-მსროლელი დივიზიის უფროსი ინსტრუქტორი, ამჟამად ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის დოცენტი და მრავალი სხვა.

პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალ-მაიორი ივანე პავლეს ძე ბაბალაშვილი კავკასიისათვის ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. იგი სხვადასხვა დროს იყო 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის არტილერიის უფროსი, 47-ე არმიის არტილერიის შტაბის უფროსი, ხოლო 1942 წლის ნოემბერ-დეკემბერში მეთაურობდა 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას. ი. ბაბალაშვილმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქ. გროზნოს მისადგომებთან მოგერიებით და შემდეგ შეტევით ბრძოლებში — მდინარე თერგის გაღალახვის დროს.

1942 წლის სექტემბრის პირველი რიცხვებიდან გერმანელთა პირველი სატანკო არმია დიდი ძალებით აწარმოებდა დაძაბულ ბრძოლებს, რათა ხელთ ეგდო ჩრდილო კავკასიის ნავთობის საბადოების ცენტრი ქ. გროზნო და გზა გაეკაფა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოსაკენ. 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ სხვა ნაწილებთან ერთად მტერს გროზნოსაკენ გზა გადაუკეტა. სასტიკ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველმა მეომრებმა მტერი აიძულეს გროზნოსთან შეტევაზე ხელი აეღო.

1942 წლის ოქტომბერ-ნოემბერში 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით შესანიშნავად ჩაატარა მთელი რიგი შეტევითი ბრძოლები გროზნოს, კრიკონოსოვის, ზოლოტარევის რაიონში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მამაცობა მდინარე თერგის გადალახვის დროს იშჩორსკაიას რაიონში. შემდგომში ი. ბაბალაშვილი მონაწილეობს ჩრდილო კავკასიის მტრისაგან მთლიანად განთავისუფლებისათვის წარმოებულ მთელ რიგ ბრძოლებში. ამჟამად გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი თადარიგშია, ცხოვრობს თბილისში, ეწევა ლიტერატურულ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის არაერთი შესანიშნავი სამხედრო-ისტორიული ნარკვევი.

პოლკოვნიკებმა ნიკოლოზ გვენცაძემ, რომელიც მეთაურობდა 1371-ე ქართულ მსროლელ პოლკს და ალექსანდრე შავლიაშვილმა, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის 1367-ე პოლკის მეთაურმა, გმირული გზა განვლეს კავკასიისათვის ბრძოლებში.

ნ. გვენცაძე მონაწილეობდა გრიგენსკაიას, კალაბატკის, ანაპის, ტაბანის, სიმფეროპოლის, სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

Ა. შავლიაშვილი მონაწილეა იშჩორსკის, მოზდოკის, გრიგენსკაიას, კალაბატკის და სხვა მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლებისა.

კავკასიისათვის ბრძოლებში შესანიშნავი გზა განვლო ლეიტენანტმა შალვა ივანეს ძე ფურცელაძემ, რომელიც მზვერავთა ოცეულს მეთაურობდა. იგი ბევრჯერ ყოფილა მტრის ზურგში და გმირულად შებმია ფაშისტებს. ბრძოლის ველზე 4-ჯერ მძიმედ დაიჭრა.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი გამოიჩინა ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვანმა ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, რის შესახებაც მრავალი სტატია და ნარკვევი გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში და გამოიცა: ცალკე მონოგრაფიები.

მაგრამ ძალიან ცოტაა დაწერილი მესანგრეებზე, რომლებსაც ომის დროს დიდად საპასუხისმგებლო და მეტად სახიფათო დავალების შესრულება უხდებოდათ. ისინი აწყობდნენ სათვალთვალო პუნქტებს, ბლინდაჟებს, ძელმიწურ საცეცხლე წერტებს, სანგრებს, გასასვლელ თხრილებს. შეტევითი ბრძოლების დროს წინა ხაზზე ჭრიდნენ მავთულხლართებს, აუვნებლებდნენ ნაღმებს, გზას უკაფავდნენ ქვეითებს და ტანკებს შეტევისათვის. ყოველივე ამით 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონის ქართველმა მესანგრეებმა 414-ე დივიზიის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს. ამჯერად გვინდა შევჩერდეთ ამ დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის ზოგიერთ საბრძოლო მომენტზე. როდესაც მტერი კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებს მოუახლოვდა, 347-ე მესანგრეთა ბატალიონის პირველი ასეული გაიგზავნა ვედენო-ხარჩაის მიმართულებით, სადაც მან ააგო საინჟინრო დაბრკოლებები და დანაღმა მისადგომები.

1942 წლის დეკემბერში, როცა მტერი ის იყო თერგის ნაპირებს მოადგა, 347-ე მესანგრეთა ბატალიონს დაეკალა თერგზე ხიდის აგება. ამ დავალების უშუალოდ შესრულება დაეკისრა ბატალიონის მეორე ასეულს. მუშაობა მიმდინარეობდა მეტისმეტად ძნელ პირობებში. მტრის ცეცხლის ქვეშ, ღრმა და ცივ მდინარეში. მტერი ფხიზლობდა და ცეცხლს არ ანებებდა. ერთ-ერთი დაბომბვის დროს მძი-

მედ დაიჭრა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი შ. კაკიტაძე. მამაცმა მესანგრეებმა სიძნელეები გადალახეს და თერგზე ააგეს ხიდი, რომელზედაც გაიარეს არა მარტო 414-ე ქართული დივიზიის ნაწილებმა, არამედ საბჭოთა ჯარების სხვა შენაერთებმაც, რომლებმაც ცხარე ბრძოლებით გაათავისუფლეს მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი სადგური იშჩორსკი.

✓ თერგზე ხიდის აგების დროს თავი ისახელეს მესანგრეებმა ვ. ბალაშწარიშვილმა, გ. ლომიძემ, ბ. შუბითიძემ, გ. გოგოლაძემ, შ. მაღლაფერიძემ, ნ. ჯავახიშვილმა, ვ. ხაჩიძემ, ნ. გრიგალაშვილმა, ვ. თოდუამ, გ. დუმბაძემ, დ. ფაცურიამ, ვ. სეფისკვერაძემ და სხვებმა. დავალების მიღების წინ მოწინავე მესანგრემ ხარაგოულელმა ლევან გაბრიელის ძე ჩერქეზიშვილმა ბატალიონის პარტიულ ორგანიზაციას მიმართა განცხადებით, ბრძოლის ველზე გასვლისას მსურს ჩემი უბის ჯიბეს ჩვენი დიადი პარტიის ბილეთი ამშვენებდესო, რათა სამშობლოსათვის თავგანწირულ ბრძოლებში ვმონაწილეობდე როგორც კომუნისტი.

✓ ლ. ჩერქეზიშვილი მიიღეს პარტიაში. იგი ხელმძღვანელობდა მესანგრეთა იმ ჯგუფს, რომელიც ხიდისათვის საჭირო ხის მასალას მტრის საცეცხლე წერტთან ახლოს მდებარე ტყიდან ეზიდებოდა. ჩრდილო კავკასიაში სოფელ თამაზოვკასთან (მოზდოკის მიმართულებით) მესანგრეებს დავალების შესრულება უხდებოდათ წინა ხაზზე. შეტევის დაწყებამდე ღამის წყვდიადში ზღუდეზე გააუვნებლეს ნაღმები და გააკეთეს საჭირო რაოდენობით გასასვლელები ჩვენი შემტევი ჯარისათვის, რითაც საშუალება მიეცა ქვეით ჯარს და ტანკებს შეტევაზე გადასულიყვნენ და წაეწიათ წინ მოზდოკისაკენ. ამ ბრძოლებში მამაცური სიკვდილით დაეცნენ მესანგრეები: ა. მ. ტაბატაძე, ვ. ს. კურტაძე, გ. გ. წიქარიშვილი, ლ. მაკალათია, ზემდეგი ს. მ. მურუსიძე, ს. გ. ჯიოევი.

1943 წლის თებერვალში 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია სოფელ კალაბატკასთან (კრასნოდარის მხარე, სლავიანსკის რაიონი). ეს ბრძოლა თითქმის მთელ ნახევარ თვეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში კალაბატკა ხელიდან ხელში გადადიოდა. მესანგრეები მეტად რთულ ამოცანებს ასრულებდნენ. მათ შეძლეს დაენაღმათ კალაბატკასთან მისასვლელი

ხიდი და ახლომახლო ადგილები, რის შედეგადაც მტრის ტანკების იერიში ჩაიშალა, დანაღმულ ხიდზე აფეთქდა მოწინააღმდეგის ერთი ტანკი, დანარჩენებმა კი პირი უკან იბრუნეს. ამ ბრძოლებში გმირულად დაეცა 17 მესანგრე. მათ შორის ბატალიონის მეთაურის მოადგილე ა. ს. კაჭარავა, მესანგრეები: შ. კვერცხიშვილი, ნ. ბარბაქაძე, შ. ჯანაშვილი.

1944 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე მესანგრეებმა დიდი ბრძოლები გადაიხადეს ყირიმში. მტერი უკან იხევდა. მესანგრეები წინ მიუძღოდნენ ქვეითებს, ტანკებს, წინა ხაზზე ჭრიდნენ მავთულხლართებს, აუვნებლებდნენ ნაღმებს. ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იყო ჩასაფრებული, მაგრამ მაინც მიიწევდნენ წინ, სევასტოპოლისაკენ. ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს ოფიცრებმა — ოცეულის მეთაურებმა: მ. გიგოლაშვილმა, შ. ჩორგოლაშვილმა, გ. მაისურაძემ, ა. მიქელაშვილმა, ვ. ქუთათელაძემ; პოლიტმუშაკმა: რ. ჭანტურიამ, მ. ბართაიამ, ვ. ჩიტაიშვილმა; ექიმმა კ. ნოდიამ და მრავალმა სხვამ.

ბატალიონში თავი ისახელეს მამა-შვილმა ალექსანდრე და დიმიტრი ბლიაძეებმა. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ 347-ე ბატალიონის მიერ ჩატარებულ უმნიშვნელოვანეს ბრძოლებში. დიმიტრი ბლიაძე ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისათვის რამდენჯერმე იქნა დაჯილდოებული ორდენითა და მედლით, მიენიჭა უფროსი სერჟანტის წოდება. საბედნიეროდ, მამა-შვილი უვნებლად დაბრუნდნენ შინ და ჩაებნენ მშვიდობიანი შრომის ფერხულში. დიმიტრი არჩეულ იქნა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ამჟამად კი არის მასწავლებელი თავის სოფელ ვერტყვილის ჭალაში (ორჯონიკიძის რაიონი), ალექსანდრე ბლიაძე კი აქტიურად მუშაობს კოლმეურნეობაში, შრომაში წარმატებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

მესანგრეთა წარმატებები განაპირობა ბატალიონის მეთაურთა სწორმა ხელმძღვანელობამ.

347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონს მეთაურობდა შ. ა. ჯაბუა, გამოცდილი ინჟინერი, სამშობლოს ერთგული შვილი, ბრძოლაში უშიშარი. ამჟამად შ. ჯაბუა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა და ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. ბატალიონის კომისრად და

შემდეგ მეთაურის მოადგილედ პოლიტდარგში მუშაობდა ინჟინერი ი. ჰ. ჩხაიძე, ხოლო ბატალიონის მეთაურის მოადგილედ — გ. გ. თოდუა, თავისი საქმის კარგი მცოდნე, პირადი შემადგენლობისათვის დიდად მზრუნველი და გაბედული მებრძოლი. ამჟამად გ. თოდუა არის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. მან დიდი და ნაყოფიერი მუშაობით შექმნა ფუნდამენტური შრომები საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიის დარგში.

347-ე ქართული მესანგრეთა ცალკე ბატალიონის მთელმა შემადგენლობამ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

მესანგრეები, რომლებსაც წილად ხვდათ დაბრუნებოდნენ თავიანთ ოჯახებს, აქტიურად ჩაებნენ მშვიდობიან შრომაში. ბევრი მათგანი დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის, აგრონომის, ბრიგადირის თანამდებობას ასრულებს.

ყოფილი მესანგრე, ამჟამად რიგითი კოლმეურნე ხარაგოულელი ნ. ასანიძე შრომის გმირი გახდა.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კავკასიასა და ყირიმის ნახევარკუნძულზე მოქმედ ქართულ დივიზიებში, ისე როგორც სხვა დივიზიებში, საპატიო ადგილი ეჭირა წითელარმიელთა გაზეთს, რომელიც რეგულარულად გამოდიოდა. ეს გაზეთი იყო მებრძოლთა პირველი ცნობარი პოლიტიკის, სამხედრო ტაქტიკისა და სასროლო საქმის შესასწავლად, დიდ როლს ასრულებდა ბრძოლის გამოცდილების გაზიარების, დისციპლინის და ორგანიზებულობის განმტკიცების და საერთოდ ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საქმეში.

რა თქმა უნდა, გაზეთის საველე პირობებში რეგულარულად გამოცემა ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიმდინარეობს ჯარების მანევრი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ყოველგვარი სირთულისა, ქართველმა ჟურნალისტებმა, ლიტერატორებმა, სტამბის მუშებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მებრძოლთა მზარდი მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულიყო.

ამ დიდ საქმეში თავი ისახელეს შესანიშნავმა ჟურნალისტებმა და მეომრებმა: მიხეილ დავითაშვილმა, რომელმაც მარჯვენა ფეხი დაკარგა ბრძოლის ველზე, პეტრე შამათავამ, კონსტანტინე ლორთ-

ქიფანიძემ, არჩილ კოკილაშვილმა, სტეფანე მხარგრძელმა, კოტე მესხმა, კომანდო დობორჯგინიძემ, დიმიტრი ლომთათიძემ და სხვებმა.

~კავკასიისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს აგრეთვე გენერალ-მაიორმა ალექსი ინაურმა (ახლა გენერალ-პოლკოვნიკი), ვიქტორ ლისინოვმა, ისიდორე სილაგაძემ, მიხეილ ღლონტმა, ვალერიან ძაბახიძემ, ილია რაზმაძემ, გიორგი ყუფარაძემ, დიმიტრი ნამგალაძემ. ივანე შაიშმელაშვილმა, აკაკი ზამთარაძემ, ვლადიმერ ხუბულურმა, ვახტანგ მურუსიძემ, მიხეილ როსტომაშვილმა, ვლადიმერ ზარელუამ, კონტრ-ადმირალმა მიხეილ ჯინჭარაძემ, ოფიცრებმა ვარლამ ჯანჯღავამ, დავით მაჭარაძემ, მიხეილ გვასალიამ, გივი ღლონტმა, ალექსანდრე ჯულუხიძემ, მიხეილ ხურცილავამ, კალისტრატე მანაგაძემ, პავლე კუპატაძემ, ომარ მუსერიძემ, ლეონიდე ჩიქვიხიძემ, კონსტანტინე სოხაძემ, კონსტანტინე მამარდაშვილმა, შალვა კაცაძემ, ლეონიდე ჩავამ, ვასილ ვერულაშვილმა, ბესარიონ კონტრიძემ, სერგო ჩხეიძემ, შალვა ჟვანიამ, ქრისტეფორე გაფრინდაშვილმა, სტეფანე ბერუჩაშვილმა, მოსე მექვაბიშვილმა, კლიმენტი გვალიამ, გიორგი ნარიმანიძემ, პარუნაკ სარდანიანმა, ვიქტორ გასიევმა, მიხეილ ჯალაღანიამ, დიმიტრი მეძმარიაშვილმა, ნიკოლოზ გაგლოევმა, გიორგი ქუთათელაძემ, ირაკლი ყანდარელმა, იაროსლავ იოსელიანმა, ალექსანდრე ანდღულაძემ, ბიქტორ კიკინაძემ, ნიკოლოზ ლორიამ, არხიპო ხვედელიანმა, ვასილ ალელიშვილმა, გიორგი ლომიძემ, ვლადიმერ ბარბაქაძემ, ნიკოლოზ ბეჟიტაშვილმა, რაჟდენ ხარებავამ, უშანგი თავაძემ, ნიკოლოზ ტეგეტაშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიძემ, კონსტანტინე თოფურიამ, დავით ვარდოსანიძემ, ვალერიან ძაგანიამ, არტემ კაკაბაძემ, რაფიელ მელაძემ. შალვა წიკლაურმა, ვახტანგ ჩიტალაძემ, გრიგოლ ბარათაშვილმა, მიხეილ გელაძემ, გრიგოლ ჩიქობავამ, არკადი გეგეშიძემ, სამსონ მექვაბიშვილმა. სტეფანე მხარგრძელმა, გიორგი ბურკაძემ, ამბროსი რამიშვილმა. შალვა შარაშენიძემ, პავლე კიკნაძემ. მცირე მიწაზე გმირული ბრძოლებით ასახელეს ქართველი ხალხი ოფიცრებმა: დავით მდინარაძემ, რომელმაც მარჯვენა შესწირა სამშობლოს, შოთა ბუხრაშვილმა (ამჟამად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), არტემ აზიროვმა, თეიმურაზ ეგაძემ, პოლიკარპე კასრაძემ, აპოლონ ქუჩუკაშვილმა, იოსებ ხაჭაპურიძემ და მრავალმა სხვამ.

სტალინგრადთან ბრძოლის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა

სტალინგრადთან ბრძოლას, რომელიც გერმანელ ფაშისტთა ჯარების მსხვილი დაჯგუფების სრული განადგურებით დამთავრდა. უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო დიდი სამამულო ომის შემდგომი მსვლელობისათვის, არამედ საერთოდ მთელი მეორე მსოფლიო ომისათვის.

სტალინგრადთან საბჭოთა არმიამ არნახული დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის შედეგად 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის ხუთი არმია.

ყოფილი ჰიტლერელი გენერალი კურტ ტიპელსკირხიც კი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „შეუძლებელი იყო შეჩერება რუსების შეტევისა, რომელიც წარმოებდა 400-კილომეტრიან ფრონტზე კოტელნიკოვოდან ნოვაია კალიტვამდე“[1].

მოწინააღმდეგემ მთლიანად დაკარგა ოცდათორმეტი დივიზია და სამი ბრიგადა. გარდა ამისა, თექვსმეტი დივიზია, რომელთა შემადგენლობის 50%-ზე მეტი დაიღუპა, შეერთებულ იქნა საბრძოლო ჯგუფებად ან დივიზიების ნარჩენებად. მტერმა დაკარგა აგრეთვე დიდი რაოდენობით საომარი ტექნიკა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანელ ფაშისტთა ჯარების უდიდესი დაჯგუფების განადგურების საქმეში საბჭოთა ავიაციამ. ავიაციის ძირითადი ამოცანა იყო სახმელეთო ჯარებისათვის დახმარების გაწევა ბრძოლის ველზე.

სტალინგრადთან ბრძოლაში დიდი დამარცხება განიცადა გერმანელ ფაშისტთა ავიაციამ.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებამ სტალინგრადთან სერიოზულად შეარყია მოწინააღმდეგის ჯარისკაცებისა და ოფიცრების მორალური სულისკვეთება. ფაშისტური პროპაგანდა დიდხანს უმალავდა გერმანელ ხალხს სტალინგრადთან თავიანთი ჯარების უიმედო მდგომარეობას. „მაგრამ რამდენადაც დამარცხების მთელი სიმძიმის დამალვა მაინც შეუძლებელი იყო, ნაცისტი მმართველები იძულებული გახდნენ გამოეცხადებინათ სამდღიანი გლოვა, რომე-

---

[1] К. Типпельскирх, История второй мировой войны, стр. 261.

ლიც გაავრცელეს ფაშისტური ბლოკის ყველა ქვეყანაზე... 4-დან 6 თებერვლამდე ჩათვლით. ამ დღეებში შეძრწუნებულ გერმანიაში ეკლესიათა ზარების სამგლოვიარო რეკვა ისმოდა"[1].

სტალინგრადთან წარმატებით კონტრშეტევის შედეგად საბჭოთა არმიამ ხელთ იგდო სტრატეგიული ინიციატივა და საერთო შეტევაზე გადავიდა მთელ ფრონტზე ლენინგრადიდან კავკასიის მთებამდე. დაიწყო საბჭოთა მიწა-წყლიდან მტრის განდევნა.

სტალინგრადთან ჰიტლერელთა ჯარების განადგურებით საბჭოთა არმიამ დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას დიდი სამამულო ომის მიმდინარეობაში და მიაღწია გარდატეხას მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ.

ჰიტლერელი გენერალი დიორი იძულებული იყო აშკარად განეცხადებინა ამის შესახებ: „1942 წელს სტალინგრადი გახდა მეორე მსოფლიო ომის გარდატეხის პუნქტი; გერმანიისათვის სტალინგრადთან ბრძოლა იყო უმძიმესი დამარცხება მთელ მის ისტორიაში, რუსეთისათვის — უდიდესი გამარჯვება"[2].

სტალინგრადთან ბრძოლას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. სტალინგრადთან საბჭოთა არმიის ისტორიულმა გამარჯვებამ განუმტკიცა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ფაშისტური ბლოკის გარდუვალი დამარცხების რწმენა. გაძლიერდა ევროპის დამონებული ხალხების ბრძოლა ფაშისტური „ახალი წესრიგის" წინააღმდეგ, გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ჟან რიშარ ბლოკმა, რომელიც 1943 წლის 9 თებერვალს გამოვიდა მოსკოვის რადიოთი, თქვა: „ისმინეთ, პარიზელებო! პირველი სამი დივიზია, რომლებიც შეიჭრნენ პარიზში 1940 წლის ივნისში... ეს სამი დივიზია — მე-100 მსუბუქი ქვეითი, 113-ე და 295-ე ქვეითი დივიზიები — ამიერიდან აღარ არსებობს. ისინი განადგურებული არიან სტალინგრადთან: რუსებმა შური იძიეს პარიზისათვის, რუსები შურს იძიებენ საფრანგეთისათვის"[3].

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III. стр. 71.

[2] Г. Дёрр, Поход на Сталинград, Воениздат, 1957, стр. 15.

[3] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 75.

„ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები აღტაცებული იყვნენ გმირული გამარჯვებით, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ისტორიის მსვლელობაში, ისინი მადლიერი იყვნენ საბჭოთა ხალხისა იმ გმირობისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სტალინგრადთან კაცობრიობის საკეთილდღეოდ. 1943 წლის ნოემბერში თეირანში სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს გადასცა „საპატიო ხმალი — დიდი ბრიტანეთის მეფის გიორგი VI-ის საჩუქარი სტალინგრადის მოქალაქეებს ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების აღსანიშნავად“, ხოლო 1944 წლის მაისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა გამოუგზავნა სტალინგრადს სიგელი, რომელშიც ნათქვამია: „ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის სახელით ამ სიგელს გადავცემ სტალინგრადს, რათა გამოვხატო ჩვენი აღტაცება მისი გმირი დამცველების მიმართ, რომელთა მამაცობა, სულიერი ძალა და თავგადწირულობა ალყის დროს 1942 წლის 13 სექტემბრიდან 1943 წლის 31 იანვრამდე მარად აღაფრთოვანებს ყველა თავისუფალი ადამიანის გულს. ამ სახელოვანმა გამარჯვებამ შეაჩერა შემოსევის ტალღა და გახდა აგრესიის ძალების წინააღმდეგ მოკავშირე ერების ომის კარდატეხის პუნქტი“[1].

ასეთ დიდ შეფასებას აძლევდნენ მაშინ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები სტალინგრადის ბრძოლას.

ინგლისის მშრომელ მასებს ესმოდათ, რომ საბჭოთა კავშირმა და მისმა არმიამ, მტკიცედ შებოჭეს რა გერმანიის ძირითადი სამხედრო ძალები, თავიდან ააცილეს ინგლისს რეალური საშიშროება, რომელიც ესოდენ ემუქრებოდა მას ომის პირველ პერიოდში. გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურებამ სტალინგრადთან, მისმა იძულებითმა გადასვლამ თავდაცვაზე და გერმანელთა ყველა ბრძოლისუნარიანი დივიზიის დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთში გადასროლის აუცილებლობამ — ყოველივე ამან საბოლოოდ მოუსპო

---

1 История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 — 1945 гг., т. III, стр. 77.

გერმანიას ბრიტანეთის კუნძულებისათვის რაიმე უშუალო საფრთხის, რეალური მუქარის შესაძლებლობა.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ გავლენა მოახდინა გერმანიის მიმართ ეგრეთ წოდებული ნეიტრალური ქვეყნების პოზიციაზე. მაგალითად, იაპონია და თურქეთი, რომლებიც მზად იყვნენ ჩაბმულიყვნენ ომში გერმანიის მხარეზე სსრ კავშირის წინააღმდეგ. სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების შემდეგ იძულებული გახდნენ თავი შეეკავებინათ აშკარა სამხედრო მოქმედებისაგან.

საბჭოთა არმიის წარმატებამ შეარყია ფაშისტური გერმანიის ევროპელი მომხრეების რწმენა ჰიტლერელთა ჯარების უძლეველობისა.

სტალინგრადთან გამარჯვებამ კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა არმიის საბრძოლო სულისკვეთება და განამტკიცა საბჭოთა ხალხის რწმენა მტერზე საბოლოო გამარჯვებაში.

სტალინგრადთან ბრძოლა გახდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშისტური მონობისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის არნახული სიმტკიცის, უბადლო მამაცობისა და სწორუპოვარი გმირობის სიმბოლო.

კურსის
ბრძოლები

კურსკის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ უდიდეს ოპერაციას წარმოადგენს. იგი დაიწყო 1943 წლის 5 ივლისს გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეტევით ორიოლსა და ბელგოროდის რაიონებიდან. ამ ოპერაციით ჰიტლერი შეეცადა თავის სასარგებლოდ შეეცვალა ომის ბედი, მაგრამ გერმანელებმა აქ სასტიკი მარცხი განიცადეს და საერთო გარდუვალი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ.

კურსკის ოპერაცია, რომელიც თვენახევარს გაგრძელდა, ორ პერიოდად იყოფა: საბჭოთა ჯარების მოგერიებითი ბრძოლები (1943 წლის 5—16 ივლისი) და მძლავრი კონტრშეტევა (1943 წლის 16 ივლისი — 23 აგვისტო), რომელიც შემდგომ ფართო ფრონტზე ძლევამოსილ საერთო შეტევად გადაიზარდა.

კურსკის ბრძოლებში მონაწილე ჯარებისა და საომარი ტექნიკის რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მოსკოვთან და სტალინგრადთან კონტრშეტევის დროს. ორივე მხრიდან აქ მონაწილეობდა 4 მილიონზე მეტი კაცი, მაშინ როცა მოსკოვთან — 1 მილიონ 500 ათასი, სტალინგრადთან — 2 მილიონი.

მოსკოვთან კონტრშეტევის დროს უპირატესობა ძალების მხრივ გერმანელებს ჰქონდათ, სტალინგრადთან ძალთა შეფარდება თანაბარი იყო, კურსკის ბრძოლებში კი საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და საომარი ტექნიკის რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა მტრისას.

ვოლგასთან კონტრშეტევა გადაიზარდა საბჭოთა არმიის 1942—1943 წლების ზამთრის საერთო სტრატეგიულ შეტევად, რომელიც 1500-კილომეტრიან ფრონტის ხაზზე იყო გაშლილი.

ლენინგრადის და ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა 1943 წლის 12—18 იანვრის განმავლობაში გაანადგურეს მტრის დაჯგუფებანი ლადოგის ტბის სამხრეთით და გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა.

კურსკის, ხარკოვისა და დონბასის მიმართულებით წარმატებით ავითარებდნენ შეტევას ბრიანსკის, ვორონეჟის, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტები. ამ ფრონტების ჯარებმა 1943 წლის თებერვალ—მარტში გაანადგურეს მტრის სამი არმია და სოლივით შეიჭრნენ მტრის განლაგებაში, რითაც შექმნეს ეგრეთ წოდებული კურსკის შვერილი.

ფრონტის ხაზს კურსკის შვერილზე უზარმაზარი რკალის ფორმა ჰქონდა და გადიოდა ტაგინოს, სევსკის, რილსკის, სუმის, ბელგოროდის რაიონებზე. კურსკის რკალის სიგანე საფუძველთან 200 კილომეტრზე მეტი იყო, წვერი 150 კილომეტრამდე აღწევდა, ხოლო სიღრმე 200 კილომეტრზე მიდიოდა.

კურსკთან ბრძოლა თავისებურ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში გაჩაღდა. ფაშისტური გერმანიის მესვეურები ვოლგაზე სასტიკი მარცხისა და საბჭოთა არმიის ერთობლივი შეტევის დროს დარწმუნდნენ, რომ მთელი მეორე მსოფლიო ომის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რით დამთავრდებოდა სსრ კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1943 წლის ზაფხულის საომარი მოქმედება.

იმისათვის, რომ შეევსოთ დანაკარგები, გერმანელებმა 1943 წლის ზამთარში და გაზაფხულზე განახორციელეს ღონისძიებანი თავიანთი სამხედრო მანქანის განსამტკიცებლად.

1943 წელს საგანგებო ღონისძიებათა შედეგად ფაშისტური

გერმანიის სამხედრო მრეწველობა ინტენსიურად ვითარდებოდა. გაიზარდა ფოლადის გამოდნობა, ალუმინის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება. ამ ბაზაზე მნიშვნელოვნად გადიდდა სამხედრო პროდუქციის გამოშვება. ტანკების, ქვემეხების, ნაღმსატყორცნების წარმოება წინა წელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა, საბრძოლო თვითმფრინავებისა — 1,7-ჯერ.

იმის გამო, რომ დასავლეთში მეორე ფრონტი არ არსებობდა, ჰიტლერული გერმანიის მთავრობამ შეძლო ძირითადი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე სსრ კავშირის წინააღმდეგ გადმოესროლა და ზაფხულისათვის დანაკარგები არა მარტო მნიშვნელოვნად შეევსო, არამედ ჯარები ახალი, უფრო სრულყოფილი სამხედრო ტექნიკით აღეჭურვა. მტერმა შეიარაღებაში მიიღო მძიმე ტანკები „ვეფხვი" („ვეფხვი" დაარქვეს სუსტნერვებიანთა დასაშინებლად. ტანკის წონა იყო 60 ტ აღჭურვილობა — 88 მმ ქვემეხი, ორი ტყვიამფრქვევი; წინა ჯავშნის სისქე 150 მმ აღწევდა, გვერდითისა — 80 მმ) და „ავაზა", თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი", ახალი ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფი".

საბჭოთა ხალხის გმირულმა შრომამ, კომუნისტური პარტიის დიდმა ორგანიზატორულმა მოღვაწეობამ უზრუნველყო სამრეწველო პროდუქციის სწრაფი ზრდა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. ურალის ხვედრითი წილი სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში 1943 წელს 1940 წელთან შედარებით 3,8-ჯერ გაიზარდა. ქვეყნის სახალხო მეურნეობის გადაყვანამ სამხედრო რელსებზე შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებინა საომარი პროდუქციის წარმოება. 1943 წელს ტანკების გამოშვება 1940 წელთან შედარებით გადიდდა 8,5-ჯერ და უფრო მეტად, თვითმფრინავებისა თითქმის 4-ჯერ, ქვემეხებისა დაახლოებით 3,5-ჯერ, საომარი მასალისა 2,5-ჯერ და უფრო მეტად.

ჩვენი სამშობლოს მშრომელები არავითარ სიძნელეებს არ ერიდებოდნენ, რათა უზრუნველეყოთ ფრონტის დაკვეთების შესრულება. ომის ორი წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა საშუალოდ 40%-ზე მეტად. ამავე დროს მიღწეულ იქნა გრანდიოზული წარმატებები სამხედრო ტექნიკის ახალი, უფრო სრულყოფილი ნიმუშების შემუშავებისა და ათვისების დარგში. კურსკის ბრძოლების დაწყებისას საბჭოთა არმიაში მნიშვნელოვნად

გაიზარდა სატანკო და მექანიზებული შენაერთებისა და გაერთიანებათა რაოდენობა.

გაძლიერდა ავიაციაც. თუ მოსკოვთან ბრძოლებში ჩვენი 1000 თვითმფრინავი მონაწილეობდა, კურსკის ბრძოლებში 5000-ზე მეტი თვითმფრინავი მტერს რისხვად ატყდებოდა თავს.

შენაერთების მეთაურებმა მივიღეთ სტერეოსკოპული რუკები, რომლებიც საშუალებას გვაძლევდა სწრაფად შეგვესწავლა ადგილმდებარეობა — მისი რელიეფი, რამაც ძალზე გააადვილა ნაწილების საბრძოლო გეგმების დაზუსტება და ჯარების მანევრი ბრძოლის ველზე.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრძოლინუსარიანობა ამაღლდა იმის შედეგადაც, რომ პირადმა შემადგენლობამ ბრძოლებში მდიდარი გამოცდილება შეიძინა.

ფაშისტების შეტევის ჩასაფუშავად საბჭოთა არმიასთან ერთად ჩვენი პარტიზანებიც ემზადებოდნენ. ისინი მტრის ზურგისა და სამხედრო ობიექტების მოსასპობად თავს უყრიდნენ ძალებს ბრიანსკის, ბელორუსიის, ნოვგოროდისა და უკრაინის ტყეებში. სწორედ ამ თვალუწვდენელ ტერიტორიაზე გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო ერთდროული დარტყმა მტრის კომუნიკაციებზე, რაც ისტორიაში შევიდა „სალიანდაგო ომის“ სახელწოდებით.

„ჰიტლერელთა სარდლობამ, რომელიც „ციტადელის“ ოპერაციას ამზადებდა, მაის-ივნისში დიდი დამსჯელი ექსპედიცია წამოიწყო ბრიანსკელი პარტიზანების წინააღმდეგ, რათა უზრუნველეყო ზურგის უსაშიშრობა თავისი ორიოლის დაჯგუფებისათვის. პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად, გარდა ადრე მოქმედი გერმანელთა 707-ე, 221-ე და 213-ე საბადრაგო დივიზიებისა და უნგრელთა მე-8 საარმიო კორპუსისა, რომელიც სამი ქვეითი დივიზიისაგან შედგებოდა, გადმოსროლილ იქნა მე-4 სატანკო და მე-10 მოტორიზებული, მე-7, 292-ე, 113-ე ქვეითი დივიზიები და 47-ე, 57-ე ცალკე საბადრაგო პოლკები. სულ პარტიზანების წინააღმდეგ გაიგზავნა 10 დივიზიაზე მეტი — ჯარების მთელი საარმიო ჯგუფი. გარდა ამისა, იუ-88, ბომბდამშენთა 15—20-თვითმფრინავიანი ჯგუფები მასირებულად ესხმოდნენ თავს, სეტყვასავით აყრიდნენ ყუმბარებსა და ტყვიას პარტიზანთა პოზიციებს. ცალკეულ დღეებში თავდასხმებში 350-მდე თვითმფრინავი მონაწილეობდა. ჰიტლერელებმა ბლოკადა-

ში მოაქციეს ტყეები, სადაც პარტიზანთა ბაზები იყო მოთავსებული, და ყველა მცხოვრები გაასახლეს ტყის მასივების მომიჯნავე სოფლებიდან და დაბებიდან. მოსახლეობის ნაწილი გერმანიაში გარეკეს. ბევრი დასახლებული პუნქტი აღგავეს პირისაგან მიწისა...

ამასთან ერთდროულად მტერმა განახორციელა დამსჯელი ოპერაცია უკრაინელ პარტიზანთა წინააღმდეგ... აქ მოქმედებდა ცხრა დიდი პარტიზანული შენაერთი, რომლებიც გამუდმებით ესხმოდნენ თავს გერმანელთა ჯარების კომუნიკაციებს. ჰიტლერელებმა ივნისის შუა რიცხვებისათვის ამ რაიონში 40 ათასამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს მოუყარეს თავი.

მაგრამ ოსტატური მანევრების შედეგად პარტიზანულმა შენაერთებმა შეძლეს თავი დაეღწიათ გერმანელთა მთავარი ძალების დარტყმისათვის და, ამასთან, დიდი ზარალი მიაყენეს მტერს.

ამავე დროს, ჰიტლერელთა სარდლობამ თითქმის ორი დივიზია გამოიყვანა ჩერნიგოვის პარტიზანული შენაერთის წინააღმდეგ. მაგრამ მტერმა ვერც ჩერნიგოვის პარტიზანთა განადგურება მოახერხა"[1].

1943 წლის ზაფხულის კამპანიის დასაწყისში პარტიზანები ორგანიზებულად, საბჭოთა არმიასთან ურთიერთმოქმედებით, ანადგურებდნენ მტრის ზურგში მის კომუნიკაციებს, ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, არ აძლევდნენ მას გეგმაზომიერი მომარაგებისა და ჯარების მანევრის განხორციელების საშუალებას.

პარტიზანებს შორის გმირულად იბრძოდა მრავალი ჩვენი თანამემამულე.

✓ კოვპაკის პარტიზანულ დივიზიაში პირველ პარტიზანულ პოლკს მეთაურობდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, საბჭოთა არმიის ნიჭიერი ოფიცერი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ილიას ძე ბაქრაძე.

სხვა პარტიზანულ შენაერთებში გმირულად იბრძოდნენ უშიშარი მებრძოლები დიმიტრი იოსელიანი, ქრისტო სუხიშვილი, მიხეილ ბუსკაძე, ნოე იაშვილი, ივანე რეხვიაშვილი. ალექსანდრე შელაია, ვლადიმერ თალაკვაძე და მრავალი სხვა.

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 244.

მხარეთა გეგმები 1943 წლის ზაფხულის კამპანიისათვის

კურსკის შვერილის რკალისებური ფრონტის ხაზი საბჭოთა არმიას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა იმისათვის, რომ ახალი დარტყმა განეხორციელებინა მოსკოვისა და დონბასის სტრატეგიული მიმართულებით თავმოყრილი მტრის ჯარების მთავარი დაჯგუფებების ფლანგებსა და ზურგში და შეტევა განევითარებინა დონბასისა და ბელორუსიის განთავისუფლების მიზნით. მაგრამ ფრონტის ასეთი ხაზი კურსკის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ორიოლისა და ბელგოროდ-ხარკოვის რაიონებში ორ პლაცდარმს ქმნიდა, რომლებიც შეიძლებოდა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს გამოეყენებინათ კურსკის შვერილის დამცველი საბჭოთა ჯარებისათვის ფლანგებიდან და ზურგიდან დასარტყმელად.

1943 წლის ოპერაციებს რომ გეგმავდა, გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ გადაწყვიტა უპირველეს ყოვლისა გაენადგურებინა ვორონეჟის და ცენტრალური ფრონტის ჯარები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ კურსკის შვერილზე, და წარმატების შემთხვევაში შეტევა განევითარებინა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. კურსკთან გამარჯვებას, მტრის სარდლობის აზრით, ომის ბედი გერმანიის სასარგებლოდ უნდა მოებრუნებინა. 1943 წლის 15 აპრილის ოპერატიულ ბრძანებაში ჰიტლერი მოითხოვდა: „გადავწყვიტე, როგორც კი ამინდი საშუალებას მოგვცემს, განვახორციელოთ ამ წელიწადში პირველი შეტევა „ციტადელი“ („ციტადელი“ დაშიფრული სახელწოდებაა გერმანელი ჯარების შეტევითი ოპერაციისა კურსკთან — ნ. კ.).

ამ შეტევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მან უნდა მოგვცეს ინიციატივა გაზაფხულსა და ზაფხულში... კურსკთან გამარჯვება უნდა იყოს მთელი მსოფლიოს ჩირაღდანი“[1].

ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელები სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდნენ 1943 წლის ზაფხულის კამპანიის გეგმის შემუშავებისას. სტალინგრადის გაკვეთილი აიძულებდა მათ, უფრო ფრთხილად მისდგომოდნენ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ომის დაგეგმვას.

საბჭოთა ჯარების გასანადგურებლად ჰიტლერელი სარდლობა

[1] На огненной дуге. Воениздат, 1963, стр. 364.

თავის დამკვრელ დაჯგუფებას თავს უყრიდა კურსკის შვერილის ფრთებზე, ორიოლისა და ბელგოროდის რაიონებში, იმ ვარაუდით. რომ კონცენტრირებული დარტყმებით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კურსკის მიმართულებით ალყა შემოერტყათ და გაენადგურებინათ საბჭოთა ჯარები, რომლებიც კურსკის შვერილს იცავდნენ, შემდეგ განეკითარებინათ ახალი შეტევა და ხელთ ეგდოთ მოსკოვი.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით შეტევისათვის ფაშისტურმა სარდლობამ თავი მოუყარა მე-9 არმიას (7 სატანკო, 2 მოტორიზებული და 11 ქვეითი დივიზია), მთავარი დარტყმა დაგეგმილი იყო პონირის და ოლხოვატსკის გავლით კურსკზე. ამ მიმართულებით ყოველ ფაშისტურ დივიზიაზე მოდიოდა ფრონტის 3 კილომეტრზე ნაკლები მანძილი.

ბელგორად-კურსკზე ობოიანის მიმართულებით თავს იყრიდა მე-4 სატანკო არმია და ოპერატიული ჯგუფი „კემპფი" (10 სატანკო. 2 მოტორიზებული და 7 ქვეითი დივიზია, რომლებიც გაშლილი იყო ფრონტის 80 კილომეტრ სიგრძეზე. ამ დაჯგუფების შემადგენლობაში შედიოდნენ რჩეული სატანკო დივიზიები: „ადოლფ ჰიტლერი", „დიდი გერმანია", „ბკვდარი თავი", „რაიხი". საშუალო სიმჭიდროვე უდრიდა 42 ტანკს ფრონტის 1 კილომეტრზე, ხოლო ცალკეულ უბნებზე იერიშის დროს სიმჭიდროვე ფრონტის 1 კილომეტრზე 100 ტანკამდე ადიოდა. სულ კურსკის მიმართულებით მტერმა თავი მოუყარა 550 000 ჯარისკაცსა და ოფიცერს, 2700 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 10 000-ზე მეტ ქვემეხს, 300-ზე მეტ ნაღმსატყორცნს. ამ ჯარებს ეხმარებოდნენ მე-4 და მე-6 საჰაერო ფლოტები, რომელთა შემადგენლობაში 2000 თვითმფრინავი იყო.

1 ივლისს ჰიტლერმა აღმოსავლეთ პრუსიაში თავის ბანაკში გამოიძახა იმ არმიათა ჯგუფების სარდლები, არმიების სარდლები, კორპუსების მეთაურები, რომელთა ჯარებსაც შეტევაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. თავის მოხსენებაში ზაფხულის მომავალი კამპანიის შესახებ მან განაცხადა, „ციტადელის" ოპერაციის ჩატარების ვადის გადიდებამ შესაძლებელი გახადა შენაერთების პირადი შემადგენლობის სრულად დაკომპლექტება, ახალი ტექნიკით მათი მომარაგება-აღჭურვა, უზარმაზარი ძალების თავმოყრაო. ჰიტლერმა ხაზი გაუსვა, ტანკების სიჭარბე გერმანელებს უდავო უპირატესობას ანიჭებსო და გამოთქვა ოპერაციის სრული წარმატების რწმენა.

უშუალოდ შეტევის დაწყებამდე. ღამით, დამკვრელ დაჯგუფებათა ყველა განაყოფში წაიკითხეს ჰიტლერის მიმართვა პირადი შემადგენლობისადმი, ხელმოწერილი მის მიერ 4 ივლისს: „დღეიდან თქვენ ხდებით მონაწილენი დიდი შეტევითი ბრძოლებისა, რომელთა შედეგს შეუძლია გადაწყვიტოს ომის ბედი. თქვენი გამარჯვება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დაარწმუნებს მთელ მსოფლიოს, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა გერმანიის არმიისადმი ბოლოს და ბოლოს მაინც ამაოა“. ჰიტლერი მოუწოდებდა გადამწყვეტი დარტყმა ეგემებინათ წითელი არმიისათვის, რათა ამის შემდეგ იგი წელში ვეღარ გამართულიყო. „მძლავრმა დარტყმამ, რომელსაც საბჭოთა არმიები იგემებენ, — ნათქვამი იყო შემდეგ მიმართვაში, — ძირფესვიანად უნდა შეარყიოს ისინი... და თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ამ ბრძოლის წარმატებაზე...“[1]

გერმანელების მზადება კურსკზე შეტევისათვის შეუმჩნეველარ დარჩენია საბჭოთა სარდლობას და ამან არსებითი გავლენა მოახდინა მომავალი ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის გეგმის შემუშავებაზე.

საბჭოთა სარდლობამ დაგეგმა: შეუპოვარი მოგერიებითი ბრძოლებით წელში გაეწყვიტა ამ მიმართულებით თავმოყრილი გერმანელთა ჯარების დამკვრელი დაჯგუფებანი და შემდეგ მძლავრი კონტრშეტევით დაემთავრებინა მათი განადგურება.

.მოგერიებითი ოპერაციების განხორციელება დაგეგმილი იყო ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ძალებით, შემდეგ კი ისინი კონტრშეტევაზე უნდა გადასულიყვნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის დახმარებით. ამავე დროს დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტებს ამოცანა მიეცა მოემზადებინათ შეტევითი ოპერაციები იმ მიზნით, რომ მტერი გაენადგურებინათ ორიოლის რაიონში. ველის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც კურსკის შვერილის აღმოსავლეთ რაიონში მთავარსარდლობის რეზერვში იმყოფებოდნენ, მითითება მიიღეს მომზადებულიყვნენ ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ზოლებში აქტიური მოქმედებისათვის.

ამრიგად, კონტრშეტევაში და შემდეგ საერთო გადამწყვეტი შეტევის დროს კურსკის შვერილის რაიონში და მის ჩრდილოეთით

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 245.

უნდა ემოქმედა ხუთ ფრონტს — დასავლეთის, ბრიანსკის, ცენტრალურ, ვორონეჟისა და ველისას.

კურსკის რაიონში მტრის განადგურების შემდეგ განზრახული იყო აგრეთვე ერთიან შეტევაზე გადასულიყვნენ დასავლეთისაკენ და იერიშით გადაელახათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ზღუდე მდინარე დნეპრი.

კურსკთან თავმოყრილი საბჭოთა ჯარების წინაშე სერიოზული ძოცანა იდგა. მისი ღირსეულად შესრულება შეეძლოთ მხოლოდ კარგად მომზადებულ ჯარებს, რომელთაც მაღალი მორალური სულისკვეთება ჰქონდათ. ამიტომ ოპერაციის პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მთავარი ყურადღება პოლიტიკურ მუშაობაში ეთმობოდა იმას, რომ მეომრები გამსჭვალულიყვნენ გამარჯვების რწმენით და მტკიცე გადაწყვეტილებით — შეესრულებინათ სარდლობის ბრძანება — გაენადგურებინათ მტერი კურსკთან.

მოგერიებითი ბრძოლების ორგანიზაცია კურსკის შვერილზე

1943 წლის გაზაფხულიდან საბჭოთა ჯარებმა გიგანტური მუშაობა გააჩაღეს გადამწყვეტი ბრძოლების მოსამზადებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მტკიცე თავდაცვის შექმნას კურსკის შვერილის რაიონში.

სიმაგრე კურსკის მისადგომებთან შედგებოდა დიდ სიღრმეზე ეშელონებად განლაგებული რამდენიმე ძლიერი თავდაცვითი ზოლის, ზღუდეების, სანგრების ხშირი ქსელისა და სანგარსასვლელებისაგან. ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ მომჭრელი პოზიციებით.

სამი თვის განმავლობაში გრანდიოზული მუშაობა ჩატარდა კურსკის შვერილის რაიონის ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობისათვის. თხრიდნენ სანგრებს, სანგარსასვლელებს, ბლინდაჟებს; აწყობდნენ საცეცხლე პოზიციებს, საკომანდო და სათვალთვალო პუნქტებს: აშენებდნენ ნაღმამფეთქებელ ღობურებს. ყველაფერი იმარხებოდა მიწაში, რომ დაფარული ყოფილიყო მტრის ცეცხლისა და დაზვერვისაგან.

კურსკის შვერილის რაიონში მიწის სამუშაოებზე დახარჯული შრომით შეიძლებოდა 2 000 კილომეტრი სიგრძის სანაოსნო არხის გათხრა.

მე, როგორც ამ დიდი ბრძოლის მონაწილეს, მახსოვს, რა რთულ და დაძაბულ პირობებში გვიხდებოდა თავდაცვითი სამუშაოების წარმოება კურსკის რკალზე: გაზაფხულზე ძალზე ადიდდა მდინარე ჩრდილო დონეცი, რომლის დასავლეთი ნაპირები უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთი; როცა მდინარე ადიდდება, გადალახავს მხოლოდ აღმოსავლეთ სანაპიროებს და წყლით იფარება დიდი ფართობი. ვორონეჟის ფრონტის მე-7 გვარდიული არმიის თავდაცვის წინა ხაზი გადიოდა მდინარე ჩრდილო დონეცის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მდინარის საგაზაფხულო რეჟიმი გვაიძულებდა თითქმის ყოველდღე შეგვეცვალა თავდაცვის წინა ხაზის განლაგება და აპრილსა და მაისში, წყლის ადიდების მიხედვით, თანდათან უფრო აღმოსავლეთით გადაგვქონდა იგი, ხოლო მაისის ბოლოს და ივლისში, როცა წყალი იკლებდა, იძულებული ვიყავით თანდათან მივახლოვებოდით მდინარის მუდმივ კალაპოტს იმ ვარაუდით, რომ არსად არ დაგვეტოვებინა პლაცდარმი, რომელიც შემდეგ მტერს გამოადგებოდა, როგორც საწყისი პუნქტი, ბრძოლით დასაზვერად, ჩვენი თავდაცვის სისტემის აღმოსაჩენად და ჩანაფიქრის გასაგებად.

დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა თავდაცვის ზღუდეებზე, პოზიციებსა და ზოლებზე. დღისით მიდამო უსიცოცხლო ჩანდა, მაგრამ როგორც კი ღამე ჩამოწვებოდა, ყველაფერი ამოძრავდებოდა. ზურგიდან ფრონტისაკენ მოიჩქაროდნენ სატვირთო მანქანები, საწევრები, საზიდრები. მოჰქონდათ ჭურვები, ნაღმები, ყუმბარები, ტყვიები, საწვავი მასალა, სურსათ-სანოვაგე.

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო კურსკის ბრძოლებში მზვერავების გმირობა. უთანასწორო ბრძოლებში ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ იმისათვის, რომ გამოემჟღავნებინათ მტრის მიზნები, რაც ჩვენს მეთაურებს საშუალებას აძლევდა დროულად მიეღოთ ეფექტური ზომები გერმანელი ფაშისტების გასანადგურებლად.

კურსკის ბრძოლებში გაბედულად, მამაცურად მოქმედებდა შენაერთის მზვერავი ნიკოლოზ გიორგის ძე ყვავილაშვილი. მას და მის ამხანაგებს ხშირად მოჰყავდათ მტრის დაზვერვის დროს დატ-

ყვევებული გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, რისთვისაც ნ. ყვავილაშვილი რამდენჯერმე დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებით.

იმ მიზნით, რომ გამოეცნოთ საბჭოთა სარდლობის ჩანაფიქრი, ჰიტლერელები ხშირად აწარმოებდნენ დაზვერვას ბრძოლით, ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ტყვეები; მაშინ იძულებული ვიყავით შეგვეწყვიტა მუშაობა, აგვეღო იარაღი და მოგვეგერიებინა მტრის თავდასხმა.

მტრის იერიშების მოსაგერიებლად რომ ვემზადებოდით, თითოეულმა საბჭოთა მეომარმა იცოდა, სად, როგორ და ვისთან ემოქმედა. ყველა ქვეგანაყოფში, ნაწილსა და შენაერთში ორგანიზებული იყო ზუსტი ურთიერთმოქმედება. პირადი შემადგენლობის მთელი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება მიმართული იყო ჯარისკაცებსა და ოფიცრებში შეუპოვრობისა და აქტივობის განჭკიცებისაკენ თავდაცვის დროს.

თავდაპირველად მტერი იერიშზე გადმოსვლას აპირებდა 20—25 მაისს, მაგრამ, რადგან ჰიტლერელთა ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფება მზად არ იყო, გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ შეტევის დაწყება ივლისისათვის გადადო.

სარწმუნო დაზვერვითი მასალების საფუძველზე საბჭოთა არმიის გენერალურმა შტაბმა 1943 წლის 2 ივლისს გააფრთხილა ჯარები, რომ მტრის თავდასხმა შეიძლება 3—6 ივლისს დაწყებულიყო

იმ მიზნით, რომ მოეხსნა საბრძოლო დაცვა და საერთო შეტევის დაწყებამდე საბჭოთა ჯარების თავდაცვის წინა ხაზი აღმოეჩინა, ფაშისტურმა სარდლობამ 1943 წლის 4 ივლისს 16 საათზე საავიაციო და საარტილერიო თავდასხმის შემდეგ ტამაროვკის რაიონიდან ჩრდილოეთით დაიწყო შეტევა, რომელშიც ერთი ქვეითი დივიზია და 100-მდე ტანკი მონაწილეობდა. ბრძოლაში ჩაება ვორონეჟის ფრონტის საბრძოლო დაცვა. იერიში შუაღამემდე გრძელდებოდა, მაგრამ მტერმა ვერ შეძლო საბჭოთა ჯარების თავდაცვის წინა ხაზის მთლიანად გარღვევა.

იმავე ღამეს ბელგოროდის რაიონში ფაშისტებმა 500 ტანკი გამოიყვანეს და დაიკავეს საწყისი მდგომარეობა.

5 ივლისს, ღამით, მე-15 მსროლელთა დივიზიის მზვერავებმა, რომელსაც პოლკოვნიკი, ამჟამად გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა

კავშირის გმირი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა მეთაურობდა, ბელთ ჩაიგდეს ტყვე. მისი ჩვენებისა და სხვა დაზვერვითი მონაცემების საფუძველზე გამოირკვა, რომ 5 ივლისს 2 საათსა და 30 წუთზე მტრის ორიოლისა და ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებანი შეტევაზე გადმოვიდოდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების სარდლებს უბრძანა მძლავრი საარტილერიო და საავიაციო კონტრმომზადება ჩაეტარებინათ:

22 საათსა და 30 წუთზე ვორონეჟის ფრონტმა კონტრმზადება დაიწყო.

5 ივლისს 2 საათსა და 20 წუთზე ცენტრალური ფრონტი თავს დაატყდა მტერს. 3 საათზე ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა გაიმეორეს კონტრმომზადება მტრის დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომლებიც შეტევაზე უნდა გადმოსულიყვნენ.

განთიადისას მოქმედება დაიწყეს საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავებმა. მათ თავდასხმა იმდენად წარმატებით ჩაატარეს, რომ მტრის მარტო მე-9 სატანკო დივიზიის 70 ტანკი მოსპეს.

ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების კონტრმომზადებამ არა მარტო დიდი ზარალი მიაყენა მტერს, არამედ სერიოზულად დაარღვია მისი შეტევის გეგმა.

მოგერიებითი ბრძოლები კურსკთან

მოგერიებითი ბრძოლები კურსკთან დაიწყო 5 ივლისს განთიადზე. ეს ჩვენთვის, როგორც აღვნიშნეთ, მოულოდნელი არ ყოფილა. ცენტრალური ფრონტის სარდლობამ (სარდალი არმიის გენერალი კ. კ. როკოსოვსკი, შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მ. ს. მალინინი) და ვორონეჟის ფრონტის სარდლობამ (სარდალი არმიის გენერალი ნ. ფ. ვატუტინი, შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ს. პ. ივანოვი) იცოდნენ მტრის თავდასხმის დრო და ყოველგვარ ზომებს იღებდნენ მისი განადგურებისათვის.

კურსკის რკალის ჩრდილო ნაწილში 41-ე და 47-ე სატანკო კორპუსების ძალებით მტერს მთავარი იერიში მიჰქონდა მე-13 არმიის თავდაცვის ზოლზე (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. პუხოვი) ოლხოვაკატკა — კურსკის მიმართულებით. მტრის ტანკებისა და ავიაციის მასირებული დარტყმები იმსხვრეოდა საბჭოთა ჯარების

მედგარ დაცვაზე. მხოლოდ 5 საათის ბრძოლის შემდეგ შეძლეს გერმანელთა ტანკების ცალკეულმა ჯგუფებმა მე-15 მსროლელი დივიზიის თავდაცვის მთავარი ზოლის გარღვევა. 5 ივლისს, დღის ბოლოს, მტერი უდიდესი ზარალის ფასად სოლივით შეიჭრა მთავარი დარტყმის მიმართულებით 6—8 კილომეტრზე.

გმირული და ორგანიზებული წინააღმდეგობებით მე-15 მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას მეთაურობით არა მარტო დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და შეაჩერეს მისი წინსვლა, არამედ მოუსპეს კიდეც შეტევითი ბრძოლის განახლების უნარი.

საღამოს, 5 ივლისს, ცენტრალური ფრონტის სარდალმა გადაწყვეტილება მიიღო 6 ივლისს დილიდან ძლიერი კონტრდარტყმა დაეწყო მტრის მთავარი დაჯგუფების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩრდილო რკალზე და მოგერიებით ბრძოლების მთელ მსვლელობაზე.

მტრის მძლავრმა სატანკო დაჯგუფებამ უდიდესი ზარალი განიცადა და მისი შემდგომი წინსვლა შეჩერებული იქნა.

7 ივლისს ფაშისტებმა მთავარი დარტყმის მიმართულება გადაიტანეს პონირზე. ამავე დროს შეტევას განაგრძობდნენ ოლხოვატკაზეც.

ამ დღეებში გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა თავდაცვის მეორე ზოლისათვის. 8 ივლისს. დღის ბოლოს, ფაშისტურმა სარდლობამ ბრძოლაში ჩააბა მე-9 არმიის მთელი ძალები, მაგრამ ცენტრალური ფრონტის თავდაცვის გარღვევა ვერ შეძლეს.

ოთხი დღის ბრძოლის განმავლობაში მტრის დამრტყმელმა დაჯგუფებამ, რომელიც კურსკს ჩრდილოეთიდან უტევდა. დაკარგა 42 000 ჯარისკაცი და ოფიცერი, 800-ზე მეტი ტანკი, რამდენიმე ასეული თვითმფრინავი და შეძლო შეეჭრილიყო საბჭოთა ჯარების დაცვაში მხოლოდ 10—12 კმ-ით.

9 ივლისს გერმანელთა მე-9 არმიის სარდლობა იძულებული იყო დროებით შეეწყვიტა შეტევა და შესდგომოდა ძალთა გადაჯგუფებას, რათა ფლანგიდან დაერტყა ჩვენი ჯარებისათვის. მაგრამ გადაჯგუფების დამთავრება ვერც კი მოასწრეს, რომ უკვე საბჭოთა ჯარები გადავიდნენ კონტრშეტევაზე.

უფრო დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ამ დღეებში კურსკის შვერილის სამხრეთით.

ვორონეჟის ფრონტის ზოლზე მტერმა ორჯერ მიიტანა მძლავრი იერიში. მთავარი დარტყმა მიმართული იყო მე-6 გვარდიული არმიის უბანზე (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ჩისტიაკოვი) ობოიან-კურსკისაკენ და დამხმარე დარტყმა მე-7 გვარდიული არმიის უბანზე (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი შუმილოვი) საერთო მიმართულებით კოროჩზე.

მტერს თავისი საბრძოლო რაზმები სოლისებურად ჰყავდა განლაგებული და ფრონტის ვიწრო უბნებს უტევდა. სოლს წინ მიუძღოდა 30—50 მძიმე ტანკი „ვეფხვი". მათ მოჰყვებოდნენ საშუალო ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები ქვეით ჯართან ერთად. თავდაცვითი ნაგებობების მოსპობის მიზნით მტერი ფართოდ იყენებდა ბომბდამშენ ავიაციას, რომელიც ყრიდა სხვადასხვა კალიბრის ფუგასურ ბომბებს და ჰაერში ხსნიდა მცირებომბიან კასეტებს. დანაღმულ მინდორზე ჩამოყრილი პატარა ბომბების აფეთქება იწვევდა ნაღმების დეტონაციას და ქმნიდა გასასვლელებს.

მტრის მთავარი დაჯგუფება ეკვეთა მე-6 გვარდიული არმიის პირველ ეშელონს, 71, 67 და 52-ე მსროლელ გვარდიულ დივიზიებს. შუადღისას, 5 ივლისს, 71-ე და 67-ე გვარდიული მსროლელი დივიზიები ბრძოლებისა და დიდი ზარალის შემდეგ ძალუბული იყვნენ უკან დაეხიათ თავდაცვითი მთავარი ზოლიდან მეორე პოზიციაზე.

67-ე და 52-ე მსროლელ გვარდიულ დივიზიებს შორის წარმოქმნილი შუალედი შეავსო 51-ე გვარდიულმა მსროლელთა დივიზიამ (დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ნ. ტ. თავართქილაძე), რომელიც მეორე ზოლიდან წამოსწიეს წინ. 6 ივლისს დღის განმავლობაში 51-ე მსროლელთა დივიზიის გვარდიელებმა პირველი სატანკო არმიის მე-3 მექანიზებული კორპუსის ნაწილებთან ერთობლივი მოქმედებით 8-ჯერ მოიგერიეს შეტევა, რომელშიც დროდადრო მონაწილეობას იღებდა მტრის 250 ტანკი. რაკი ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია, მტერმა საღამოთი აქ შეწყვიტა შეტევა და იგი გადაიტანა პოკროვკის რაიონში, მე-3 მექანიზებული კორპუსისა და მე-5 გვარდიული სატანკო კორპუსისაკენ და ობოიანზე შეპრის რეალური საფრთხე შექმნა.

7, 8 და 9 ივლისის განმავლობაში მტრის დივიზიები განაგრძობდნენ შეუპოვარ იერიშს ობოიანის მიმართულებით, ცდილობდნენ უმოკლესი გზით გასულიყვნენ კურსკის რაიონში.

ბრძოლამ გააფთრებული ხასიათი მიიღო. ჰიტლერელებმა თავიანთ ძირითად ძალებს თავი მოუყარეს ობოიანის მიმართულებით, ისწრაფოდნენ სატანკო ტარანით გაეღღვიათ საბჭოთა ჯარების თავდაცვა. განსაკუთრებული მძვინვარებით მიიწევდნენ წინ ესესელთა სატანკო დივიზიები „მკვდარი თავი“, „დიდი გერმანია“, „ადოლფ ჰიტლერი“, „რაიხი“, სადაც შეკრებილი იყვნენ ნარჩევი თავზეხელაღებულები.

სატანკო ბრძოლების მასშტაბებზე ნათლად მეტყველებს აეროფოტოგადაღების მონაცემები, რომელიც 1943 წლის 7 ივლისს 13 საათსა და 15 წუთზეა წარმოებული სოფელ იაკოვლევოს რაიონში. ფოტოსურათში ფიქსირებულია მტრის 200 ცეცხლმოკიდებული ტანკი.

მიუხედავად უდიდესი დანაკარგებისა, ჰიტლერელთა სარდლობა თავის ჯარებს მაინც წინ მიერეკებოდა. მოწოლილი მტრის მოგერიების მიზნით უმაღლესმა მთავარსარდლობის ბანაკმა ვორონეჟის ფრონტის ჯარები ორი სატანკო კორპუსით გააძლიერა, ამას გარდა მტრის შეტევის შესასუსტებლად ობოიანში, გზატკეცილის გასწვრივ, ჩვენმა ჯარებმა 8 ივლისიდან დაიწყეს იერიშები სოლივით შემოჭრილ მტრის ფლანგებზე.

მტრის დაჟინებული ცდები —3 დღის განმავლობაში გაეღვია ჩვენი თავდაცვა ობოიანის მიმართულებით, ჩაფუშა მე-6 გვარდიული ჯარებისა და 1-ლი სატანკო არმიის გმირულმა და შეუპოვარმა ბრძოლებმა.

მტრის ტანკებმა უდიდესი დანაკარგების ფასად მხოლოდ 9 ივლისის მიწურულს შეძლეს ჩვენს თავდაცვაში 35 კილომეტრით შემოჭრა. დიდ ზარალს განიცდიდნენ გერმანელთა დივიზიები, რომლებიც კოროჩს უტევდნენ. ორი დღის ბრძოლების შემდეგ მტერმა მხოლოდ პლაცდარმები დაიკავა ჩრდილო დონეცის აღმოსავლეთ ნაპირზე და გავიდა ფრონტის ვიწრო უბანზე მე-7 გვარდიული არმიის მეორე ზოლში.

9 ივლისს ცხადი გახდა, რომ მტრის შეტევაში კრიზისი მწიფდებოდა ბელგოროდ-კურსკის მიმართულებითაც.

მტრის ჯარებმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს, რეზერვები თითქმის მთლიანად შემოელიათ. მხოლოდ 9 ივლისს, როცა გერმანელი დამკვრელი დაჯგუფებების შეტევა ორიოლისა და ბელგოროდის მხრიდან ძირითადად შეაჩერეს საბჭოთა ჯარებმა, ფაშისტების სარდლობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კურსკის რაიონში მიზნის მისაღწევად ძალები არასაკმარისი იყო და გადაწყვიტა ფრონტის სხვა უბნებიდან გადმოესროლათ რამდენიმე დივიზია და მთავარი დარტყმა გადაეტანათ ობოიანიდან პროხოროვკის მიმართულებით, რათა კურსკთან გასულიყვნენ შემოვლითი გზით. ძალთა გადაჯგუფებისათვის მათ ერთ დღე-ღამემდე დასჭირდათ. 11 ივლისს მტერმა განაახლა შეტევა და თავდაპირველად ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ დღის ბოლოს იგი შეჩერებულ იქნა პროხოროვკის დასავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე, შეჩერებულ იქნა აგრეთვე გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეტევა პროხოროვკაზე სამხრეთიდანაც.

ამ დროისათვის შეტევაზე გადასვლისათვის მზადება დაამთავრეს ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტების ჯარებმაც და 12 ივლისს, დილით, შეტევაზე გადავიდნენ მტრის ორიოლის დაჯგუფების განადგურების მიზნით. ხოლო ვორონეჟის ფრონტი გაძლიერდა სტრატეგიული რეზერვის ხარჯზე (მე-5 გვარდიული სატანკო და მე-5 გვარდიული არმია) და მიეცა ამოცანა პროხოროვკის რაიონში მტრის ძირითადი დაჯგუფებებისათვის მძლავრი კონტრდარტყმა მიეყენებინა და აეძულებინა უარი ეთქვა შემდგომ შეტევაზე.

ამის შესაბამისად, ვორონეჟის ფრონტის სარდალმა არმიის გენერალმა ვატუტინმა გადაწყვიტა ძლიერი იერიში მიეტანა შემხვედრ მიმართულებებზე, ალყა შემოერტყა და მოესპო პროხოროვკის რაიონში სოლისებურად შემოჭრილი მტრის დაჯგუფებანი. ეს კონტრდარტყმა ისტორიაში შევიდა „პროხოროვკის ხოცვა-ჟლეტის“ სახელწოდებით. 12 ივლისს მთელ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობდა 1 500 ტანკზე მეტი და ავიაციის მძლავრი ძალები.

კურსკის ბრძოლების მთელ მანძილზე ვორონეჟის ფრონტის შემადგენლობაში მოქმედებდა მე-2 საჰაერო არმია, სადაც არმიის სარდლის მოადგილედ იყო ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ვ. ნანეიშვილი. დაძაბულ საჰაერო ბრძოლაში ჩვენი შესანიშნავი

მფრინავები მუსრს ავლებდნენ ჰიტლერელებს და მიაღწიეს ჰაერში ბატონობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაბედული, თავგანწირული მოქმედება ჩვენი ავიაციისა ბრძოლის ველზე 7—8 და 12 ივლისს, როცა გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ცდილობდა ტანკების ტარანით გაეტეხა ჩვენი თავდაცვა. ასობით მოტორის გუგუნი მიწაზე და ჰაერში ერწყმოდა ზარბაზნების განუწყვეტელ გრიალს. საღამოჟამს ბრძოლა მინელდა, საბჭოთა ჯარებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

პროხოროვკასთან ბრძოლაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა ერთ დღეში დაკარგეს 400-ზე მეტი ტანკი. ეს ბრძოლა არსებითად იყო გერმანელ ფაშისტთა შეტევის დასასრული კურსკის შვერილზე, 1943 წლის 12 ივლისი ისტორიაში შევიდა როგორც ფაშისტური არმიის უკანასკნელი სტრატეგიული შეტევის საბრძოლო კრახი კურსკთან.

ერთ კვირაზე ნაკლებ ხანს გრძელდებოდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეტევა კურსკთან. მაგრამ ამ დროის განმავლობაში მტერმა დაკარგა 70 000-ზე მეტი კაცი, 2 952 ტანკი, 195 თვითმავალი ქვემეხი, 844 საველე ქვემეხი, 1 392 თვითმფრინავი და ა. შ.

ჰიტლერელთა სარდლობის ცდა — გაერღვიათ კურსკის რკალის დაცვა ორი სატანკო ტარანით — სამარცხვინოდ ჩაიშალა.

მაგრამ სხვა შედეგს მიაღწია გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ შეტევაში, სადაც ასეთივე სატანკო ტარანი გამოიყენეს.

კურსკის რკალთან მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ერთხელ კიდევ მთელი თავისი სიდიადით გამოვლინდა ძირითადი თვისებები სოციალიზმის გამარჯვებული ქვეყნის მეომრისა: მამაცობა, თავდადება, შეუპოვრობა, სიმტკიცე. ეს თვისებები ჩანერგილია კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მუშაობით, თავისი საქმის სიმართლისადმი ღრმა რწმენით, დიდი სამამულო ომის სამართლიანი ხასიათის შეგნებით. საბჭოთა არმიის მეომრებმა იცოდნენ, რომ ისინი აწარმოებდნენ ბრძოლას წმინდა და მართალი საქმისათვის, თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დიდმა სამამულო ომმა განსაკუთრებული ძალით ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესი უპირატესობა. ამიტომ თავიანთი სამშობლოს დაცვა უცხო-

ელი დამპყრობლებისაგან თითოეული ადამიანის სისხლხორცეული საქმე იყო. ეს აძლევდა მათ უზარმაზარ ძალასა და ენერგიას ბრძოლისათვის, უნერგავდა გამარჯვების ურყევ რწმენას და აღაფრთოვანებდა საგმირო საქმეებისათვის.

კონტრშეტევა

გერმანელთა შეტევის სრული მარცხის შემდეგ, როცა მტერს უკვე აღარ შეეძლო დაკავებული პოზიციების შენარჩუნება, ფაშისტურმა სარდლობამ 15 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებას უკან დაეხია და დაეკავებინა საწყისი პოზიციები, რომ ამით უზრუნველეყო თავდაცვა.

16 ივლისს ძლიერ არიერგარდს მოფარებულმა მტერმა უკან-დახევა დაიწყო.

მტერს ფეხდაფეხ მისდევდნენ ვორონეჟის ფრონტის მებრძოლები. 19 ივლისს შეტევაზე გადავიდა ველის ფრონტი. 23 ივლისს ფაშისტური ჯარები უკუგდებულ იქნენ იმ საზღვრამდე, საიდანაც დაიწყეს შეტევა. მაგრამ გერმანელთა ძლიერი საველე დაცვის გარღვევა, რომელსაც ისინი რამდენიმე თვის მანძილზე გულდასმით აშზადებდნენ, ადვილი საქმე როდი იყო. ამიტომ ვორონეჟისა და ველის ფრონტზე საომარ მოქმედებებში 24 ივლისიდან 2 აგვისტომდე დადგა ოპერატიული შესვენების პერიოდი, რომლის დროსაც მიმდინარეობდა მომზადება გადამწყვეტი კონტრშეტევისათვის.

იმ დროს, როცა დასავლეთის, ბრიანსკისა და ცენტრალური ფრონტების ჯარები ანადგურებდნენ მტრის დაჯგუფებებს ორიოლთან, კურსკის სამხრეთით გაჩაღდა საბჭოთა ჯარების მზადება ბელგოროდ-ხარკოვთან მტრის დიდი შენაერთების მოსასპობად.

მტრის დაჯგუფება ეყრდნობოდა მძლავრ, წინასწარ გამაგრებულ ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმს. პლაცდარმის ცენტრი იყო ხარკოვი — უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საგზაო კვანძი და მსხვილი სამრეწველო ცენტრი. ხარკოვი იცავდა მთელ დონბასს, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ უკრაინას.

ამიტომ ჰიტლერელთა სარდლობას ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმი მიაჩნდა ყველაზე ძლიერ „გერმანელთა დაცვის ციხესიმაგრედ აღმოსავლეთში“. მას უწოდებდნენ კარებს, რომელიც გზას უკეტავდა რუსეთის არმიებს უკრაინისაკენ. ფაშისტური სარ-

ღლობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მძლავრი თავდაცვის შექმნას ბელგოროდ ხარკოვის პლაცდარმზე. საბჭოთა ჯარების შეტევის დასაწყისში ამ პლაცდარმს იცავდა მტრის 14 ქვეითი და 5 სატანკო დივიზია.

საბჭოთა ჯარების შეტევის მსვლელობისას გერმანელები იძულებული იყვნენ ხარკოვის მიმართულებით გადმოესროლათ ესესელთა დივიზიები „დიდი გერმანია", „მკვდარი თავი", „რაიხი", „ადოლფ ჰიტლერი", „ვიკინგი" და მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაწილი და შენაერთი.

ამრიგად, ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმზე მტერმა თავი მოუყარა 27 დივიზიას (აქედან 12 სატანკო).

გარდა ამისა, ფაშისტებმა ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმზე ჩაატარეს დიდი თავდაცვითი სამუშაოები. სადაც გამოყენებულ იქნა მტრის სპეციალური მშენებელთა ნაწილები, ასიათასობით ადგილობრივი მცხოვრები და სამხედრო ტყვე, რომლებსაც ფაშისტები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ ემუშავათ თავდაცვით ნაგებობებზე.

ხარკოვს იცავდა ორი მძლავრი რკალი. ხარკოვის ჩრდილოეთ მისადგომებზე აგებული იყო შვიდი თავდაცვითი ზღუდე. აღმოსავლეთის მისადგომებზე — სამი. თითოეული ზღუდე შედგებოდა მთლიანი სანგრის რამდენიმე ხაზისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სანგარსასვლელებით. მთელი ტერიტორია დანაღმეს, ხოლო გარშემო დასახლებული პუნქტები შეახამეს წრიულ დაცვასთან. ამ დაცვის გარღვევის ამოცანა დაკისრებული ჰქონდა ვორონეჟის ფრონტის (სარდალი — გენერალი ვატუტინი), ვოლის ფრონტის (სარდალი — გენერალი — კონევი) და სამხრეთ დასავლეთის ფრონტის (სარდალი — გენერალი მალინოვსკი) ჯარებს.

ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებათა განადგურების გეგმას საფუძვლად ედო მთელი რიგი მძლავრი გამთიშველი დარტყმების იდეა, მტრის თავდაცვის გაყოფა რამდენიმე იზოლირებულ ნაწილად, შემდეგ კომბინირებული დარტყმებით მათი მოსპობა.

დასახული იყო სამი ძირითადი დარტყმა. პირველი — გოტნიის საპირეთ რაიონიდან საერთო მიმართულებით ახტირკაზე, მე-

ორე — ბელგოროდის ჩრდილო-დასავლეთ რაიონიდან ხარკოვისა და ვალკისაკენ და მესაზე — ხარკოვის აღმოსავლეთით მდებარე რაიონიდან მერეფის მიმართულებით.

ვორონეჟის ფრონტის ჯარებს უნდა გაენადგურებინათ მტრის დაჯგუფებანი ტამაროვკასა და ბორისოვკასთან და ხარკოვის დასავლეთიდან შემოვლით განევითარებინათ შეტევა საერთო მიმართულებით ვალკისა და ოლშანისაკენ.

ველის ფრონტი, რომელიც ბელგოროდის ჩრდილოეთით მოქმედებდა, და ბელგოროდის აღმოსავლეთით მოქმედი ჯარები კონცენტრირებული დარტყმებით ალყაში აქცევდნენ და ანადგურებდნენ მტრის შენაერთებს ბელგოროდთან, ხოლო შემდეგ შეტევას ავითარებდნენ ხარკოვზე. ამავე დროს ვორონეჟის ფრონტის მარჯვენა ფლანგის შენაერთები უტევდნენ ჩრდილოეთიდან, საერთო მიმართულებით ახტირკისაკენ, რათა ხელსაყრელი პირობები შეექმნათ პოლტავის მხარეზე შეტევისათვის. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები მიიწევდნენ მერეფის მიმართულებით, ხარკოვის სამხრეთიდან მოვლით და ამით მტერს ყოველი მხრიდან ალყას არტყამდნენ.

მთლიანად გეგმა მტრის ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფების განადგურებისა მიზნად ისახავდა გერმანელთა დაცვის ერთდროულ გარღვევას უზარმაზარ ფრონტზე და ჩვენი დამკვრელი დაჯგუფებების ელვისებურ შეტევას დიდ სიღრმეზე.

დილით, 3 აგვისტოს, ძლიერი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ ფრონტების ჯარები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და გაარღვიეს მტრის დაცვა.

5 აგვისტოს ველის ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ბელგოროდი, ხოლო ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა — ორიოლი. ამ გამარჯვებათა აღსანიშნავად ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში 5 აგვისტოს მიცემულ იქნა პირველი სალუტი.

საბჭოთა მეომრების გმირობამ, თავდადებამ და სამხედრო ოსტატობამ უზრუნველყო მტრის თავდაცვის გარღვევა და გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება ხარკოვის მისადგომებთან. ვორონეჟისა და ველის ფრონტების წარმატებითი მოქმედების შედეგად 11 აგვისტოს გერმანელთა მთელი თავდაცვის სისტემა ხარკოვის მისადგომებთან გარღვეულ იქნა. ქალაქისკენ მიმავალი

ყველა გზა აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან გადაჭრეს ჩვენმა ჯარებმა.

საბჭოთა ტანკისტების ღრმა სოლისებური შეჭრა ახტირკის, კოტელვისა და ბოგოდუხოვის სამხრეთ რაიონებში მთლიანი ალყის შემორტყმის მუქარას ქმნიდა მტრის ხარკოვის დაჯგუფებისათვის და კიდევ უფრო ზრდიდა იმის შესაძლებლობას, რომ საბჭოთა ჯარებს შეტევა განევითარებინათ უკრაინის სიღრმეში. ამან განსაზღვრა მთელი შემდგომი ბრძოლების მსვლელობა მტრის ხარკოვის დაჯგუფებათა წინააღმდეგ.

გერმანელმა ფაშისტებმა სამ დღეში (8—11 აგვისტო) ვორონეჟის ფრონტთან შექმნეს ძლიერი დაჯგუფებანი. 11 აგვისტოს ესესელთა სატანკო დივიზიებმა („მკვდარი თავი" და „რაიხი") ორი მხრიდან შეუტიეს ბოგოდუხოვის მიმართულებით.

გააფთრებულ ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები. დიდი დანაკარგების გამო გერმანელები 16 აგვისტოს იძულებულნი იყვნენ ბოგოდუხოვის სამხრეთით გადასულიყვნენ თავდაცვაზე.

ამავე დროს დაძაბული ბრძოლები გაჩაღდა ახტირკისა და კოტელვის რაიონებში. საბჭოთა ჯარებმა წარმატებით გადალახეს მდ. ვორსკლი ახტირკის სამხრეთით და მის მოპირდაპირე ნაპირზე დაიკავეს პლაცდარმი.

იგრძნეს რა, რომ არსებული ძალებით საბჭოთა ჯარების შეტევის შეჩერება შეუძლებელი იყო, გერმანელებმა ახტირკისა და კოტელვის რაიონში ფრონტის სხვა უბნებიდან გადმოისროლეს რამდენიმე დივიზია და მძლავრი კონტრიერიშების მზადება დაიწყეს კოლონტაევსა და კრასნოკუტსკზე, რათა ალყა შემოერტყათ ვორონეჟის ფრონტის წინგაჭრილი ჯარებისათვის, გაენადგურებინათ ისინი და შემდგომ განევითარებინათ შეტევა აღმოსავლეთის მიმართულებით.

საბჭოთა სარდლობამ დროულად გამოიცნო მტრის განზრახვა და კონტრდარტყმას ორი ძირითადი დარტყმა დაუპირისპირა: ერთი ფლანგსა და ზურგში ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, მეორე — ფრონტიდან.

15 აგვისტოს გერმანელებმა ვააფთრებული იერიშები დაიწ-

ყეს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ სერიოზული წარმატებებისათვის არ მიუღწევიათ.

17 აგვისტოს 7 საათზე ძლიერი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ იერიში განაახლა ვორონეჟის ფრონტის ჯარების მარჯვენა ფრთამ, რამაც ჩრდილოეთიდან საფრთხე შეუქმნა მტრის დაჯგუფებას ახტირკასთან. მაგრამ ფაშისტურმა სარდლობამ ყურადღება არ მიაქცია ამ საფრთხეს და 18 აგვისტოს დილიდან კონტრშეტევა დაიწყო საერთო მიმართულებით კაპლუნოვკისაკენ.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა 18 და 19 აგვისტოს. ამ ბრძოლაში თავი ისახელა თერთმეტმა გვარდიელმა, რომელთაც მეთაურობდა აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანი შვილი გვარდიის ლეიტენანტი ბაგიროვი. გვარდიელებმა თავგანწირული იერიშით აიღეს მბრძანებელი სიმაღლე. გვარდიის ლეიტენანტმა ბაგიროვმა განვლილი ბრძოლების გამოცდილებით იცოდა, რომ მტერი გონს მოვიდოდა და ისევ შემოუტევდა. ამიტომ ლეიტენანტმა ბაგიროვმა მებრძოლებს უბრძანა მაღლობზე გამაგრებულიყვნენ, რათა მტერს ჰგონებოდა, რომ იქ დიდი ძალები იყო თავმოყრილი. ბაგიროვმა თავისი გვარდიელები განალაგა ფრონტის ხაზზე ერთმანეთისაგან 300 მეტრის დაშორებით, ფლანგებზე დადგა ხელის ტყვიამფრქვევები და მოემზადა ღირსეული პასუხი გაეცა მტრისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ მაღლობისაკენ დაიძრნენ გერმანელთა ტანკები, რომლებიც ცეცხლის შეუწყვეტლად მოიწევდნენ წინ. როცა ტანკები 60—70 მეტრზე მოახლოვდნენ, ლეიტენანტმა ბაგიროვმა ბრძანება გასცა: „ცეცხლი!“. ტანკსაწინააღმდეგო თოფის ოთხი გასროლით გვარდიის სერჟანტმა კასტანიანმა ცეცხლი გაუჩინა მოთავე ტანკს „ვეფხვს“, რომელიც მწყობრიდან გამოვიდა. დანარჩენი ტანკები ისევ წინ მოიწევდნენ და როცა მოახლოვდნენ, გვარდიელებმა მათ დააყარეს ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები. უცებ გადამსხვრეული მუხლუხით ერთი ტანკი ადგილზე დატრიალდა. მალე დადუმდა მესამეც, რომელიც პირადად ბაგიროვმა მოსპო. ყუმბარის მარჯვე ტყორცნით გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა ვახაბოვმა დააზიანა მტრის მეოთხე ტანკი. არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ გამოჩნდა 400-მდე ფაშისტი ჯარისკაცი, რო-

მელთა ნახევარი მამაცმა მეომრებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაანადგურეს. ასე მოიგერიეს პირველი იერიში.

გერმანელებმა შეძლეს სიმაღლის დაზვერვა, დააზუსტეს, რომ მას იცავს მხოლოდ რამდენიმე საბჭოთა მეომარი, და ისევ შეუტიეს. გვარდიელები საომარ მასალას უფრთხილდებოდნენ და ცეცხლს მხოლოდ მაშინ ხსნიდნენ, როცა ჰიტლერელები ახლო მანძილზე მოვიდოდნენ.

მთელი დღე-ღამე იცავდნენ მამაცი გვარდიელები სიმაღლეს. ამ დროის განმავლობაში გმირული სიკვდილით დაიღუპნენ უმცროსი ლეიტენანტი ვახაბოვი, რიგითი არიკოვი, მძიმედ დაიჭრა კასტანიანი. სნაიპერ მანზუროვს ორივე ხელი დაშავებული ჰქოსდა, მაგრამ მიუხედავად ამისა არ შეუწყვეტია ცეცხლი.

ამ უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვეს ჩვენმა სახელოვანმა გვარდიელებმა, შეინარჩუნეს სიმაღლე თავისი ჯარების მოსვლამდე. კითხვაზე, რა დაეხმარა მათ, რომ მტრის გაცილებით მეტი ძალების იერიში უკუეგდოთ, ლეიტენანტმა ბაგიროვმა გვიპასუხა: „ურყევი გადაწყვეტილება — გაგვენადგურებინა დამპყრობლები, გაგვეწმინდა მათგან მშობლიური საბჭოთა მიწა-წყალი ყოველ ჩვენგანს უნერგავდა გამარჯვების ურყევ რწმენას“.

ამ გმირობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გვარდიის ლეიტენანტ ბაგიროვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

ვორონეჟის ფრონტმა წარმატებით მოიგერია გერმანელთა კონტრდარტყმა ბოგოდუხოვისა და ახტირკის რაიონში, ველის ფრონტმა შეტევა განავითარა ხარკოვის მიმართულებით და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ შეძლო 18—22 აგვისტოს სამი ბზრიდან შემორტყმოდა მტერს და 23 აგვისტოს ღამით გაეთავისუფლებინა ხარკოვი.

ამ დიდ ბრძოლებში ზემოაღნიშნულ ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს გარდა ველის ფრონტის შემადგენლობაში მონაწილეობდა გენერალ-მაიორი კირილე ჯახუა, რომელიც მეთაურობდა 69-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიას. ამ დივიზიის მებრძოლები წარმატებით მიიწევდნენ ბოგოდუხოვის, მიხაილოვკის, ახტირკისაკენ და პოლტავის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულე-

ბით. გზად, მწვავე ბრძოლებში, მათ ბევრი ქალაქი და სოფელი გაათავისუფლეს ფაშისტური მონობისაგან.

გმირულად იბრძოდნენ მე-7 გვარდიული საჰაერო-სადესანტო დივიზიის გვარდიელები, რომელთაც მეთაურობდა ნიჭიერი გენერალ-მაიორი მიხეილ მიქელაძე. მძიმე ბრძოლებში ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით ქალაქ პოლტავის მისადგომებთან მიქელაძე დაიჭრა, მაგრამ მას მაინც არ მიუტოვებია თავისი მამაცი გვარდიელები. კიდევ ბევრი სხვა ქართველი ოფიცერი, სერჟანტი და ჯარისკაცი ამრავლებდა ჩვენს გმირულ ტრადიციებს კურსკის ბრძოლებში.

107-ე მსროლელი დივიზიის 522-ე პოლკის ნაღმმტყორცნელი ბატარეის მეთაური იყო კაპიტანი შალვა სიმონის ძე ჩიქვინიძე, რომლის ბატარეა ზუსტი ცეცხლით სპობდა გერმანელ ქვეითჯარს და საშუალებას არ აძლევდა ტანკებთან ერთად იერიში მიეტანა ჩვენს პოზიციებზე. როდესაც მტრის ტანკები მიუახლოვდნენ ნაღმმტყორცნელთა ბატარეის პოზიციას, ბატარეის მეთაური თავის მებრძოლებთან ერთად ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებით საშუალებას არ აძლევდა მტრის ტანკებს ჩვენს პოზიციაში შემოჭრილიყო.

ველის ფრონტზე, 47-ე არმიის ზურგის ნაწილების სათბობ-საცხები განყოფილების უფროსი იყო პოლკოვნიკი გიორგი გიორგის ძე ბურკაძე, საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე სპეციალისტი. კურსკის შვერილზე და შემდგომ შეტევით ოპერაციებში მეტად რთულ და დაძაბულ პირობებში მან შეძლო 47-ე არმიის ყველა სახეობის ჯარების, ავიაციის, ტანკების, მექანიზებული, საავტომობილო ნაწილების ბენზინით, ზეთით და სხვა საწვავი მასალით დროზე უზრუნველყოფა, რის შედეგად 47-ე არმიის შენაერთებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები და გარკვეული წვლილი შეიტანეს კურსკის შვერილზე ისტორიულ გამარჯვებაში. გ. ბურკაძე ამავე თანამდებობაზე 47-ე არმიის რიგებში სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა სამამულო ომის დამთავრებამდე.

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო კურსკის შვერილზე 309-ე მსროლელი დივიზიის 955-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ დარგში რომან დოღონაძემ, შემდგომში შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სა-

სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა, ბატალიონის მეთაურმა აკაკი ტერელაძემ, შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირმა, რომელიც დაიღუპა ბრძოლის ველზე 1943 წლის 1 ოქტომბერს უკრაინისათვის ბრძოლაში, და ბატალიონის მეთაურმა ირაკლი ოქროპირიძემ.

ამ დიდ ისტორიულ ბრძოლებში ბევრჯერ ასახელა ქართველი მეომრები—67-ე გვარდიული დივიზიის მზვერავმა გიორგი პაპინაშვილმა, რომელმაც ბევრი გერმანელი დაატყვევა დაზვერვის დროს.

ხარკოვის დასავლეთით მეც დავიჭერი თავში (მაშინ ვმეთაურობდი 51-ე გვარდიულ მსროლელ დივიზიას), მაგრამ მწყობრიდან არ გამოვსულვარ.

ჩვენ მაშინ ანგარიშს არ ვუწევდით ჯანმრთელობას, რადგან ერთი მიზანი გვამოძრავებდა — რაც შეიძლება მალე გაგვეთავისუფლებინა ჩვენი ხალხი ფაშისტი ბარბაროსებისაგან.

ხარკოვის დასავლეთით კრასნოკურტსკის (მდებარეობს 70 კილომეტრზე ხარკოვიდან) რაიონში 51-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც მე[1] ვმეთაურობდი, მე-6 გვარდიული არმიის ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით. წარმატებით მოიგერია მოწინააღმდეგის დიდი სატანკო შენაერთების იერიშები და

---

[1] ნიკოლოზ ივანეს ძე კალაძე დაიბადა 1909 წლის 28 მაისს სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშში. 1924—1927 წლებში სწავლობდა თბილისის ქართულ გაერთიანებულ სამხედრო მეთაურთა სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1938 წლის დამლევამდე მეთაურობდა სხვადასხვა განაყოფს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. სკკ პარტიის წევრია 1928 წლიდან. 1933 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1938 წლის ბოლოს ინიშნება კიევის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად, შემდეგ კი დივიზიის სამხედრო კომისრად. 1939 წელს იბრძოდა დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებისათვის, 1940 წელს — თეთრფინელების წინააღმდეგ. დიდი სამამულო ომის პირველი დღიდან მის დამთავრებამდე იმყოფებოდა მოქმედი არმიის რიგებში. მოგერიებით ბრძოლებში მონაწილეობდა ლვოვის, კიევის, ხარკოვის მიმართულებით, დონის ველზე და სტალინგრადის მისადგომებთან, შეტევითს ბრძოლებში — სტალინგრადთან, კურსკის შვერილზე, უკრაინაში, ბელორუსიაში, პოლონეთში, ბერლინთან. 1942 წელს ინიშნება დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში, 1943 წლიდან კი დივიზიის მეთაურად. 1945 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ბრძოლებში ოთხჯერ დაიჭრა, მათ შორის ორჯერ მძიმედ. მიღებული აქვს

სექტემბრის შუა რიცხვებში განაგრძობდა შეტევას სამხრეთისაკენ ქ. პოლტავის (მდებარეობს 120 კილომეტრზე კრასნოკურტსკის სამხრეთით) საერთო მიმართულებით.

გერმანელები ანგარიშს არ უწევდნენ უდიდეს ზარალს და განსაკუთრებული თავგამოდებით იცავდნენ თავს, ცდილობდნენ ფლანგიდან დარტყმისაგან დაეცვათ თავისი დონბასის დაჯგუფება, რომელსაც ზედიზედ ამარცხებდნენ სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარები.

ფაშისტური სარდლობა ხარკოვიდან უკანდახეული თავისი ჯარებისაგან დაჟინებით მოითხოვდა: კვლავ ხელთ ეგდოთ ქალაქი რადაც არ უნდა დასჯდომოდათ. და მაინც, მტრის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მე-6 გვარდიული არმიის შენაერთები, თუმცა ნელა, მაგრამ შეუპოვრად მიიწევდნენ წინ.

51-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის პოლკებმა 19 სექტემბერს სოფელ დიკანგოს (მდებარეობს 25 კილომეტრზე ქ. პოლტავის ჩრდილოეთით) რაიონში დაიკავეს უსახელო მაღლობები, საიდანაც კარგად ჩანდა პოლტავის ჩრდილოეთი მისადგომები. გერმანელები ვერ ურიგდებოდნენ ამ მაღლობთა დაკარგვას და იერიში იერიშზე მიჰქონდათ. მათ მოახდინეს ძალების გადაჯგუფება და 20 სექტემბერს, დილით, კვლავ გადმოვიდნენ კონტრშეტევაზე.

მაგრამ ჩვენც როდი გვეძინა. 19 სექტემბერს ღამით დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის ოფიცრების — ბატალიონის მეთაურის მოადგილის კაპიტან ლაშა ჯავახიშვილის, ოცმეთაურის უფროსი ლეიტენანტების გიორგი ხუციშვილის, დავით აბაშიძის, ნიკოლოზ ცხოვრებოვის და ასეულის პოლიტხელის გიორგი შავიშვილის — გმირული მოქმედების შედეგად უსახელო მაღლობი

უმაღლესი მთავარსარდლის თორმეტი მადლობა, დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოთხი საბრძოლო წითელი დროშის ორდენით, ორი სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, 15 მედლით და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის „მამაცთა ჯვრის", და „ვირტუტი მილიტარის" ორდენებით. 1946—1948 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მეთაურობდა შენაერთებს ურალისა და ჩრდილო კავკასიის, აგრეთვე კარპატების სამხედრო ოლქში. 1962 წლიდან თადარიგშია. ამჟამად მუშაობს თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან არსებულ სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებაში.

მეტად მჭიდროდ იქნა დანაღმული ტანკსაწინააღმდეგო („პტმ“) და ქვეითთა საწინააღმდეგო („პპმ“) ნაღმებით. დანაღმული ველის ფლანგებს დაახლოებით 1,5 კილომეტრის სიგრძის ფრონტის შუალედით იცავდა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ცეცხლი, თვით მაღლობზე დაგეგმილი იყო მხოლოდ ნაღმსატყორცნი ნაწილების ცეცხლი — დანაღმული ველის დასაცავად.

როცა 20 სექტემბერს დილით კონტრშეტევის დროს ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ცეცხლს წააწყდნენ, გერმანელებმა დაიწყეს შემოვლა და მოძებნეს ადგილები, სადაც ეს ცეცხლი ვერ სწვდებოდა (დანაღმული ველის ფლანგებზე ხომ ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლის ზოლამდე 1,5 კილომეტრის სიგრძის შუალედი სპეციალურად იყო დატოვებული, რომ მოწინააღმდეგე შეცდომაში შეგვეყვანა). გამოიყენეს რა ეს „დაუცველი“ ადგილები, ფაშისტი დამპყრობლები სწრაფად დაიძრნენ მაღლობისაკენ, სადაც ისინი დანაღმულ ველზე მოხვდნენ. აქ დარჩა მათი დამსხვრეული 11 ტანკი და რამდენიმე ავტომანქანა.

ჩვენ დაუყოვნებლივ ვისარგებლეთ ამ ეფექტური წარმატებებით, მცირე საარტილერიო მომზადების შემდეგ განვაახლეთ შეტევა მტრის თავდაცვის შუალედურ ზღუდეზე, გავარღვიეთ იგი და ბრძოლით გავწიეთ ქ. პოლტავისაკენ. 22 სექტემბერს საღამოს პოლტავას ჩრდილოეთიდან 10—15 კილომეტრზე მივუახლოვდით.

1943 წლის 23 სექტემბერს საბჭოთა არმიამ სამუდამოდ გაათავისუფლა პოლტავა უცხოელ დამპყრობთა ურდოებისაგან.

ასე დამთავრდა ჩვენი მისია კურსკის გიგანტურ ბრძოლაში. რის შემდეგაც მე-6 გვარდიული არმია მთლიანად იქნა გადაყვანილი ვორონეჟის ფრონტის რეზერვში.

ასე იქნა მოსპობილი ფაშისტთა რჩეული დამრტყმელი დაჯგუფებები, რომლებიც თავმოყრილი იყო საბჭოთა ჯარების გასანადგურებლად კურსკის შვერილზე.

1943 წლის 5 ივლისს ეს დამრტყმელი დაჯგუფებანი, აღჭურვილი უახლესი საბრძოლო ტექნიკით, ელვისებური იერიშებით ცდილობდნენ გამარჯვების მოპოვებას. ორ თვეზე ნაკლები გავიდა და მათ არა მარტო ვერ შეძლეს რაიმე წარმატების მიღწევა, არამედ თვითონ განიცადეს აუნაზღაურებელი ზარალი, ხოლო მა-

თი უმნიშვნელო ნაშთები შორს იყვნენ იმ ადგილებიდან, საიდანაც დაიწყეს შეტევა.

ორიოლისა და ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებათა განადგურება ხასიათდება იმით, რომ საბჭოთა არმიამ კონტრშეტევა დაიწყო ჯერ ისევ თავდაცვითი ბრძოლების მიმდინარეობისას, ანუ მაშინვე, როგორც კი მოიგერიეს მტრის შეტევა.

ასე, დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ იმ მომენტში, როცა გერმანელი ფაშისტები ისევ განაგრძობდნენ იერიშს კურსკზე. ცენტრალური ფრონტის კონტრშეტევა უშუალოდ წარმოიშვა ძლიერი კონტრიერიშებიდან, რომლებსაც ფრონტი მიმართავდა თავისი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

ვორონეჟის, ველის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ამოწურეს შეტევის შესაძლებლობები და უკუგდებულ იქნენ იმ ზღუდეზე, საიდანაც დაიწყეს კურსკზე შეტევა.

ომის მსვლელობისას საბჭოთა არმია მრავალჯერ იყენებდა კონტრშეტევას და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევდა. მოსკოვთან კონტრშეტევისას საბჭოთა არმიამ უკუაგდო ჰიტლერელები ჩვენი დედაქალაქიდან და მწარე დამარცხება აგემა მტერს. კონტრშეტევა ვოლგასთან დამთავრდა მტრის 330-ათასიანი დაჯგუფების ალყითა და განადგურებით, რომლის შემდეგ გერმანელებმა ვეღარ შეძლეს წელში გამართვა.

თითოეული ეს კონტრშეტევა თანდათან სულ უფრო დიდი მასშტაბით იშლებოდა.

თუ მოსკოვთან კონტრშეტევას აწარმოებდნენ მხოლოდ დასავლეთის ფრონტის ჯარები და ნაწილობრივ კალინინისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები, ვოლგაზე ბრძოლაში მონაწილეობდა უკვე სამი ფრონტი, ხოლო კურსკთან კონტრშეტევისას მოქმედებდა ექვსი ფრონტი.

საბრძოლო მოქმედების სულ უფრო მზარდი გაქანება მოწმობს საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების განუწყვეტელ ზრდას.

კურსკთან კონტრშეტევაში განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა საბჭოთა მეომრების მაღალი საბრძოლო თვისებები. საბ-

ჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებამ კურსკის რკალის რაიონში ხელსაყრელი პირობები შექმნა უზარმაზარ ფრონტზე საერთო შეტევისათვის და მიგვიყვანა გერმანელთა ფრონტის დარღვევამდე ველიკიე ლუკიდან აზოვის ზღვამდე.

* * *

საბჭოთა მეომრების შეუდრეკელმა ნებამ, სამხედრო ოსტატობამ და უსაზღვრო ერთგულებამ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უზრუნველყვეს ჰიტლერელთა ჯარების უახლესი საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული რჩეული დამკვრელი დაჯგუფებების განადგურება და შექმნეს პირობები მძიმე თავდაცვითი ბრძოლებიდან ელვისებურ შეტევაზე გადასულიყვნენ.

ამ გმირულმა ბრძოლამ ძირეული გარდატეხა მოახდინა არა მარტო დიდი სამამულო ომის, არამედ მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში.

კურსკთან ბრძოლაში საბჭოთა ჯარებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ჯერ თავდაცვით ბრძოლებში, ხოლო შემდეგ კონტრშეტევისას განადგურებულ იქნა მტრის 30 დივიზია, მათ შორის 7 სატანკო. მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა აგრეთვე ჰიტლერელთა ავიაციამ. ჩვენმა ავიაციამ კურსკთან ბრძოლებში საბოლოოდ მოიპოვა ბატონობა ჰაერში და ხელიდან არ გაუშვა ეს უპირატესობა ომის დამთავრებამდე.

ჰიტლერელების განადგურება კურსკთან დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. გერმანელ ფაშისტთა სარდლობის უკანასკნელმა ცდამ — მოეწყო მძლავრი საზაფხულო შეტევა, რათა ომის მსვლელობა თავის სასარგებლოდ მოებრუნებინა, გადაერჩინა ფაშისტური ბლოკი დაშლისაგან, შეესუსტებინა ვოლგაზე წაგებული ბრძოლის პოლიტიკური შედეგები — სრული კრახი განიცადა. საბჭოთა არმიამ თავისი იარაღის ძალით ჩაფუშა ჰიტლერელთა შორსგამიზნული სამხედრო-პოლიტიკური გეგმები. კურსკის ბრძოლების შემდეგ თვით ფაშისტთა მოთავენი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ თავიანთი შეტევითი სტრატეგიის კრახი. გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა კეიტელმა განაცხა-

და: 1943 წლის ზაფხულში გერმანიის ჯარების დამარცხების შემდეგ გერმანიის სარდლობისათვის ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო ომის მოგება სამხედრო საშუალებებით.

საბჭოთა არმიამ 1943 წლის ზაფხულში მოიგერია ფაშისტების უკანასკნელი შეტევა და, გადავიდა. რა გადაიწყვეტ შეტევაზე 2 000 კილომეტრის ფრონტით, წინ წაიწია 300-ან 450 კილომეტრამდე.

ოთხი თვის ბრძოლების შემდეგ 1943 წლის 5 ივლისიდან 5 ნოემბრამდე საბჭოთა არმიამ გაანადგურა მტრის 144 დივიზია, ამათგან 28 სატანკო და მოტორიზებული. მარტო მოკლულთა სახით ჰიტლერელებმა დაკარგეს 900 000-ზე მეტი ჯარისკაცი, ხოლო 98 000 გერმანელი ტყვედ დანებდა.

ამ ბრძოლების დროს საბჭოთა არმიამ გაანადგურა 9 900 თვითმფრინავი, 15 400 ტანკი, ამათგან 800 „ვეფხვი“ და „ავაზა“, 13 000 სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი და ა. შ. ამ ოთხი თვის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს უდიდესი ნადავლი: 389 თვითმფრინავი, 2 300 ტანკი, ამათგან 204 „ვეფხვი“ და „ავაზა“, 6 800 ქვემეხი, 15 600-მდე ავტომანქანა და დიდი რაოდენობით სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური ქონება.

ასეთია გრანდიოზული წარმატებები საბჭოთა ჯარების შეტევითი ბრძოლებისა 1943 წლის ზაფხულში, რომელსაც კურსკის დიდმა ბრძოლამ დაუდო სათავე.

საბჭოთა არმიის ისტორიულ გამარჯვებებს კურსკთან უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ ფაშისტური გერმანია საბჭოთა იარაღის ძალამ კატასტროფის წინაშე დააყენა. საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი, როგორც ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტი ძალისა, კიდევ უფრო გაიზარდა.

საბჭოთა მეომრების გმირობა კურსკის ბრძოლებში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო ჩვენი ხალხის მიერ დიდ სამამულო ომში მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების გზაზე. ამ გმირული ბრძოლებისა და იმ ადამიანთა ხსოვნა, რომელთა სისხლით არის დაწერილი გამარჯვების ისტორია, საუკუნოდ დარჩება ხალხის გულში.

სამამულო ომის
დამამთავრებელი
ეტაპის წინ

საბჭოთა არმიის 1943 წლის გამარჯვებებმა სათანადო პირობები შექმნეს იმისათვის, რომ კიდევ უფრო დიდი და ბრწყინვალე შეტევითი ოპერაციები გვეწარმოებინა 1944 წელს. ომში ძირეული გარდატეხის წელს გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი მოჰყვა. შეიქმნა ხელსაყრელი წანამძღვრები დროებით ოკუპირებული მთელი დანარჩენი საბჭოთა მიწა-წყლის (ლენინგრადის ოლქის, ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების — ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის, საბჭოთა ბელორუსიის, დნეპრსიქითა უკრაინის, ყირიმისა და ბესარაბიის) განსათავისუფლებლად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, რათა შემდგომი საომარი მოქმედება გერმანიისა და მის მოკავშირეთა ტერიტორიაზე გადაგვეტანა.

თავის საპირველმაისო ბრძანებაში (1944 წ., № 70) უმაღლესმა მთავარსარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ბ. სტალინმა მიუთითა, რომ საბჭოთა არმიის ძირითადი ამოცანაა „გაწმინდოს ფაშისტ დამპყრობთაგან მთელი ჩვენი მიწა და აღადგინოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი მთელ ხაზზე, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე“[1].

მაგრამ მთავარსარდალი როდი ფარგლავდა საბჭოთა არმიის ამოცანებს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებით ფაშისტ დამპყრობთაგან. იმავე ბრძანებაში შემდეგ ხაზგასმით ნათქვამია: „ჩვენი ამოცანები არ შეიძლება შემოიფარგლოს მტრის ჯარების განდევნით ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან... იმისათვის, რომ თავიდან ავაცილოთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მოკავშირე ქვეყნებს დამონების საშიშროება. საჭიროა კვალდაკვალ მივსდიოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს და მოვსპოთ იგი მისსავე საკუთარ ბუნაგში“[2].

ამრიგად, უმაღლესმა მთავარსარდალმა უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანები დაუსახა საბჭოთა არმიას — მთელი საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლება, საომარი ოპერაციების გერმანიის ტერიტორიაზე გადატანა და მტრის საბოლოო სამხედრო განადგურება მისსავე ბუნაგში. ამ ამოცანებმა განსაზღვრეს ხასიათი საბჭოთა არმიის მიერ 1944 წელს ჩატარებული ოპერაცი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 262.

[2] იქვე, გვ. 262.

ებისა, რომელთაგანაც თითოეულს მაქსიმალურად გადამწყვეტი მიზანი ჰქონდა: მტრის ამა თუ იმ ძირითადი სტრატეგიული დაჯგუფების განადგურება და ელვისებური შეტევა დასავლეთისაკენ გერმანიის საზღვრებთან სწრაფად გასასვლელად.

სავსებით ცხადია, 1944 წლის ოპერაციების ასეთმა მიზან-სწრაფულობამ განაპირობა მათი უდიდესი, ისტორიაში არნახული გაქანება, როგორც იმ ფრონტის სიდიდის თვალსაზრისით, სადაც შეტევითი ბრძოლები წარმოებდა, ისე მტრისადმი მიყენებულ დარტყმათა სიდრმისა და შეტევის მაღალი ტემპების მხრივაც.

ამ დიადი ისტორიული ამოცანების განხორციელების მიზნით საბჭოთა არმიამ 1944 წელს ათი მძლავრი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტერს.

* * *

პ ი რ ვ ე ლ ი დ ა რ ტ ყ მ ა --- გერმანელთა განადგურება ლენინგრადსა და ნოვგოროდთან 1944 წლის იანვარ-თებერვალში.

„ლენინგრადთან საბჭოთა არმიის შეტევის დასაწყისისათვის ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარების პირისპირ თავდაცვითი ზღუდე ეკავა მტრის მე-18 არმიას, რომლის შემადგენლობაში იყო 19 დივიზია და 3 ბრიგადა, სულ 168 ათასი ჯარისკაცი. მის შეიარაღებას შეადგენდა ყველა კალიბრის 4 500 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი (აქ არ შედის საზენიტო და რეაქტიული არტილერია), 200-მდე ტანკი და მოიერიშე ქვემეხი.

მე-18 არმიის სამხრეთით, ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარების წინ, განლაგებული იყო მოწინააღმდეგის მე-16 არმია, რომელშიც 21 დივიზია და 1 ბრიგადა შედიოდა. მე-18 და მე-16 არმიები გაერთიანებული იყვნენ „ჩრდილოეთის“ არმიათა ჯგუფში. სულ ამ ჯგუფში შედიოდა 44 დივიზია და 4 ბრიგადა. მას მხარს უჭერდა 1-ლი საჰაერო ფლოტი, რომელიც 200-ზე მეტი თვითმფრინავისაგან შედგებოდა“[1].

ლენინგრადის ოლქში ბატონობის 27 თვის მანძილზე გერმანიის ჯარებმა შექმნეს აქ მძლავრი, ღრმად ეშელონირებული თავ-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 33.

დაცვა, ააგეს მრავალი მტკიცე თავდაცვითი ნაგებობა, მათ შორის არაერთი რკინა-ბეტონის სიმაგრე. თავდაცვის ზღუდე აღჭურვილი იყო მრავალრიცხოვან საცეცხლე საშუალებათა არაჩვეულებრივად ხშირი ქსელით. გერმანელთა სარდლობას ჰყავდა მსხვილი საარტირელო დაჯგუფებები. მათ შემადგენლობაში შედიოდნენ მსხვილკალიბრიანი ბატარეები (406 მმ-მდე კალიბრისა), რომლებსაც ფაშისტები ლენინგრადის ბარბაროსული დაბომბვისათვის იყენებდნენ.

1944 წლის 14 იანვარს, ხანგრძლივი და გულმოდგინე მზადების შემდეგ, ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებსაც გენერალი გოვოროვი სარდლობდა, ორი ურთიერთშემხვედრი დარტყმა განახორციელეს ორანიენბაუმის რაიონიდან და პულკოვოს სიმაღლეებიდან როპშის მიმართულებით.

20 იანვარს ორივე დამკვრელი დაჯგუფება შეხვდა ერთმანეთს როშპის რაიონში.

ამავე დროს შეტევაზე გადავიდა ვოლხოვის ფრონტი, რომელსაც არმიის გენერალი (შემდეგ საბჭოთა კავშირის მარშალი) ბერეზკოვი სარდლობდა. ფრონტის ნაწილებმა ასევე ორი ურთიერთშემხვედრი დარტყმა მიაყენეს გერმანელებს: ერთი ითვალისწინებდა ნოვგოროდის შემოვლას ჩრდილოეთიდან, მეორე — სამხრეთიდან. 20 იანვარს გერმანელთა დაჯგუფება მთლიანად იქნა გარშემორტყმული და განადგურებული.

ამავე დღეს ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს ნოვგოროდი. ხოლო თებერვლის განმავლობაში მტრისაგან გაწმინდეს მთელი ლენინგრადის ოლქი, ფინეთის სანაპირო მდინარე ნარევომდე, დაიკავეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე. ჩუდისა და ფსკოვის ტბების მთელი აღმოსავლეთი სანაპირო და მიადგნენ ქ. ფსკოვს.

ლენინგრადისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი თანამემამულენი: გენერალ-ლეიტენანტი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე, არტილერიის გენერალ-მაიორი გიორგი მიხეილის ძე ჯინჭარაძე, ავიაციის გენერალ-მაიორი დიმიტრი გიორგის ძე შანშაშვილი, ავიაციის კაპიტანი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ვასილის ძე ჯაბიძე და მრავალი სხვა.

ლენინგრადის ბლოკადის დროს ვაჟკაცური შემართებით იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში მოხალისედ წასული 12—13

წლის ახალგაზრდა ევგენი ივანეს ძე ტოპრაკაშვილი. იგი მსახურობდა მე-2 საზღვაო ბრიგადის ერთ-ერთ ნაღმოსან კატერზე მსხვილკალიბრიანი საზენიტო ტყვიამფრქვევის პირველ ნომრად.

ე. ტოპრაკაშვილი იბრძოდა ჯერ ბალტიის ზღვაზე, შემდეგ ლადოგის ტბაზე. ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის შემდეგ გადაიყვანეს დუნაის ფლოტში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთელი რიგი ქალაქების განთავისუფლებაში. ბრძოლებში მამაცობისათვის ე. ტოპრაკაშვილი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

და სხვა მრავალი ქართველი მეომარი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ლენინგრადისათვის ბრძოლებში.

„მოწინააღმდეგის მძლავრი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის ზვავი“, რომელსაც ჰიტლერელები ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ, ერთიანად მოისრა საბჭოთა ჯარების გამანადგურებელი დარტყმების შედეგად.

წითელმა არმიამ, რომელიც უკიდურესად მძიმე ბუნებრივ პირობებში და მეტად არახელსაყრელ ამინდში აწარმოებდა შეტევას, უკუაგდო მტერი ლენინგრადიდან 220—280 კილომეტრზე, ფაშისტებისაგან გაწმინდა თითქმის მთელი ლენინგრადის ოლქი, კალინინის ოლქის ნაწილი და შეიჭრა საბჭოთა ესტონეთის საზღვრებში. ლენინის ქალაქი საბოლოოდ იქნა განთავისუფლებული გერმანელთა ბლოკადისაგან, მის მოსახლეობას უკვე აღარ ემუქრებოდა ბარბაროსული საარტილერიო დაბომბვები...

ოპერაციის შედეგად ჩვენმა ჯარებმა მთლიანად მოსპეს მოწინააღმდეგის 3 დივიზია, ხოლო 23 დივიზია სასტიკად დაამარცხეს...

არა მარტო საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა ლენინგრადის შესანიშნავმა გმირობამ.

„საეჭვოა, — წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის თაობაზე, — რომ ისტორიაში მოიძებნოს გამძლეობისა და ამტანობის იმგვარი მაგალითი, როგორიც ლენინგრადელებმა გამოიჩინეს ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათი მამაცობა და შეუპოვრობა ისტორიის ანალებში ჩაიწერე-

ბა როგორც თავისებური გმირული მითი... ლენინგრადი განასახიერებს რუსეთი სხალხთა უძლეველ სულს"[1].

მ ე ო რ ე დ ა რ ტ ყ მ ა — გერმანელთა განადგურება მარჯვენა ხიერებს რუსეთის ხალხთა უძლეველ სულს"[1].

1943 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ მთელი რიგი მომაკვდინებელი დარტყმები აგემა გერმანელ დამპყრობლებს, გაათავისუფლა მარცხენა ნაპირის უკრაინა, გავიდა დნეპრთან და მდინარე პრიპიატის შესართავის უბანში ჩრდილოეთიდან მიადგა კიევს. „დნეპრი პირველებმა გადალახეს ცენტრალური ფრონტის მე-13 არმიის ჯარებმა (სარდალი — გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. პუხოვი). მათ მდინარეზე გადასვლა დაიწყეს 22 სექტემბერს გვნთიადისას და მეორე დღეს 35 კილომეტრით წაიწიეს წინ დასავლეთისაკენ...

მე-13 არმიის სამხრეთით — დიმერის რაიონში და მის ზემოთ — წარმატებით გადალახეს დნეპრი მე-60 არმიის ჯარებმა. 30 სექტემბერს დღის ბოლოს მათ დაიკავეს პლაცდარმი, რომლის ფრონტის სიგრძე 20, ხოლო სიღრმე 12 კილომეტრი იყო"[2].

1943 წლის 6 ნოემბერს დილის 4 საათზე უკრაინის სს რესპუბლიკის დედაქალაქი კიევი მთლიანად იქნა განთავისუფლებული ოკუპანტებისაგან.

1943 წლის დამლევისათვის უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებს კიევის რაიონში ეკავათ 260 კილომეტრზე მეტი სიგრძისა და 120 კილომეტრამდე სიღრმის პლაცდარმი. უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარებს კრემენჩუგისა და დნეპროპეტროვსკის რაიონებში ეკავათ პლაცდარმი, რომელსაც დაახლოებით 400 კილომეტრამდე სიგრძე და 70 კილომეტრამდე სიღრმე ჰქონდა.

ამრიგად, 1943 წლის დეკემბრის ბოლოსათვის საბჭოთა არმია მოწინააღმდეგის თავდაცვაში ორ მძლავრ სოლად აღმოჩნდა შეჭრილი: კიევის რაიონში და კრემენჩუგის რაიონში. ამან შემდგომში უზრუნველყო შეტევითი ოპერაციების წარმატება დნეპრის მარჯვენა ნაპირზე.

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 48, 49, 52.

[2] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. III, стр. 325.

აი, რას ამბობდნენ ამ საკითხის ირგვლივ ინგლისელი სამხედრო სპეციალისტები:

„...ბანკეტზე კრემლში, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციის დროს 1943 წლის ოქტომბერში, ინგლისის სამხედრო მისიის მეთაურმა გენერალმა მარტელმა განაცხადა, არც ერთ არმიას მსოფლიოში არ შეეძლო ჩაედინა ისეთი გმირობა, როგორიც წითელმა არმიამ ჩაიდინა დნეპრის გადალახვისასო"[1].

ჯერ კიდევ არ მიწყნარებულიყო ლენინგრადის მისადგომებთან მოპოვებული დიდი გამარჯვების აღსანიშნავი სალუტის ექო, რომ სამხრეთში დაიწყო წითელი არმიის უდიდესი ოპერაციები, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ.

იანვრის დამლევს უკრაინის 1-ლი და მე-2 ფრონტების ჯარებმა განაახლეს შეტევა და ბელაია ცერკოვიდან და კიროვოგრადის ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან მძლავრი ურთიერთშემხვედრი დარტყმების შედეგად ორი საპირისპირო მიმართულებით გაარღვიეს მტრის თავდაცვა. შეერთდნენ რა ზვენიგოროდკისა და შპოლის რაიონებში, მათ ალყა შემოარტყეს მოწინააღმდეგის კორსუნ-შევჩენკოვსკის დაჯგუფებას, „ახალი სტალინგრადი" მოუწყვეს გერმანელებს.

„კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაცია დამთავრდა მტრის 10 დივიზიისა და 1 ბრიგადის გარშემორტყმითა და მოსპობით. 55 ათასი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოვიდა მწყობრიდან მოკლულთა და დაჭრილთა სახით, 18 ათას ორასი კაცი ტყვედ ჩავარდა. მოწინააღმდეგემ დაკარგა მთელი საჭურველი და საომარი ტექნიკა. ამან დაასუსტა მტრის დაჯგუფება, გამოიწვია ჯარების დემორალიზება"[2].

ამ ოპერაციაში სხვა შენაერთებთან ერთად მონაწილეობდა და წარმატებით შეასრულა თავის საბრძოლო ამოცანა 69-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც გვარდიის გენერალ-მაიორი კირილე კოპოს ძე ჯახუა მეთაურობდა. მებრძოლთა

---

[1] Александр Верт. Россия в войне 1941—1945 гг., стр. 560.
[2] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 68.

მიერ გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის 69-ე გვარდიულ დივიზიას „ზვენიგოროდკის“ სახელი მიენიჭა.

თითქმის ამ ოპერაციის ერთდროულად უკრაინის მე-3 და მე-4 ფრონტების ჯარებმა გაანადგურეს მტრის ნიკოპოლის დაჯგუფება. უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა აიღეს ქ. ნიკოპოლი, განაგრძეს გერმანელების დაჯგუფებათა ნაშთების დევნა, მიადგნენ მდ. ინგულეცს და დაიკავეს ფაშისტთა მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი კრივოი როგი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფლანგის ჯარები თებერვლის დასაწყისში შეტევაზე გადავიდნენ და დაიკავეს ქალაქები ლუცკი, როვნო, ოსტროგი, შეპეტოვკა. ამ ხაზზე გასვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯარების შემდგომი მოქმედებისათვის სამხრეთში.

ქალაქ ლუცკისათვის ბრძოლებში სატანკო ჯგუფს პირადად ხელმძღვანელობდა დივიზიის (შედიოდა მე-13 არმიის შემადგენლობაში) მეთაურის მოადგილე პოდპოლკოვნიკი ვალერიან ნესტორის ძე ქირია. სატანკო ჯგუფი ლუცკის მისადგომებთან უტევდა მტრის საყრდენ პუნქტს. გააფთრებულ ბრძოლებში ჩვენმა ტანკისტებმა გატეხეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგობა, დაიკავეს საყრდენი პუნქტი და შეიჭრნენ ქალაქ ლუცკში. ჰიტლერელებთან ამ ცხარე შეტაკებაში სასიკვდილოდ დაიჭრა ვალერიან ქირია. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას.

ლუცკ-როვნოს რაიონში მტრის თავდაცვის გარღვევისა და კორსუნ-შევჩენკოვსკის და ნიკოპოლის ოპერაციების დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმია ათასკილომეტრიან ფრონტზე უშუალოდ დაემუქრა გერმანელთა სამხრეთის არმიებს. ჩვენებმა, გამოიყენეს რა შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა, მოახდინეს ძალთა გადაჯგუფება — მკვეთრად შემოაბრუნეს თავიანთი დარტყმების მიმართულება სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

ჰიტლერელთა სარდლობა, რომელიც იმედოვნებდა, რომ წლის ამ დროს ზაფხულის წვიმებისა და უგზოობის გამო დიდი ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა, მოუმზადებელი აღმოჩნდა თავდაცვისათვის. დაიწყო გერმანელთა ჯარების უდიდესი კატასტროფა სამხრეთში. ვერც წვიმებმა, ვერც სრულმა უგ-

ზოობამ, ვერც ნაპირებიდან გადმოსულმა დიდმა მდინარეებმა — სამხრეთის ბუგმა, დნესტრმა, პრუტმა, სერეტმა — ვერ შეაჩერა საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციები.

საბჭოთა არმიის გაზაფხულის გრანდიოზული შეტევისათვის დამახასიათებელია პირველ ყოვლისა მტრის მძიმე საომარი ტექნიკის სრული განადგურება საერთოდ, სატანკო და საარტილერიო ტექნიკისა განსაკუთრებით. ფრონტის ხაზს იქით განლაგებული გერმანელთა მსხვილი სატანკო სარეზერვო ჯგუფები ვერ ასწრებდნენ გაშლას და იძულებული იყვნენ მიეღოთ ბრძოლა მათთვის უაღრესად არახელსაყრელ პირობებში. ხშირად გერმანელი ტანკისტები ტოვებდნენ თავიანთ ტექნიკას და გარბოდნენ.

ამრიგად, საბჭოთა ჯარების გრანდიოზული შეტევა მარჯვენა მხარის უკრაინაში, რომელიც 1943 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო, დამთავრდა 1944 წლის აპრილის შუა რიცხვებში უკრაინის 1-ლი, მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარების გასელით კოველ-ტორჩინ-კოლომია-რედეუცი-დუბოსარის აღმოსავლეთით მდებარე ზღუდეზე და დნესტრის ლიმანთან.

საბჭოთა არმიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა უკრაინაში. უკრაინის 1-ლმა, მე-2 და მე-3 ფრონტებმა შეასრულეს მათ წინაშე მდგომი ამოცანები და უმაღლესი მთავარსარდლობის მითითებით თავდაცვაზე გადავიდნენ, რათა წესრიგში მოეყვანათ ჯარები, დაეახლოებინათ ზურგის კომუნიკაციები და დაეწყოთ მზადება ზაფხულის შეტევისათვის.

მ ე ს ა მ ე დ ა რ ტ ყ მ ა მ. რომელიც უკრაინის მე-3 და მე-4 ფრონტების ჯარებმა და ცალკე ზღვისპირეთის არმიამ მიაყენეს ფაშისტებს 1944 წლის აპრილსა და მაისში, დაამთავრა გერმანელ და რუმინელ დამპყრობთაგან მთელი შავი ზღვის სანაპიროს განთავისუფლება ქერჩიდან დნესტრის ლიმანამდე.

საბჭოთა არმიის ეს დარტყმა მოიცავს ორ დიდ დამოუკიდებელ ოპერაციას: ოდესისა და ყირიმის ოპერაციებს.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა მე-6 არმია და მდინარე სამხრეთ ბუგთან გავიდნენ. 28 მარტს მათ გადალახეს სამხრეთ ბუგი და დაიკავეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე. იმავე დღეს ფრონტის ნაწილებმა აიღეს ქალაქი ნიკოლაევი.

სამხრეთ ბუგთან გერმანელთა თავდაცვის გარღვევამ აიძულა ისინი თავიანთი ძირითადი ძალები დნესტრთან გადაეყვანათ. მაგრამ მათ გადაწყვიტეს შეენარჩუნებინათ ოდესის რაიონი, რადგან იგი იცავდა გზას ცენტრალური რუმინეთისაკენ.

საბჭოთა ჯარებმა გადამწყვეტი დარტყმით გატეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, ერთი დაკვრით გადალახეს მდინარე ტელიგული და ენერგიულად განაგრძობდნენ მტრის დევნას. გერმანელთა ოდესის დაჯგუფება საბჭოთა ჯარების შემოვლითი მანევრის შედეგად ზღვაზე აღმოჩნდა მიჭყლეტილი.

10 აპრილს საბჭოთა არმიამ მთლიანად გაწმინდა ქ. ოდესა გერმანელი და რუმინელი დამპყრობლებისაგან.

ოდესისათვის ბრძოლებში გაბედული მოქმედებით თავი ისახელა ჩვენმა თანამემამულე ქალმა უმცროსმა სერჟანტმა ნუცა (ნინა) სეევერიანეს ასულმა არველაძემ, რომელიც იბრძოდა 56-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიის 527-ე საზენიტო მცირეკალიბრიანი საარტილერიო პოლკის კავშირგაბმულობის ბატარეაში გათელის მეთაურად. მან საბრძოლო ნათლობა მიიღო 1942 წლის ზაფხულში ბაქოს მისადგომებთან, სოფელ პუტის რაიონში.

კავკასიიდან გერმანელთა განდევნის შემდეგ 56-ე საზენიტო საარტილერიო დივიზია იცავს ქ. დნეპროპეტროვსკს, ხოლო 1944 წლის აპრილის პირველი რიცხვებიდან იბრძვის ოდესისათვის. 4 აპრილს მტრის მძლავრი საჰაერო თავდასხმის შედეგად კავშირგაბმულობის ბატარეაში 78 მებრძოლიდან მხოლოდ 13 გადარჩა. მათ შორის ნ. არველაძე, რომლებმაც მტრის მძლავრი ცეცხლის ქვეშ დაძაბული მოქმედებით უზრუნველყვეს პოლკის უნარიანი მოქმედება. ომის დამთავრების შემდეგ ნ. არველაძე მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. მან სამთო ინჟინერ შოთა ბალავაძესთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი. ნუცა ქალ-ვაჟის დედაა და დღესაც ნაყოფიერად მუშაობს საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ნიკოლაევისა და ოდესის განთავისუფლებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ყირიმის განთავისუფლებისათვის. გერმანელები იძულებული გახდნენ მარტოოდენ რუმინეთის ნავსადგურებს დაყრდნობოდნენ ცოცხალი ძალით, საომარი საჭურვლითა და სურსათით მომარაგებაში, მათი საზღვაო კომუნიკაციები უკიდურესი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

„ყირიმის ნახევარკუნძული, გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებათა გამო, უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციას წარმოადგენდა შავი ზღვის აუზში. ხელთ ჰქონდა რა ყირიმი, მტერი ზურგიდან თავდასხმის მუდმივ მუქარას უქმნიდა უკრაინის სამხრეთში მოქმედ საბჭოთა ჯარებს, აძნელებდა ჩვენი შავი ზღვის ფლოტის მოქმედებას. გერმანელ ფაშისტთა სარდლობის გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დასჯდომოდა დაეცვა ყირიმი, პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებითაც იყო განპირობებული. ყირიმის დაკარგვა გერმანიისათვის ნიშნავდა მისი პრესტიჟის მკვეთრ დაცემას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და „ნეიტრალურ" თურქეთში, რომლებიც წარმოადგენდნენ ნავთობისა და მწვავედ დეფიციტური სხვა სტრატეგიული მასალების მნიშვნელოვან წყაროს. გარდა ამისა, ყირიმი იცავდა ჰიტლერული გერმანიის ჯარების ბალკანეთის სტრატეგიულ ფლანგს და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურებისაკენ გამავალ, შავი ზღვის სრუტეებზე მდებარე მნიშვნელოვან საზღვაო კომუნიკაციებს"[1].

ჰიტლერელთა სარდლობამ გადაწყვიტა რადაც არ უნდა დასჯდომოდა დაეცვა ყირიმი. ამიტომ გერმანელებმა არათუ მოახდინეს ყირიმიდან თავიანთი ჯარების ევაკუაცია, არამედ გააძლიერეს ყირიმის დაჯგუფება ორი დივიზიისა და რამდენიმე ცალკე ნაწილის გადმოსროლით.

გერმანელები გაძლიერებით ამაგრებდნენ პერეკოპის ყელს და ტრაბახობდნენ, ყირიმის ნახევარკუნძული მიუვალ ციხე-სიმაგრედაა ქცეულიო. და მართლაც, აქ სიმაგრეები უდავოდ მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იყო.

საბჭოთა სარდლობამ გადაწყვიტა გაენადგურებინა გერმანელთა ჯარები ყირიმში ორი ერთდროული დარტყმით: ჩრდილოეთიდან — პერეკო-სივაშის მიმართულებიდან და აღმოსავლეთიდან — ქერჩის რაიონიდან. სადაც ჩვენ ჯერ კიდევ 1943 წლის ნოემბერში დავიკავეთ პლაცდარმი. როცა გერმანელებს ტამანის ნახევარკუნძულიდან ერეკებოდნენ, შავი ზღვის სამხედრო ფლოტმა მიიღო ამოცანა — ავიაციის მხარდაჭერით მოეხდინა გერმანელთა ყირიმის დაჯგუფების ბლოკირება ზღვიდან და ჰაერიდან.

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 88.

ყირიმისათვის ბრძოლა დაიწყო 8 აპრილს უკრაინის მე-4 ფრონტის (სარდალი არმიის გენერალი, შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი) ჯარების შეტევით.

იმავე დღეს ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი არმიანსკი, 11 აპრილს აიღეს ქალაქი ჯანყოი და ზურგში მოექცნენ გერმანელთა ჯარებს, რომლებიც პერეკოპის ყელს იცავდნენ. გერმანელებმა უკან დახევა იწყეს.

ჩრდილოეთიდან სერიოზული საშიშროება რომ იგრძნო, გერმანელთა სარდლობამ სასწრაფოდ მოხსნა ქერჩის ნახევარკუნძულიდან ჯარების ნაწილი და პერეკოპ-სივაშის დაჯგუფების გასაძლიერებლად გადაისროლა. ამ მომენტში შეტევა დაიწყეს ცალკეული ზღვისპირეთის არმიის ჯარებმა არმიის გენერალის. შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშლის, ა. ი. ერიომენკოს სარდლობით.

ზღვისპირეთის არმიამ 11 აპრილს გაათავისუფლა ქალაქი ქერჩი. 13 აპრილს მტრისაგან გაწმენდილ იქნა სიმფეროპოლი. ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა, რომლებიც მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ მთებში, დაიკავეს ბახჩისარაი და ალუშტა და გადაუჭრეს გერმანელთა ქერჩის დაჯგუფებას სევასტოპოლისაკენ უკანდასახევი ერთადერთი გზა. ეს დაჯგუფება გაანადგურეს ცალკეული ზღვისპირეთის არმიის ნაწილებმა, რომლებიც ქერჩის სამხრეთი სანაპიროს გასწვრივ უტევდნენ. მტრის ჯარების ნაშთები სევასტოპოლში ჩაკეტილნი აღმოჩნდნენ.

გერმანელთა სარდლობა ყოველი ღონისძიებით ცდილობდა შეენარჩუნებინა სევასტოპოლის რაიონი. ჯარებს ნაბრძანები ჰქონდათ დაეცვათ სევასტოპოლი უკანასკნელ ჯარისკაცამდე. არც ერთი ნაბიჯით არ დაეხიათ უკან. სევასტოპოლში მყოფი ჯარების შესავსებად გერმანელთა სარდლობამ 24 აპრილიდან 7 მაისამდე ზღვითა და ჰაერით ათამდე ბატალიონი გადმოისროლა.

საბჭოთა სარდლობის გეგმის თანახმად, სევასტოპოლის სიმაგრეზე იერიში მზადდებოდა სამი ერთდროული დარტყმით:

1. ჩრდილოეთიდან საერთო მიმართულებით მიკენზის მთებისაკენ. ამ დაჯგუფების შემადგენლობაში თავი გამოიჩინეს მე-13 გვარდიული მსროლელი კორპუსის (მე-2 გვარდიული არმია) მეომრებმა გენერალ-მაიორ პ. გ. ჩანჩიბაძის მეთაურობით:

2. აღმოსავლეთიდან სპუნ-გორის გავლით. ამ დაჯგუფებაში ეპირულად იბრძოდნენ 414-ე ქართული მსროლელი და 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიების მეომრები გენერალ-მაიორ ვალერიან სერგის ძე ძაბახიძისა და ვიქტორ ბოგდანის ძე ლისინოვის მეთაურობით. 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია დაკომპლექტებული იყო უმეტესად ქართველებით. სასტიკ ბრძოლებში აქ ქართველმა ოფიცრებმა თავიანთი გმირობითა და მამაცობით სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა არმიის საბრძოლო დიდების მატიანეში. ასეთები იყვნენ: პოლკოვნიკები — ლავრენტი გოგატიშვილი, ვარლამ ჯანჯღავა, ქრისტეფორე გაფრინდაშვილი, სტეფანე ბერუჩაშვილი, ნიკოლოზ ყანჩაველი, კალისტრატე მანაგაძე, ენუქი ქანთარია, მიხეილ ხურცილავა, სერგო ჩხაიძე, დავით შაქარაძე, იოსებ გორგიშვილი, მიხეილ ბუსკაძე, აკაკი გოგობერიშვილი, ნიკოლოზ გვენცაძე; პოდპოლკოვნიკები — ლეონიდე ჩიქვინიძე, ვლადიმერ ნიკურაძე (ლადიკო ილარიონის ძე ნიკურაძე 414-ე მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი იყო, დაიღუპა ბრძოლებში სპუნ-გორის რაიონში); მაიორი — შალვა კაცაძე, პლატონ ლასურია, არჩილ კოკილაშვილი, ლეონიდე ჩავა, ვალერიან ზურაბიშვილი, ვახტანგ ამბოკაძე, ემელიანე წულაია: კაპიტნები — ნიკოლოზ კაკაბაძე, ნიკოლოზ ძულიაშვილი, ნიკოლოზ კაშია, გიორგი შავლახიშვილი და მრავალი სხვა;

3. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სანაპიროს გასწვრივ.

მთავარი დარტყმა დაგეგმილი იყო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ავიაციასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს დაკისრებული ჰქონდათ მტრის დაჯგუფების ბლოკირება ჰაერიდან და ზღვიდან.

7 მაისს დაიწყო სევასტოპოლის სიმაგრის გადამწყვეტი შტურმი. ფრონტის ყოველ კილომეტრზე 200-მდე ქვემეხის ცეცხლი, ასობით ბომბდამშენი ანადგურებდნენ მტრის თავდაცვას და გზას უკაფავდნენ ჩვენს ქვეით ჯარსა და ტანკებს.

8 მაისს, საღამოს, სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა სევასტოპოლის გარეუბნებში. იგი არ წყდებოდა არც დღისითა და არც ღამით. 9 მაისს 19 საათზე ორი მიმართულებით ერთდროული დარტყმის შედეგად საბჭოთა ჯარებმა აიღეს სევასტოპოლი. „ყირიმის შეტევითი ოპერაცია დამთავრდა 12 მაისს წითელი არმიის გამარჯვებით.

გერმანელთა მე-17 არმია, რომლის შემადგენლობაშიც 12 დივიზია შედიოდა, სასტიკად იქნა განადგურებული. მოვსპეთ ან ტყვედ წამოვიყვანეთ მტრის 100 000 ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მთელი სამხედრო ტექნიკა. გარდა ამისა, ჩვენმა ავიაციამ და შავი ზღვის ფლოტის გემებმა ჩაძირეს მტრის დიდი რაოდენობით ხომალდები მათზე მყოფ ჯარებთან და სამხედრო ტვირთთან ერთად. თუ 1941—1942 წლებში ჰიტლერელთა ჯარებს 250 დღე დასჭირდათ სევასტოპოლის ასაღებად, რომელსაც თავგანწირვით იცავდნენ საბჭოთა მეომრები, 1944 წელს წითელმა არმიამ სულ რაღაც 35 დღეში დაამსხვრია მოწინააღმდეგის მძლავრი სიმაგრეები ყირიმში და სრულიად გაანადგურა მტრის ორასათასიანი დაჯგუფება"[1].

ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მაიორმა (ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკმა) ეფსილ ვატას ძე ჯაიანმა. იგი იყო 232-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ დარგში. ეს პოლკი შედიოდა მე-8 საავიაციო არმიის 289-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიაში. ვ. ჯაიანის მფრინავებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები. ისინი მოქმედებდნენ მე-4 უკრაინის ფრონტის მთავარი დარტყმის მიმართულებით სივაშის სამხრეთით სიმფეროპოლისა და სევასტოპოლისაკენ. მათ განსაკუთრებით ახელელეს თავი ჯერ მტრის მოგერიების გარღვევაში ნოვო ალექსეევკის სამხრეთით, შემდეგ მტრის დევნაში და ბოლოს სევასტოპოლზე იერიშის დროს.

შემდგომში ვ. ჯაიანი იბრძვის ბელორუსიის განთავისუფლებისათვის, სადაც იგი 960-ე ავიაგამანადგურებელი პოლკის მეთაურის მოადგილედ პოლიტიკურ დარგში. ეს პოლკი 328-ე ავიაგამანადგურებელი დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა. პოტსდამის კონფერენციის დროს (1945 წლის 17 ივლისი — 2 აგვისტო) თავის ნაწილთან ერთად ვ. ჯაიანმა პირნათლად შეასრულა მთავრობის საპატიო დავალება — წარმატებით მონაწილეობდა საბჭოთა არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე სპეციალურ საავიაციო

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 94.

ხაზის დაცვაში. ამჟამად ვ. ჯაიანი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ეწევა ნაყოფიერ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას.

მ ე ო თ ხ ე დ ა რ ტ უ მ ა — ფინელთა ჯარების განადგურება კარელიაში 1944 წლის ივნის-ივლისში.

რამდენიმე თვის სიწყნარის შემდეგ ლენინგრადში კვლავ გაისმა საბჭოთა არტილერიის გრუხუნი.

1944 წლის 10 ივნისს ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მტრის ბლოკადის უკანასკნელ ნაწილზე. ორნახევარი წლის მანძილზე ამაგრებდნენ ფინელები კარელიის ყელს, საიდანაც მათ ლენინგრადის დაპყრობა სურდათ. გერმანელთა დახმარებით მათ ააგეს სამი მძლავრი თავდაცვითი ზოლი, რომლის ათასობით სხვადასხვა სიმაგრეს ბუნებრივ დაბრკოლებებთან ერთად უნდა შეექმნა გადაულახავი ზღუდე ჩვენი ჯარებისათვის. მტრის თავდაცვითი სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ სანგრებით შეიძლებოდა მთელი ყელის გადალახვა მიწის ზედაპირზე ამოუსვლელად. თავდაცვის ფრონტის ყოველ კილომეტრზე მოდიოდა რკინაბეტონის 12—14 საცეცხლე წერტი ქვემეხებისა, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევებისათვის და 20-მდე მკვიდრი თავშესაფარი.

საბჭოთა არმიის ნაწილები იერიშისათვის ემზადებოდნენ მთელი მონდომებით, წინდახედულობითა და მოთმინებით. მოწინააღმდეგის თავდაცვის სამი ზოლი ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა 11 დღეში გაარღვიეს. შეტევა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. 21 ივნისს საბჭოთა დროშა აფრიალდა ქალაქ ვიბორგზე — ამ მიუვალ ციხე-სიმაგრეზე. საბჭოთა არმიამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ არავითარ ციხე-სიმაგრეს არ შეუძლია გაუძლოს, წინ აღუდგეს მის ოსტატურ დარტყმებს.

ჩვენი ჯარების ასეთი სწრაფი შეტევით დამფრთხალმა ფინელებმა სასწრაფოდ გადმოისროლეს ვიბორგის რაიონში ჯარის ნაწილები ფრონტის სხვა უბნებიდან, მაშინ, როცა ფინელები თავიანთი კარელიის არმიის შესუსტების ხარჯზე ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას ვიბორგის მხარეში, კარელიის ფრონტის ჯარებმა (ფრონტის სარდალი — არმიის გენერალი, ახლა საბჭოთა კავშირის მარშალი მერეცკოვი) დაარტყეს მტრის პოზიციებს ონე-

გის ტბის ჩრდილოეთით, გაანადგურეს მოწინააღმდეგე მდინარე სვირის ზღუდეზე და 29 ივნისს გაათავისუფლეს ქალაქი პეტროზავოდსკი. ჩვენი ჯარები ფინეთის საზღვართან მივიდნენ. კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკა განთავისუფლებულ იქნა.

„ლენინგრადისა და კარელიის ფრონტების ჯარებმა წითელდროშოვან ბალტიის ფლოტთან, ლადოგისა და ონეგის სამხედრო ფლოტილიებთან ურთიერთმოქმედებით მძლავრი შეტევის შედეგად დაამარცხეს ფინელთა არმია, გაანადგურეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვის ხაზი, კარელიის ყელზე წაიწიეს წინ 110—130, ხოლო ლადოგისა და ონეგის ტბებს შორის — 200—250 კილომეტრით.

საბჭოთა ჯარებმა მტრისაგან გაწმინდეს კარელიის ყელი, დაიკავეს ვიბორგი და ამით დააშთავრეს ლენინგრადის ოლქის განთავისუფლება. ლენინგრადს უკვე აღარავითარი საშიშროება აღარ ემუქრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. განთავისუფლებულ იქნა კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დიდი ნაწილი, მისი დედაქალაქით — პეტროზავოდსკით. სამშობლოს დაუბრუნდნენ კიროვის სახელობის რკინიგზა და თეთრი ზღვა-ბალტიის არხი — მნიშვნელოვანი კომუნიკაციები, რომლებიც უკიდურეს ჩრდილოეთს ქვეყნის ცენტრალურ რაიონებთან აკავშირებდნენ.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა უკუაგდეს მტრის ჯარები სახელმწიფო საზღვრისაკენ და შექმნეს წანამძღვრები ომიდან ფინეთის გამოყვანის დაჩქარებისათვის“[1].

4 სექტემბერს ფინეთის მთავრობამ გააკეთა განცხადება ფაშისტურ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, ხოლო 5 სექტემბერს 8 საათზე საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით ლენინგრადისა და კარელიის ფრონტებმა შეწყვიტეს საომარი მოქმედება.

მ ე ხ უ თ ე დ ა რ ტ ყ მ ა — განახორციელეს ბალტიისპირეთის 1-ლი, ბელორუსიის მე-3, მე-2 და 1-ლი ფრონტების ჯარებმა 1944 წლის ივნის-ივლისში. ამ დარტყმის შედეგად გავანადგუ-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV. стр. 147—148.

რეთ გერმანელთა დაჯგუფება ბელორუსიაში და მოვსპეთ ეგრეთ წოდებული ბელორუსიის შვერილი.

ბელორუსიის შვერილი, ანუ, როგორც მას გერმანელები უწოდებდნენ, „აივანი“, შეიქმნა წარმატებით ჩატარებული ორი ოპერაციის შემდეგ: 1) მოწინააღმდეგის ლენინგრადის დაჯგუფების განადგურებისა (პირველი დარტყმა) და 2) გერმანელ დამპყრობთაგან მარჯვენა ნაპირის უკრაინის განთავისუფლების (მეორე დარტყმა) შედეგად.

ივნისში საბჭოთა არმიამ არნახული სიძლიერისა და უმაგალითო გაქანების შეტევა გაშალა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ცენტრალური დაჯგუფების წინააღმდეგ.

ბელორუსიის ოპერაციაში საბჭოთა არმიის სარდლობის ჩანაფიქრი იყო მტრის ორი დიდი დაჯგუფების გარშემორტყმა ვიტებსკისა და ბობრუისკის მიმართულებით და ფრონტის გარღვევა ცენტრში, რათა შემდგომ შექმნილიყო უფრო დიდი დაჯგუფების — მინსკის დაჯგუფების გარშემორტყმის შესაძლებლობა.

გერმანელთა თავდაცვის გამაგრებული ‘ვანძები ვიტებსკთან და ბობრუისკთან თითქოსდა ბელორუსიის ჭიშკარს წარმოადგენდნენ. პირველ ყოვლისა საჭირო იყო მათი აღება.

ხუთი დღის განმავლობაში, 23-დან 27 ივნისამდე, საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა მძლავრი თავდაცვა უზარმაზარ ფრონტზე — ვიტებსკიდან ჟლობინამდე, რის შედეგადაც შეიქმნა ორი ღია ჭიშკარი: ვიტებსკის მიმართულებით —160 კილომეტრზე. ბობრუისკის მიმართულებით —110 კილომეტრზე. აქ დაიძრნენ მოწინააღმდეგის სიღრმეში ჩვენი დიდი სატანკო და ცხენოსანთა შენაერთები. ამავე დროს გავარღვიეთ გერმანელთა თავდაცვა ორშანსკისა და მოგილიოვის მიმართულებით.

პირველი სამი დღის განმავლობაში ფრონტის გარღვევის საერთო სიგრძე 360 კილომეტრს აღწევდა. ამრიგად. ბელორუსიაში საბჭოთა ჯარების შეტევის დასაწყისშივე მოწინააღმდეგის თავდაცვა შერყეული და დეზორგანიზებული იყო ვრცელ ტერიტორიაზე.

აი, როგორ აფასებს ამ მდგომარეობას გერმანელთა მეოთხე არმიის ყოფილი სარდალი გენერალი კურტ ტიპელსკირხი, რომელიც ამ დროს ბელორუსიაში მოქმედებდა:

„29 ივნისს მე-9 არმიის მთავარი ძალები გარშემორტყმულ იქნენ ბობრუისკის რაიონში. მე-4 არმია ტყიანი ადგილებით ბერეზინისაკენ იკაფავდა გზას. მე-3 სატანკო არმიის ნაშთები გაანადგურეს ლეპელთან და მათ დაკარგეს უშუალო კავშირი მე-16 არმიასთან, რომელიც თავდაცვით ბრძოლებს განაგრძობდა პოლოცკის რაიონში.

სახმელეთო ჯარების გენერალურმა შტაბმა მთელი სიღრმით შეიგნო შექმნილი საშიშროება და აღიარა, რომ მომხდარი ამბების მნიშვნელობა შორს სცდება „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის ჩარჩოებს და მოითხოვს მთელი აღმოსავლეთის ფრონტის მასშტაბით კარდინალურ გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობას...

...იმის შედეგად, რომ ჰიტლერმა ამ შემთხვევაშიც არ ათხოვა უფრი გონივრულ რჩევას, დაიწყო ახალი ტრაგედია გერმანელთა არმიის ისტორიაში აღმოსავლეთის ფრონტზე“[1].

საბჭოთა არმია სწრაფ წინსვლას უხამებდა მოქნილ მანევრულ მოქმედებას. საბჭოთა ჯარების მოძრავი შენაერთები მტრის დევნისას თავს უვლიდნენ მას, უკრიდნენ უკანდასახევ გზებს. ფლანგებიდან გარს ერტყმოდნენ გერმანელთა დივიზიებს და კორპუსებს.

თითქმის სამი წელი იტანჯებოდა საბჭოთა ბელორუსია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უღელქვეშ. „ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა მინსკი, ვიტებსკი, გომელი, დანგრეული იყო ყველა საჰრეწველო ნაგებობა და კომუნალურ შენობათა 80—90 პროცენტი. ფაშისტებმა დაწვეს ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლების შენობები, გაანადგურეს 7 ათასამდე სკოლა, ნანგრევებად აქციეს თითქმის ყველა თეატრი. კლუბი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა რუსული, ბელორუსული, დასავლეთის ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები. საერთო ზარალი, რომელიც ოკუპანტებმა ბელორუსიის სს რესპუბლიკას მიაყენეს ომის წლებში, 75 მილიარდი მანეთით განსაზღვრება.

ბელორუსმა ხალხმა გაუგონარი დამცირება და ძალადობა გა-

---

[1] К. Типпельскирх. История второй мировой войны, стр. 445.

ნიცადა. რესპუბლიკის მთელი ტერიტორია დაფარული იყო ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ხშირი ქსელით.

სამი წლის მანძილზე ჰიტლერელებმა გერმანიაში საკატორღო სამუშაოებზე ჯარეკეს დაახლოებით 380 ათასი კაცი, მეტწილად ჭაბუკები და ქალიშვილები. მხეცურად აწამეს 2 200 000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და სამხედრო ტყვე. ზოგიერთი სოფელი ფაშისტებმა მთლიანად მოსპეს. მაგალითად, 1944 წლის 22 იანვარს. დამსჯელები შეიჭრნენ ბრესტის ოლქის რუჟანსკის რაიონის სოფელ ბაიკიში და მხეცურად გაუსწორდნენ მოსახლეობას. მამაკაცებს 6-7 კაციან ჯგუფებად ხვრეტდნენ, ქალებს წვავდნენ ცოცხლად ფარდულებში, ბავშვებს ძაღლებს უსევდნენ და ასევე წვავდნენ. ამ საზარელი დარბევის დროს დაიღუპა 957 კაცი და დაიწვა 130 გლეხური მეურნეობა"[1].

ყველა განსაცდელსა და სიძნელეს გაუძლო ბელორუსმა ხალხმა, ტანჯვისა და უბედურების უმძიმეს ქარცეცხლში გამოატარა საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულება, ჩვენი გამარჯვებისადმი რწმენა.

ბელორუსიის მიწაზე გერმანელ ფაშისტთა ურდოების განადგურების დღეებში საბჭოთა არმიას მხარში ედგნენ ადგილობრივი მოსახლეობა და პარტიზანები. მათ წყობილებიდან გამოჰყავდათ რკინიგზები, იკავებდნენ გადასასვლელებს, დასახლებულ პუნქტებს და ინარჩუნებდნენ მათ საბჭოთა ჯარების მისვლამდე.

საბჭოთა არმიის დარტყმა მინსკის აღმოსავლეთით გერმანელთა დიდი დაჯგუფების გარშემორტყმით დამთავრდა. 3 ივლისს განთავისუფლებულ იქნა ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა გამანადგურებელი დარტყმა იგემეს. „ბრძოლების მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში — 23 ივნისიდან 23 ივლისამდე — მტერმა მარტოოდენ ტყვეთა სახით დაკარგა 158 480 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 22 გენერალი. 17 ივლისს მოსკოვში ბადრაგით ჩაატარეს მოწინააღმდეგის 57600 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჰიტლერელი ფაშისტები ბოლოს როგორც იქნა მოხვდნენ მოსკოვში, მაგრამ არა როგორც დამპყრობნი, არამედ სამხედრო ტყვეთა სახით.

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 152—153.

ამ პერიოდში მოწინააღმდეგემ დაკარგა 631 თვითმფრინავი, 2735 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 8702 სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი"[1].

აი, რა ზარალი ნახეს საერთოდ გერმანელ ფაშისტთა შეიარაღებულმა ძალებმა ბელორუსიის ოპერაციაში:

„საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე გერმანელთა 97 დივიზიიდან და 3 ბრიგადიდან 17 დივიზია და 3 ბრიგადა მთლიანად იქნა განადგურებული, 50 დივიზიამ შემადგენლობის 60-დან 70 პროცენტამდე დაკარგა, დიდი დანაკლისი განიცადეს აგრეთვე „ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფის ჯარებმა. მოწინააღმდეგის სტრატეგიული ფრონტი მოკლე ვადაში იქნა შემუსვრილი 600 კილომეტრამდე სიღრმეზე.

ბელორუსიის შეტევითმა ოპერაციამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მოკავშირეებზე. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საბჭოთა მთავრობის მეთაურს სწერდა: „თქვენი არმიების შეტევის სისწრაფე განსაცვიფრებელია"...

ბელორუსიაში წითელი არმიის წარმატებებთან დაკავშირებით ინგლისის პრემიერმა ასე შეაფასა ფაშისტური გერმანიის მდგომარეობა: „თითქმის სრულიად აღარ იყო საეჭვო, რომ მალე დადგებოდა საერთო კრახი"...[2]

ჰიტლერელი გენერალი ბუტლერიც იძულებულია აღიაროს ბელორუსიაში გერმანელთა დიდი დამარცხება. იგი წერს, რომ „ცენტრის" არმიათა ჯგუფის განადგურებამ ბოლო მოუღო გერმანელთა ორგანიზებულ წინააღმდეგობას აღმოსავლეთში"[3].

ამ დიდ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, ნიჭიერი ოფიცერი, პოლკოვნიკი ილია იოსების ძე მაღალაშვილი, რომელიც 360-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე იყო სამწყობრო ნაწილში. ეს დივიზია მოქმედებდა ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის მე-4 დამკვრელი არმიის შემადგენლობაში. 1944 წლის 23 ივნისს მე-4 დამკვრელმა არმიამ წარმატებით გაარღვია მტრის თავდაცვა ნეშერდოს ტბის სამხრეთით

[1] Ф. А. Воробьев, В. М. Кравцов. Великая Отечественная война Советского Союза 1941—1945 гг., стр. 319.

[2] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 198—199.

[3] იქვე, გვ. 199.

და დაუგავპილსის მიმართულებით განავითარა შეტევა. ძალების ნაწილით (360-ე დივიზიით) იგი უტევდა მტერს ქალაქ პოლოცკის დასავლეთით. სძლევდნენ რა გერმანელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას, ჩვენმა ნაწილებმა მე-6 გვარდიული არმიის შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით გარს შემოუარეს პოლოცკს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ორივე მხრიდან ერთდროული მძლავრი დარტყმის შედეგად მათ გატეხეს მტრის წინააღმდეგობა და 4 ივლისს დილით გაათავისუფლეს ქალაქი.

ილია მაღალაშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქალაქ პოლოცკზე ჩრდილოეთიდან შეტევას. შემდგომში, სპობდა რა მოწინააღმდეგეს მძიმე სისხლისმღვრელ ბრძოლებში, 360-ე დივიზია შეუპოვრად მიიწევდა წინ. 19 და 20 ივლისს იგი გააფთრებულ შეტევით ბრძოლებს ეწეოდა ქალაქ დირსის რაიონში. ამ ბრძოლებში 1944 წლის 20 ივლისს გმირულად დაიღუპა ილია მაღალაშვილი, რომელიც დასაფლავებულია პოლოცკში ცენტრალურ მოედანზე.

ილია მაღალაშვილი დაიბადა 1901 წელს. 1921 წელს იგი მოხალისედ შევიდა საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1922 წელს (პირველი გამოშვება). სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ილია, როგორც ნიჭიერი ოფიცერი, იქვე დატოვეს ჯერ კურსის ოფიცრად, შემდეგ კი კურსანტთა ასეულის მეთაურად დაინიშნა.

1924 — 1927 წლებში მე საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში ვსწავლობდი. 1924—1925 წლებში ილია მაღალაშვილი იყო ჩემი კურსის ოფიცერი, ხოლო 1926—1927 წლებში — ჩემი ასეულის მეთაური. მისი პირადი ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით გავხდით ჩვენ საბჭოთა არმიის წითელი მეთაურები. მრავალი მისი აღზრდილი დიდი სამამულო ომის პერიოდში უნარიანად მეთაურობდა ბატალიონს, პოლკს, დივიზიას და ღირსეული წვლილი შეჰქონდა საბჭოთა სამხედრო მეცნიერების განვითარებაში.

ყველა, ვისაც კი ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში უმუშავნია ან უსწავლია, შესანიშნავად იცნობდა ილია მაღალაშვილს როგორც კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს.

ბელორუსიისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ახალგაზრდა ოფი-

ცერმა პოდპოლკოვნიკმა, ამჟამად პოლკოვნიკმა, მოსე ჯიმშერის ძე მდინარაძემ, რომელიც 91-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 279-ე გვარდიულ მსროლელ პოლკს მეთაურობდა. ეს დივიზია მე-3 ბელორუსიის ფრონტის 39-ე არმიაში მოქმედებდა.

279-ე პოლკის მებრძოლებმა მ. მდინარაძის მეთაურობით 1944 წლის 23 ივნისს მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ, არმიის სხვა ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით, გაარღვიეს გერმანელთა პოზიციები ქ. ვიტებსკის სამხრეთით და დღის ბოლომდე დაძაბული ბრძოლებით წინ წაიწიეს 10-11 კილომეტრით.

25 ივნისს 39-ე არმიის მე-5 გვარდიულმა კორპუსმა, რომლის პირველ ეშელონში განაგრძობდა მოქმედებას 91-ე გვარდიული მსროლელი დივიზია, სწრაფად განავითარა შეტევა დასახლებულ პუნქტ გნეზდილოვიჩში (მდებარეობს 25 კილომეტრზე ვიტებსკის დასავლეთით), შეუერთდა 43-ე არმიის (ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტი) მე-60 კორპუსს, რის შედეგად დამთავრდა მტრის ვიტებსკის დაჯგუფების ალყაში მომწყვდევა. 26 ივნისს ქ. ვიტებსკი მთლიანად იქნა მტრისაგან განთავისუფლებული.

შემდგომში მ. მდინარაძე მონაწილეობს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიის მტრისაგან გაწმენდაში, გმირულად იბრძვის ქ. ირონაკის და რასკინიაის რაიონში. 1944 წლის 7 ოქტომბერს მძიმედ დაიჭრა ბრძოლაში. ამჟამად პოლკოვნიკი მ. ჯ. მდინარაძე თბილისის 26 კომისრის რაიონის სამხედრო კომისარია.

1944 წლის ივლისში მინსკის რაიონში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების შემდეგ საბჭოთა არმიის ამოცანა იყო საბჭოთა ბელორუსიის მთელი ტერიტორიის გაწმენდა მტრის ურდოებისაგან და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვართან გასვლა.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის სარდლობით შეტევას ავითარებდნენ ბარანოვიჩის, ბრესტის მიმართულებით და ძალების ნაწილით — მდინარე პრიპიატის გასწვრივ.

ორი მხრიდან ერთდროული დარტყმის შედეგად — აღმოსავლეთიდან უტევდა 165-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც მე ვმეთაურობდი, და დასავლეთიდან 175-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც

პოლკოვნიკი ზაქარია პეტრეს ძე ვიდრიგანი მეთაურობდა. — 6 ივლისს ავიღეთ ქალაქი კოველი.

ამ ბრძოლებში მე-3 გვარდიული გამანადგურებელი საავიაციო დივიზია, რომელსაც ვასილ იოსების ძე სტალინი მეთაურობდა, 1-ლი საჰაერო არმიის შემადგენლობაში შედიოდა. მძლავრ საჰაერო დაძაბულ ბრძოლებში დივიზიის მფრინავებმა შებოჭეს მტრის მოქმედება როგორც ჰაერში, ისე მიწაზე და უზრუნველყვეს ჩვენი ჯაოების გადამწყვეტი მოქმედება ბრძოლის ველზე.

ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ჭიჭიკო ბენდელიანის შესახებ. მას უწოდებდნენ „ფრთოსან რაინდს", „ჰაერის დევგმირს". „საჰაერო სნაიპერს". მან 400-მდე საჰაერო ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

1-ლი გვარდიული ავიაგამანადგურებელი, წითელდროშოვანი დივიზიის 237-ე ავიაგამანადგურებელი პოლკის მეთაურის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი ჭ. ბენდელიანი გმირულად დაიღუპა 1944 წლის 20 ივლისს მოძმე უკრაინის მიწაზე, როდესაც მდინარე ბუგზე ქალაქ ხელმის მიმართულებით საბჭოთა ჯარების დასავლეთისათვის მხარდასაჭერად იერიშზე მიჰყავდა მფრინავთა ჯგუფი. ჭ. ბენდელიანი დასაფლავებულია კოველის რაიონში სოფელ გოლობში, სადაც მას ძეგლი აუგეს.

საერთოდ ივლისის შუა რიცხვებში წარმოებულმა ბრძოლებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს ბელორუსიის პირველი ფრონტის მარცხენა ფრთის შეტევისათვის. შეტევა დაიწყო 18 ივლისს. იგი წარმატებით განვითარდა. 165-ე მსროლელმა დივიზიამ გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა 15 კილომეტრზე ქალაქ კოველის დასავლეთით, სოფელ პარადუბის რაიონში.

47-ე არმიის შეტევის მთავარი მიმართულებით დივიზიის საბრძოლო მწკრივები ორ ეშელონად განლაგდნენ: პირველ ეშელონში უტევდნენ არტილერიითა და ტანკებით გაძლიერებული 562-ე და 641-ე მსროლელი პოლკები: 751-ე მსროლელი პოლკი მოქმედებდა მეორე ეშელონში.

მძლავრი საავიაციო და საარტილერიო მომზადების შემდეგ შემუსვრილ იქნა მოწინააღმდეგის თავდაცვა მთელ ტაქტიკურ სიღრმეზე და ბრძოლაში ჩაება არმიის მოძრავი ჯგუფი. დევნიდა რა უკანდახეულ მტერს, 20 ივლისს 165-ე მსროლელმა დივიზიამ ერთბაშად გადალახა მდინარე დასავლეთ ბუგი (პოლონეთის სახელმწიფო საზღ-

ვარი) ვლოდოვის რაიონში (60 კილომეტრზე ბრესტის სამხრეთით) და განაგრძო შეტევა პარჩევის მიმართულებით. ამ დროს მეზობელმა შენაერთებმა აიღეს: 22 ივლისს — ქალაქი ხოლმი, 23 ივლისს — ქალაქი ლიუბლინი. გერმანელებს ეშინოდათ საბჭოთა ჯარების გაჭრისა ბრესტისაკენ ვისლაზე, ვარშავის მიმართულებით, და გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეეჩერებინათ ჩვენი შეტევა. მათ აღადგინეს ციხე-სიმაგრე ბრესტის ძველი სიმაგრენი, ქალაქის რაიონში შექმნეს დიდი რაოდენობით წინაღობები, თავი მოუყარეს აქ ძლიერ დაჯგუფებას.

18 ივლისს გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ბრესტის მისადგომებთან. ეყრდნობოდნენ რა ძლიერ გამაგრებულ თავდაცვას, გერმანელებმა მოახერხეს შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების შეტევა ვარშავაზე აღმოსავლეთიდან.

21 ივლისს, ღამით, 47-ე არმიის სარდალმა გენერალმა ნიკოლოზ ივანეს ძე ბუსევმა 165-ე მსროლელ დივიზიას შემდეგი ამოცანა დაუსახა: შეტევის განვითარება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მტრის ზურგში, ქალაქ სედლეცის აღება, ვარშავის გზატკეცილის გადაჭრა, გერმანელებისათვის ვარშავიდან ბრესტისაკენ ძალების გადმოსროლის შესაძლებლობის მოსპობა.

ჩვენ შევძელით განგვევითარებინა შეტევა პარჩევის (75 კილომეტრზე ბრესტის სამხრეთ-დასავლეთით) რაიონიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ქალაქ სედლეცისაკენ, მოკლე დროში გადაგველახა გერმანელთა მრავალრიცხოვანი წინაღობები, გაგვენადგურებინა ისინი და 25 ივლისს, ღამით, გადაგვეჭრა ვარშავის გზატკეცილი ბროშკოვის რაიონში (15 კილომეტრზე სედლეცის დასავლეთით). შემდეგ დივიზიის შეტევის ფრონტი (641-ე და 751-ე მსროლელი პოლკები) მკვეთრად მოვაბრუნეთ აღმოსავლეთისაკენ და გააფთრებულ ბრძოლებში 25 ივლისს, დილით, ავიღეთ ქალაქი სედლეცი. 562-ე მსროლელი პოლკი იცავდა შეტევის ფრონტს დასავლეთიდან. მოვაწყვეთ ქალაქ სედლეცის ირგვლივი თავდაცვა და მოვუსპეთ გერმანელებს ვარშავიდან ბრესტისაკენ ძალების გადასროლის შესაძლებლობა.

გმირულად იბრძოდა დივიზიის პირადი შემადგენლობა. ქალაქ სედლეცისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა 751-ე მსროლელი პოლკის ტანკსაწინააღმდეგო თოფის გათვლამ, რომელიც მამა-შვილ ჩე-

რნიშოვებისაგან შედგებოდა. მათ უშიშრად გაუხსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგის 3 ტანკს და, მიუხედავად იმისა, რომ თოფი ყუმბარამ დაამსხვრია, არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიეს უკან, გამოიყენეს ტანკსაწინააღმდეგო გრანატები და 2 ტანკი ააფეთქეს. მესამე ტანკიდან ნასროლმა ჭურვმა ორივე მამაცი მეომარი იმსხვერპლა. მათ სიცოცხლის ფასად გზა გადაუღობეს მტრის ტანკებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენს განლაგებაში შემოჭრას.

641-ე მსროლელი პოლკის მე-5 მსროლელი ასეულის ოცმეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა კრავჩენკომ ქალაქ სედლეცისათვის ბრძოლაში ორი ჭრილობა მიიღო, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. შეტევის დროს მძიმედ დაიჭრა ასეულის მეთაური. კრავჩენკომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც დაჭრილი იყო, იკისრა ასმეთაურობა და მხოლოდ მესამე მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ დატოვა ბრძოლის ველი.

გერმანელების ყველა ცდა, გაენადგურებინათ 165-ე მსროლელი დივიზია და გაეწმინდათ საბჭოთა ჯარებისაგან ვარშავა-ბრესტის გზატკეცილი ქალაქ სედლეცთან, მარცხით დამთავრდა.

26 ივლისს, დღის პოლოს, სედლეცის რაიონში მოვიდნენ ცხენოსანი და სატანკო ნაწილები და მათთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით საიმედოდ ჩავკეტეთ ვარშავასა და ბრესტს შორის გერმანელთა შესაძლო მანევრირების ეს მნიშვნელოვანი პუნქტი.

ამ დროისათვის ჩვენი ჯარები გარშემოერტყნენ გერმანელთა 3 დივიზიას ბრესტის რაიონში. კაპიტულაციაზე უარის თქმის გამო მთელი ეს დაჯგუფება განადგურებულ იქნა. 28 ივლისს ავიღეთ ბრესტი.

ბრესტის აღების შედეგად გზა გაეხსნა ვარშავაზე აღმოსავლეთიდან შეტევისათვის ბელორუსიის 1-ელ ფრონტს.

ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ბევრი ქართველი მეომარი ღებულობდა მონაწილეობას, მათ შორის ექვსი ქართველი მხედართუფროსი შენაერთებს მეთაურობდა.

1. მე-2 გვარდიულ არმიას სარდლობდა გენერალ-ლეიტენანტი, შემდგომში გენერალ-პოლკოვნიკი, პორფილე გრიგოლის ძე ჩანჩიბაძე;

2. 117-ე მსროლელ დივიზიას მეთაურობდა გენერალ-მაიორი ერმალოზ გრიგოლის ძე კობერიძე;

3. 165-ე მსროლელ დივიზიას მეთაურობდა ამ სტრიქონების ავტორი;

4. 354-ე მსროლელ დივიზიას მეთაურობდა პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა;

5. მე-3 გვარდიულ ავიაგამანადგურებელ დივიზიას მეთაურობდა ავიაციის პოლკოვნიკი, შემდგომში ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ იოსების ძე სტალინი:

6. 234-ე ავიაგამანადგურებელ დივიზიას მეთაურობდა ავიაციის პოლკოვნიკი, შემდგომში ავიაციის გენერალ-მაიორი ესტატე ზაქარიას ძე ტატანაშვილი.

ქალაქ სედლეცისათვის ბრძოლებში 165-ე მსროლელმა დივიზიამ დიდი ნადავლი იგდო ხელთ (რამდენიმე ათეული ტონა საწვავი მასალა. უამრავი სურსათ-სანოვაგე, იარაღი, სამხედრო-ტექნიკური ქონება და ა. შ.).

კოველ-სედლეცის რაიონში საბრძოლო ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის 165-ე მსროლელი დივიზია დაჯილდოვდა „წითელი დროშის" ორდენით და მას სედლეცის სახელი მიენიჭა. 31 ივლისს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა. მე, როგორც დივიზიის მეთაური, ამ ოპერაციის ჩატარებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მე-2 ხარისხის სუვოროვის ორდენით დამაჯილდოვა.

„წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებამ, სედლეცის სახელის მინიჭებამ და უმაღლესი მთავარსარდლის მიერ მადლობის გამოცხადებამ დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობის უდიდესი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღანთო მებრძოლები.

ყურადსაღებია კოველისა და სედლეცის რაიონში მსროლელი დივიზიის მიზანსწრაფული საომარი მოქმედების გამოცდილება:

— თავდაცვაში მყოფი მოწინააღმდეგის დაჯგუფების ყოველმხრივი შესწავლა და ძალების სწორად განსაზღვრა მისი მოკლე დროში განადგურებისათვის;

— მძიმე ტექნიკით გაძლიერებული დივიზიის სწრაფი მანევრი მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში დღისით და ღამით, მოწინააღმდეგის თავდაცვის გარშემოვლა, თავის არიდება მტრის მოძრავ ნა-

ჭილებთან შეხვედრისათვის იმ მიზნით, რომ დროულად გავსულიყავით დანიშნულ რაიონში და პირნათლად შეგვესრულებინა ჩვენს წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანა;

— თავდაცვის მოწყობა და ჯარების მართვა მტრის ზურგში, საერთო ოპერატიული ვითარების შესაბამისად.

სწრაფად მიიწევდნენ რა წინ პოლონეთის ტერიტორიაზე, 165-ე წითელდროშოვანმა სედლეცის მსროლელი დივიზიის ნაწილებმა 15 აგვისტოს მიაღწიეს ტლუშ—იასინეცის გზატკეცილს. 562-ე მსროლელი პოლკი ამ დროისათვის ქალაქ ტლუშის სამხრეთ გარეუბანს მიადგა.

ბრძოლები ქალაქ ტლუშისათვის ორ დღე-ღამემდე გაგრძელდა. ქალაქის ირგვლივ მტკიცე თავდაცვა იყო შექმნილი. მოწინააღმდეგე გააფთრებით იცავდა ქალაქს, ტანკებისა და ავიაციის მხარდაჭერით არაერთხელ გადმოდიოდა კონტრშეტევაზე. მაგრამ 18 აგვისტოს პირადი შემადგენლობის გმირობისა და ოსტატური შემოვლითი მანევრის შედეგად 641-ე და 751-ე მსროლელი პოლკები შეიჭრნენ ქალაქში და მთლიანად გაწმინდეს იგი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

29 აგვისტოს ჩვენი დივიზიის ნაწილები შევიდნენ ვარშავის მისადგომებთან მდებარე მესამე საყრდენი პუნქტის — ქალაქ რაძიმინის გარეუბანში. ორ დღეს ეწეოდა გააფთრებულ ბრძოლებს დივიზია ქალაქისათვის. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ ძლეულ იქნა და 30 აგვისტოს დღის ბოლოსათვის ჩვენმა ნაწილებმა მთლიანად დაიკავეს რაძიმინი.

მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა ჩვენს დივიზიას 70-ე არმიის სხვა შენაერთებთან ერთად სოფელ სლუპნოს დასავლეთით მდებარე რაიონში (სლუპნო მდებარეობს 4 კილომეტრზე ქალაქ რაძიმინის სამხრეთ-დასავლეთით, 16 კილომეტრზე ქალაქ ვარშავა-პრაღის ჩრდილო-აღმოსავლეთით). აქ გადიოდა ვარშავის მისადგომების ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზღუდე — ვარშავის გარეთა რკალი. ყოველ კილომეტრზე საშუალოდ ორი მსხვილი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი იყო აგებული, ისინი განლაგებული იყვნენ ზღუდეზე: ზეგეე, სლუპნო, სტრუგა და ა. შ. საცეცხლე წერტებს შორის ორ-სამ რიგად იყო გაყვანილი სრული პროფილის მთლიანი სანგრები და მოქმედებდა რამდენიმე კარგად აღჭურვილი ძელმიწუ-

რი. გარდა ამისა, ფრონტის ყოველ კილომეტრზე იდგა კარგად ჩასაწგრებული და შენიღბული 5—7 ტანკი, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები და ქვემეხები პირდაპირი დამიზნებით სროლისათვის. თავდაცვითი ზღუდე მოწინააღმდეგეს დაცული ჰქონდა ერთიანად დანაღმული მინდვრით (აქ იყო როგორც ტანკსაწინააღმდეგო, ისე ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები), მავთულხლართებით, ტანკსაწინააღმდეგო ზღარბებით და ყველა სახის იარაღის კარგად ორგანიზებული საცეცხლე სისტემით.

ბევრი, ძალზე ბევრი ჯაფა დაგვადგა, ვიდრე მტრის თავდაცვას გავარღვევდით. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, მეოთხე დღეს, მსხვილკალიბრიანი ქვემეხების განუწყვეტელი კანონადის შედეგად შევძელით გაგვეხსნა მხოლოდ სლუპნოს დასავლეთით მდებარე ერთი ხანგრძლივი საცეცხლე წერტის გარეთა საფარველი. მერე ავიაციისა და არტილერიის ერთობლივი დარტყმით ფრონტის ამ უბანზე მთლიანად მოვშალეთ საველე თავდაცვა, დავთრგუნეთ მტერი, გავაოგნეთ ხანგრძლივი საცეცხლე წერტის გარნიზონი და კვამლის საფარქვეშ იერიშით ავიღეთ გერმანელთა თავდაცვის ეს მნიშვნელოვანი უბანი. ერთი ხანგრძლივი საცეცხლე წერტის აღებამ შესაძლებლობა მოგვცა გავსულიყავით დანარჩენი ხანგრძლივი საცეცხლე წერტების ფლანგებსა და ზურგში და ხელთ გვეგდო ისინიც.

ამ ნაგებობათა სიმტკიცეზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ფაქტი: ჩვენი ნაწილების ზურგში არ გვინდოდა დარჩენილიყო დაუზიანებელი ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და მათი აფეთქება გადავწყვიტეთ: იმისათვის, რომ ერთი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი აგვეფეთქებინა, ჩავაწყვეთ 4 ტონა ფეთქებადი ნივთიერება; აფეთქების შედეგად წარმოიქმნა მხოლოდ მცირე ბზარი, თვით საცეცხლე წერტი კი მთელი და უვნებელი დარჩა.

და მიუხედავად ამ თავდაცვითი ზღუდის ასეთი სიმტკიცისა, მტერმა ვერ შეძლო შეეჩერებინა ჩვენი ჯარების ძლევამოსილი წინსვლა. ჩვენი საარტილერიო ცეცხლის სიმძლავრემ, ჩვენი მეომრების შეუპოვრობამ და გმირობამ, ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო ოსტატობამ დაამსხვრია მოწინააღმდეგის თავდაცვა. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა და უკან დაიხია. დივიზიის ნაწილები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის დევნას და სექტემბრის პირველ რიცხვე-

ბში აიღეს სოფლები მიხალუვი, კობელიაკა და მანკი (7—8 კილომეტრზე პრაღა-ვარშავის ჩრდილოეთით)[1].

გადაჯგუფების შემდეგ 165-ე მსროლელმა დივიზიამ მიიღო ახალი ამოცანა — გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა უბანზე: ბიალობჟეგი, ალექსანდრუვი (4 კილომეტრზე იაბლონა-ლეგიონოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით).

მრავალი დღის განმავლობაში ეწეოდა დივიზია შეუპოვარ ბრძოლებს მტრისაგან ნეპორენტის ტყის, ველიშევის ასაქცევის, ბატონ პონიატუვის კარმიდამოს (აღებულ იქნა 1944 წლის 20 ოქტომბერს), სოფ. კალუშინის გასაწმენდად და ა. შ. ეს საყრდენი პუნქტი რომ დაკარგა, მოწინააღმდეგე იძულებული გახდა მთლიანად დაეტოვებინა მდ. ვისლასა და დასავლეთის ბუგს შორის არსებული პლაცდარმი (მოდლინის აღმოსავლეთით) და ვისლის დასავლეთ ნაპირზე გადასულიყო.

მ ე ე ქ ვ ს ე დ ა რ ტ ყ მ ა — გერმანელთა განადგურება დასავლეთ უკრაინაში 1944 წლის ივლის—აგვისტოში.

გერმანელთა თავდაცვითი სისტემის ციტადელს დასავლეთ უკრაინაში წარმოადგენდა ბორდის, რავა-რუსკაიას და ლვოვის სამკუთხედი. გერმანელთა ორ სატანკო არმიას და უნგრელთა ორ არმიას ეკავათ კოველ-სტანისლავის ფრონტი.

ამ დაჯგუფების განადგურებისა და დასავლეთ უკრაინის საბოლოო განთავისუფლების ამოცანა გადაჭრეს უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშლის კონევის სარდლობით.

უმაღლესი მთავარსარდლობის ჩანაფიქრის მიხედვით, ვრცელ, 270-კილომეტრიან ფრონტზე გათვალისწინებული იყო ხუთი ერთდროული დარტყმა. ამრიგად, გერმანელთა სარდლობა კარგავდა თავისი რეზერვების კომპაქტურად გამოყენების შესაძლებლობას. ორი ძირითადი დარტყმა, რომლებიც გადაწყვეტდნენ მთელი ოპერაციის ბედს, უნდა განეხორციელებინა ჩვენი ჯარების ცენტრალურ დაჯგუფებას იაროსლავის საერთო მიმართულებით. პირველი დარტყმა ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის ბროდსკის დაჯგუფების გარ-

[1] 1944 წლის 14 სექტემბერს საბჭოთა ჯარებმა პოლონეთის 1-ლი არმიის ნაწილებთან ერთობლივი მოქმედებით იერიშით აიღეს ციხე-სიმაგრე პრაღა-ვარშავის გარეუბანი.

შემოვლას ჩრდილოეთიდან რავა-რუსკაიას და იაროსლავის მიმართულებით; მეორე დარტყმა — ბროდსკის დაჯგუფების გარშემოვლას სამხრეთიდან ლვოვისა და პერემიშლის მიმართულებით. ამ დარტყმების შედეგად გერმანელთა თავდაცვა ორ ნაწილად იპობოდა, ხოლო ბროდსკის დაჯგუფება „ქვაბში“ ექცეოდა.

საბჭოთა ჯარების მძლავრ დაჯგუფებებში შედიოდა:

„შვიდი არმია (მე-3 გვარდიული, მე-13, მე-60, 38-ე, 1-ლი გვარდიული, მე-18 და მე-5 გვარდიული), სამი სატანკო არმია (1-ლი, მე-3 გვარდიული და მე-4), მე-2 და მე-8 საჰაერო არმიები, ორი საკავალერიო-მექანიზებული ჯგუფი.

შეტევის წინ უკრაინის 1-ლ ფრონტს სულ ჰყავდა 80 დივიზია (მათ შორის 6 ცხენოსანი), 10 სატანკო და მექანიზებული კორპუსი, 4 ცალკე სატანკო და მექანიზებული ბრიგადა. გარდა ამისა, ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა ჩეხოსლოვაკიის 1-ლი საარმიო კორპუსი. ფრონტის განკარგულებაში იყო 13900 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი 76 მმ და მეტი კალიბრისა, 1614 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 2806 თვითმფრინავი. ფრონტის ჯარებშ. იყო 843 ათასი კაცი“[1].

უკრაინის 1-ლი ფრონტის შეტევა დაიწყო 13 ივლისს. გერმანელთა თავდაცვა ერთდროულად იქნა გარღვეული რამდენიმე მიმართულებით. გარღვეულ უბნებში დაუყოვნებლივ შევიდნენ ჩვენი მოძრავი ნაწილები. გენერლების რიბალკოსა და ლელიუშენკოს სატანკო შენაერთები ლვოვის მიმართულებით შეიჭრნენ ვიწრო, ოთხხუთკილომეტრიან დერეფანში, რომლის სიღრმე 20 კილომეტრამდე აღწევდა. გერმანელი ფაშისტები ცდილობდნენ დაეხურათ ეს დერეფანი, მაგრამ ვერ შეძლეს. ტანკისტები, რომლებსაც ფლანგებიდან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი იცავდა, შეუპოვრად მიიწევდნენ დასავლეთისაკენ. მტრის თავდაცვის სიღრმეში სატანკო შენაერთები თიშავდნენ მოწინააღმდეგის ჯარებს იზოლირებულ ნაწილებად, გარეერტყმოდნენ და ანადგურებდნენ მათ ცალკეულ დაჯგუფებებს.

ამ სამი დღის განმავლობაში გერმანელთა თავდაცვა 200-კილომეტრიან ფრონტზე იქნა გარღვეული. საბჭოთა ჯარების შეტევა იმდენად სწრაფი იყო, რომ გერმანელთა სარდლობამ ვერ შეძლო გა-

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 207.

მოეყენებინა ვერც თავდაცვის მეორე ზოლი და ვერც ზურგში არსებული სხვა ზღუდეები. 19 ივლისს გენერალ რიბალკოს ტანკისტებმა და გენერალ ბარანოვის ცხენოსნებმა შეკრეს გარემოცვის წრე ბროდსკის დაჯგუფების ირგვლივ.

„მალე მტრის დაჯგუფება ცალკეულ ნაწილებად აღმოჩნდა გათიშული და 22 ივლისს მთლიანად იქნა განადგურებული. ბროდსკის „ქვაბში" პოვა თავისი უსახელო სიკვდილი მოწინააღმდეგის რვავე გარშემორტყმულმა დივიზიამ.

ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მტრის 38 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოიყვანეს 17175 კაცი, მათ შორის მე-13 საარმიო კორპუსის მეთაური გენერალი ჰაუფე და დივიზიების მეთაურები გენერლები ლინდემანი და ლენდტვიგი.

ჩვენმა ჯარებმა დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. ბროდსკის დაჯგუფების სწრაფ განადგურებას დიდი ოპერატიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მან გაათავისუფლა ფრონტის მნიშვნელოვანი ძალები, რომლებიც ახლა შეიძლებოდა ლვოვზე შეტევისათვის გამოგვეყენებინა"[1].

მაშინ როცა ბროდსკის დაჯგუფების გასანადგურებლად გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა, ფრონტის მთავარი ძალები განაგრძობდნენ სწრაფ შეტევას დასავლეთისაკენ. მტერი ვისლისაკენ იხევდა. 20 ივლისს საბჭოთა ჯარებმა აიღეს რავა-რუსკაია, ხოლო სამი დღის შემდეგ გავიდნენ მდინარე სანთან, რითაც ღრმად შემოუარეს ლვოვის დაჯგუფებას ჩრდილო-დასავლეთიდან. ცდილობდა რა ლვოვის შენარჩუნებას, გერმანელთა სარდლობამ აქ ოთხი ახალი დივიზია გადმოისროლა.

საბჭოთა სარდლობის გადაწყვეტილებით, სატანკო შენაერთებს ორმაგი დარტყმა უნდა მიეყენებინათ გერმანელებისათვის ლვოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით, რათა გარემოეცვათ არა მარტო ქალაქი, არამედ აქ თავმოყრილი მტრის მთელი დაჯგუფებაც.

გენერალ რიბალკოს სატანკო შენაერთებმა 23 ივლისს 120-კილომეტრიანი ნახტომი გააკეთეს, შემოუარეს ლვოვს ჩრდილოეთიდან, უკან-დასახევი გზა (ლვოვ-პერემიშლის გზატკეცილი და რკინიგზა) გადაუჭრეს გერმანელთა ლვოვის დაჯგუფებას და ქალაქის დასავლეთ მისადგომებთან გააჩაღეს ბრძოლა.

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV. стр. 214.

გენერალ ლელიუშენკოს სატანკო შენაერთები, რომლებიც ლვოვს სამხრეთიდან უვლიდნენ გარს, 25 ივლისს მიადგნენ ქალაქს სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. გერმანელთა ლვოვის დაჯგუფება ხაფანგში აღმოჩნდა მომწყვდეული. 27 ივლისს დამთავრდა მისი განადგურება. განთავისუფლებულ იქნა უკრაინის უძველესი ქალაქი ლვოვი. ჩვენმა ჯარებმა ფართო ფრონტით გადალახეს მდინარე სანი. გააფთრებულ ბრძოლებში მათ მტრისაგან გაათავისუფლეს იაროსლავი და პერემიშლი.

აგვისტოს დამდეგს საბჭოთა ჯარები გავიდნენ ვისლასთან მდ. სანის შესართავის სამხრეთით. 3 აგვისტოს მათ გადალახეს ვისლა და დაიკავეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე სანდომირის სამხრეთით, ორი კვირის შემდეგ კი ვისლა სანდომირის ჩრდილოეთითაც გადალახეს. მალე ორივე პლაცდარმის ურთიერთმოქმედებით ქალაქი სანდომირი განთავისუფლებულ იქნა მტრისაგან.

„ლვოვ-სანდომირის ოპერაციაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არსებული მოწინააღმდეგის ოთხი სტრატეგიული დაჯგუფებიდან დაამარცხეს ერთ-ერთი მათგანი — „ჩრდილოეთ უკრაინის“ არმიათა ჯგუფი. მათ გაანადგურეს 32 დივიზია, 8 დივიზია კი სრულიად მოსპეს. უკრაინის დასავლეთ რაიონების განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს საბჭოთა მეომრებმა ახალი ფურცელი ჩაწერეს წითელი არმიის დიდების მატიანეში, მაღალი საბრძოლო ოსტატობა გვიჩვენეს, მასობრივი გმირობა გამოავლინეს. 123 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა მიიღო მთავრობის ჯილდო, 160 კაცს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა“[1].

1-ლი გვარდიული არმიის შემადგენლობაში (უკრაინის მე-4 ფრონტი) მოქმედებდა 304-ე მსროლელი დივიზია. ამ დივიზიის 807-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა პოლკოვნიკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე დვალი. მან განსაკუთრებით ისახელა თავი ბრძოლებში ქალაქ სამბორისათვის, რომელიც აღებულ იქნა 1944 წლის 7 აგვისტოს.

ამ ბრძოლებში მამაცობისათვის 807-ე მსროლელ პოლკს სამბო-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 225.

რის სახელწოდება მიენიჭა, პოლკის მეთაური ვ. დვალი დაჯილდოვდა ალექსანდრე ნეველის ორდენით.

ამ ოპერაციების შედეგად ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაათავისუფლეს დასავლეთი უკრაინა, გადალახეს ვისლა და შექმნეს მძლავრი პლაცდარმი მის მეორე ნაპირზე სანდომირის დასავლეთით. ამ წარმატებათა შემდგომი გაგრძელება-განვითარება იყო 1944 წლის ნოემბერში უკრაინის მე-4 ფრონტის შენაერთების გადასვლა კარპატებზე და საბჭოთა ჯარების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში.

მ ე შ ვ ი დ ე. დ ა რ ტ ყ მ ა — საბჭოთა არმიის იასკო-კიშინიოვის ოპერაცია 1944 წლის აგვისტოში.

დასავლეთ უკრაინაში განცდილი მარცხის შემდეგ დაიწყო გერმანელთა ფრონტის რღვევა მთელ სამხრეთ უბანზე. რღვევის ეს პროცესი დაასრულა უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების მიერ მოწინააღმდეგის იასკო-კიშინიოვის დაჯგუფების განადგურებამ.

რუმინეთ-ბესარაბიის უბანს ჰიტლერელებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი წარმოადგენდა მათი სამხრეთი ფრთის საყრდენს, იცავდა გზას ცენტრალური რუმინეთისაკენ, მისი ნავთობის საბადოებისაკენ, აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ. გერმანელთა სარდლობამ აქ თავი მოუყარა ძლიერ დაჯგუფებას — „სამხრეთ უკრაინას", რომელიც შედგებოდა არმიათა ორი ჯგუფისაგან: „ველერი" და „დუმიტრესკუ". „ველერის" არმიათა ჯგუფში შედიოდნენ მე-8 გერმანული, მე-4 რუმინული არმიები და გერმანელთა მე-17 ცალკეული კორპუსი. აქ სულ იყო 14 რუმინული, 7 გერმანული დივიზია და 4 რუმინული ბრიგადა. „დუმიტრესკუს" ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ მე-6 გერმანული და მე-3 რუმინული არმიები. ჯგუფს სულ ჰყავდა 24 დივიზია და 1 ბრიგადა.

ამრიგად, „სამხრეთ უკრაინის" არმიათა ჯგუფის შემადგენლობაში სულ შედიოდა 47 დივიზია, მათ შორის 3 სატანკო და 1 მოტორიზებული, აგრეთვე 5 ქვეითი ჯარის ბრიგადა.

გერმანელ-რუმინელთა ჯარების მხოლოდ საბრძოლო შემადგენლობა 643 ათას კაცს ითვლიდა. არმიათა ჯგუფს ჰქონდა 75-მილიმეტრიანი და მეტი კალიბრის 7618 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი (აქ არ შედის რეაქტიული და საზენიტო ქვემეხები), 404 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 810 თვითმფრინავი[1].

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 259.

უმაღლესი სარდლობა საბჭოთა არმიას ამოცანად უსახავდა მტრის თავდაცვის ბირთვის უმოკლეს ვადაში განადგურებას, მოწინააღმდეგის იასკო-კიშინიოვის დაჯგუფების მოსპობას, ხოლო შემდეგ რუმინეთის შიგნითა რაიონებში შეჭრას, მის გამოყვანას ომიდან და გერმანიის წინააღმდეგ შემობრუნებას.

ეს გიგანტური ოპერაცია ჩაფიქრებული იყო ორი მძლავრი ერთიერთშემხვედრი დარტყმის სახით: ერთი დარტყმა გათვალისწინებული იყო მდინარე პრუდსა და მდინარე სერეტს შორის სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებებით, მეორე — ტირასპოლის რაიონიდან დასავლეთის მიმართულებით. ლეოვოს (მდინარე პრუდზე) რაიონში ორივე დამკვრელი დაჯგუფების შეერთების შემდეგ მტრის ძირითადი ძალები გარშემორტყმული იქნებოდნენ. მათი განადგურება შესაძლებლობას მოგვცემდა გაგვევითარებინა შეტევა რუმინეთის შიგნითა რაიონებში.

ორივე ფრონტის შეტევა დაიწყო ერთდროულად, 20 აგვისტოს დილით. შეტევის დაწყებას წინ უძღოდა მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადება. მტრის პოზიციებს თავს დაატყდა რამდენიმე ათასი ქვემეხისა და ნაღმსატყორცნის კონცენტრირებული ცეცხლი. განუწყვეტელი იერიში მიჰქონდა მოწინააღმდეგეზე ჩვენს ავიაციასაც. შეტევის მხოლოდ პირველი დღის განმავლობაში უკრაინის მე-2 ფრონტის ბომბდამშენმა და მოიერიშე ავიაციამ 1600-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

დღის პირველ ნახევარში გარღვეულ იქნა მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი. გარღვეულ უბნებში შევიდნენ სატანკო შენაერთები. 22 აგვისტოს ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქალაქი იასი.

ერთდროულად ვითარდებოდა უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების შეტევა ტირასპოლის მხრიდან. 23 აგვისტოს განთავისუფლებულ იქნა ბელგოროდ-დნესტროვსკი (აკერმანი), 24 აგვისტოს — საბჭოთა მოლდავეთის დედაქალაქი კიშინიოვი. 25 აგვისტოს შეიკრა მჭიდრო რკალი მტრის იასკო-კიშინიოვის ძირითადი დაჯგუფების ირგვლივ.

„ამრიგად, „სამხრეთ უკრაინის“ არმიათა ჯგუფის 24 გერმანული დივიზიიდან 18 გარშემორტყმული და განადგურებული იყო. გერმანელთა მე-6 არმიის ვერც ერთმა ნაწილმა, ვერც ერთმა შენაერთმა ვერ შეძლო გარემოცვიდან თავის დაღწევა. ეს აღიარა „სამ-

ხრეთ უკრაინის“ არმიათა ჯგუფის სარდლობამაც, რომელმაც თავის საბრძოლო მოქმედებათა ჟურნალში 5 სექტემბერს აღნიშნა: „მე-16 არმიის გარშემორტყმული კორპუსები და დივიზიები საბოლოოდ დაკარგულებად უნდა ჩაითვალონ. უკვე არავითარი იმედი არაა, რომ რომელიმე შენაერთი თავს დააღწევს გარემოცვას. ეს ყველაზე დიდი კატასტროფაა მათ შორის, რაც კი ოდესმე განუცდია არმიათა ჯგუფს“[1].

სანამ გერმანელ ფაშისტთა გარშემორტყმული დივიზიების ლიკვიდაცია ხდებოდა, საბჭოთა არმიის ძირითადი ძალები განაგრძობდნენ შეტევას. მტრის მთავარი ძალების განადგურების შემდეგ შეტევის ტემპი კიდევ უფრო სწრაფი გახდა. ჩვენი ჯარები ზედიზედ იღებდნენ რუმინეთის ქალაქებს. 26 აგვისტოს მათ გაათავისუფლეს იზმაილი, 27 აგვისტოს — რიმნიკი, ფოკშანი, გალაცი, 28 აგვისტოს — ბრაილოვი. შავი ზღვის ფლოტი სახმელეთო ნაწილებთან ერთობლივი მოქმედებით წარმატებით წმენდდა მტრისაგან დუნაის დელტას და შავი ზღვის სანაპიროებს. 29 აგვისტოსათვის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურები ვილკოვი, სულინა, ტულჩა, კონსტანცა უკვე ჩვენს ხელთ იყო. 30 აგვისტოს საბჭოთა არმიის ნაწილებმა დაიკავეს პლოეშტი, მთლიანად გაწმინდეს მტრისაგან რუმინეთის ნავთობის ძირითადი რაიონი, 31 აგვისტოს კი შევიდნენ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. რუმინეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას.

ამ ოპერაციის დროს უკრაინის მე-3 ფრონტის შემადგენლობაში იბრძოდა ნაღმმტყორცნელთა 267-ე ცალკე გვარდიული დივიზიონი („კატუშა“), სადაც მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში იყო კაპიტანი, შემდეგ მაიორი (ახლა პოდპოლკოვნიკი — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის უფროსის მოადგილე) გალაქტიონ ათანასეს ძე პაიჭაძე.

დივიზიონი მონაწილეობდა მტრის თავდაცვის გარღვევაში, შემდეგ გერმანელთა იასკო-კიშინიოვის დაჯგუფების გარშემორტყმასა და განადგურებაში, გალაქტიონ ათანასეს ძე პირადად იღებდა

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 273.

ყველა საჭირო ზომას დივიზიონის მეომართა ყოველმხრივი მომზადებისათვის. ამიტომ იყო, რომ მისი მებრძოლები თავიანთი საქმის დიდი სპეციალისტები იყვნენ და ერთ მუშტად შეკრულ, მჭიდროდ შეკავშირებულ მეგობრულ კოლექტივს ქმნიდნენ. ბრძოლის დროს გალაქტიონს მუდამ იქ ნახავდით, სადაც რთული ვითარება შეიქმნებოდა — იგი ეხმარებოდა ოფიცრებს, სერჟანტებს, ჯარისკაცებს საბრძოლო დავალების ღირსეულად შესრულებაში.

დივიზიონი ხშირად გადაჰყავდათ ფრონტის ერთი უბნიდან მეორეზე, ფრონტიდან ფრონტზე, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველგან დაუნდობლად ანადგურებდა მტერს. დივიზიონი მუდამ წარჩინებით ასრულებდა საბრძოლო ამოცანას. იგი სამამულო ომის ძრავალი დიდი ოპერაციის მონაწილეა, როგორიცაა, მაგალითად, მდინარეების ჩრდილოეთ დონეცის, დნეპრის, დნესტრის, პრუტის, დუნაის გადალახვა, ბალატონის ოპერაცია, ქალაქების ბუდაპეშტის, ვენის აღება და ა. შ. საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის გ. ა. პაიჭაძეს და დივიზიონის ბევრ სხვა მეომარს არაერთხელ მიენიჭათ მთავრობის მაღალი ჯილდო, გამოეცხადათ უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა.

მ ე რ ვ ე დ ა რ ტ უ მ ა — გერმანელთა განადგურება ბალტიისპირეთში 1944 წლის სექტემბერ—ოქტომბერში.

საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა მიზნად ისახავდა გაენადგურებინა გერმანელები ბალტიისპირეთში მათი დაჯგუფების რამდენიმე ნაწილად გათიშვის გზით.

ლენინგრადის ფრონტის ჯარები 17 სექტემბერს შეტევაზე გადავიდნენ ნარვის პლაცდარმიდან დასავლეთის მიმართულებით და გაანადგურეს გერმანელთა ჯარები, რომლებიც თავდაცვაში იმყოფებოდნენ ჩუდის ტბის ჩრდილოეთით. ერთდროულად ტარტუს რაიონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით შეტევა დაიწყო ფრონტის მთავარმა დაჯგუფებამ.

ამ ორი დარტყმის შედეგად გერმანელთა „ნარვის“ დაჯგუფება 5 დღეში იქნა განადგურებული და ჩვენმა ჯარებმა მიიღეს ტალინისა და პიარნუსაკენ წინსვლის შესაძლებლობა.

ფრონტის მოძრავმა შენაერთებმა, რომლებიც დღე-ღამეში 90 კილომეტრს გადიოდნენ, 22 სექტემბერს დაიკავეს საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქი ტალინი. მოძრავ შენაერთთა მეორე ჯგუფი 23

სექტემბერს ნავსადგურ პიარნუში შევიდა. 24 სექტემბერს წითელ-დროშოვანი ბალტიის ფლოტის დესანტმა გაათავისუფლა პალდისკი.

27 სექტემბრისათვის მტრისაგან გაწმენდილი იყო ბალტიის ზღვის მთელი სანაპირო. გერმანელებს წაერთვათ თავისი დამარცხებული ჯარების ევაკუაციისათვის ნავსადგურების გამოყენების შესაძლებლობა.

მომდევნო დღეებში მთლიანად იქნა განთავისუფლებული ფაშისტთა ურდოებისაგან ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ერთდროულად შეტევაზე გადავიდნენ ბალტიისპირეთის 1-ლი, მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარები. ძირითადი დარტყმა რიგისაკენ იყო მიმართული. სექტემბრის ბოლოსათვის საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიადგნენ რიგას ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ჩვენი ჯარების ეს ნახევარწრიული განლაგება ქმნიდა რიგის პლაცდარმზე გერმანელთა გარშემორტყმის ბრწყინვალე შესაძლებლობას მთავარი დარტყმის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ტუკუნსისა და ყურეს მიმართულებით წარმართვის გზით. ამ მიმართულებით საბჭოთა ჯარების არაერთგზისმა შეტევამ კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა გერმანელები ამ ვარაუდში.

მაგრამ საბჭოთა არმიის ნაწილებმა მთავარი დარტყმა მტვრს ბიაყენეს არა რიგის, არამედ მემელის მიმართულებით. ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებს ნაბრძანები ჰქონდათ გაერღვიათ გერმანელთა ფრონტი შაულიაისთან, გასულიყვნენ ზღვის სანაპიროზე მემელთან და გადაეჭრათ მტრის კომუნიკაციები, რომლებიც ბალტიისპირეთს აღმოსავლეთ პრუსიასთან აერთებდნენ. მემელთან გასვლით ჩვენი ჯარები ალყაში აქცევდნენ არა მარტო რიგასთან თავმოყრილ გერმანელთა ნაწილებს, არამედ აგრეთვე არმიათა მთელ ჩრდილოეთის ჯგუფს და ცენტრალური ჯგუფის ნაწილს, მთელ მათ ზურგსა და ბაზებს.

ამ ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით საჭირო იყო მოგვეხდინა ჯარების გადაჯგუფება, თანაც ეს ისე უნდა გაგვეკეთებინა, რომ მტერი საბოლოოდ დარწმუნებულიყო, თითქოს მთავარ დარტყმას წინანდებურად რიგის მიმართულებით ვამზადებდით.

ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. ჯარების გადაჯგუფება მხოლოდ ღამით წარმოებდა. დღისით ჩვენი ნაწილები ისე ინიღბებოდნენ, რომ მტრის ავიადაზვერვამ ვერასგზით ვერ შეძლო მათი აღმოჩენა.

საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა შაულიაის დასავლეთით 280 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე და 100-მდე კილომეტრით წაიწიეს წინ. დამარცხებული გერმანული დივიზიები ზღვისაკენ იხევდნენ. საბჭოთა ტანკისტები გაიჭრნენ სანაპიროზე ქალაქ პალანგაში და გადაუჭრეს გერმანელებს აღმოსავლეთ პრუსიაში მიმავალი უკანასკნელი სახმელეთო გზა. გერმანელთა სარდლობა იძულებული იყო ძალების ნაწილი გადმოესროლა რიგის პლაცდარმიდან. ამან ხელი შეუწყო ბალტიისპირეთის მე-2 და მე-3 ფრონტების შეტევის წარმატებას. 13 ოქტომბერს განთავისუფლებულ იქნა ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი რიგა. საბჭოთა არმია მიადგა მდინარე ნემანს ქალაქ ტილზიტთან.

ამ ოპერაციაში წარმატებით მოქმედებდა ბალტიისპირეთის აირველი ფრონტის შემადგენლობაში შემავალი მე-2 გვარდიული არმია, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი პორფილე გრიგოლის ძე ჩანჩიბაძე მეთაურობდა. 5 ოქტომბერს მან გაარღვია მტრის თავდაცვა კელმეს რაიონში (30 კილომეტრზე ქალაქ შაულიაის სამხრეთ-დასავლეთით) 18 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე.

7 ოქტომბერს არმიამ ბრწყინვალედ განახორციელა მტრის თავდაცვის მეორე ზოლის გარღვევა, 8 ოქტომბერს დღის ბოლოსათვის მისი მთავარი ძალები გავიდნენ შილალეს რაიონში, ხოლო 10 ოქტომბერს აიღეს ქალაქი კრეტინგომი და პალანგის რაიონში ზღვის სანაპიროს მიადგნენ.

ბალტიისპირეთისათვის ბრძოლებში სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო ჩვენმა თანამემამულემ ავიაციის მაიორმა, შემდეგ პოდპოლკოვნიკმა რაჟდენ პეტრეს ძე ხარებავამ. ის იბრძოდა 21-ე საავიაციო გვარდიული შორსმოქმედი ბომბდამშენი დივიზიის რიგებში. მისმა ეკიპაჟმა რამდენიმე ათეული ტონა ბომბი დააყარა მტერს თავზე ქ. რიგის მისადგომებთან, მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვისას და ქ. კენიგსბერგში (ამჟამად ეწოდება კალინინგრადი). ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ კენიგსბერგის

რაიონში რ. ხარებავას ბომბდამშენს მტრის საზენიტო არტილერიის ცეცხლმა ძრავა დაუზიანა და ცეცხლი გაუჩნდა. რ. ხარებავამ ამ დროს კონტუზია მიიღო, მაგრამ ეკიპაჟის შემადგენლობამ მამაცობა გამოიჩინა, ბომბდამშენი ჩვენი ჯარების განლაგებაში შეიყვანა და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვა ცეცხლმოდებული ბომბდამშენი.

მოძმე ლატვიის სსრ ტერიტორიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა 37-ე მსროლელი დივიზიის 103-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო დივიზიონის ბატარეის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრე სიმონის ძე სურგულაძემ. მძიმე შეტევით ბრძოლებში ბატარეის მებრძოლები პირდაპირი დამიზნებით სპობდნენ მტრის საცეცხლე წერტილებს. ა. სურგულაძემ მტრის ტანკებთან ბრძოლაში დიდი გამოცდილება მიიღო ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, როცა 882-ე პოლკში ქვემეხის მეთაური იყო. 1941 წლის 2 ოქტომბერს გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" ლენინგრადის მისადგომებთან ერთ-ერთი ბრძოლების შესახებ წერდა: „ა. სურგულაძის ქვემეხის გათვლამ დაწვა მტრის 10 ტანკი". ლატვიის ტერიტორიაზე ბრძოლების შემდეგ ა. სურგულაძე იბრძვის რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის.

„სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გამარჯვებას ბალტიისპირეთში უდიდესი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ოპერაციის წარმატებით დამთავრების შედეგად ოკუპანტებისაგან გაიწმინდა ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის მთელი ტერიტორია, გარდა ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მცირე ნაწილისა.

წითელმა არმიამ მძიმე დამარცხება აგემა „ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფს. მის შემადგენლობაში შემავალი 59 შენაერთიდან ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს 26, ხოლო 3 მთლიანად მოსპეს. ამ ჯგუფის დანარჩენი ძალები — 37 დივიზია და 1 ბრიგადა — იზოლირებული აღმოჩნდნენ კურლიანდიაში, ხოლო 3 დივიზია მემელში იქნა ბლოკირებული. მტრის ყველა გადარჩენილმა შენაერთმა უდიდესი დანაკლისი განიცადა"[1].

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 365—366.

მ ე ც ხ რ ე დ ა რ ტ ყ მ ა — გერმანელ-უნგრელთა ჯარების განადგურება უნგრეთის ტერიტორიაზე.

ოქტომბერში საბჭოთა არმია ახალ დარტყმას ახორციელებს ტისასა და დუნაის შორის, რომლის მიზანია უნგრეთის გამოყვანა ომიდან და მისი გერმანიის წინააღმდეგ შემობრუნება.

ამასთან ერთად, საბჭოთა ჯარები თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობდნენ გერმანელთა განდევნას იუგოსლავიიდან და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებას.

არ ენდობოდა რა უნგრეთს როგორც მოკავშირეს, ჰიტლერელთა სარდლობამ ჯერ კიდევ მარტში მოახდინა მისი ტერიტორიის ოკუპირება და თავისი ჯარებით დაიკავა ქვეყნის ყველა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი. ოქტომბერში ესესელთა ჯარებმა დაიკავეს ბუდაპეშტი.

ოპერაციას ფრონტის სამხრეთ ფრთაზე დიდი სტრატეგიული და სამხედრო-ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ ომის დასაწყისიდანვე ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ტერიტორიები დაიფარა გერმანიის სამხედრო ქარხნების ქსელით. აქ ხდებოდა სამრეწველო საწარმოთა ევაკუაცია რურიდან, შენდებოდა გერმანიის დასავლეთ ოლქებში (რომლებიც საჰაერო დაბომბვას განიცდიდნენ) განლაგებულ საწარმოთა დუბლიორები.

საბჭოთა არმიის ნაწილების შეტევა იუგოსლავიის, ხოლო უფრო გვიან ბულგარეთის ჯარებთან ერთად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ამას გარდუვალად უნდა მოჰყოლოდა საბერძნეთში გერმანიის ჯარების იზოლირება. ამასთან, იქმნებოდა იმის პირობები, რომ სამხრეთიდან დაგვერტყა უნგრეთისათვის. გერმანელებმა სასწრაფოდ იწყეს თავიანთი მარჯვენა ფრთის გაძლიერება, ათამდე დივიზია გადმოისროლეს აქ იუგოსლავიიდან და საბერძნეთიდან.

16 ოქტომბერს გაჩაღდა ბრძოლები ბელგრადისათვის. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას სწევდა, ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეენარჩუნებინა ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი. უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად ყოველი მხრიდან ვარს შემოერტყნენ ქალაქს და დაიწყეს მისი შტურმი. ბრძოლა ხუთ დღეს გაგრძელდა. გერმანელთა გარნიზონი მთლიანად გაანადგურეს და 20 ოქტომბერს ბელგრადი გაათავისუფლეს.

ბელგრადისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 57-ე არმიის 188-ე მსროლელი დივიზიის კავშირგაბმულობის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა აბესალომ ნინუამ.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები შეუპოვრად არღვევდნენ მტრის ღრმა თავდაცვას ძნელად გასავლელ ტყიან კარპატებში. მათ გზას უღობავდა ხშირი ტყით დაფარული მაღალი ქედები, მთის მდინარეები და ნაკადულები. გერმანელებმა აქ ღრმა და მტკიცე თავდაცვა მოაწყვეს. ისინი ჩასაფრდნენ ტყეებში, მთის თხემებსა და ფერდობებზე. გადასასვლელებზე შექმნეს თავდაცვითი ნაგებობების, ნაღმღობურებისა და საცეცხლე წერტილების ერთიანი მძლავრი სისტემა.

18 ოქტომბერს ფრონტის ჯარებმა დაიკავეს უღელტეხილები და ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ. 26 ოქტომბერს მათ აიღეს მუკაჩევო, 27 ოქტომბერს — უჟგოროდი. ამ დროისათვის საბჭოთა არმიის ნაწილები ფართო ფრონტით მიადგნენ მდინარე ტისას — ქალაქ ჩოპიდან დუნაიმდე.

31 ოქტომბერს უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა მძლავრი დარტყმა აგემეს მტერს ბუდაპეშტის მიმართულებით, მდინარე ტისასა და დუნაის შორის, და 5 ნოემბერს ბუდაპეშტის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მისადგომებთან გავიდნენ. უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა მოულოდნელი დარტყმა მიაყენეს გერმანელებს მდინარე დრავის ჩრდილოეთით. ისინი დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ და ფართო შეტევა გაშალეს, ერთი მხრივ, დასავლეთის მიმართულებით და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთისაკენ, დუნაის გასწვრივ. 7 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაწმინდეს მტრისაგან ბალატონის ტბის სამხრეთი სანაპირო, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა ბალატონის ტბასა და დუნაის შორის და შემოუარეს ბუდაპეშტს დასავლეთიდან. 26 დეკემბრისათვის მოწინააღმდეგის ჯარების ბუდაპეშტის დაჯგუფება მთლიანად გარშემორტყმული იყო. „ქვაბში" მომწყვდეული აღმოჩნდნენ „გერმანელებისა და უნგრელების 7 ქვეითი, 2 სატანკო, 1 მოტორიზებული, 2 ცხენოსანთა დივიზიები, 3 საარტილერიო ბრიგადა, 30-მდე ცალკეული პოლკი, ბატალიონი და სხვადასხვა მებრძოლი ჯგუფი — საერთო რიცხვით 188 ათასზე მეტი კაცი...

ჰიტლერელებს სრულიადაც არ აღშფოთებდათ ის გარემოება, რომ უაზრო თავდაცვით ბრძოლებს ასეთ დიდ ქალაქებში შეეძლო უზომო მსხვერპლი გამოეწვია"[1].

„29 დეკემბერს ფრონტების სარდლებმა საბჭოთა კავშირის მარშლებმა მალინოვსკიმ და ტოლბუხინმა სრულიად უსარგებლო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ბუდაპეშტის, მისი მოსახლეობისა და ისტორიულ ფასეულობათა — კულტურის ძეგლების — გადარჩენის მიზნით მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების სარდლობას წაუყენეს ულტიმატუმი, რომელშიც შესთავაზეს კაპიტულაციის ჰუმანური პირობები"[2].

მაგრამ ფაშისტური სარდლობა ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, განეგრძო წინააღმდეგობა. უკრაინის მე-2 ფრონტის პარლამენტიორს კაპიტან მიკლოშ შტეინმეცს ცეცხლით შეხვდნენ და მოკლეს. უკრაინის მე-3 ფრონტის პარლამენტიორს კაპიტან ი. ა. ოსტაპენკოს ჰიტლერელებმა უარი შემოუთვალეს კაპიტულაციაზე, ხოლო როცა ის უკან ბრუნდებოდა, მოღალატურად ესროლეს ზურგში. საბჭოთა ოფიცრების მკვლელობა იყო საზიზღარი დანაშაული, პარლამენტიორთა ხელშეუხებლობის საერთაშორისო კანონის დარღვევა.

„როცა მტერი არ ნებდება, მას სპობენ. დაიწყო მოწინააღმდეგის 188-ათასიანი გარნიზონის ლიკვიდაცია. საბჭოთა ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ ქუჩებში. თანმიმდევრობით ანადგურებდნენ მტრის საყრდენ პუნქტებს. მოწინააღმდეგის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. 26 იანვრის შემდეგ მან დაკარგა ალყიდან თავის ღაღწევის ყოველგვარი იმედი. დაიწყო შიმშილი. 1 თებერვლიდან ჯარისკაცებს დღეში ულუფად 75 გრამი პური ეძლეოდათ.

გარშემორტყმული დაჯგუფების სარდლობამ გადაწყვიტა გაერღვია რკალი და ქალაქიდან გასულიყო. 12 თებერვალს, ღამით, 16 ათასამდე გერმანელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა დიდი დანაკლისით შეძლო გაჭრილიყო ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და გა-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 397.

[2] იქვე, გვ. 403.

სულიყო პერბალის რაიონში, სადაც 14 თებერვალს მთლიანად იქნენ განადგურებული"[1].

„უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა 27 დეკემბრიდან 14 თებერვლამდე მოსპეს მტრის 50 ათასამდე და ტყვედ წამოიყვანეს 13 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი"[2].

13 თებერვალს მტრისგან განთავისუფლდა უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი. გერმანიის უკანასკნელმა მოკავშირემ ევროპაში — უნგრეთმა ომი გამოუცხადა მას. დამთავრდა გერმანიის იზოლაცია ევროპაში. საბჭოთა არმიამ შექმნა პირობები ფაშისტური ჩეხეთის ბუნაგზე სამხრეთიდან შეტევისათვის.

ბუდაპეშტისათვის ბრძოლებში თავი ისახელა 41-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 124-ე მსროლელი პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა ბიქტორ ევგენის ძე ქირიამ. ეს პოლკი მოქმედებდა მე-3 უკრაინის ფრონტის მე-4 გვარდიულ არმიაში.

დაძაბულ ბრძოლებში ველენცეს და ბალატონის ტბებს შორის ქ. სეკეშფეხერვარის მისადგომებთან 124-ე გვარდიული მსროლელი პოლკის მებრძოლებმა ვ. ქირიას მეთაურობით სამჯერ მოიგერიეს მტრის ჭარბი ნაწილების გააფთრებული იერიშები, რომლებიც ცდილობდნენ გაეთავისუფლებინათ ბუდაპეშტში ალყაში მოქცეული ფაშისტების ჯარები. ამ ბრძოლებში საუკეთესო მოქმედებისათვის 1945 წლის 5 აპრილს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით 124-ე გვარდიულ მსროლელ პოლკს ბუდაპეშტის სახელი მიენიჭა. პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბ. ქირია დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

მ ე ა თ ე დ ა რ ტ ყ მ ა — გერმანელთა განადგურება პეჩენგის რაიონში 1944 წლის ოქტომბერში.

1944 წლის ოქტომბერში საბჭოთა ჯარებმა გერმანელებს ძლიერი დარტყმა აგემეს ჩრდილოეთ ფინეთში და გაანადგურეს იგი პეჩენგის რაიონში.

პეჩენგის ოლქი გერმანელებმა სამამულო ომის დასაწყისშივე დაიპყრეს. მათთვის მას დიდი სამხედრო და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იყო ნიკელისა და სპილენძის საბადოები. აქ გერ-

---

[1] **История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. IV, стр. 404.**

[2] **ი ქ ვ ე, გვ. 405.**

მანელებმა შექმნეს პლაცდარმი მურმანსკზე შეტევისათვის. გაუყინავი ნავსადგური პეჩენგა (პეტსამო) მეტად მოხერხებულ ბაზას წარმოადგენდა გერმანიის ფლოტისათვის.

ურიცხვი ტბები, ერთმანეთზე გადაჯაჭვული ციცაბო კლდეები, გაუვალი ჭაობები და თითქმის სრული უგზოობა უდიდეს სიძნელეებს უქმნიდნენ ჩვენს ჯარებს. გერმანელები არ უშვებდნენ ამ ფრონტზე საბჭოთა ჯარების რაიმე მანევრული მოქმედების შესაძლებლობას. მათ მტკიცე სიმაგრეები შექმნეს და ამ უბანზე მშვიდად გრძნობდნენ თავს.

კარელიის ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშლის მერეცკოვის სარდლობით მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ჩაპრის ტბის სამხრეთით. შეტევა წარმოუდგენლად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. საჭირო ხდებოდა გზის გაკაფვა იქ, სადაც ჯერ ფეხი არ დაედგა ადამიანს. გერმანელები შეუძლებლად თვლიდნენ აქ არა მარტო ტანკებისა და არტილერიის, არამედ ქვეითი ჯარის გავლასაც კი. მაგრამ საბჭოთა მეომრები შეუპოვრად სძლევდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას. საბჭოთა ავიაცია ბატონობდა ჰაერში და გერმანულ თვითმფრინავებს არ უშვებდა არც ბრძოლის ველზე, არც ტუნდრაში მოძრავ ჩვენს ნაწილებამდე. ჯარების მომარაგება მთლიანად თვითმფრინავებით ხდებოდა.

ჩრდილოეთის საზღვაო ფლოტს ბლოკადაში ჰქონდა მოქცეული ბარენცის ზღვის სანაპირო და თავისი ცეცხლით უზრუნველყოფდა ფრონტის მარჯვენა ფრთის ნაწილებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის დესანტის შეტევის წარმატებას.

ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ჩაპრის ტბასთან და ჩრდილოეთისაკენ განაგრძეს სწრაფი წინსვლა. საზღვაო ქვეითი ჯარის დესანტმა, რომელიც სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებებით უტევდა, შუაზე გააპო მტრის თავდაცვა პეჩენგის აღმოსავლეთით. პეჩენგის რაიონი გარშემორტყმულ იქნა და 15 ოქტომბერს ჩვენებმა აიღეს ქალაქი.

კარელიის ფრონტის ჯარები სწრაფად მიიწევდნენ წინ. 23 ოქტომბერს მათ გაათავისუფლეს ნიკელის საბადოების მთელი რაიო-

ნი და ფართო ფრონტით მიადგნენ ნორვეგიის სახელმწიფო საზღვარს.

1945 წლის 1 ნოემბერს დამთავრდა პეჩენგის ოლქის გაწმენდა ფაშისტ დამპყრობთაგან.

* * *

საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი, რომელიც მუხანათურად გადმოლახეს ჰიტლერელმა ურდოებმა 1941 წლის 22 ივნისს, საბჭოთა არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა შედეგად 1944 წელს მთლიანად იქნა აღდგენილი შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ვერა და ვერ დასჯერებოდნენ მტრის მხოლოდ განდევნას თავიანთი სამშობლოს ფარგლებიდან. იმისათვის, რომ მტკიცედ უზრუნველგვეყო საბჭოთა სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა უშიშროება, უნდა ბოლომდე მოგუესპო მტერი, მთლიანად გაგვენადგურებინა გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო ძალა. პირისაგან მიწისა აღგვეგავა ჰიტლერული სახელმწიფო.

მსოფლიო კვლავ გახდა ოსტატურად განხორციელებული თანმიმდევრული ოპერაციის — ეგრეთ წოდებული ვისლა-ოდერის ოპერაციის მოწმე.

მთელი სივრცე ვისლასა და ოდერს შორის გერმანელებმა ძლიერ გამაგრებულ პლაცდარმად აქციეს. ყოველ 100—150 კილომეტრზე განლაგებული იყო თავდაცვის მძლავრი ზღუდეები, ხოლო მათ შორის ყოველ 20—30 კილომეტრზე — საველე სიმაგრეები.

თავდაცვის ძირითადი ზღუდეები შედგებოდა ტანკსაწინააღმდეგო თხრილებისა და მრავალრიცხოვანი ხანგრძლივი საცეცხლე წერტებისაგან. რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტები მიწისქვეშა გასასვლელებით და თავშესაფრებით გათვალისწინებული იყო მტკიცე, შეუპოვარი წინააღმდეგობისათვის. მათი კედლები და გუმბათები უძლებდა მძიმე ყუმბარების პირდაპირ დაცემას.

საბჭოთა არმიის შეტევა ერთდროულად არ დაწყებულა. უკრაინის 1-ლი ფრონტი შეტევაზე გადავიდა 1945 წლის 12 იანვარს დილის 5 საათზე, ვისლის მარცხენა ნაპირზე. ცუდი ამინდი ხელს უშლიდა საბჭოთა ავიაციის მოქმედებას. ამ დღეს ვისლის იქითა მხარეს სქელი ნისლი იდგა. გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ საარტილერიო დარტყმას ენიჭებოდა.

უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალმა მარშალმა კონევმა თავდაპირველად თავის საცეცხლე საშუალებათა ერთი მეათედი აამოძრავა. საბჭოთა ჯარები ერთბაშად არ ამეღავნებდნენ თავიანთ შესაძლებლობებს, მოწინავე ბატალიონები ეფარებოდნენ ნისლს და ხოხვით გადადიოდნენ საფარიდან საფარში, წინ მიიწევდნენ გერმანელთა სანგრების პირველი ხაზისაკენ. გერმანელებმა ეს ჩვენი შეტევის დასაწყისად ჩათვალეს, სასტიკი ცეცხლი გახსნეს და ამით გამოამეღავნეს თავიანთი მთელი საცეცხლე სისტემა. როცა არტილერიის სროლაში და მოწინავე ბატალიონების წინსვლაში პატარა პაუზა (გეგმით გათვალისწინებული) დადგა, გერმანელებმა გადაწყვიტეს, რუსების შეტევა შეფერხდა, ჩაიშალაო. გერმანელ ჯარისკაცთა ნაწილი თავშესაფრიდან სანგრებში გამოვიდა. ხოლო 10 საათზე ცეცხლი გახსნა მთელმა ჩვენმა არტილერიამ. ცეცხლის ქარაშოტის საფარქვეშ შეტევაზე გადავიდა ქვეითი ჯარი. შეტევის ფრონტის სიგრძე 40 კილომეტრს უდრიდა.

შეტევის პირველივე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ ფრონტის ეოძრავი ჯგუფები (ტანკები). ისინი წინ უსწრებდნენ ქვეით ჯარს და ამსხვრევდნენ მტრის თავდაცვას.

შეტევის პირველი ორი დღის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა 40 კილომეტრით წაიწიეს წინ, ხოლო გარღვევის ფრონტი 60 კილომეტრამდე გააფართოეს. მტერმა ვერ მოასწრო თავდაცვის ზურგის ზღუდეების დაკავება.

14 იანვარს, შეტევა დაიწყეს ბელორუსიის 1-მა, მე-2, მე-3 და უკრაინის მე-4 ფრონტებმა.

ხუთი ფრონტის მოქმედებათა უდიდესი გაქანება ბოქავდა გერმანელთა სარდლობის ძალებს, ართმევდა მას თავისი ოპერატიული რეზერვების მასირებული გამოყენების შესაძლებლობას. მტრის თავდაცვა რამდენიმე დღეში იქნა განადგურებული ფრონტის მთელ სიგრძეზე.

17 იანვარს ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან კომბინირებული დარტყმის შედეგად ავიღეთ ვარშავა, 19 იანვარს გავათავისუფლეთ ლოძი, 23 იანვარს — ბიდგაში.

თებერვლის დასაწყისში ჩვენი ჯარები მიადგნენ მდინარე ოდერს და მის დასავლეთ ნაპირზე კიუსტრინის რაიონში პატარა პლაცდარმი დაიკავეს.

„წითელი არმიის ჯარები შეიჭრნენ ფაშისტური გერმანიის საზღვრებში მდინარე ოდერამდე, საომარი მოქმედება მტრის ტერიტორიაზე გაშალეს, მიადგნენ ბერლინს 60—70 კილომეტრის მანძილზე და, ამრიგად, ხელსაყრელი წანამძღვრები შექმნეს ბერლინისა და დრეზდენის მიმართულებებით წარმატებითი შეტევისათვის.

ოპერაციის მსვლელობაში საბჭოთა ჯარებმა მოსპეს მტრის 35 დივიზია და დანარჩენ 25 დივიზიას 60—75 პროცენტზე მეტი დანაკლისი მიაყენეს. მათ აიძულეს ჰიტლერელთა სარდლობა დამატებით გადაესროლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრალური მიმართულებით 40-მდე დივიზია და დიდი რაოდენობით საბრძოლო ტექნიკა დასავლეთისა და იტალიის ფრონტებიდან, თავისი რეზერვიდან და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა უბნებიდან.

ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების შტაბების მონაცემებით, საბჭოთა ჯარებმა ვისლა-ოდერის ოპერაციის მსვლელობაში ტყვედ წამოიყვანეს მტრის 147400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ნადავლის სახით ხელთ იგდეს 1377 ტანკი და თვითმავალი დანადგარი, 8280 სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი, 5707 ნაღმსატყორცნი, 18490 ტყვიამფრქვევი, 1360 თვითმფრინავი და მრავალი სხვა“[1].

საბჭოთა ჯარების ზამთრის შეტევამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დასავლეთის ფრონტზე. უმაღლესი ფაშისტური სარდლობა იძულებული იყო შეეწყვიტა აქ შეტევა. გერმანელთა დაჯგუფების შესუსტებამ დასავლეთში შესაძლებლობა მისცა ინგლის-ამერიკის შეიარაღებულ ძალთა სარდლობას წესრიგში მოეყვანა თავისი ჯარები და იანვრის ბოლოსათვის აღედგინა მდგომარეობა არდენებში.

* * *

„გერმანელ ფაშისტთა ჯარების კონტრშეტევა არდენებში. გამოსავალი რომ ეპოვნა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდნენ ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელები 1944 წლის დასასრულისათვის, ჰიტლერელთა სარდლობამ გადაწყვიტა განეხორციელებინა კონტრშეტევა დასავლეთის ფრონტზე“[2], გაენადგურებინა არდენის ჩრდილოეთით მყოფი ინგ-

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. V, стр. 88.

[2] Вторая мировая война 1939—1945 гг., стр. 660.

ლის-ამერიკის ჯარების მთავარი ძალები. იგი მიზნად ისახავდა აეძულებინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები, რათა მათ უარი ეთქვათ უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნაზე და დაედოთ გერმანიასთან სეპარატული ზავი. ამ კონტრშეტევის წარმატების შემთხვევაში გერმანელ ფაშისტთა სარდლობა იმედოვნებდა, რომ მოხსნიდა დასავლეთის ფრონტიდან დიდ ძალებს და გადაისროდა მათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის მოსალოდნელი ზამთრის შეტევის მოსაგერიებლად.

კონტრშეტევის ჩანაფიქრით გათვალისწინებული იყო დარტყმების მიყენება ლიეჟის, ანტვერპენის მიმართულებით, ამერიკის ჯარების სუსტი თავდაცვის გარღვევა არდენებში მონშაუს, ეხტერნახის ფრონტზე (80 კმ) და ანტვერპენის რაიონში გასვლა, არდენის ჩრდილოეთით მყოფი ინგლის-ამერიკის ჯარების მთავარი ძალების გარშემორტყმა და განადგურება.

ამ დროს „ინგლის-ამერიკის ჯარების შემადგენლობაში დასავლეთის ფრონტზე იყო 87 დივიზია, აქედან 62 ქვეითი ჯარისა და 25 ჯავშანსატანკო. ჯავშანსატანკო დივიზიებს ჰქონდათ 6500-მდე ტანკი. ინგლის-ამერიკის ავიაციაში დასავლეთის ფრონტზე ითვლებოდა 10 000-ზე მეტი თვითმფრინავი"...[1].

„გერმანელ ფაშისტთა ჯარებს დასავლეთის ფრონტზე 1944 წლის დეკემბრის შუა რიცხვებისათვის თავიანთ შემადგენლობაში ჰყავდათ 76 დივიზია და ბრიგადა, მათ შორის 53 ქვეითი ჯარის, 11 სატანკო, 4 მოტორიზებული და 5 პარაშუტისტთა დივიზია, 1 სატანკო და 2 მოტორიზებული ბრიგადა. სულ დასავლეთში იყო გერმანელთა 600 ტანკი და თვითმავალი დანადგარი. სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა არა უმეტეს 1000 თვითმფრინავი"[2].

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარების ბრძოლისუნარიანობა დასავლეთში ძლიერ დაქვეითებული იყო. დივიზიების ნაწილი მოქმედებდა მებრძოლი ჯგუფებისა და ნაშთების სახით, დანარჩენები კი შემადგენლობის მხოლოდ 40 პროცენტამდე იყვნენ დაკომპლექტებული. „არდენში დარტყმების მისაყენებლად გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ თავი მოუყარა სამ არ-

---

[1] Вторая мировая война 1939—1945 гг., стр. 660.

[2] იქვე, გვ. 661.

მიას (მე-5 და მე-6 სატანკო და მე-7 საველე არმიები), რომელთა შემადგენლობაში იყო 25 დივიზია, მათ შორის 7 სატანკო"[1].

კონტრშეტევის რაიონად არდენებს რომ ირჩევდნენ, გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ აქ ისეთივე წარმატებას მოიპოვებდნენ, როგორსაც 1940 წლის მაისში ჰქონდა ადგილი.

ოპერაცია უაღრესად გულმოდგინედ მზადდებოდა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა ჯარების შენიღბვისა და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ღონისძიებათა განხორციელებას. ჰიტლერელთა მთავარბანაკში დამუშავებული კონტრშეტევის გეგმა ნაკაცრად იყო გასაიდუმლოებული. დივიზიათა მეთაურებს იგი მხოლოდ კონტრშეტევის დაწყებიდანვე 4—5 დღით ადრე გააცნეს. ამასთან, გენერლებსა და ოფიცრებს წერილობითი პირობა დაადებინეს, რომ საიდუმლოს არ გასთქვამდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებოდნენ. იმ პირებს, რომლებმაც ასე თუ ისე იცოდნენ კონტრშეტევისათვის მზადების შესახებ, აკრძალული ჰქონდათ თვითმფრინავით რაინის დასავლეთით გაფრენა.

ერთდროულად დაგეგმილი იყო ამერიკულ ფორმაში გამოწყობილ და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე პარაშუტისტთა 50-ზე მეტი პატარა ჯგუფის ჩამოსხმა მოწინააღმდეგის ზურგში. ამ ჯგუფებს პანიკა უნდა შეეტანათ ინგლის-ამერიკის ჯარებში, მოეწყოთ მცირე მასშტაბის დივერსიები, თავს დასხმოდნენ შტაბებს, მოესპოთ ჯარის ცალკეული პატარ-პატარა შენაერთები და მეთაურთა შემადგენლობა. გარდა ამისა, ფორმირებულ იქნა ნაალაფევი ამერიკული ტანკებითა და ავტომანქანებით შეიარაღებული სპეციალური სატანკო ბრიგადა, რომლის პირადი შემადგენლობა ასევე ამერიკულ ფორმაში იყო გამოწყობილი და მშვენივრად ფლობდა ინგლისურ ენას. ბრიგადას ევალებოდა შეეჭრილიყო ფრონტის გარღვეულ უბნებში, წინ მოქცეოდა მტრის ჯარს და ისეთი სახე მიეღო, თითქოს ბრძოლის ველიდან გაქცეული ამერიკული ნაწილიაო, პანიკა შეეტანა მოწინააღმდეგის რიგებში, დაეკავებინა გადასასვლელები მდ. მაასზე და შეენარჩუნებინა ისინი მთავარი ძალების მისვლამდე.

16 დეკემბერს განთიადისას ოცწუთიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელ ფაშისტთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ.

---

[1] Вторая мировая война 1939—1945 гг., стр. 661.

შეტევის ფრონტი მონშაუდან ეხტერნახამდე გრძელდებოდა. ამერიკელთა ზურგში წინასწარ გადასხდნენ პარაშუტისტთა პატარ-პატარა ჯგუფები. ამერიკელები, რომლებიც შეტევას არ ელოდნენ, პირველ საათებში დიდ დანაკლისს განიცდიდნენ, მათი დემორალიზებული ნაწილები წინააღმდეგობის გაუწევლად გარბოდნენ უკან. დაკარგეს რა კავშირი ჯარებთან და არ ჰქონდათ რა სარწმუნო ცნობები ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ეიზენჰაუერი და ბრედლი (ამერიკისა და ინგლისის ჯარების სარდლები) თვლიდნენ, რომ გერმანელთა შეტევა ადგილობრივი ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა მთავარი მიმართულებით ინგლის-ამერიკის ჯარების შეტევის ჩაშლას. და მხოლოდ მაშინ, როცა გერმანელთა სატანკო დივიზიები ძალზე ღრმად შეიჭრნენ მათ განლაგებაში, ეიზენჰაუერმა უბრძანა ამერიკელთა 1-ლ და მე-3 არმიებს გაემაგრებინათ ფლანგები და არ დაეშვათ გარღვევის შემდგომი გაფართოება.

20 დეკემბრისათვის გერმანელებმა შეძლეს გაეფართოებინათ ვარღვევის ფრონტი: სიგრძეზე — 100-მდე კილომეტრით, ხოლო სიღრმეში — 30—50 კილომეტრამდე.

ინგლის-ამერიკის ჯარებისათვის მეტად დაძაბული ვითარება შეიქმნა. ამ პირობებში 1945 წლის 6 იანვარს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მიმართა ი. ბ. სტალინს წერილით, რომელშიც საბჭოთა არმიის დახმარებას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმიამ ის იყო დაამთავრა ზამთრის დიდი შეტევა, ხოლო ფრონტზე უაღრესად არახელსაყრელი ამინდი იდგა, სტალინმა მეორე დღესვე (7 იანვრის პასუხში) აღუთქვა მოკავშირეებს გერმანელების წინააღმდეგ ფართო შეტევითი ოპერაციების დაწყება არა უგვიანეს 1945 წლის იანვრის მეორე ნახევრისა.

1945 წლის 12 იანვარს საბჭოთა არმიამ დაიწყო შეტევა მთელ ფრონტზე ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე. საბჭოთა ჯარების ამ გრანდიოზულმა შეტევამ აიძულა გერმანელ ფაშისტთა სარდლობა უარი ეთქვა შეტევით ოპერაციებზე დასავლეთში, დაეწყო თავისი ჯარების გაყვანა არდენის შვერილიდან და გადაეყროლა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ამრიგად, საბჭოთა არმიის შეტევამ იხსნა ინგლის-ამერიკის ჯარები კატასტროფისაგან.

• • •

ვისლა-ოდერის ოპერაციის დროს უკრაინის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში წარმატებით იბრძოდა ბრიანსკის წითელდროშოვანი 197-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც ჩვენი თანამემამულე შესანიშნავი მხედართუფროსი ივანე გიორგის ძე ქანთარია მეთაურობდა. მისი ხელმძღვანელობით დივიზიის მეომრებმა არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის ისტორიაში. ივანე ქანთარია დაიღუპა ქ. გუბენის (მდებარეობს დაახლოებით 90 კილომეტრზე ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მისადგომებთან გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში 1945 წლის 19 თებერვალს. დასაფლავებულია ქ. ლვოვში.

ამ ოპერაციაში ბელორუსიის მე-2 ფრონტის შემადგენლობაში (48-ე არმიაში) მოქმედებდა 399-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც 1945 წლის 14 იანვარს მდინარე ნარვის პლაცდარმიდან (მდებარეობს 65 კილომეტრზე ვარშავის ჩრდილოეთით) გაარღვია მტრის მოგერიება და განავითარა სწრაფი შეტევა გაკუვის, მლავის, ელბინგის (ბალტიის ზღვაზე) მიმართულებით. დივიზიაში პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა პოდპოლკოვნიკი (შემდგომში, პოლკოვნიკი) მიხეილ ანტონის ძე გვასალია. მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო 392-ე მსროლელ დივიზიაში 1942 წელს დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილის მისადგომებთან. კავკასიისათვის ბრძოლებში მიღებული გამოცდილება მ. გვასალიამ წარჩინებით გამოიყენა შემდგომ ბრძოლებში. მან არაერთი ქმედითი ღონისძიება განახორციელა 399-ე დივიზიის პირად შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცებისა და მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთების ამაღლებისათვის, აღაფრთოვანებდა მებრძოლებს მორიგ შეტევით ოპერაციაში წარმატების მოსაპოვებლად. დივიზიამ ჩინებულად შეასრულა თავისი საბრძოლო ამოცანა.

47-ე არმიის (ბელორუსიის პირველი ფრონტი) ქიმიური სამსახურის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა უშანგი კაისაროვის ძე თავაძემ საუკეთესოდ უზრუნველყო ვისლა-ოდერის ოპერაციის დროს 47-ე არმიის მოქმედება.

1945 წლის 15 იანვარს 47-ე არმიის შემადგენლობაში მთავარი მიმართულებით მოქმედებდა მე-60 მსროლელი დივიზია, რომელ-

საც უნდა გადაელახა მდინარე ვისლა კალუშინის რაიონში (მდებარეობს 10 კილომეტრზე ვარშავის ჩრდილოეთით) ვიწრო ფრონტზე 2000 მეტრის სიგრძით. განიერ ფრონტზე მის მარჯვნივ მოქმედებდა 76-ე მსროლელი დივიზია, მარცხნივ —143-ე. და 132-ე მსროლელი დივიზიები. კვამლის ფარდის მოხერხებულად დაყენებით მტერს არ მიეცა საშუალება, რომ დაეზუსტებინა, თუ სად რა ძალით წარმოებდა შეტევა. ამით ისარგებლეს ჩვენმა ნაწილებმა, დროულად გადალახეს მდინარე ვისლა და განავითარეს შეტევა დასავლეთისაკენ.

ვისლა-ოდერის ოპერაციაში მე ვმეთაურობდი სედლეცკის წითელდროშოვან კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენოსან 165-ე მსროლელ დივიზიას. იაბლონოვ-ლეგიონოვის რაიონში საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ 1944 წლის ნოემბრის თვეში 165-ე მსროლელი დივიზია მეორე ეშელონში იქნა გადაყვანილი და განლაგდა შემდეგ რაიონში: სოფელი შევნიცა (დივიზიის შტაბი და სპეცნაწილები), ნოვინკი, ვონქუეკა, ოლშინი, ობრომბი, მოსციისკა, პშტიკორი (40 კილომეტრზე ვარშავის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვარშავა-ბელოსტოკის რკინიგზის გასწვრივ).

ოპერაციის დაწყებამდე დივიზია დაკომპლექტებული იყო როგორც პირადი შემადგენლობით, ისე შეიარაღებით და წარმატებით ემზადებოდა მომავალი ბრძოლებისათვის. სპეციალური გეგმით ვატარებდით მეცადინეობას ოფიცერთა შემადგენლობასთან, ტაქტიკურ მეცადინეობას დივიზიის ყველა განაყოფთან. ორი საჩვენებელი მეცადინეობა ჩავატარეთ დივიზიის ოფიცერთა მთელი შემადგენლობისათვის თემაზე: „მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა და გაძლიერებული მსროლელი ასეულითა და ბატალიონით შეტევა". გარდა ამისა, გულმოდგინედ დავამუშავეთ ოფიცრებთან და დივიზიის ყველა განაყოფთან მდინარის გადალახვის (როგორც გეგმაზომიერი მომზადების გზით, ისე ერთბაშად, ერთი დაკვრით) გეგმა. წყლის დაბრკოლების გადალახვაში, თეორიული მეცადინეობის გარდა, სპეციალურ პრაქტიკულ სწავლებას გავდიოდით სოფელ იადუვის მაალობლად მდებარე ტბაზე როგორც სატაბელო, ისე სახელდახელო დამხმარე საშუალებებით. მთელი დეკემბერი დივიზიის პირადი შემადგენლობის დაძაბულ სწავლებასა და წვრთნაში გავიდა.

1945 წლის 3-დან 5 იანვრამდე დივიზია 70-ე არმიის სარდლის ბრძანებით განლაგდა სეროცკის პლაცდარმზე (5 კილომეტრზე ქ. სეროცკის[1] ჩრდილო-დასავლეთით) ტყეში, სოფ. ვეჟბიცას, კემპიასტკესა და დემბინკს შორის და უშუალოდ დაიწყო მზადება მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზის გარღვევისათვის.

საბრძოლო ბრძანების მიღების შემდეგ გულმოდგინედ შევისწავლეთ მოწინააღმდეგის დაჯგუფება, ჩვენი დივიზიისა და პოლკების საერიშო ზონის ადგილმდებარეობა, ბატალიონებისა და ასეულების შეტევის მიმართულება, მოვაწყვეთ სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტები, კავშირგაბმულობის კვანძები, საწყის მდგომარეობაში მოვიყვანეთ ქვეითი ჯარი და ტანკები, შევარჩიეთ და მოვაწყვეთ საცეცხლე პოზიციები არტილერიისა და ნაღმსატყორცნებისათვის, ჩავატარეთ სამხედრო ვარჯიში რუკაზე ნაწილების მეთაურებთან და შტაბებთან და სპეციალური მეცადინეობა მინიატურულ პოლიგონზე ოფიცრებთან (მინიატურული პოლიგონი იყო სპეციალურად მომზადებული ასლი იმ ადგილმდებარეობისა, სადაც უნდა გვეწარმოებინა შეტევა), ყველა შემსრულებელს გავაცანით საბრძოლო ბრძანება და ზედმიწევნით უზრუნველვყავით შეთანხმებული ურთიერთმოქმედება დივიზიის შენაერთებსა და მეზობელ ნაწილებს შორის.

12—13 იანვარს, ღამით, დავიკავეთ საწყისი მდებარეობა შეტევისათვის სოფელ სოვენცენიცასა და ბოლესლავოვოს შორის. დივიზიის შეტევის ფრონტი 5 კილომეტრს აღწევდა. გადავწყვიტეთ საბრძოლო რიგები ორ ეშელონად დაგვეწყო. პირველ ეშელონში უტევდნენ 641-ე და 562-ე მსროლელი პოლკები, მეორე ეშელონში— 751-ე მსროლელი პოლკი.

13—14 იანვარს, ღამით, ჩვენმა მესანგრეებმა 24 გასასვლელი გააკეთეს მოწინააღმდეგის დანაღმულ მინდვრებზე დივიზიის შეტევის ზონაში.

1945 წლის 14 იანვარს, დილით, მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, შეტევაზე გადავედით, ფრონტის მთელ სიგრძეზე

[1] ქალაქ სეროცკში და სხვა დასახლებულ პუნქტებში პლაცდარმზე ადგილობრივი მცხოვრებლები არ იყვნენ. ქალაქი სეროცკი ძირითადად დანგრეული იყო. გერმანელები ხშირად ბომბავდნენ აქ თვითმფრინავებითა და არტილერიით დასახლებულ პუნქტებსა და გზებს.

წარმატებით გავარღვიეთ მოწინააღმდეგის თავდაცვა და გავწიეთ წინ ცეცხლის ორმაგი, შემდეგ კი ერთმაგი ტალღის საფარქვეშ. ერთ-ნახევარ-ორ საათში გადავკვეთეთ ქალაქ ნასელსკიდან და იაბლონა-ლეგინოვოდან მომავალი გზატკეცილი და მის დასავლეთით ხევში, სოფელ ჟაბიჩინსა და კონიაგურას შორის, დიდი რაოდენობით ვიგ-დეთ ხელთ გასაშვებად გამზადებული მტრის რეაქტიული ნაღმსა-ტყორცნები. იმის გამო, რომ საარტილერიო მომზადების დროს ჩვენ ცეცხლი დავუშინეთ მოწინააღმდეგის თავდაცვის მთელ ტაქტიკურ ზონას, როგორც ჩანს, დავაზიანეთ რეაქტიულ ნაღმსატყორცნთა მაე-იულები, მოვშალეთ მათი მართვა და გერმანელებმა ვერ შეძლეს ამ მრისხანე იარაღის გამოყენება.

წინ მივიწევდით რა დასავლეთისაკენ, ჩვენ ერთი დაკვრით ავი-ღეთ გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული, მაგრამ მათ მიერ ნაწილობრივ დაკავებული მეორე ზოლი მდინარე ძიალდუვნის (ვკრის) დასავლეთ ნაპირზე. მდინარე ძიალდუვნა (ვკრა) უწყალო, დამშრალი იყო და არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. მარ-ჯვი დასავლეთი ნაპირი ზემოდან დაჰყურებს მთელ ირგვლივმდებარე მი-დამოს და, ამრიგად, თავდაცვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი ზღუდეა.

გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლს ჰქონდა სამი სრული პროფილის მთლიანი სანგარი-თხრილი. ფრონტის ყოველ კილო-მეტრზე აგებული იყო ჯავშანხუფით გადახურული ძელმიწური.

ჩვენი შეტევის სწრაფი განვითარების გამო გერმანელებმა ვერ შეძლეს გამოეყენებინათ თავდაცვის კარგად მოწყობილი მეორე ზოლი, ვერ შეძლეს დროულად დაეკავებინათ იგი უკანდახეული ან წინა ხაზზე გადმოყვანილი ნაწილებით.

17 იანვარს უმაღლესმა მთავარსარდალმა მადლობა გამოგვი-ცხადა შეტევის წარმატებით განხორციელებისა და ქალაქ ნასელსკის აღებისათვის.

18 იანვარს უმაღლესი მთავარსარდლის მეორე მადლობა დავიმ-სახურეთ იმისათვის, რომ შტურმით ავიღეთ ქალაქი და ციხე-სიმაგ-რე მოდლინი — გერმანელთა მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო კვან-ძები და საყრდენი პუნქტები. 562-ე მსროლელმა პოლკმა მიიღო მოდლინის სახელწოდება იმის გამო, რომ პირველი შეიჭრა იქ ჩრდი-

ლო-დასავლეთის მხრიდან, სოფელ ოდპადკის გავლით. შემდგომში ვავითარებდით შეტევას, ქალაქების პლონსკის, სერპცის, დობჟინის მიმართულებით, ვდევნიდით უკანდახეულ მტერს. 20 იანვარს მდინარე დრევენცის ნაპირებზე მდებარე ქალაქების პროდნიცას, დობჟინის (30 კილომეტრზე ქ. ტორნის აღმოსავლეთით), ზლოტერის ზღუდეზე წავაწყდით მის ორგანიზებულ წინააღმდეგობას. ყველა ცდა, გადგვერღვია გერმანელთა თავდაცვა ხანმოკლე საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ, უშედეგოდ დამთავრდა.

24 იანვარს, დილით, 70-ე არმიამ კვლავ განაახლა შეტევა., მაგრამ ასევე უშედეგოდ.

24 იანვარს მთელი დღე, განსაკუთრებით კი ღამით, კოკისპირულად წვიმდა. როგორც ჩანს, გერმანელები ღამის იერიშს შეუძლებლად თვლიდნენ, ჩვენ კი შეტევისათვის ვემზადებოდით, რათა მოულოდნელად წავდგომოდით მტერს თავზე.

დაბნელდა თუ არა, მოვახდინე დივიზიის გადაჯგუფება — მთავარი ძალები მარჯვენა ფლანგიდან მარცხენა ფლანგზე გადავიყვანე და ზუსტად 24 საათზე ჩუმად, სროლის გარეშე მივუახლოვდით გერმანელთა თავდაცვას. როცა ჩვენი შეტევა გამომქღავნდა, მოკლე საარტილერიო დარტყმებით ვახშობდით მტრის წინააღმდეგობას. ამ მომენტში მოწინააღმდეგე ახდენდა თავდაცვაში მყოფი თავისი განაყოფების ნაწილობრივ შეცვლას, მისი ძალების ნაწილი თავშესაფრებში ისვენებდა და ამიტომ მან ვერ გაუძლო ჩვენს იერიშს. გავარღვიეთ მტრის თავდაცვა, სწრაფად გავემართეთ დასავლეთისაკენ ქალაქ შენზეეს გავლით და 25 იანვარს, დილით, მივადექით მდინარე ვისლას სოფელ ბოროვნოსა და ტოპოლნის (9 კილომეტრზე ქ. კულმის სამხრეთით) რაიონში.

მოწინააღმდეგემ შეძლო გამოესწორებინა მდგომარეობა ფრონტის გარღვეულ უბანზე, სადაც ჩვენმა დივიზიამ გაიარა, და, ამრიგად, მოწყვეტილები აღმოვჩნდით ჩვენი ნაწილებისაგან. აღმოსავლეთ ნაპირიდან მდინარე ვისლის გადასასვლელს იცავდა გერმანელთა გაძლიერებული ბატალიონი, რომელმაც პირველმა გაგვიმართა ბრძოლა. სწრაფად ჩავაბით ბრძოლაში 562-ე და 751-ე მსროლელი პოლკები, რომლებმაც ერთი საათის შემდეგ დაიკავეს ვისლის აღმოსავლეთი ნაპირი და დაიწყეს მდინარის გადალახვა. საერთოდ მდინარე ვისლა იმ დროს გაყინული იყო (ყინულს 20 სმ-ზე მეტი სისქე ჰქონ-

და), მაგრამ ყინულზე გადასვლა არ შეიძლებოდა, რადგან იგი საარტილერიო და საავიაციო ბომბებისაგან მრავალ ადგილას იყო ჩამტვრეული.

მდინარის გადალახვის დროს მოწინააღმდეგე განსაკუთრებით საარტილერიო ცეცხლითა და ავიაციის თავდასხმებით გვიშლიდა ხელს. დასავლეთ ნაპირს ქვეითი ჯარის თრიოდე ბატალიონი იცავდა. როგორც ჩანს, გერმანელთა ქვეითი ჯარის განაყოფებმა დასავლეთი ნაპირი ნაჩქარევად დაიკავეს და ამიტომ ვერ შეძლეს ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. 2-საათიანი ბრძოლის შემდეგ დივიზიის მეწინავე რაზმმა სახელდახელო საშუალებებით გადალახა ვისლა, ფეხი მოიკიდა მის დასავლეთ ნაპირზე და დაიკავა გადასასვლელი მდინარეზე ტოპოლნის რაიონში. ორი საათის შემდეგ (ე. ი. 4 საათის შემდეგ მდინარის გადალახვის დაწყებიდან) ორი პოლკი მთელი თავისი არტილერიით უკვე დასავლეთ ნაპირზე იმყოფებოდა და ეკავა პლაცდარმი: გადასასვლელი, სოფელი ტოპოლნი, 106-ე სიმაღლე, სოფელი კონსტანტია, შელენშინი, რუტკენი. ორნახევარ. დღე-ღამეს ვიბრძოდით მტრისგან გარშემორტყმულები. ორი პოლკი. (562-ე და 751-ე მსროლელი პოლკები) ვისლის დასავლეთ ნაპირზე იგერიებდა გერმანელთა შეტევას დასავლეთიდან, ერთი პოლკი (641-ე მსროლელი პოლკი) აღმოსავლეთ ნაპირზე აღმოსავლეთიდან იცავდა გადასასვლელს უკანდახეული მტრისაგან.

29 იანვარს 70-ე არმიის შენაერთებმა შეავიწროვეს გერმანელები და მოადგნენ მდინარე ვისლას .იმავე დილით ტოპოლნიში ჩემს სამეთაურო პუნქტზე მოვიდნენ 1-ლი მსროლელი დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ანდრეი იოსების ძე კარპილიუკი და 170-ე მსროლელი დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ივანე პეტრეს ძე ბელიაევი, რომლებმაც ჩაიბარეს ჩემგან საბრძოლო უბანი და განაგრძეს შეტევა დასავლეთისაკენ. ჩემი დივიზია იმის გამო, რომ ორ კვირაზე მეტხანს განუწყვეტლივ ომობდა, არმიის მეორე ეშელონში გადაიყვანეს. მაგრამ ვერც კი მოვასწარით ბრძოლიდან ყველა პოლკის გამოყვანა, რომ მივიღე სასწრაფო ბრძანება: დაუყოვნებლივ შემომებრუნებინა დივიზია აღმოსავლეთით, ქალაქ ტორნის მიმართულებით და გზა გადამეღობა ციხე-სიმაგრე ტორნიდან დასავლეთისაკენ გამოპრილი მტრისათვის.

ბრძოლაში ჩაბმულ საარმიო სპეცნაწილებთან ურთიერთმოქ-

მედებით დივიზიამ საჩქაროდ დაიკავა თავდაცვა (ფრონტით აღმოსავლეთისაკენ) სოფელ გროს ბეზენდორფის, სოფ. რენტშკაუს, ტანხაგენის, სოფ. ზიმონის, ქ. უნისლავისა და სოფ. ვალდაუს რაიონში (სოფელი ვალდაუ მდებარეობს 14 კილომეტრზე ქ. ბრომბერგის აღმოსავლეთით).

ბრძოლამ უკიდურესად გააფთრებული ხასიათი მიიღო. გერმანელები ყიჟურ მოიწევდნენ წინ, ცდილობდნენ დასავლეთისაკენ გაჭრას. ეს მძიმე ბრძოლა დღითა და ღამით განუწყვეტლივ გრძელდებოდა 29, 30 და 31 იანვარს. მიუხედავად იმისა, რომ დივიზიის პირადი შემადგენლობა უკიდურესად დაღლილი იყო, მან ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და მტერი არ გაუშვა. ქალაქი და ციხე-სიმაგრე ტორნი (ტორური) განთავისუფლებულ იქნა გერმანელებისაგან 1945 წლის 1 თებერვალს. უმაღლესმა მთავარსარდალმა მესამედ გამოუცხადა მადლობა ამ ბრწყინვალე ოპერაციაში წარმატებითი მონაწილეობის გამო დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას.

ტორნის რაიონში საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ, 165-ე მსროლელი დივიზია კვლავ მობრუნდა ფრონტით დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ და უტევდა 70-ე არმიის მეორე ეშელონში. ხოლო მარტის თვის პირველ რიცხვებში, ქალაქ პრეხლო

მოსკოვჩენკოს შემწეობით ავადმყოფობის გართულებას ადგილი არ ჰქონია. ჭრილობა ბრძოლის ველზე მომიშუშდა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის უმაღლესმა მთავარსარდალმა მეოთხედ გამოუცხადა მადლობა დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას.

განვაგრძობდით რა წინსვლას, 22 მარტს. ღამის დაძაბული ბრძოლების შედეგად 165-ე მსროლელმა დივიზიამ გაათავისუფლა ქალაქი ცოპოტი (სოპოტი) გერმანელ ფაშისტთაგან და გავიდა ბალტიის ზღვის ნაპირზე. შემდეგ მან მოქმედება განავითარა ქ. გდინიისაკენ. 28 მარტს სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით შტურმით ავიღეთ დიდი ქალაქი-ნავსადგური გდინი. ეს იყო უდიდესი გამარჯვება ჩვენი არმიისათვის. უმაღლესმა მთავარსარდალმა ამ ოპერაციაში მონაწილეობისათვის მეხუთედ გამოუცხადა მადლობა დივიზიის პირად შემადგენლობას. დივიზიის მრავალმა მებრძოლმა მიიღო მთავრობის უმაღლესი ჯილდო. პირადად მე წითელი დროშის ძესამე ორდენით დამაჯილდოვეს.

ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ 165-ე მსროლელმა დივიზიამ ავტოტრანსპორტით გადასერა ბალტიის ზღვის სანაპირო (ქალაქების ლაუენბურგის, კეზლინისა და შტარგარდის გავლით) და განლაგდა ტყეში ქ. გრეიფენხაგენის აღმოსავლეთით მტერზე უკანასკნელ შეტევაში მონაწილეობისათვის.

ბერლინის ოპერაცია

ბერლინის ოპერაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია დიდი სამამულო ომისა და მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ამ კამპანიის დროს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მოკავშირეთა — ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ჯარებთან ურთიერთქმედებით დაამთავრეს ფაშისტური გერმანიის განადგურება და აიძულეს იგი უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა.

დიდი სამამულო ომი, ომი საბჭოთა ხალხისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ძლევამოსილად დამთავრდა. ფაშისტური გერმანია მთლიანად იქნა განადგურებული. ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად 9 მაისი გამოცხადებულია საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღედ — გამარჯვების დღედ.

უდიდეს მსხვერპლს, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაიღო თავისი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ომის პერიოდში გადატანილ შიმშილს, სიცივეს, აურაცხელ ტანჯვა-წამებას, დაძაბულ, თავდაუზოგავ შრომას ზურგში და ფრონტზე ამაოდ არ ჩაუვლია, იგი მტერზე სრული გამარჯვებით დამთავრდა.

1945 წლის 9 მაისს გამარჯვების ზეიმზე ი. ბ. სტალინმა თქვა:

„სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ვეღარ შეძლოს წამოდგომა“. ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა, — ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც ომის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას ახდენენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას[1].

ხოლო ჯერ კიდევ 1942 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მძიმე ბრძოლების დროს, ი. ბ. სტალინმა, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა, თავის საზეიმო ბრძანებაში განაცხადა:

---

1 ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 182.

„...წითელ არმიას მიზნად აქვს დასახული განდევნოს გერმანელი ოკუპანტები ჩვენი ქვეყნიდან და გაათავისუფლოს საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ძალიან შესაძლებელია, რომ საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ომი გამოიწვევს ჰიტლერის ხროვის განდევნას ან მოსპობას. ჩვენ მივესალმებოდით ამგვარ შედეგს. მაგრამ ასასაცილო იქნებოდა ჰიტლერის ხროვის გაიგივება გერმანელ ხალხთან, გერმანიის სახელმწიფოსთან. ისტორიის გამოცდილება გვეუბნება, რომ ჰიტლერელები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი, გერმანიის სახელმწიფო კი— რჩება.

ბოლოს, წითელი არმიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რასობრივი სიძულვილი სხვა ხალხებისადმი, მათ შორის გერმანელი ხალხისადმიც, რომ იგი აღზრდილია ყველა ხალხისა და რასის თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით. სხვა ხალხების უფლებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით"[1].

საბჭოთა არმიის მიერ განხორციელებული ძლევამოსილი ოპერაციების შედეგად მთლიანად იქნა განთავისუფლებული გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და ავსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი. საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს აღმოსავლეთი პრუსია — გერმანული მილიტარიზმის ბუდე. საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებულმა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხებმა შესაძლებლობა მიიღეს დასდგომოდნენ დემოკრატიული განვითარების გზას.

გერმანიასთან ომის ამ დამამთავრებელ ფაზაში საბჭოთა არმიასთან ერთად, მის მხარდამხარ წარმატებით იბრძოდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის ჯარები.

დაამარცხა რა იმპერიალისტური გერმანია, საბჭოთა კავშირმა დაღუპვას გადაარჩინა ევროპის ცივილიზაცია, იხსნა ევროპის ხალხები ფაშისტური მონობისაგან.

---

[2] Коммунистическая партия в период Великой Отечественной войны (1941—1945 гг.), Госполиздат, Москва, 1961, стр. 107—108.

ეს არის საბჭოთა ხალხის და მისი არმიის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო გამარჯვების ზეიმი, რომელიც გაბმართა საბჭოთა მთავრობამ 1945 წლის 24 ივნისს წითელ მოედანზე. ლენინის მავზოლეუმთან ჩაიარეს ჩვენი დიადი ქვეყნის მოქმედი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მოსკოვის გარნიზონის ნაწილებმა. მათ აქ, წითელ მოედანზე, მოიტანეს საბჭოთა ჯარების მიერ განადგურებული გერმანელ ფაშისტთა არმიის შეიარაღების დროშები. გამარჯვებულთა ფეხებთან დაყრილი დროშები წითელ მოედანზე, იმ მოედანზე, სადაც 1941 წლის შემოდგომაზე ჰიტლერი თვითონ აპირებდა მიეღო თავისი კაციჭამია ურდოების პარადი, აშკარად ლაპარაკობდა გერმანელ ფაშისტთა არმიის სრული განადგურების შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა მედლები „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში", „შრომითი მამაცობისათვის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში" და „ბერლინის აღებისათვის".

საბჭოთა კავშირმა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდა გერმანიისა და მისი შეიარაღებული ძალების სრული განადგურებისათვის, ჰიტლერული რეჟიმის მოსპობისათვის, ომის დამთავრების შემდეგ მაშინვე ქმედითი ზომები მიიღო მიღწეული გამარჯვების განსამტკიცებლად, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პირობების შესაქმნელად.

მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე ევროპაში 1945 წლის აპრილისათვის

1945 წლის აპრილის წინა პერიოდში საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად ჰიტლერული გერმანია გარდუვალი დამარცხების ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა არმიამ მთლიანად გაათავისუფლა პოლონეთი და ჩეხოსლოვაკიის მნიშვნელოვანი ნაწი-

ლი, აიღო ბუდაპეშტი და ომიდან გამოიყვანა ევროპაში გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე — უნგრეთი, დაიკავა აღმოსავლეთ პრუსიისა და სილეზიის დიდი ნაწილი და გზა გაიკაფა გერმანიის ცენტრალურ რაიონებში შეტევისათვის.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე ლენინგრადის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ოპერაციებს გერმანელთა კურლიანდიის დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც ზღვასთან იყო მიმწყვდეული.

ბელორუსიის მე-3 და მე-2 ფრონტების ჯარები ამთავრებდნენ გერმანელების დაჯგუფებათა ნაშთების ლიკვიდაციას კენიგსბერგის რაიონში, დანციგის სამხრეთ-აღმოსავლეთით და გდინის ჩრდილოეთით.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები გავიდნენ მდ. ოდერთან, დაიკავეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე კიუსტრინის რაიონში და 60 კილომეტრზე იმყოფებოდნენ ბერლინიდან.

უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარები გავიდნენ მდ. ნეისესთან. ისინი დაშორებული იყვნენ ბერლინიდან არა უმეტეს 140—150 კილომეტრით.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მარცხენა ფრთაზე უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა ხელსაყრელი საწყისი მდგომარეობა დაიკავეს მორავა-ოსტრავის სამრეწველო რაიონის ფარგლებში შეჭრისათვის, ხოლო უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარებმა ბრძოლები გააჩაღეს ბრატისლავისა და ვენის მისადგომებთან.

აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა არმიის წარმატებებმა ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ინგლის-ამერიკის ჯარებს დიდი შეტევითი ოპერაციების გაშლისათვის დასავლეთ ევროპაში. მარტის მეორე ნახევარში მათ განაახლეს შეტევა და, არ ხვდებოდნენ რა მტრის სერიოზულ წინააღმდეგობას, ადვილად გადალახეს გერმანიის ძლიერ სიმაგრეთა ხაზი — „ზიგფრიდის ხაზი“. ასევე ადვილად იქნა ფორსირებული წყლის მეტად სერიოზული ზღუდე—მდინარე რაინი, რომელზეც არც ერთი ხიდი არ აუფეთქებიათ უკანდახეულ გერმანელებს.

დასავლეთის ფრონტზე დარჩენილი ჰიტლერელთა მცირე ძალები ყოველგვარი სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე თმობდ-

ნენ პოზიციებს და ტყვედ ბარდებოდნენ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე კი მტერი განაგრძობდა გააფთრებული წინააღმდეგობის გაწევას.

1 აპრილისათვის ინგლის-ამერიკის ჯარები გავიდნენ ხაზზე: ბრედა, ნეიმაგენი, ობერჰაუზენი, ბონი, ზიგენი, კასელი, მანჰეიმი და სტრასბურგი. ამის შემდეგ გერმანელთა დასავლეთის ფრონტი ფაქტობრივად დაიშალა.

ისე, როგორც წინა წლებში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი 1945 წელსაც მეორე მსოფლიო ომის მთავარ, გადამწყვეტ ფრონტად რჩებოდა. გერმანელ ფაშისტთა სარდლობას აქ თავმოყრილი ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილი.

„1 აპრილისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედებდა: დივიზია — 158, ბრიგადა — 6, დივიზიის მებრძოლი ჯგუფი — 24, დივიზიის დანარჩენი —3, ანუ მოწინააღმდეგის 174 სრული დივიზია"[1] (ორი ბრიგადა ან ორი მებრძოლი ჯგუფი, ან დივიზიის სამი ნარჩენი უთანაბრდება ერთ დივიზიას).

დასავლეთში მოქმედი დივიზიების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის დროზე დამარცხებული იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და შემდეგ გადასროლილი საფრანგეთში აღდგენის მიზნით. ეს დივიზიები 50—60%-ით დაკომპლექტებული იყვნენ უკანასკნელი „ზეტოტალური" მობილიზაციების დროს გაწვეული ჯარისკაცებით და შედგებოდნენ ძირითადად მოხუცებულებისა და მოზარდებისაგან.

ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მიუხედავად, განსაკუთრებით ომის პირველ წლებში, როცა ფაშისტურ გერმანიას სამხედრო უპირატესობა ჰქონდა, მოკავშირეები გაუთავებლად აჭიანურებდნენ ამ ოპერაციის დაწყებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს მეორე ფრონტი ევროპაში არ შეუქმნიათ არც 1941 და არც 1942 წელს. 1943 წელსაც კი, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის შემდეგ, როდესაც გერმანიამ უკვე დაკარგა სამხედრო უპირატესობა, მეორე ფრონტი ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი. და

---

[1] Вторая мировая война 1941—1945 гг., Воениздат, Москва, 1958, стр. 719.

მხოლოდ მაშინ, როცა ომი დასკვნით ფაზაში შევიდა, სახელდობრ 1944 წლის 6 ივნისს, ინგლისისა და ამერიკის ჯარები გადასხდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე.

მეორე ფრონტის გახსნის განზრახ, შეგნებულად გაჭიანურება ეს იყო ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების უსაზიზღრესი დანაშაული ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარი მსოფლიოს ყველა ხალხის, მათ შორის ინგლისისა და ამერიკის ხალხების წინაშე. ევროპაში მეორე ფრონტის დაგვიანებით გახსნა უდიდესი მსხვერპლის ფასად დაუჯდათ მსოფლიოს ხალხებს.

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ მეტად ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარები ნელა მიიწევდნენ წინ, მათი შეტევის ტემპი საშუალოდ შეადგენდა არა უმეტეს 4 კილომეტრს დღე-ღამეში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები, რომლებიც ამჯერადაც ერთგული დარჩნენ თავიანთი ანტიხალხური პოლიტიკისა, სრულიადაც არ ცდილობდნენ ერთბაშად გაეშალათ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ფართო შეტევითი მოქმედება, რადგან ეშინოდათ, რომ ამით შეასუსტებდნენ მის წინააღმდეგობას საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევისადმი.

ინგლის-ამერიკის ჯარების ნელი წინსვლა შესაძლებლობას აძლევდა გერმანელთა სარდლობას თავისუფლად გადაესროლა თავისი ჯარები დასავლეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ამრიგად, 1945 წლის აპრილისათვის დასავლეთის ფრონტი არსებითად დაიშალა. ჰიტლერელთა ასეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ ბარდებოდა ინგლისელებს, ამერიკელებს, ფრანგებს. „ზიგფრიდის ხაზის" მთავარი სიმაგრეები დაკარგული იყო. გაიხსნა გზა დასავლეთიდან ბერლინზე შეტევისათვის.

ფაშისტ პოლიტიკანებს, რომლებსაც უკვე აღარ სჯეროდათ საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი შეტევის შეჩერების შესაძლებლობა, მაგდებურგისა და ლაიპციგისაკენ ამერიკელთა არმიების წინსვლა იმედს აძლევდა თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, სსრ კავშირის მთავრობის ინტერესებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ფაშისტური ხელმძღვანელობისათვის ცხადი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს სრულიადაც არ სურდათ გერმანიაში პოლიტიკური რეჟიმის რადიკალურად შეცვლა, რომ მათ გეგმებში არ შედიოდა ფაშიზმის აღმოფხვრა-ამოძირკვა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტები ისწრაფოდნენ ჩამოეშორებინათ მსოფლიო ბაზრისაგან ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი გერმანიის ძლიერი სახელმწიფოს სახით და შეექმნათ ომისშემდგომ გერმანიაში რეაქციული მთავრობა, რომელიც მათი ანტისაბჭოთა პოლიტიკის მორჩილი იქნებოდა.

მაგრამ ამ გეგმების განხორციელებისათვის საჭირო იყო, რომ ბერლინი და ქვეყნის ყველა ცენტრალური ოლქი აეღოთ არა საბჭოთა ჯარებს, არამედ ინგლისისა და ამერიკის არმიებს. უკანასკნელთა მიერ თითქმის მთელი გერმანიის ოკუპაციას, ფაშისტ წინამძღოლთა აზრით, უნდა გამოეწვია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების მიერ საბჭოთა კავშირის ინტერესების იგნორირება, სრული უგულებელყოფა, მაშასადამე, უთანხმოებანი მათ შორის და შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტიც კი. ანტიფაშისტური კოალიციის წევრ სახელმწიფოთა ინტერესების ამ შეჯახებაში ჰიტლერი და მისი დამქაშები ხედავდნენ კიდევ უფრო თამამი, ყოველგვარ წრეს გადასული გეგმების განხორციელების — ომის ხელსაყრელად დამთავრებისა და ფაშიზმის შენარჩუნების შესაძლებლობას.

აი, რატომ იყო, რომ ჰიტლერელთა სარდლობამ ფართოდ გახსნა დასავლეთის ფრონტის ცენტრალური უბანი ამერიკელთა 1-ლი და მე-9 არმიების აღმოსავლეთისაკენ, ბერლინისაკენ დაუბრკოლებელი წინსვლისათვის და ყოველნაირად ცდილობდა გადაულახავი ხღუდე შეექმნა მდინარეებზე ოდერსა და ნეისეზე, რათა არ დაეშვა საბჭოთა ჯარების გაჭრა ამ ხაზის დასავლეთით, განსაკუთრებით კი ბერლინისაკენ ამერიკელთა ჯარებზე ადრე.

შეტევის ამერიკული გეგმის დამახასიათებელი თავისებურება იყო მთავარი დარტყმის მიყენება მოწინააღმდეგისათვის დრეზდენის მიმართულებით გერმანიის ცენტრალურ რაიონებზე გავლით.

ინგლის-ამერიკის სარდლობას ომის დამამთავრებელ ეტაპზე კარგად ესმოდა ბერლინის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა.

ევროპაში მოკავშირეთა არმიების მთავარსარდალი ეიზენჰაუერი ჯერ კიდევ 1944 წლის 15 სექტემბერს ფელდმარშალ მონტგომერისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

„ცხადია, ბერლინი წარმოადგენს მთავარ მიზანს. ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ ჩვენ უნდა შევანივთოთ მთელი ენერგია და თავი მოვუყაროთ მთელ ძალებს ბერლინზე სწრაფი დარტყმისათვის, ეჭვს არ იწვევს"[1].

მოკავშირეთა სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა პირველი შესულიყო გერმანიის დედაქალაქში.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ყოფილი სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ი. ს. კონევი ამ საკითხის თაობაზე წერს:

„1945 წლის პირველ აპრილს მოსკოვში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში გამოგვიძახეს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მე.

...გარდა ი. ბ. სტალინისა, აქ იყვნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრები, გენერალური შტაბის უფროსი ა. ი. ანტონოვი და მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი ს. მ. შტემენკო.

ის იყო მივესალმეთ ერთმანეთს, რომ სტალინმა მოგვცა კითხვა: „იცით თუ არა თქვენ, როგორია ახლა ვითარება?".

მე და ჟუკოვმა ვუპასუხეთ, რომ იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ხელთ გვქონდა, ფრონტებზე არსებული მდგომარეობა ჩვენთვის ცნობილი იყო. სტალინი მიუბრუნდა შტემენკოს და უთხრა: — წაუკითხეთ მათ ტელეგრამა.

შტემენკომ ხმამაღლა წაიკითხა ტელეგრამა, რომლის დედაარსი მოკლედ ასეთი იყო: ინგლის-ამერიკის სარდლობა ამზადებს ბერლინის აღების ოპერაციას და ამოცანად ისახავს ხელთ იგდოს იგი საბჭოთა არმიაზე ადრე... ტელეგრამა მთავრდებოდა იმით, რომ, ყველა მონაცემის თანახმად, საბჭოთა არმიაზე ადრე ბერლინის აღების გეგმას მოკავშირეთა შტაბში განიხილავდნენ როგორც რეალურს და ეზიდება მისი განხორციელებისათვის მთელი ძალით მიმდინარეობდა"[2].

მაგრამ ინგლის-ამერიკის სარდლობის ოპერატიულ გეგმაში

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. V, стр. 217.

[2] И. С. Конев, Сорок пятый, Воениздат, Москва, 1966, стр. 87—88.

ბერლინის აღება არ იყო გათვალისწინებული 1945 წლის აპრილის თვეში. აპრილის პირველ რიცხვებში, როდესაც ეიზენჰაუერი აზუსტებდა თავისი ჯარების მოქმედების გეგმას, საბჭოთა არმიას ეკავა ზღუდე მდ. ოდერზე და დაშორებული იყო ბერლინიდან სამოცი-ოდე კილომეტრით, მოკავშირეთა ჯარები კი იმყოფებოდნენ მდინარე რაინის ზღუდეზე ბერლინიდან დაახლოებით 400 კილომეტრის დაშორებით.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მოკავშირეთა ჯარები აპრილის შუა რიცხვებში მიუახლოვდნენ ბერლინს დასავლეთიდან 150—200 კილომეტრზე, მაგრამ გერმანიის დედაქალაქის აღება მათ ვერ შეძლეს. გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი ჰარი ჰოპკინსი იძულებული იყო ეღიარებინა:

„ჩვენ ავიღებდით ბერლინს, რომ შეგვძლებოდა; ეს ჩვენი არმიის დიდი გამარჯვება იქნებოდა"[1].

ამ დროს საბჭოთა არმიამ დაიწყო გადამწყვეტი შეტევა ბერლინზე და საბოლოოდ დასამარა ინგლის-ამერიკის სარდლობის იმედები და გეგმები გერმანიის დედაქალაქის აღების შესახებ.

ასეთი იყო სტრატეგიული მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ფრონტზე 1945 წლის აპრილის პირველ ნახევარში, ბერლინზე საბჭოთა არმიის შეტევის წინ.

მოელოდა რა საბჭოთა არმიის გადამწყვეტ შეტევას, გერმანელ ფაშისტთა სარდლობა სასწრაფო ზომებს იღებდა აღმოსავლეთის ფრონტის გასამაგრებლად, განსაკუთრებით ბალტიის ზღვასა და სუდეტის მთებს შორის მდებარე უბანზე.

გერმანიის ტერიტორიაზე თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობა ჰიტლერელთა სარდლობამ დაიწყო 1945 წლის იანვრიდან. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიშალა თავდაცვითი სამუშაოები თებერვალში, მდ. ოდერსა და მდ. ნეისესთან საბჭოთა ჯარების გასვლასთან დაკავშირებით.

ჰიტლერელთა სარდლობა მთავარ უურადღებას აქცევდა მტკიცე თავდაცვის შექმნას ოდერისა და ნეისეს დასავლეთ ნაპირზე (რამდენადაც ეს მდინარეები ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდნენ ბერლინის მიმართულებით). აპრილის შუა რიცხვებში აქ შეიქმნა მძლავრი და ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც შედგე-

[1] Р. Шервуд, Рузвельт и Гопкинс, т. II, стр. 609.

ბოდა ოდერ-ნეისეს თავდაცვითი ზღუდისა და ბერლინის გამაგრებული რაიონისაგან.

ოდერ-ნეისეს თავდაცვით ზღუდეში სამი ზოლი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით ამ ზოლებს შორის კიდევ არსებობდა შუალედური და გადამკვეთი პოზიციები. თავდაცვის საერთო სიღრმე აღწევდა 20—40 კილომეტრს.

თავდაცვის მთავარი ზოლი გასდევდა მდინარეების ოდერისა და ნეისეს დასავლეთ ნაპირს. იგი შედგებოდა ორი-სამი პოზიციისაგან. თითოეულ პოზიციას ჰქონდა ტრანშეების ერთი-ორი მთლიანი (უწყვეტი) რიგი. მთავარი ზოლის საერთო სიღრმე შეადგენდა 5—10 კილომეტრს. დასახლებული პუნქტები (ყველა გამოუკლებლივ) ამ ზოლში გადაქცეული იყო ძლიერ საყრდენ პუნქტებად და წინააღმ. დეგობის კვანძებად. გარდა ამისა, მოწინააღმდეგემ გამოიყენა რაბები მდინარე ოდერზე, აგრეთვე მრავალრიცხოვანი არხები და მთელი რაიონები მოამზადა წყლით წასალეკად.

თავდაცვის მეორე ზოლი, რომელიც აგებული იყო მთავარი ზოლის წინა ხაზიდან 10—20 კილომეტრის დაშორებით, შედგებოდა ტრანშეების ერთი-სამი რიგისაგან და დიდი რაოდენობით საყრდენი პუნქტებისაგან. მეორე ზოლის წინა კიდე გასდევდა ხელსაყრელ ბუნებრივ ზღუდეებს — მდინარეებს, არხებს, ტბებს და მაღლობებს. საინჟინრო თვალსაზრისით ყველაზე მძლავრი ნაგებობანი მეორე ზოლს ჰქონდა კიუსტრინის პლაცდარმის (მისი სიგრძე ფრონტის ხაზზე შეადგენდა 45 კილომეტრს, სიღრმე—10 კილომეტრს, წინ, განსაკუთრებით ზეელოვის მაღლობების გასწვრივ.

თავდაცვის მესამე ზოლი მდებარეობდა მთავარი ზოლის წინა ხაზიდან 20—40 კილომეტრის დაშორებით. იგი შედგებოდა წინააღმდეგობის მრავალი მძლავრი კვანძისაგან, რომლებიც შეერთებული იყო ერთმანეთთან ერთი-ორი ტრანშეით და მაკავშირებელი სავალებით. ცალკეული მიმართულებით ამოთხრილი იყო ტანკსაწინააღმდეგო ორმოები.

ყველა ზოლში განსაკუთრებით ძლიერი იყო ტანკსაწინააღმდეგო დაცვა. თავდაცვის წინა ხაზად ყველგან შეძლებისდაგვარად შეარჩიეს ტანკებისათვის მიუდგომელი ზღუდე. წინა ხაზის წინ და თავდაცვის სიღრმეში შექმნილი იყო დანაღმული ველები. დანაღმვის საშუალო სიხშირე უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით აღ-

წევდა 2 000 ნაღმს ერთ კილომეტრზე. მჭიდროდ და მოხერხებულად იყენენ განლაგებული ტანკების გამანადგურებელნი, შეიარაღებულნი „პანცერფაუსტებით“.

საერთოდ ოდერ-ნეისეს ზღუდის ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა აგებული იყო საინჟინრო ღობურებთან არტილერიის, თვითმავალი ქვემეხებისა და ტანკების ცეცხლის შეუღლების, ტყეებში საფარების, ნაღმისმიერი ზვავებისა და დასახლებულ პუნქტებში პარიკადების მოწყობის პრინციპზე.

ბერლინის გამაგრებული რაიონი შედგებოდა თავდაცვის გარეთა, შიგნითა და ქალაქის მიმდებარე ზღუდეებისაგან და წრიული თავდაცვისათვის მომზადებული ქალაქისაგან. იგი ეყრდნობოდა მრავალ ბუნებრივ დაბრკოლებას ქალაქის ირგვლივ არსებული მდინარეების, ტბების, არხებისა და ტყის მასივების სახით. მდინარე შპრეე და მრავალი არხი ყოფდნენ ქალაქს იზოლირებულ რაიონებად, რაც აადვილებდა ქალაქის ცალკეული ნაწილების თავდაცვის ორგანიზებას.

ბერლინის თავდაცვის გარეთა, პირველი ზოლი გარს ერტყმოდა ქალაქს ცენტრიდან 25—40 კმ რადიუსით. იგი მიჰყვებოდა ტბების, არხებისა და მდინარეების ნაპირებს და ეყრდნობოდა წინააღმდეგობის კვანძებად ქცეულ მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს. თავდაცვის შიგნითა, მეორე წრიული ზოლის წინა ხაზი გადიოდა ბერლინის გარეუბნების განაპირა რაიონებში ქალაქის ცენტრიდან 12—20 კმ დაშორებით. ამ ზოლს გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ბერლინის თავდაცვის მთავარ ზოლად თვლიდა. დაბოლოს, თავდაცვის მესამე, ქალაქის მიმდებარე ზოლი გადიოდა ირგვლივ რკინიგზის ხაზზე. ქალაქში აგებული იყო მრავალი გამაგრებული პოზიცია და ბარიკადი. ბერლინის მეტრო გათვალისწინებული იყო ჯარების გადასასროლად ერთი სექტორიდან მეორეში.

თავდაცვის საერთო სიღრმე (ბერლინის გამაგრებული რაიონის ჩათვლით) კიუსტრინის პლაცდარმის წინ შეადგენდა დაახლოებით 100 კილომეტრს.

ამრიგად, ბერლინის მიმართულებით გერმანელებმა შექმნეს მეტად ძლიერი თავდაცვა, რომლის გადალახვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

* * *

ოდერ-ნეისეს ზღუდეს იცავდნენ არმიების „ვისლას“ ჯგუფის ჯარები და არმიების „ცენტრის“ ჯგუფის ძალების ნაწილი. არმიების ჯგუფი „ვისლა“, რომელსაც გენერალი ჰაინრიცი სარდლობდა, აერთიანებდა მე-3 სატანკო და მე-9 საველე არმიებს, გენერალ შტაინერის საარმიო ჯგუფს და ბერლინის გარნიზონს. გერმანელ ფაშისტთა ეს არმიები იცავდნენ ბერლინის მიმართულებას, სახელდობრ, ფრონტს ბალტიის ზღვიდან მდინარე ნეისეს შესართავამდე. უფრო სამხრეთით განლაგებული იყო მე-4 სატანკო არმია, რომელიც არმიების ჯგუფის — „ცენტრის“ შემადგენლობაში შედიოდა და იცავდა დრეზდენის მიმართულებას, ხოლო კიდევ უფრო სამხრეთით მოქმედებდა არმიების ამავე ჯგუფში შემავალი მე-17 საველე არმია, რომელიც სამხრეთიდან იცავდა გერმანელთა ბერლინის დაჯგუფებას.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემადგენლობა და დაჯგუფება ბერლინის მიმართულებით ასეთი იყო:

არმიების „ვისლას“ ჯგუფის მე-3 სატანკო არმია იცავდა 150 კილომეტრი სიგრძის უბანს — დაწყებული ვოლინის ტბიდან, შემდეგ შტეტინის ნავსადგურის დასავლეთი სანაპირო და მდინარე ოდერის ქვემო დინება ჰოჰენცოლერნის არხამდე. არმიის განკარგულებაში იყო 105 ათასზე მეტი კაცი. დაახლოებით 700 ნაღმსატყორცნი, 1 150 ქვემეხი, 223 ტანკი და საიერიშო ქვემეხი.

არმიების ამავე ჯგუფის მე-9 საველე არმია განლაგებული იყო 120 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე ჰოჰენცოლერნის არხიდან მდინარე ნეისეს შესართავამდე. არმიის შემადგენლობაში შედიოდა 235 ათასი კაცი, 1 500-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, თითქმის 2 500 ქვემეხი და 833 ტანკი. გარდა ამისა, ოპერატიულ რეზერვში იყო გენერალ შტაინერის საარმიო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ბერლინის ჩრდილოეთით მიმდებარე რაიონში დასაკომპლექტებლად მდგარი ორი დივიზიისაგან. ბერლინის ოპერაციის მსვლელობაში ეს ჯგუფი გაძლიერებულ იქნა ერთი საზღვაო ქვეითი დივიზიით მე-3 სატანკო არმიის შემადგენლობიდან.

არმიების „ცენტრის“ ჯგუფის (სარდალი ფელდმარშალი შერნერი) მე-4 სატანკო არმიას, რომელიც ბერლინის ოპერაციაში გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვის ფრონტის მარჯვენა ფრთას

შეადგენდა, ეკავა 160 კილომეტრი სიგრძის უბანი. მისი რიცხობრივი შემადგენლობა 110 ათას კაცამდე აღწევდა. არმიას ჰქონდა 780 ნაღმსატყორცნი, 1 300 ქვემეხი და 285 ტანკი. მისი რეზერვები თავმოყრილი იყო შპრემბერგის და კოტბუსის რაიონში. გარდა ამისა, დრეზდენის რაიონში იქმნებოდა გენერალ მოზერის საკორპუსო ჯგუფი სამი ქვეითი დივიზიის შემადგენლობით, ხოლო იუტერბოტის რაიონში — ერთი ქვეითი და ერთი მოტორიზებული დივიზია.

მე-4 სატანკო არმიის მარჯვნივ (სამხრეთით) მოქმედებდა მე-17 საველე არმია (ასევე არმიების „ცენტრის" ჯგუფში შემავალი). მისი ამოცანა იყო მტკიცედ დაეცვა გერმანელთა ბერლინის დაჯგუფება სამხრეთიდან და მზად ყოფილიყო ბერლინზე შემტევი საბჭოთა ჯარებისათვის კონტრდარტყმის მისაყენებლად.

გარდა ამისა, ყოველ ქალაქში იდგა ძლიერი გარნიზონი. მარტო ბერლინში ფორმირებული იყო ფოლკსშტურმის 200-ზე მეტი ბატალიონი, ბერლინის გარნიზონის საერთო რიცხვი კი 200 ათას კაცს აღემატებოდა.

გერმანელ ფაშისტთა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის ოპერატიული რეზერვი კიუსტრინ-ბერლინის მიმართულებით შედგებოდა 8 დივიზიისაგან და თავდაცვის წინა ხაზიდან 20—30 კილომეტრზე იყო განლაგებული.

„მთლიანად ამ დაჯგუფებაში შედიოდა 85 დივიზია, რომლებიც თითქმის სრულად იყვნენ დაკომპლექტებულნი (ქვეით დივიზიას ჰყავდა 7—8 ათასი, სატანკო დივიზიას — 11 ათასი კაცი), აგრეთვე რამდენიმე ათეული ცალკე პოლკი და ბატალიონი და ქალაქების ძლიერი გარნიზონები. სულ აქ მოწინააღმდეგეს ჰყავდა 1 მილიონი კაცი, ჰქონდა 10 400 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1 500 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 2 მილიონზე მეტი ფაუსტ-ვაზნა, 3 300 საბრძოლო თვითმფრინავი"[1].

სრული და საბოლოო კრახის წინადღეს ფაშისტური გერმანია ჯერ კიდევ რჩებოდა ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგედ. თავისი განწირულობის მიუხედავად, ჰიტლერელები ძალ-ღონის უკიდურესი დაძაბვით ცდილობდნენ განეხორციელებინათ ეგრეთ წოდებული „საგანგებო პროგრამა".

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. V, стр. 253—254.

ჰიტლერელებმა ფართო კამპანია გააჩაღეს ჯარების იდეოლოგიური დამუშავებისათვის.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის 1945 წლის 3 აპრილის სპეციალურ მითითებებში ჯარის ნაწილებში საუბრების ჩატარების შესახებ ნათქვამია:

„ომის ბედი წყდება არა დასავლეთით, არამედ აღმოსავლეთით... ბოლშევიკების მომავალი დიდი შეტევა უკუგდებული უნდა იქნეს ყოველგვარ ვითარებაში. ამის წინამძღვრები არსებობს — ჩვენ გვყავს ადამიანები და გვაქვს ტექნიკა. ჩვენი ყურადღება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ, მიუხედავად იმისა, თუ რა მოხდება დასავლეთით.

აღმოსავლეთის ფრონტის შენარჩუნება ომის მსვლელობაში გარდატეხის წინაპირობას წარმოადგენს"[1].

1945 წლის 14 აპრილს ჰებელსი — ბერლინის თავდაცვის საიმპერიო კომისარი — მე-9 არმიას ეწვია და მოწოდებით მიმართა ჯარისკაცებს: მტკიცედ და ურყევად მდგარიყვნენ და არ დაეშვათ რუსების წინსვლა არც ერთი ნაბიჯით.

მაგრამ მარტოოდენ მოწოდებებს როდი სჯერდებოდნენ. ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე დამსჯელი ზომებიც. ყველა ფაშისტურ სამხედრო ნაწილსა და შენაერთში წაკითხულ იქნა ჰიტლერის ბრძანება, რომელიც მოითხოვდა ადგილზე დაეხვრიტათ ყველა, ვინც უკან დახევას განიზრახავდა, განურჩევლად ჩინისა და მდგომარეობისა. გამოვიდა აგრეთვე ბრძანება იმ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ოჯახების მიმართ რეპრესიების შესახებ, რომლებიც ტყვედ დანებდნენ ან დანებდებოდნენ საბჭოთა ჯარებს.

აპრილის პირველ რიცხვებში ჩატარდა არმიის სპეციალური წმენდა „არასაიმედო" ელემენტებისაგან. დივიზიები, რომლებშიც იყვნენ არაგერმანული ეროვნების ჯარისკაცები, გამოიყვანეს თავდაცვის პირველი ხაზიდან და წმინდა გერმანული დივიზიებით შეცვალეს.

თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებამდე გერმანელი ფაშისტები იმედოვნებდნენ, რომ ანტიჰიტლერული კოალიცია დაიშ-

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. V, стр. 254.

ლებოდა. რუზველტის სიკვდილი[1] მათ აღიქვეს როგორც სასწაული, რომელსაც მათი გადარჩენა შეეძლო. გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა ქვეყნისა და ინგლის-ამერიკის ჯარების მომავალი შეხვედრა, მათი აზრით, შეიარაღებულ შეტაკებად უნდა გადაქცეულიყო.

ამრიგად, ფაშისტური გერმანიის მმართველი წრეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა როგორმე შეეჩერებინათ საბჭოთა არმიის შეტევა, როგორმე გაეძლოთ აღმოსაელეთის ფრონტზე, ამასობაში ყოველგვარად ეცადათ გარიგებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს და თავიდან აეცილებინათ უსიტყვო კაპიტულაცია.

საბჭოთა სარდლობას კარგად ესმოდა ჰიტლერელთა პოლიტიკა და გაცხოველებით ემზადებოდა გადამწყვეტი დარტყმისათვის.

ბერლინის ოპერაციის დროს საბჭოთა ჯარებს უნდა გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის უდიდესი დაჯგუფება გერმანიის თვით ცენტრში და აეღოთ მისი დედაქალაქი ბერლინი, რაც უცილობლად დააჩქარებდა მტრის უსიტყვო კაპიტულაციას და გამოიწვევდა ფაშისტური სახელმწიფოს დანგრევას. საჭირო იყო ამ ამოცანის შესრულება რაც შეიძლება სწრაფად, რათა ძირშივე აღკვეთილიყო ჰიტლერელთა ყოველგვარი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ გაეჭიანურებინათ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და განხეთქილება შეეტანათ ანტიფაშისტური კოალიციის რიგებში.

ოპერაციის მომზადება

ბერლინის ოპერაციის ჩატარებაში მონაწილეობას იღებდნენ სამი ფრონტის—ბელორუსიის 1-ლი და მე-2, უკრაინის 1-ლი ფრონტების ჯარები, აგრეთვე წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი. არტილერიით, ავიაციით, ჯავშანსატანკო და საინჟინრო ნაწილებით გაძლიერებული სამივე ფრონტის შემადგენლობაში ოპერაციის დასაწყისისათვის შედიოდა: „2 500 ათასი კაცი, 41 600 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 6 250 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 7 500 საბრძოლო თვითმფრინავი. ძალებისა და საშუალებების ასეთმა რაოდენობამ შესაძლებლობა მოგვცა საერთო უპირატესობა

[1] 1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი და პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა ტრუმენმა.

გვქონდა მოწინააღმდეგესთან შედარებით: ადამიანების მხრივ — 2.5-ჯერ, არტილერიის მხრივ — 4-ჯერ, ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების მხრივ — 4,1-ჯერ, ავიაციის მხრივ — 2,3-ჯერ"[1].

თითოეულ ფრონტს ჰყავდა თავისი საჰაერო არმია. ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა მე-16 საჰაერო არმია, უკრაინის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში — მე-2 საჰაერო არმია, ბელორუსიის მე-2 ფრონტის შემადგენლობაში — მე-4 საჰაერო არმია. გარდა ამისა, ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა მე-18 საჰაერო არმია. ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში მოქმედებდნენ აგრეთვე პოლონელთა საავიაციო კორპუსი და საავიაციო დივიზია, რომლებიც მხარს უჭერდნენ პოლონეთის ჯარების 1-ლი არმიის შეტევას. წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალები მხარს უჭერდნენ ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებს.

ბერლინის ოპერაციის მიზანი იყო გაგვენადგურებინა არმიების „ვისლას" და „ცენტრის" ჯგუფების ძირითადი ძალები, აგვეღო ბერლინი და გავსულიყავით-ელბაზე.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას უნდა მოესპო ფაშისტური გერმანიისათვის შემდგომი ორგანიზებული წინააღმდეგობის შესაძლებლობა და, მაშასადამე, იგი განაპირობებდა საბჭოთა ქვეყნის მიერ ევროპაში ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

ოპერაციის აზრი ის იყო, რომ ბელორუსიის 1-ლი და მე-2 ფრონტების ჯარებისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის მძლავრი დარტყმებით გაგვერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა ოდერსა და ნეისეზე, გარს შემოვრტყმოდით გერმანელთა ბერლინის დაჯგუფებას, ერთდროულად სამ ნაწილად გაგვეპო იგი და ცალ-ცალკე გაგვენადგურებინა ყოველი მათგანი.

ამის შესაბამისად ფრონტებს მიეცათ შემდეგი ამოცანები:

ბელორუსიის მე-2 ფრონტს (ფრონტის სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი) ნაბრძანები ჰქონდა მოემზადებინა და ჩაეტარებინა შეტევითი ოპერაცია, რომლის მიზანი იყო მოწინააღმდეგის მე-3 სატანკო არმიის განადგურება და ოპერაციის

---

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. V, стр. 259.

დაწყებიდან არაუგვიანეს 12—15 დღეში ანკალმ-ვარენ-ვიტენბერგის ზღუდის დაკავება. სამი საერთო-საჯარისო არმიის, ორი სატანკო და ერთი მექანიზებული კორპუსების ძალებით ფრონტს მთავარი დარტყმა უნდა მიემართა შვედტის ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან შტრელიტცის საერთო მიმართულებით.

ბელორუსიის 1-ელ ფრონტს (ფრონტის სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი) უნდა მოემზადებინა და ჩაეტარებინა შეტევითი ოპერაცია, რომლის მიზანი იყო ბერლინის აღება და არა უგვიანეს 12—15 დღეში მდ. ელბაზე გასვლა. ფრონტს მთავარბანაკისაგან ნაბრძანები ჰქონდა ხუთი საერთო-საჯარისო და ორი სატანკო არმიების ძალებით მთავარი დარტყმა გახეხორციელებინა კიუსტრინის პლაცდარმიდან ბერლინის საერთო მიმართულებით.

ფრონტის მთავარი დაჯგუფების წარმატების უზრუნველსაყოფად განზრახული იყო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი დამხმარე დარტყმის განხორციელება, თითოეულისა ორი არმიის ძალებით.

სატანკო არმიებს ნაბრძანები ჰქონდათ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის შემდეგ და წარმატების შემდგომი გაღრმავების მიზნით გარშემოევლოთ ბერლინისათვის ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან.

უკრაინის 1-ელ ფრონტს (ფრონტის სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი) დასახული ჰქონდა ამოცანა მოემზადებინა და ჩაეტარებინა შეტევითი ოპერაცია კოტბუსის რაიონში და ბერლინის სამხრეთით მოწინააღმდეგის დაჯგუფების გასანადგურებლად. ოპერაციის დაწყებიდან არა უგვიანეს 10—12 დღეში მას უნდა დაეკავებინა ბეელიტცვიტენბერგის ზღუდე. შემდეგ კი ზღუდე მდინარე ელბაზე დრეზდენამდე. ბერლინის აღების შემდეგ მას შეტევა უნდა განეგრძო ლაიპციგზე. ხუთი საერთო-საჯარისო და ორი სატანკო არმიების ძალებით ფრონტს მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა ტრიბელის რაიონიდან შპრემბერგ-ბელციგის საერთო მიმართულებით.

ფრონტის სარდალმა მითითება მიიღო გაეთვალისწინებინა სატანკო არმიების გამოყენების მეორე ვარიანტი — ნეისეს თავდაც-

ვითი ზღუდის გარღვევის შემდეგ შეტევის განვითარება უშუალოდ ბერლინზე სამხრეთიდან.

მთავარი დაჯგუფების წარმატების სამხრეთიდან უზრუნველყოფის მიზნით ფრონტს პოლონეთის ჯარების მე-2 არმიის ძალებით და 52-ე არმიის ნაწილით დამხმარე დარტყმა უნდა განეხორციელებინა კოლფურტის რაიონიდან ბაუცენისა და დრეზდენის საერთო მიმართულებით.

ნაბრძანები იყო მეორე ეშელონის სატანკო არმიებისა და საერთო-საჯარისო არმიების ბრძოლაში ჩაბმა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის შემდეგ — მთავარი დარტყმის მიმართულებით წარმატების შემდგომი განვითარების მიზნით.

მარცხენა ფრთაზე ფრონტის ჯარები მძიმე და შეუპოვარ თავდაცვაზე უნდა გადასულიყვნენ.

* * *

მთავარბანაკის დირექტივების საფუძველზე ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს 1-ლი ფ რ ო ნ ტ ი ს ს ა რ დ ა ლ მ ა გადაწყვიტა მთავარი დარტყმა კიუსტრინის პლაცდარმიდან განეხორციელებინა 47-ე, მე-3 და მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების, აგრეთვე 1-ლი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიების ძალებით.

დაგეგმილი იყო შეტევის პირველ დღეს გერმანელთა თავდაცვის მთავარი ზოლის გარღვევა 24 კილომეტრი სიგრძის უბანზე; შემდეგ შეტევის განვითარება ბერლინზე აღმოსავლეთიდან და ერთდროულად მისი გარშემოვლა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან; ხავალის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე გასვლა ოპერაციის დაწყებიდან მე-6 დღეს და ბერლინის აღება. 47-ე არმია ოპერაციის დაწყებიდან მე-11 დღეს უნდა გასულიყო მდინარე ელბაზე. მე-3 არმია, რომელიც დამკვრელი დაჯგუფების შემადგენლობაში შედიოდა, ფრონტის მეორე ეშელონს წარმოადგენდა და მისი დანიშნულება მთავარი მიმართულებით შეტევის განვითარება იყო.

გარდა მთავარისა, გათვალისწინებული იყო ორი დამხმარე დარტყმა: ერთი უნდა განხორციელებულიყო 61-ე არმიისა და პოლონელთა 1-ლი არმიის (პოლონეთის არმიას სარდლობდა დივიზიის გენერალი ს. პოპლავსკი) ძალებით ვულკაუს საერთო მიმართულებით, მთავარი დაჯგუფების ჩრდილოეთიდან უზრუნველყოფის

მიზნით; მეორე — 69-ე და 33-ე არმიების ძალებით პოტსდამის და ბრანდენბურგის საერთო მიმართულებით, ფრონტის მთავარი დაჯგუფების სამხრეთიდან უზრუნველყოფისა და გერმანელთა ბერლინის დაჯგუფების ორ ნაწილად გათიშვის მიზნით.

ორივე სატანკო არმია, ფრონტის სარდლის გადაწყვეტილებით, ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო ოპერაციის პირველ დღეს, ქვეითი ჯარის მიერ მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლის გადალახვის შემდეგ.

მე-2 სატანკო არმია (სარდალი — სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი ბოგდანოვი) ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო მე-5 დამკვრელი არმიის ზოლში, განევითარებინა შეტევა ილოვის, ბერნაუს მიმართულებით, მეორე დღეს გასულიყო შენვალდეს რაიონში და შემდგომში 1-ელ გვარდიულ სატანკო არმიასთან ურთიერთმოქმედებით აეღო ბერლინის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

1-ლი სატანკო არმია (სარდალი — სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი კატუკოვი) ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო მე-8 გვარდიული არმიის ზოლში, განევითარებინა შეტევა გარცინის, ალტ-ლანდსბერგის მიმართულებით, მეორე დღეს დაეკავებინა ნოიენჰაუტენის რაიონი, შემდგომში გარს შემოევლო ბერლინისათვის სამხრეთიდან და მე-2 გვარდიულ სატანკო არმიასთან ურთიერთმოქმედებით აეღო მისი დასავლეთი ნაწილი. 69-ე არმიის შეტევის წარმატებით განვითარების შემთხვევაში მის ზოლში იყო გათვალისწინებული 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის ბრძოლაში ჩაბმა ამავე მიზნით.

როგორც არმიების წინაშე მთავარბანაკის გეგმით დასახული ამოცანებიდან ჩანს, მასში არ ყოფილა გათვალისწინებული ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მიერ ბერლინის ორმხრივი შემოვლა და გარემოცვა; დაგეგმილი იყო ქალაქის გარშემოვლა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთიდან 47-ე და მე-3 დამკვრელი არმიების მიერ: სამხრეთ-დასავლეთიდან ასეთი მანევრი არ ყოფილა ნავარაუდევი, რადგან ბელორუსიის 1-ელ ფრონტს არ გააჩნდა ამისათვის საჭირო საკმარისი ძალები და საშუალებები; გეგმის მიხედვით, ამ ხარვეზის შევსება მხოლოდ უკრაინის 1-ლი ფრონტის ძალების გამოყენებით იყო შესაძლებელი.

ამ მიმართულებით ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 1-ლი გვარ-

დიული სატანკო არმიის გამოყენება არა მარტო ხელს არ უწყობდა ამოცანის შესრულებას, არამედ ასუსტებდა კიდეც ჩრდილოეთიდან მიმართულ დარტყმას, სადაც მთავარბანაკის დირექტივის მიხედვით ამ არმიას მე-2 გვარდიულ სატანკო არმიასთან ერთად უნდა ემოქმედა. 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის ამოცანა შეცვლილ იქნა მარშალ გ. კ. ჟუკოვის მიერ მთავარბანაკის ნებართვით. ეს იწვევდა სატანკო ძალების დაფანტვას და ასუსტებდა დარტყმის ძალას ფრონტის მთავარი დაჯგუფების მარჯვენა ფლანგზე.

ტაქტიკური მოულოდნელობის მისაღწევად გადაწყვეტილი იყო მთავარი მიმართულებით საარტილერიო მომზადების და ქვეითი ჯარისა და ტანკების შეტევის ღამით განხორციელება (გათენებამდე 1.5—2 საათით ადრე). წინ მდებარე პოზიციების განათებისა და ძლიერი. დამაბრმავებელი შუქით მოწინააღმდეგის ხედვის უნარის პარალიზების მიზნით განზრახული იყო 143 საპროჟექტორო დანადგარის გამოყენება, რომლებიც უნდა ჩაერთოთ ქვეითი ჯარის შეტევის დაწყებისთანავე.

საარტილერიო მომზადების დაწყებამდე 30 წუთით ადრე გათვალისწინებული იყო ღამის ბომბდამშენი ავიაციის მძლავრი, მასირებული დარტყმა მოწინააღმდეგის შტაბებსა და სამეკავშირო კვანძებზე. შეტევის დაწყების შემდეგ მოიერიშე და ბომბდამშენ ავიაციას მოწინააღმდეგის საყრდენ პუნქტებზე და წინააღმდეგობის კვანძებზე გამუდმებული დარტყმით დახმარება უნდა გაეწია სახმელეთო ჯარებისათვის. ბრძოლაში სატანკო არმიების ჩაბმის პერიოდში ავიაციას მთავარი ყურადღება მათ დასახმარებლად უნდა მიემართა.

საარტილერიო მომზადება დაგეგმილი იყო 30 წუთის ხანგრძლიობით; ფრონტის გარღვევის უბნებში არტილერიის სიმჭიდროვე უდრიდა 244—341 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს ყოველ კილომეტრზე. 1,5—2 კილომეტრის სიღრმეზე ქვეითი ჯარისა და ტანკებისათვის დახმარება უნდა განხორციელებულიყო ცეცხლის ორმაგი ტალღით, ხოლო 3—4 კილომეტრის სიღრმეზე — ცეცხლის ერთმაგი ტალღით.

* * *

მთავარბანაკის განზრახვის შესაბამისად უ კ რ ა ი ნ ი ს 1-ლი ფ რ ო ნ ტ ი ს ს ა რ დ ა ლ მ ა გადაწყვიტა მთავარი დარტყმა განე-

ხორციელებინა ფორსტის და მუსკაუს უბანზე მე-3 და მე-5 გვარდიული, მე-13 და 28-ე საერთო-საჯარისო, მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიების ძალებით.

შეტევის პირველ დღეს განზრახული იყო მდინარე ნეისეს ფორსირება და მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლის გარღვევა 27 კილომეტრი სიგრძის უბანზე. შემდგომში ფრონტის ჯარებს უნდა განეკითარებინათ შეტევა შპრემბერგის და ბელციგის საერთო მიმართულებით, გაენადგურებინათ გერმანელთა დაჯგუფება კოტბუსის რაიონში და ბერლინის სამხრეთით და ოპერაციის მე-10—12 დღეს გასულიყვნენ ბულიტცვიტენბერგის ზღუდეზე, შემდეგ კი მდინარე ელბაზე.

დამხმარე დარტყმის განხორციელება გათვალისწინებული იყო როტენბურგის და პენციხის უბანზე პოლონეთის ჯარების მე-2 არმიისა (დივიზიის გენერლის კ. სვერჩევსკის სარდლობით) და 52-ე არმიის მარჯვენა ფრთის ძალებით, დრეზდენის საერთო მიმართულებით. ამ დარტყმის მიზანი იყო ფრონტის მთავარი დაჯგუფების მოქმედების უზრუნველყოფა სამხრეთიდან; 28-ე და 31-ე არმიები, რომლებიც ამ ფრონტს ბელორუსიის მე-3 ფრონტის შემადგენლობიდან გადაეცა, მეორე ეშელონში იმყოფებოდნენ და გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ მთავარი მიმართულებით წარმატების განვითარების მიზნით.

ორივე სატანკო არმია ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზის გარღვევის შემდეგ. მე-3 გვარდიული სატანკო არმია (სარდალი — გენერალ-პოლკოვნიკი რიბალკო) შეტევას განავითარებდა ოპერაციის მეორე დღეს მე-3 გვარდიული არმიის შეტევის ზოლში მდინარე შპრეეს ზღუდეზე და ოპერაციის მე-6 დღეს აიღებდა ბრანდენბურგს. გარდა ამისა, არმია მზად უნდა ყოფილიყო ბერლინზე სამხრეთიდან შეტევისათვის ერთი კორპუსის ძალებით, რომელიც იმოქმედებდა მე-3 გვარდიული არმიის ერთ მსროლელ დივიზიასთან კავშირში. მე-4 გვარდიული სატანკო არმია (სარდალი — გენერალ-პოლკოვნიკი ლელიუშენკო) ბრძოლაში ჩაებმებოდა ოპერაციის მეორე დღეს მე-5 გვარდიული არმიის ზოლში — ასევე მდინარე შპრეეს ზღუდეზე, განავითარებდა შეტევას და ოპერაციის მე-6 დღეს დაიკავებდა რატენოვისა და დესაუს რაიონებს.

ორივე სატანკო არმიის მეორე ვარიანტით გამოყენების შემთხვევაში ფრონტის სარდალმა გადაწყვიტა ნეისეს თავდაცვითი ზღუდის გარღვევის შემდეგ მე-3 გვარდიული სატანკო არმიის ძალებითა და მე-4 გვარდიული სატანკო არმიის ძალების ნაწილით სამხრეთიდან დაერტყა უშუალოდ ბერლინისათვის. ამავე დროს, მე-4 გვარდიული სატანკო არმიის ძალების ნაწილი უნდა გასულიყო პოტსდამის რაიონში, შეერთებოდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებს და დაემთავრებინა გერმანელთა მთელი ბერლინის დაჯგუფების გარშემორტყმა.

ოპერაციის დაწყებამდე ორი დღით ადრე საბჭოთა კავშირის მარშალმა კონევმა დააზუსტა სატანკო არმიების ამოცანები, უბრძანა მათ მზად ყოფილიყვნენ ოპერაციის პირველ დღეს მოწინავე რაზმებით დახმარება გაეწიათ მსროლელი ჯარებისათვის მოწინააღმდეგის თავდაცვის ტაქტიკური ზონის გარღვევის დამთავრებაში და მდინარე შპრეეს მარცხენა ნაპირზე პლაცდარმების დაკავებაში. ასეთი გადაწყვეტილება გამომდინარეობდა მოწინააღმდეგის თავდაცვის თავისებურებებიდან. მსროლელ ნაწილებს უნდა გადაელახათ მდინარე ნეისე და გაერღვიათ თავდაცვა. მის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ მათ მცირე ჰქონდათ ქვეითი ჯარის უშუალო დამხმარე (ეგრეთ წოდებული „ნპპ") ტანკები (10—14 მანქანა 1 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე). სატანკო არმიების მონაწილეობას მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის გარღვევაში უნდა დაეჩქარებინა ფრონტის ჯარების გასვლა ოპერატიულ არეზე და, მაშასადამე, ხელი შეეწყო შეტევის ტემპის ამაღლებისათვის.

მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზის წინ წყლის დაბრკოლების — მდინარე ნეისეს (რომლის სიგანეა 40—60 მეტრი) არსებობამ განაპირობა არტილერიის, ავიაციისა და საინჟინრო ჯარების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება. მდინარე ნეისეს გადალახვის და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი იყო არტილერიის მოქმედება 2 საათისა და 25 წუთის ხანგრძლიობით. არტილერიის სიმჭიდროვე ფრონტის გარღვევის უბნებზე შეადგენდა 227—325 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს ფრონტის 1 კილომეტრ სიგრძეზე. გარდა ამისა, დამკვრელი დაჯგუფების არმიებში მოქმედებდა 1 000-ზე მეტი საველე რეაქტიული საარტილერიო

დანადგარი, რომელთა მხოლოდ ერთი ზალპი შეადგენდა ყველა კალიბრის 18 500 ნაღმს.

მდინარე ნეისეს ფორსირების დროს მოწინააღმდეგისაგან მთავარი დარტყმის მიმართულების დაფარვის მიზნით გადაწყვეტილი იყო მთელ ფრონტზე კვამლის ფარდის შექმნა.

ნეისეს გადალახვის დროს ავიაციას მასირებული დარტყმები უნდა მიეყენებინა მოწინააღმდეგის უშუალოდ ფრონტის ხაზთან განლაგებული საბრძოლო რიგებისათვის, აგრეთვე მისი მართვის პუნქტებისათვის. ხოლო თავდაცვის ზღუდეთა გარღვევის დროს — სიღრმეში არსებული წინააღმდეგობის კვანძებისათვის.

მდინარე ნეისეს ფორსირების საინჟინრო უზრუნველყოფის თავისებურება იყო ადგილობრივი მასალებისაგან გადასასვლელი საშუალებებისა და ხიდების ელემენტების დამზადება.

დივიზიის პირველი ეშელონის თითოეულ მსროლელ პოლკზე გათვალისწინებული იყო ერთი-ორი საიერიშო ხიდის. კორპუსის პირველი ეშელონის თითოეულ მსროლელ დივიზიაზე ერთი-ორი სამტონიანი ტივტივა ხიდის, არმიის პირველი ეშელონის თითოეულ მსროლელ კორპუსზე ერთი 16-ტონიანი პონტონის ხიდის, ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების პირველი ეშელონის თითოეულ არმიაზე ერთი 30-ტონიანი და ორი 60-ტონიანი მაგარსაყრდენიანი ხიდის აგება.

* * *

ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს მ ე-2 ფ რ ო ნ ტ ი ს ს ა რ დ ა ლ მ ა გადაწყვიტა დარტყმა მიეყენებინა შტეტინ-შვედტის უბანზე 65-ე, 70-ე და 49-ე არმიების, სამი სატანკო, ერთი მექანიზებული და ერთი ცხენოსანი კორპუსის ძალებით. არტილერიისა და ავიაციის ცეცხლის საფარქვეშ ფრონტის ჯარებს უნდა გადაელახათ ოდერის ორივე ტოტი და გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვა.

ოდერის ზღუდის გარღვევისა და ბრძოლაში მოძრავი შენაერთების ჩაბმის შემდეგ დაგეგმილი იყო შეტევის განვითარება ჩრდილო-დასავლეთის და დასავლეთის მიმართულებებით, გერმანელთა მე-3 სატანკო არმიის ძირითადი ძალების მოწყვეტა ბერლინისაგან და ოპერაციის მე-12—15 დღეს ნოიენკირხენ-ვიტენბერგის ზღუდეზე გასვლა.

დამხმარე დარტყმის განხორციელება გათვალისწინებული იყო მე-2 დამკვრელი არმიის ძალების ნაწილით. მის მიზანს შეადგენდა დახმარების გაწევა 65-ე არმიისათვის ქალაქ შტეტინის აღებაში, ხოლო შემდგომში შეტევის ფორბაინზე განვითარება. ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებმა მიიღეს ამოცანა მტკიცედ შეენარჩუნებინათ დაკავებული ზღუდეები.

სატანკო, მექანიზებული და ცხენოსანი კორპუსები ოდერის გადალახვისა და მის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმების დაკავების პერიოდში უშუალოდ უნდა დაქვემდებარებოდნენ ფრონტის სარდალს. ფრონტის სარდალი იტოვებდა აგრეთვე ბრძოლაში მათი ჩაბმის მომენტის განსაზღვრის უფლებას. ბრძოლაში ჩაბმის შემდეგ კორპუსები გადადიოდნენ საერთო-საჯარისო არმიების დაქვემდებარებაში. ყველა კორპუსს ეძლეოდა ამოცანა განევითარებინა შეტევა საერთო-საჯარისო არმიების მთავარ დარტყმათა მიმართულებით.

კორპუსების მოქმედება ფრონტის სარდლობის მიერ არ ყოფილა დაგეგმილი ოპერაციის დღეების მიხედვით.

მე-8 გვარდიული სატანკო კორპუსი რჩებოდა ფრონტის სარდლის რეზერვში.

* * *

ბერლინის ოპერაციის მოსამზადებელი პერიოდი დაიწყო მარტის ბოლოს და 14 აპრილამდე გაგრძელდა. მოსამზადებელი პერიოდის თავისებურება იყო მისი უმნიშვნელო ხანგრძლიობა და, ამასთან, ამ მოკლე დროში შეტევის წარმატების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მეტად მრავალფეროვანი, უაღრესად ძნელი და რთული ღონისძიებების განხორციელება.

შეტევის მომზადების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ღონისძიებას წარმოადგენდა ძალებისა და საშუალებების საჭირო, ფრონტების სარდალთა გადაწყვეტილებების შესაბამისი დაჯგუფების შექმნა. მოსამზადებელი პერიოდის მეორე დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ ჩვენი ჯარების მთლიან შემადგენლობას არ ჰქონდა შესაძლებლობა საბრძოლო მომზადება გაევლო. ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი ოპერაციის დაწყების მომენტამდე ბრძოლებს ეწეოდა ან გადაჯგუფებებს ახდენდა.

ჯარების მომზადებას ყველა ფრონტზე საფუძვლად ედო მხოლოდ განაყოფთა საბრძოლო შენივთება-შეკავშირება, სხვადასხვა სახეობის ჯარებს შორის ურთიერთმოქმედების დამუშავება, ვარჯიში წყლის დაბრკოლებათა გადალახვაში.

ოპერაციის მომზადების მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ოპერატიული შენიღბვის ამოცანების გადაწყვეტა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ჯარების შეტევის მოულოდნელობის, უეცრობის უზრუნველყოფა.

ოპერაციის მომზადების, შორ მანძილზე ჯარების გადაჯგუფების დროის შეზღუდულობა და მომარაგების სხვადასხვა საშუალების დიდი მარაგის მოკლე ვადაში შექმნის აუცილებლობა განაპირობებდა ზურგის უკიდურესად დაძაბულ მუშაობას ყველა ფრონტზე. მაგალითად, მარტო ბელორუსიის მე-2 ფრონტზე 20 დღის განმავლობაში გადასაზიდი იყო 127 263 ტონა სხვადასხვა ტვირთი, ამასთან, იმავდროულად ფრონტის ზურგის ნაწილებს ჯარების გადაჯგუფების უზრუნველსაყოფად უნდა გამოეყოთ 1 225 სატვირთო ავტომანქანა.

ოპერაციის დასაწყისისათვის წარმატებით იქნა გადაჭრილი აგრეთვე ჯარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა ამოცანებიც. მაგალითად, ჩატარდა მატერიალური ნაწილის შემოწმება და რემონტი, ტექნიკა გადაყვანილ იქნა ექსპლოატაციის გაზაფხულის რეჟიმზე და ა. შ.

მთავარი (ბერლინის) მიმართულებით შეტევის ერთდროულად დაგეგმილი იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთი ფრთის — უკრაინის მე-4, მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარების შეტევითი ოპერაციებიც. მაშასადამე, უკანასკნელ გადამწყვეტ შეტევას უნდა მოეცვა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელი ფრონტი, რაც სრულიად უსპობდა ჰიტლერელთა უმაღლეს სარდლობას თავისი ძალებით მანევრირების თავისუფლებას.

ამგვარად, საბჭოთა ჯარების უმაღლესი სარდლობის მთავარბანაკმა, ფრონტებისა და არმიების შტაბებმა გულდასმით დაგეგმეს ოპერაცია, გადააჯგუფეს ძალები და საშუალებები, შექმნეს დამკვრელი დაჯგუფებები.

ჯარები დაძაბულად ემზადებოდნენ შეტევისათვის, იყენებდნენ საომარ მოქმედებათა წარმოების ომის პერიოდში დაგროვილ მდი-

დარ გამოცდილებას. ფრონტებს ჰქონდათ ოპერაციისათვის აუცილებელი ყველა მატერიალური საშუალება. ოპერაციის მომზადების პერიოდში მხოლოდ არტილერიისათვის საჭირო საბრძოლო მასალა მიიღო: „ბელორუსიის მე-2 ფრონტმა — 896 ვაგონი, ბელორუსიის 1-ლმა ფრონტმა — 1 669 ვაგონი და უკრაინის 1-ლმა ფრონტმა — 1 464 ვაგონი, სულ — 4 029 ვაგონი"[1].

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონე უზრუნველყოფდა დიდ მორალურ-პოლიტიკურ აღმავლობას საბჭოთა არმიის ნაწილებსა და შენაერთებში.

მიუხედავად მოკლე ვადისა, აპრილის შუა რიცხვებში ბერლინის ოპერაციისათვის მზადება ძირითადად დამთავრებული იყო. ჯარები იმყოფებოდნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და მხოლოდ შეტევის ნიშანსღა ელოდნენ. საბჭოთა მეომრები გამსჭვალული იყვნენ მხოლოდ ერთი აზრით, ერთი სურვილით — შეესრულებინათ დიადი და უძლეველი საბჭოთა სამშობლოს ბრძანება, ბოლო მოეღოთ ფაშისტი მხეცისათვის თავისივე ბუნაგში და ძლევამოსილად დაემთავრებინათ ომი.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი ჩვენი მხედართუფროსი თავის მემუარებში წერს, რომ საბჭოთა ჯარებს თითქოს შესაძლებლობა ჰქონდათ 1945 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში, მაშინვე მდინარე ოდერზე გასვლის შემდეგ, განეგრძოთ შეტევა წინა ბრძოლებში დასუსტებული მტრის წინააღმდეგ და ერთბაშად აეღოთ გერმანიის დედაქალაქი ბერლინი.

ეს იდეა, უდავოდ, მცდარია. იმ დროს, როცა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები მდინარე ოდერის ზღუდეზე გავიდნენ, ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები საომარ ოპერაციებს აწარმოებდნენ აღმოსავლეთ პრუსიაში, რის გამოც ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფლანგი არ იყო უზრუნველყოფილი. სწორედ ამ, მისთვის ხელსაყრელი მომენტით უნდოდა ესარგებლა გერმანელ ფაშისტთა სარდლობას და სწრაფად იწყო დიდი ძალების თავმოყრა აღმოსავლეთ პომერანიაში; და თუ ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და შეეცდებოდნენ ბერლინის ერთბაშად, ერთი დაკვრით აღებას, მოწინააღმდეგეს შეეძლო დაერტყა ბელორუსიის 1-ლი

[1] Военно-исторический журнал, № 4, 1965 г., стр. 84.

ფრონტის მარჯვენა ფლანგისათვის მდინარე ოდერის გასწვრივ და გასულიყო ბერლინის მიმართულებით მებრძოლი ჩვენი ჯარების ზურგში; ასეთ ვითარებაში საბჭოთა სარდლობა იძულებული იქნებოდა მეტად მძიმე პირობებში ეწარმოებინა საომარი მოქმედება.

ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო: ჯერ გერმანელთა აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების განადგურება და მხოლოდ ამის შემდეგ შეტევის განვითარება ბერლინზე.

1945 წლის თებერვლის შუა რიცხვებში შოწინააღმდეგემ დაიწყო დიდი შეტევა აღმოსავლეთ პომერანიიდან, რომელშიც 40-მდე დივიზია მონაწილეობდა. ჩვენი მხრივ მარტო ბელორუსიის 1-ლი ფრონტიდან ბრძოლაში ჩაება ოთხი საერთო-საჯარისო და ორი სატანკო არმია. ორი ფრონტის ძალებით გერმანელთა აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების განადგურება მხოლოდ 1945 წლის მარტის ბოლოსათვის დამთავრდა.

მოწინააღმდეგის ასეთი დიდი ძალების უგულებელყოფა, როგორც ამას ახლა ზოგიერთი ამხანაგები სჩადიან, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი წერს:

„...25 იანვარს შუადღისას დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა. არსებული მდგომარეობის შესახებ რომ მოისმინა, მკითხა, რისი გაკეთება გვქონდა განზრახული შემდგომში. მე ვუპასუხე, რომ, რამდენადაც მოწინააღმდეგე დემორალიზებულია და ამჟამად არ შეუძლია სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა, გადაწყვეტილი გვაქვს განვაგრძოთ შეტევა ფრონტის ჯარების მდინარე ოდერთან გასვლის მიზნით-მეთქი. შეტევის ძირითადი მიმართულებაა კიუსტრინი, სადაც შევეცდებით პლაცდარმის დაკავებას. ფრონტის მარჯვენა ფრთა იშლება ჩრდილოეთის და ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით გერმანელთა აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების წინააღმდეგ...

... ი. ბ. სტალინმა თქვა: მდინარე ოდერთან გასვლით თქვენ მოსწყდებით ბელორუსიის მე-2 ფრონტის ფლანგს 150 კილომეტრზე მეტით...

— მხედველობაში მიიღეთ — დაუმატა მან, — რომ უკრაინის 1-ელ ფრონტს ახლა არ შეუძლია უფრო წინ წავიდეს და უზრუნველგყოთ თქვენ მარცხნიდან, რადგან გარკვეული დროის განმავ-

ლობაში დაკავებული იქნება მოწინააღმდეგის ლიკვიდაციით ოპელ-ნის, კოტოვიცეს რაიონში...

...ი. ბ. სტალინი დაეთანხმა ფრონტის სარდლობის წინადადებას, დაგვავალა ღრმად, გულდასმით მოგვეფიქრებინა ჩვენი მარჯვენა ფლანგის შესახებ, მაგრამ დამატებითი ძალების გამოყოფაზე უარი გვითხრა. უმაღლესი მთავარსარდლის შიში იმის შესახებ, თუ რამდენად საიმედოდ იქნებოდა დაცული ჩვენი მარჯვენა ფლანგი, სავსებით დასაბუთებული იყო. როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, აღმოსავლეთ პომერანიის მხრიდან დარტყმის საშიშროება განუწყვეტლივ იზრდებოდა"[1].

გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვის გარღვევა ოდერსა და ნეისეზე

ბერლინის ოპერაციის დაწყებამდე ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების ზოლში ჩვენმა ჯარებმა დაზვერვითი ბრძოლები განახორციელეს. ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დაზვერვითი ბრძოლები ჩაატარეს 14 და 15 აპრილს, უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა — ღამით 15-დან 16 აპრილს (საერთო-საჯარისო არმიების პირველი ეშელონის დივიზიების გაძლიერებული მოწინავე ბატალიონები). მოწინააღმდეგემ ყველგან შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწია. ორი დღის დაზვერვითი ბრძოლების შედეგად ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მეწინავე ბატალიონებმა წინ წაიწიეს 2—5 კილომეტრით, დააზუსტეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და დაჯგუფების ძალა და გაიუმჯობესეს თავიანთი საწყისი პოზიციები.

ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს 1-ლ ი ფ რ ო ნ ტ ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს ს ა ო მ ა-რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. ფრონტის მთავარი ძალების შეტევა დაიწყო 16 აპრილს მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ, რომელიც გათენებამდე ორი საათით ადრე განხორციელდა.

საარტილერიო მომზადების პერიოდში გამანადგურებელ დარტყმას განიცდიდა მოწინააღმდეგის თავდაცვის მხოლოდ მთავარი

---

* Военно-исторический журнал, № 6, 1965 г., стр. 13—14.

ზოლი. ზეელოვის სიმაღლეებზე გერმანელთა თავდაცვის შემუსვრა დაკისრებული ჰქონდა ავიაციას შეტევის დაწყების შემდეგ.

პროექტორების შუქზე (143 საზენიტო პროექტორი) და ცეცხლის ნიაღვრის თანხლებით დილის 5 საათსა და 20 წუთზე შეტევაზე პირველად გადავიდნენ მე-3 დამკვრელი, მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების ჯარები. დანარჩენი არმიები — 69-ე, 33-ე არმიები და პოლონეთის ჯარების 1-ლი არმია, ე. ი. ყველა, გარდა 61-ე არმიისა, შეტევაზე გადავიდნენ 45—55 წუთის შემდეგ.

გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა, რომლებსაც მეტად ძლიერი თავდაცვა ჰქონდათ (ეს იყო, ერთი მხრივ, თავდაცვისათვის უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი ზღუდეები და, მეორე მხრივ, მძლავრი თავდაცვითი საინჟინრო ნაგებობანი), თავიდანვე გააფთრებული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. სძლევდნენ რა ამ წინააღმდეგობას, დამკვრელი დაჯგუფების ჯარებმა მთელ რიგ უბნებზე გაარღვიეს მტრის თავდაცვის მთავარი ზოლი და მივიდნენ შუალედურ ზოლთან, ხოლო მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიები ზეელოვის სიმაღლეებს მიადგნენ, სადაც გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლი გადიოდა.

ჰიტლერელთა სარდლობამ გააძლიერა ამ ზღუდის თავდაცვა პირველი ზოლიდან უკანდახეული ჯარებით და ბრძოლაში რეზერვების ჩაბმის გზით.

ზეელოვის სიმაღლეებისათვის ბრძოლამ უკიდურესად მძაფრი ხასიათი მიიღო. მოწინააღმდეგე გააფთრებულ კონტრშეტევაზე გადმოდიოდა. შუადღისას ცხადი გახდა, რომ ქვეითი ჯარი ვერ შესძლებდა გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლის გარღვევას. ამიტომ ფრონტის სარდალმა გადაწყვიტა ორივე სატანკო არმია ჩაება ბრძოლაში.

ჯერ მე-8 გვარდიული არმიის ზოლში ბრძოლაში ჩაება 1-ლი გვარდიული სატანკო არმია, რომლის სამივე კორპუსი (არ ჰქონდათ რა მოქმედების თავისი, საკუთარი ზოლი) ქვეითი ჯარის საბრძოლო მწყობრში ჩადგა.

გეგმით არ იყო გათვალისწინებული სატანკო არმიის ასეთი გამოყენება და ამიტომ წინასწარ დამუშავებული არ ყოფილა მისი ურთიერთმოქმედება ქვეით ჯართან, არტილერიასთან და ავიაციასთან. ამან კი ის გამოიწვია, რომ 16 აპრილს დღის ბოლოსათვის ზე-

ელოვის სიმაღლეები კვლავ გერმანელთა ხელში იყო: მათი თავდაცვა აქ მე-8 გვარდიული არმიისა და 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის ერთობლივი მოქმედებითაც ვერ იქნა გარღვეული.

16 საათსა და 30 წუთზე მე-5 დამკვრელი არმიის ზოლში ბრძოლაში ჩაება მე-2 გვარდიული სატანკო არმია. 19 საათისათვის მე-2 გვარდიული სატანკო არმიის ჯარები გავიდნენ ქვეითი ჯარის მოწინავე ნაწილების ხაზზე, სადაც გერმანელთა ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდნენ (აქ გადიოდა მოწინააღმდეგის მიერ წინასწარ მომზადებული თავდაცვის შუალედური ზღუდე) და ვერ შეძლეს შემდგომი წინსვლა.

ამრიგად, ოპერაციის პირველ დღეს ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების ჯარებმა წინ წაიწიეს 3—8 კილომეტრით, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლი და მთელ რიგ უბნებზე ბრძოლები გააჩაღეს მეორე ზოლის გასარღვევად.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა პირველი დღის ბოლოს დამხმარე დამკვრელ დაჯგუფებათა შეტევის მიმართულებებითაც.

16-დან 17 აპრილის ღამით და მთელი ამ დღის განმავლობაში ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ საომარ მოქმედებას გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლის გასარღვევად, იგერიებდნენ მტრის მრავალრიცხოვან კონტრშეტევებს.

ოპერაციის მეორე დღის ბოლოს ფრონტის მთავარი დამკვრელი დაჯგუფების ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული მეორე თავდაცვითი ზოლი და ორი შუალედური პოზიცია. გერმანელთა ყველა ცდა — შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების წინსვლა, რისთვისაც ბრძოლაში ჩააბეს რეზერვის ოთხი დივიზია, მარცხით დამთავრდა.

ოპერაციის მესამე დღის განმავლობაში ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში, დღის ბოლოსათვის წინ წაიწიეს კიდევ 3—4 კილომეტრით და გავიდნენ მესამე თავდაცვითი ზოლის მისადგომებთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ 18 აპრილისათვის მოწინააღმდეგემ წინა ხაზზე გადაისროლა თითქმის მთელი თავისი რეზერვი, ბრძოლებმა ამ დღეს უკიდურესად გააფთრებული ხასიათი მიიღო, რამაც თავი იჩინა საბჭოთა ჯარების შეტევის ტემპში. 18 აპრილის

განმავლობაში ორივე სატანკო არმია წინანდებურად ბრძოლებს ეწეოდა საერთო-საჯარისო შენაერთებთან ერთად.

ტანკების მოქმედებისათვის უაღრესად არახელსაყრელი ადგილმდებარეობისა და მოწინააღმდეგის ძლიერი ტანკსაწინააღმდეგო დაცვის გამო სატანკო არმიებმა ვერ შესძლეს მოწყვეტილიყვნენ ქვეით ჯარს.

დამკვრელი დაჯგუფების წინსვლის ტემპი დღის განმავლობაში არ აღემატებოდა 2—3 კილომეტრს.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების ნელი წინსვლა საფრთხეს უქმნიდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ბერლინის დაჯგუფების გარშემორტყმის გეგმის განხორციელებას და შეეძლო სერიოზულად გაეჭიანურებინა ბერლინისათვის ბრძოლა.

ამის გამო ჯერ კიდევ 17 აპრილს მთავარბანაკმა მოითხოვა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებისაგან უფრო ენერგიული შეტევა.

ერთდროულად მთავარბანაკმა მითითება მისცა უკრაინის 1-ლი და ბელორუსიის მე-2 ფრონტების სარდლებს იმის შესახებ, რომ ამ ფრონტების ჯარებს თავიანთი შეტევით ხელი შეეწყოთ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევისათვის.

გარდა ამისა, ბელორუსიის მე-2 ფრონტმა მიიღო ამოცანა ოდერის ზღუდის გარღვევის შემდეგ მთავარი ძალებით შეტევა განევითარებინა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და გარსშემოეკლო ბერლინისათვის ჩრდილო-დასავლეთიდან.

ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების ჯარების შეტევის ტემპი 19 აპრილს გაიზარდა. დღის ბოლოსათვის მათ წინ წაიწიეს 10—12 კილომეტრით, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მესამე ზოლი და ამით საერთოდ დაამთავრეს ოდერის თავდაცვითი ზღუდის გარღვევის მთელი ოპერაცია.

ამ გარღვევის შედეგად ხელსაყრელი წინამძღვრები შეიქმნა, ერთი მხრივ, ბერლინზე შეტევის შემდგომი განვითარებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანელთა მე-9 არმიის ძირითადი ძალების გარემოცვისა და ბერლინისაგან მათი მოწყვეტისათვის.

უ კ რ ა ი ნ ი ს 1-ლ ი ფ რ ო ნ ტ ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს ს ა ო მ ა რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. ოპერაციის გეგმის შესაბამისად 6 საათსა და 15 წუთზე დაიწყო საარტილერიო მომზადება მდინარე ნეისეს გადა-

სალახავად. 40-წუთიანი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ, როცა არტილერიამ ცეცხლი უკვე მტრის თავდაცვის სიღრმეში გადაიტანა, პირველი ეშელონის დივიზიების გაძლიერებულმა ბატალიონებმა კვამლის ფარდის საფარქვეშ დაიწყეს მდინარე ნეისეს ფორსირება.

საარტილერიო მომზადების პერიოდში გადებული საიერიშო ხიდებით და დამხმარე სახელდახელო მცურავი საშუალებებით მეორე ნაპირისაკენ პირველები დაიძრნენ ამ ბატალიონების მეწინავე ასეულები.

როცა მეწინავე ასეულებმა უკვე დაიკავეს პლაცდარმები მდინარის მეორე ნაპირზე, გადებულ იქნა ხიდები. რომლებითაც გადასვლა დაიწყეს მთავარი ძალების პირველმა ეშელონებმა. პონტონის ხიდები გაიდო 50 წუთში, ხიდები 30-ტონიანი ტვირთისათვის 2 საათში, ხოლო მაგარსაყრდენიანი ხიდები 60 ტონამდე ტვირთისათვის აიგო 4—5 საათის განმავლობაში. მთავარი ძალების პირველი ეშელონის გადასვლა მდინარეზე ერთ საათში დამთავრდა.

8 საათსა და 40 წუთზე მდინარეზე გადასულმა ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების ჯარებმა დაიწყეს შეტევა მოწინააღმდეგის მთავარი თავდაცვითი ზღუდის გარღვევის მიზნით. ისე როგორც ბელორუსიის 1-ელ ფრონტზე, ბრძოლებმა მდინარე ნეისეს დასავლეთ ნაპირზე უკიდურესად მძაფრი ხასიათი მიიღო. მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგე გააფთრებულ კონტრშეტევაზე გადმოდიოდა, ცდილობდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა მოესპო საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული პლაცდარმები.

ამ პირობებში ფრონტის სარდლის მითითებით საერთო-საჯარისო არმიების გასაძლიერებლად დღის მეორე ნახევარში ბრძოლაში ჩაებნენ მე-3 და მე-4 სატანკო არმიების მეწინავე რაზმები.

სძლევდნენ რა ჰიტლერელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას, ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების საერთო-საჯარისო არმიებმა სატანკო არმიების მეწინავე რაზმებთან ერთად დღის ბოლოსათვის წინ წაიწიეს 8—13 კილომეტრით და მთლიანად დაამთავრეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლის გარღვევა, ხოლო მე-13 და მე-5 გვარდიული არმიების მოქმედების უბნებში საბჭოთა ჯარები გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლს მიადგნენ.

ჯარებმა, რომლებიც დრეზდენის მიმართულებით უტევდნენ 15

აპრილის განმავლობაში ასევე გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლი 5—10 კილომეტრის სიღრმეზე და დღის ბოლოსათვის მეორე ზოლთან გავიდნენ.

17 აპრილს დილით გერმანელებმა თავდაცვის სიღრმიდან მეორე ზოლზე გადმოისროლეს დამატებითი ძალები, მათ შორის თითქმის მთლიანად ოთხი სატანკო დივიზია, და გააფთრებული კონტრშეტევებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა. მაგრამ ჩვენი საერთო-საჯარისო და სატანკო არმიების ერთობლივი მოქმედებით ეს კონტრშეტევები წარმატებით იქნა მოგერიებული. დღის ბოლოსათვის ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების ჯარებმა 15 კილომეტრი სიგრძის უბანზე გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლი და დაიწყეს წინ წაწევა მდინარე შპრეესაკენ, სადაც მოწინააღმდეგის მესამე თავდაცვითი ზოლი გადიოდა.

გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლის გარღვევა და მათი ძირითადი ოპერატიული რეზერვების განადგურება კოტბუსის მიმართულებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა შეტევის დაჩქარებისათვის და ფრონტის ჯარების მიერ მოწინააღმდეგის თავდაცვის მესამე ზოლის ერთბაშად, ერთი დაკვრით გარღვევისათვის.

უმაღლესმა მთავარსარდლობამ, გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, უბრძანა უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალს 17-დან 18 აპრილის ღამით ორივე სატანკო არმიის ძალებით გადაელახა მდინარე შპრეე და განევითარებინა შეტევა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით — ბერლინისათვის სამხრეთიდან დარტყმისა და სამხრეთ-დასავლეთიდან მისი გარემოცვის მიზნით.

ამ მანევრის წარმატებით განხორციელებას უნდა ხელი შეეწყო ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევისათვის და, ამავე დროს, ხელსაყრელი პირობები შეექმნა გერმანელთა ფრანკფურტერ-გუბენის დაჯგუფების სწრაფი გარშემორტყმისათვის.

მთავარბანაკის მითითებათა შესასრულებლად უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალმა უბრძანა მე-3 გვარდიულ სატანკო არმიას 17-დან 18 აპრილის ღამის განმავლობაში გადაელახა მდინარე შპრეე, განევითარებინა შეტევა ფეტშაუს, ბარუტის საერთო მიმართულებით და 20-დან 21 აპრილის ღამით შეპრალიყო ბერლინში სამხრეთიდან.

მე-4 გვარდიულ სატანკო არმიას ასევე 17-დან 18 აპრილის

ღამით უნდა გადაელახა მდინარე შპრეე შპრემბერგის ჩრდილოეთით, სწრაფი შეტევა განევითარებინა დრებკაუს, კალაუს, დამსის ლუკენვალდეს მიმართულებით და 21 აპრილს ღამით აეღო პოტსდამი და ბერლინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

ფრონტის სარდალმა განსაკუთრებით მიუთითა სწრაფად და გაბედულად მოქმედების აუცილებლობაზე. ნაბრძანები იყო ქალაქებისა და დიდი დასახლებული პუნქტებისათვის გვერდის ავლა და ხანგრძლივი გაჭიანურებული საფრონტო ბრძოლებისათვის თავის არიდება.

საერთო-საჯარისო არმიებს უნდა განეგრძოთ თავიანთი წინანდელი ამოცანების განხორციელება.

ასრულებდნენ რა ფრონტის სარდლის ბრძანებას, მე-3 და მე-4 სატანკო არმიების ჯარებმა 18 აპრილს დილით დაიწყეს მდინარე შპრეეს გადალახვა ფონით: მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ — ბრეზინხენის, მუკ-ნაუმოლეს უბანზე, ხოლო მე-4 გვარდიულმა სატანკო არმიამ — შპრემბერგის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. უკვე 19 აპრილს დილით ორივე არმიის ძალები თავმოყრილი იყო მდინარე შპრეეს დასავლეთ ნაპირზე.

ამრიგად, დაძაბული ბრძოლების შედეგად ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების ჯარებმა 18 აპრილს ერთი დაკვრით გადალახეს მდინარე შპრეე და 10 კილომეტრი სიგრძის უბანზე გაარღვიეს გერმანელ ფაშისტთა მესამე თავდაცვითი ზოლი.

დამკვრელი დაჯგუფების ჯარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბერლინზე შეტევის განსავითარებლად.

18 აპრილის განმავლობაში წარმატებით უტევდნენ მტერს აგრეთვე დრეზდენის მიმართულებით მოქმედი ჯარები, რომლებმაც ზოგიერთ უბანზე 20-მდე კილომეტრით წაიწიეს წინ. ამ მიმართულებით გერმანელთა თავდაცვითი ზღუდის გარღვევის შემდეგ ბრძოლაში ჩაბმული მოძრავი ნაწილები დღის ბოლოსათვის 5—6 კილომეტრით მოწყდნენ ქვეით ჯარს: მაგრამ ამ დაჯგუფების მარცხენა ფლანგზე მდგომარეობა დაძაბული იყო მოწინააღმდეგის მიერ გერლიცის რაიონიდან განხორციელებული ძლიერი კონტრშეტევების გამო.

ამგვარად, ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დამკვრელმა დაჯგუფებამ ოთხი დღის, ხოლო უკრაინის 1-ლი ფრონტის დამკვრელმა

დაჯგუფებამ სამი დღის განმავლობაში მთლიანად გაარღვიეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვის ზღუდე ოდერსა და ნეისეზე, ხელსაყრელი წინამძღვრები შექმნეს ბერლინზე შეტევის განვითარებისა და ამ მიმართულებით მოწინააღმდეგის ჯარების გარემოცვისათვის.

ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს მ ე-2 ფ რ ო ნ ტ ზ ე 18 და 19 აპრილის განმავლობაში საომარ მოქმედებას ეწეოდნენ მხოლოდ მზვერავი და მეწინავე ნაწილები. ამ ბრძოლების შედეგად მეწინავე ნაწილებმა გადალახეს მდინარე ოსტ-ოდერი (აღმოსავლეთი ოდერი), შუამდინარეთი და დაიკავეს საწყისი მდგომარეობა ვესტ-ოდერის (დასავლეთ ოდერის) გადასალახავად.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების დაჯგუფების გარშემორტყმა და გათიშვა

ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს 1-ლ ი ფ რ ო ნ ტ ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს ს ა ო მ ა რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. მთავარბანაკის მითითებათა საფუძველზე ფრონტის სარდალმა დამკვრელი დაჯგუფების ჯარებს ჯერ კიდევ 18-დან 19 აპრილის ღამით (როგორც კი დამკვრელი დაჯგუფების მარჯვენა ფრთაზე შეტევის უდავო წარმატების კონტურები გამოიკვეთა) დაუსახა ამოცანა: რაც შეიძლება ჩქარა, მოწინააღმდეგის ფეხდაფეხ, შეეჭრილიყვნენ ბერლინში და ერთდროულად ძალების ნაწილით გარემოეცვათ იგი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან.

ჯარებს ნაბრძანები ჰქონდათ შეტევა ეწარმოებინათ დღისითაც და ღამითაც, რომ არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის თავდაცვის ახალ ზღუდეებზე მოწყობის შესაძლებლობა. ამ მიზნით ფრონტის სარდალმა ბრძანა არმიებში შეექმნათ ეშელონირებული საბრძოლო რიგები, რათა დღისით შეეტიათ პირველ, ღამით კი — მეორე ეშელონებს.

20 აპრილს დილით ფრონტის ჯარები შეუდგნენ მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებას.

პირველი ორი დღის განმავლობაში მე-2 გვარდიული სატანკო არმიის ჯარებმა, რომლებიც მოქმედებდნენ მე-3 და მე-5 დამკვრელი არმიების ჯარებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, დასძლიეს

მტრის წინააღმდეგობა ბერლინის გამაგრებული რაიონის გარეთა თავდაცვით ზღუდეზე, 25—30 კილომეტრით წაიწიეს წინ და 21 აპრილს დღის ბოლოსათვის შევიდნენ ბერლინის ჩრდილო-აღმოსაკლეთ გარეუბანში.

1-ლმა მექანიზებულმა კორპუსმა ვეისენზეეს რაიონში ბრძოლები გააჩაღა ბერლინის შიგნითა თავდაცვით ზღუდეზე.

მე-9 გვარდიული სატანკო კორპუსი 22 აპრილს დილით გაკიდა მდინარე რაველთან ბერლინის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში და 47-ე არმიასთან ურთიერთმოქმედებით დაიწყო მისი ფორსირება.

1-ლმა გვარდიულმა სატანკო არმიამ, რომელიც მე-8 გვარდიულ არმიასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მოქმედებდა, წინ წაიწია 20—25 კილომეტრით და 21 აპრილს დღის ბოლოსათვის ბრძოლები გააჩაღა ბერლინის გარეთა თავდაცვით ზღუდეზე.

22 აპრილიდან მე-3, მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების ჯარები და მე-2 და 1-ლი გვარდიული სატანკო არმიების მთავარი ძალები ბრძოლებს ეწეოდნენ ბერლინის გარეუბნებისათვის და უშუალოდ ქალაქში.

1-ლი სატანკო არმიის (სარდალი — გენერალი კატუკოვი) შემადგენლობაში იბრძოდა მესანგრეთა ცალკეული ბატალიონი, რომლის შტაბის უფროსი იყო გვარდიის კაპიტანი შოთა სიმონის ძე კობახიძე. ჯერ კიდევ ბერლინის მიმართულებით შეტევის დაწყებამდე ქ. კიუსტრინის სამხრეთით, მდინარე ოდერზე, მისი პირადი ხელმძღვანელობით აიგო 60 ტონა ტვირთამწეობის ხიდი, რომლითაც დასავლეთ ნაპირზე (პლაცდარმზე) გადატანილ იქნა ბერლინზე საიერიშო მძიმე საომარი ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ზეელოვის მაღლობზე მოწინააღმდეგის თავდაცვის გასარღვევად და ბერლინზე საიერიშოდ შ. კობახიძემ უნარიანად და დროულად გააკეთა გასასვლელები ნაღმურ ღობურებსა და სხვა სახის წინაღობებში და უზრუნველყო სატანკო არმიების შეუფერხებელი, სწრაფი შეტევა.

შ. კობახიძე მონაწილეობდა დიდი სამამულო ომის პერიოდის მრავალ ოპერაციაში, მათ შორის კურსკის ბრძოლებშიც, სადაც თავი გამოიჩინა როგორც უშიშარმა და მამაცმა, დიდად ორგანიზებულმა და მოსაზრებულმა მეთაურმა.

კურსკის რკალზე თავდაცვითი ოპერაციის პირველი დღის და-

სასრულს ვორონეჟის ფრონტის სარდალმა გენერალმა ვატუტინმა მიიღო გადაწყვეტილება უფრო საიმედოდ დაეცვა ობოიანის მიმართულება. ამ მიმართულებით გადაყვანილ იქნა 1-ლი სატანკო არმია, რომელსაც მიეცა ამოცანა 5 ივლისს ღამით დაეკავებინა თავდაცვის ხაზი მელოვსა და იაკოვლევს შორის და არ დაეშვა მოწინააღმდეგის გაჭრა ობოიანისაკენ. რადგან სატანკო არმიის მიერ თავდაცვის ამ ხაზის დაკავება ოპერაციის გეგმით წინასწარ არ ყოფილა გათვალისწინებული, საჭირო იყო ღამის განმავლობაში ტანკების სახელდახელოდ შემოსანგვრა და შენიღბვა, თავდაცვის ხაზის წინ გადამღობი ზღუდეების აგება და ა. შ. ამხ. კობახიძე პირადად ხელმძღვანელობდა აქ ნაღმური ღობურების მოწყობას. მიუხედავად დროის უკიდურესი სიმცირისა, 6 ივლისს დილისათვის ობოიანის მიმართულებით უკვე შექმნილი იყო მძლავრი სატანკო ბარიერი.

დილით გერმანელებმა განაახლეს შეტევა. მათ სურდათ მძლავრი, მასირებული სატანკო დარტყმით გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა და განევითარებინათ შეტევა ობოიანის მიმართულებით კურსკისაკენ; შეუპოვარ ბრძოლებში მტრის გააფთრებული იერიშები მოგერიებულ იქნა. გერმანელებმა ვერ შეძლეს კურსკისაკენ გაჭრა. და ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა შოთა კობახიძემაც.

კურსკის ოპერაციაში საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის ამხ. შ. ს. კობახიძე დააჯილდოვეს სამამულო ომის ორდენით, ბერლინის ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისათვის — წითელი დროშის ორდენით.

ომის შემდეგ შ. კობახიძე თადარიგში გავიდა. როგორც ინჟინერ-სპეციალისტი, იგი პირველი დღიდანვე აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობაში, საფუძველი ჩაუყარა ქარხნის პირველ კორპუსს.

გამოჯანმრთელების შემდეგ 1945 წლის 20 აპრილს მაიორი ადამ ივანეს ძე დიასამიძე დაინიშნა 27-ე მსროლელი დივიზიის 83-ე მსროლელი პოლკის (პოლკი დაჯილდოებული იყო სუვოროვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენებით) მე-2 ბატალიონის მეთაურად. ეს დივიზია მოქმედებდა მე-8 გვარდიული არმიის შემადგენლობაში (სარდალი — გენერალი, ახლა საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი).

მართალია, გვარდიის მაიორმა დიასამიძემ ბატალიონი მიიღო დაძაბული შეტევითი ოპერაციის მსვლელობაში, მაგრამ მან შეძლო სწრაფად გარკვეულიყო ვითარებაში და უნარიანად წარემართა თავისი განაყოფის საომარი მოქმედება.

ბატალიონი ფეხდაფეხ მიჰყვა მტერს, ერთი დაკვრით გადალახა შპრეე, დაიკავა პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე და ხელი შეუწყო მეზობელი ნაწილების გადასვლას მდინარეზე. შემდგომ ეს იგი მძიმე ბრძოლებს ეწეოდა თვით ბერლინში ყოველი სახლისათვის, ქუჩისათვის, კვარტალისათვის, 1945 წლის 2 მაისს 10 საათსა და 10 წუთზე მიადგა ბრანდენბურგის ჭიშკარს და წითელი დროშა აღმართა მასზე.

ბერლინის ოპერაციის დროს საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის ამხ. ა. დიასამიძე დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.

ამჟამად ადამ დიასამიძე თადარიგშია და მუშაობს პროკურორად საქართველოს სსრ პროკურატურის აპარატში.

47-ე არმიის ჯარები მე-2 გვარდიული სატანკო არმიის მე-9 გვარდიულ სატანკო კორპუსთან ურთიერთმოქმედებით განაგრძობდნენ მანევრს ბერლინის ჩრდილო-დასავლეთიდან გარემოცვის მიზნით.

22 აპრილს დღის ბოლოსათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ბერლინის დაჯგუფების გარშემორტყმისა და გათიშვის ოპერაციის წარმატებით დამთავრებისათვის.

მანძილი 47-ე არმიისა და მე-4 სატანკო არმიის მეწიხავე ნაწილებს შორის არ აღემატებოდა 60 კილომეტრს, ხოლო მე-8 გვარდიული არმიის მარცხენა ფლანგსა და მე-3 გვარდიული სატანკო არმიის მარჯვენა ფლანგს შორის — 15 კილომეტრს. ამასთან დაკავშირებით მთავარბანაკმა უბრძანა ფრონტის ჯარებს არა უგვიანეს 24 აპრილისა დაემთავრებინათ გერმანელთა ფრანკფურტ-გუბენის დაჯგუფების გარემოცვა და არ დაეშვათ მისი გაჭრა ბერლინისაკენ, დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით.

ფრონტის სარდალმა დააზუსტა არმიების ამოცანები და გადაწყვიტა 23 აპრილს ბრძოლაში ჩაება ფრონტის მეორე ეშელონი — მე-3 არმია (სარდალი — გენერალ-პოლკოვნიკი გორბატოვი) და

მე-2 გვარდიული ცხენოსანი კორპუსი, რომელთაც დაეკისრათ ამოცანა შეტევა ეწარმოებინათ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით მოეწყვიტათ ბერლინისაგან გერმანელთა მე-9 არმიის ძირითადი ძალები და დაემთავრებინათ მათი გარშემორტყმა ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ამ ღონისძიების მნიშვნელობა განისაზღვრებოდა იმით, რომ 22 აპრილს ჰიტლერმა ბრძანება გასცა მთლიანად გაეხსნათ გერმანიის ფრონტი დასავლეთით, ინგლის-ამერიკელთა ჯარების წინ და მე-12 არმია აღმოსავლეთისაკენ შემოებრუნებინათ. ეს არმია უნდა შეერთებოდა მე-9 არმიას, რომელსაც ჰიტლერმა უბრძანა თავი დაეღწია გარემოცვის საშიშროებისაგან და ბერლინის გარნიზონი გაეძლიერებინა.

23 აპრილს დილით ფრონტის ჯარები შეუდგნენ დაკისრებული ამოცანის განხორციელებას. ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, 24 აპრილს საღამოთი, 47-ე არმიის ჯარებმა მე-2 გვარდიული სატანკო არმიის მე-9 გვარდიულ სატანკო კორპუსთან ერთად დაიკავეს ქ. ნაუენი და ამით დაამთავრეს ბერლინის გარემოცვა ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან. მე-4 გვარდიული სატანკო არმიის ჯარებისაგან ისინი დაშორებული იყვნენ მხოლოდ 8 — 10 კილომეტრით.

მე-3 და მე-5 დამკვრელი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიების ჯარები 23 და 24 აპრილის განმავლობაში შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ ბერლინში.

ბერლინისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს მე-3 დამკვრელი არმიის მე-12 გვარდიულ მსროლელ კორპუსში შემავალი მსროლელი ბატალიონების მეთაურებმა, გვარდიის მაიორმა ტრიფონ მიხეილის ძე სახვაძემ და კაპიტანმა ნიკოლოზ გიორგის ძე ივანიძემ.

გვარდიის მაიორი სახვაძე მეთაურობდა 52-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მსროლელ ბატალიონს. გერმანელთა თავდაცვის გარღვევაში იგი მონაწილეობდა კიუსტრინის პლაცდარმის პირველ ეშელონში. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლებს ეწეოდა სახვაძის ბატალიონი ზეელოვის სიმაღლეებზე გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას. შემდგომში იგი მონაწილეობდა ქალაქების შტრასბერგის, ალტლანდსბერგის, არენსფელდის აღებაში; 22 აპ-

რილიდან გააფთრებულ ბრძოლებს ეწევა ბერლინის ქუჩებში და 24 აპრილს ქალაქის ცენტრამდე აღწევს. 25 აპრილს შუადღისას რაიხსტაგიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით მაიორი სახვაძე მძიმედ დაიჭრა თავში. ბერლინის ოპერაციაში სანიმუშო საბრძოლო მოქმედებისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

კაპიტანი ნიკოლოზ ივანიძე მეთაურობდა 33-ე მსროლელი დივიზიის 82-ე მსროლელი პოლკის მსროლელ ბატალიონს. ამ ბატალიონმა თავი გამოიჩინა ზეელოვის სიმაღლეებზე გერმანელთა მეორე თავდაცვითი ზოლის გარღვევის დროს. შემდგომში გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა ბერლინის ქუჩებში. ბერლინის აღების შემდეგ სხვა ნაწილებთან ერთად განაგრძობდა შეტევას და 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში გავიდა მდინარე ელბასთან, სადაც ამერიკელთა ჯარების ნაწილებს შეხვდა. ბერლინისათვის ბრძოლებში ნ. ივანიძე ორჯერ მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არ გამოსულა. ბერლინის მისადგომებთან გერმანელთა თავდაცვის გარღვევის დროს საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის იგი წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

მე-5 დამკვრელი არმიის 295-ე მსროლელი დივიზიის 101-ე მსროლელ პოლკში შემავალ მე-3 ბატალიონს მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი, მაიორი გიორგი დავითის ძე შენგელია. ბატალიონი შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდა ბერლინის მიმართულებით, განსაკუთრებით გერმანელთა პირველი და მეორე თავდაცვითი ზოლების გარღვევისა და ქალაქების ბუკოვისა და ნეიენჰაგენის აღების დროს. 22 აპრილიდან მონაწილეობდა ბერლინის შტურმში. 26 აპრილს რაიხსტაგიდან 1 კილომეტრის დაშორებით გ. შენგელია დაიჭრა. ბერლინის ოპერაციის დროს სანიმუშო საბრძოლო მოქმედებისათვის იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ამავე, 101-ე მსროლელ პოლკში 1-ლ ბატალიონს მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი, ლეიტენანტი გიორგი გიორგის ძე ბახტაძე[1]. ბერლინის ოპერაციის მთელ პერიოდში თანამემამულეების შენგელიასა და ბახტაძის განაყოფები შესანიშნავად ურთიერთ

---

[1] საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ამხ. ამხ. შენგელიასა და ბახტაძეს მიენიჭათ მდ. დნეპრის გადალახვისა და ქ. ხერსონის აღებისათვის ბრძოლებში განსაკუთრებული მამაცობისა და საზრიანობის გამოჩენისათვის.

მოქმედებდნენ ბრძოლის ველზე. მიუხედავად მტრის თავგანწირული წინააღმდეგობისა, √გ. ბახტაძის ბატალიონმა შეძლო გაერღვია გერმანელთა მეორე თავდაცვითი ზღუდე ზეელოვის მაღლობზე. შემდეგ იგი მონაწილეობდა ბუკოვისა და ნეიერჰაგენის აღებაში, ხოლო 22 აპრილს 'შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდა ბერლინის ქუჩებში.

ბერლინის ოპერაციაში საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის ბატალიონის მეთაური გ. ბახტაძე და მისი ბევრი მებრძოლი დაჯილდოებულ იქნენ მთავრობის მაღალი ჯილდოებით — ორდენებით.

მე-8 გვარდიული არმიისა და 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის ჯარები, განაგრძობდნენ რა შეტევას ბერლინზე, 24 აპრილს 10 საათსა და 30 წუთზე ბონსდორფის დასავლეთით მდებარე რაიონში შეუერთდნენ უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-3 გვარდიული სატანკო არმიის 71-ე მექანიზებულ ბრიგადას, ხოლო დღის ბოლოსათვის მარიენდორფის რაიონში ტაქტიკური კავშირი დაამყარეს 28-ე არმიის 61-ე მსროლელ დივიზიასთან, რომელიც მე-3 გვარდიული სატანკო არმიის შემადგენლობაში მოქმედებდა.

ამრიგად, 24 აპრილს დღის ბოლოსათვის გერმანელთა მე-9 არმიის მთავარი ძალები და მე-4 სატანკო არმიის ძალების ნაწილი, რომლებიც მოწინააღმდეგის ფრანკფურტ-გუბენის დაჯგუფებას შეადგენდნენ, საბოლოოდ მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ბერლინისაგან. ამ გარემოებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერლინის ასაღებად ჩვენი ჯარების შემდგომი ბრძოლის შემსუბუქების, გაადვილების თვალსაზრისით.

25 აპრილს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები, განაგრძობდნენ რა საომარ მოქმედებას, კეტცინის, მარკვარდტის რაიონებში შეუერთდნენ მე-4 გვარდიული სატანკო არმიის ნაწილებს და ამით დაამთავრეს გერმანელთა მთელი ბერლინის დაჯგუფების გარემოცვა.

გერმანელთა ბერლინის დაჯგუფების ორგვლივ გარემოცვის შიგნითა ფრონტის შექმნის ერთდროულად, ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების ბრანდენბურგის რაიონში გასვლის შედეგად, შეიქმნა აგრეთვე გარემოცვის გარეთა ფრონტიც.

უ კ რ ა ი ნ ი ს 1-ლ ი ფ რ ო ნ ტ ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს ს ა ო მ ა რ ი მ ო-

ქ მ ე დ ვ ბ ა. ფრონტის დამკვრელი დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მე-3 გვარდიული, მე-13 და მე-5 გვარდიული საერთო-საჯარისო, მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიები, 19 აპრილს დილით შეუდგა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით გერმანელთა ბერლინის დაჯგუფების გარემოცვის ოპერაციის განხორციელებას.

ამ ოპერაციაში მთავარი როლის შესრულება დაკისრებული ჰქონდათ მე-3 და მე-4 გვარდიულ სატანკო არმიებს.

უტევდნენ რა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიების ჯარებმა 19 აპრილის განმავლობაში 35—50 კილომეტრით წაიწიეს წინ, გავიდნენ ლიუკაუს რაიონში და უშუალოდ დაემუქრნენ გერმანელთა მე-9 არმიის კომუნიკაციებს. მოწინააღმდეგის ცდებს, გააფთრებული კონტრშეტევებით კოტბუსისა და შპრემბერგის რაიონიდან მდინარე შპრეეს გადასასვლელებისაკენ გაჭრილიყო, წარმატება არ მოჰყოლია.

მე-3 და მე-5 გვარდიული არმიების ჯარები იცავდნენ სატანკო არმიების კომუნიკაციებს და უზრუნველყვეს ბერლინზე მათი სწრაფი შეტევის შესაძლებლობა.

20 აპრილის განმავლობაში სატანკო არმიებმა, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობას არ შეხვედრიან, წინ წაიწიეს კიდევ 40-50 კილომეტრით და გავიდნენ ბერლინის მისადგომებთან და გერმანელთა მე-9 არმიის ზურგში.

საერთო-საჯარისო არმიებისაგან სატანკო არმიების მოწყვეტის მანძილმა 30—35 კილომეტრს მიაღწია. სატანკო არმიების წარმატებითმა შეტევამ უზრუნველყო მათ ფეხდაფეხ მე-13 არმიის სწრაფი წინსვლის შესაძლებლობა, რომელმაც 20 აპრილის განმავლობაში 30 კილომეტრით წაიწია წინ.

მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიებისა და მე-13 არმიის სოლისებურად ღრმად შეჭრის შედეგად უკვე 20 აპრილს დღის ბოლოს „ვისლას" არმიათა ჯგუფი მოწყვეტილი იყო „ცენტრის" არმიათა ჯგუფისაგან. გერმანელთა კოტბუსისა და შპრემბერგის დაჯგუფება გარემოცული აღმოჩნდა.

21 აპრილის განმავლობაში დამკვრელი დაჯგუფების ჯარების წინსვლა, გერმანელთა წინააღმდეგობის გაძლიერების გამო, რამდენადმე შენელდა. მაგრამ დღის ბოლოსათვის მტერი მაინც ძლე-

ული იქნა და ორივე სატანკო არმია უშუალოდ მიადგა ბერლინის გარეთა თავდაცვით ზღუდეს.

გაითვალისწინა რა ბერლინისათვის ბრძოლის უკიდურესი დაძაბულობა, ფრონტის სარდალმა მე-3 გვარდიული სატანკო არმიის სარდალს დაუქვემდებარა მე-10 საარტილერიო კორპუსი, 25-ე საარტილერიო დივიზია, 23-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზია და მე-2 გამანადგურებელი საავიაციო კორპუსი. გარდა ამისა, 28-ე არმიის (რომელიც ბრძოლაში შეყვანილი იყო ფრონტის მეორე ეშელონიდან) სარდალს ებრძანა მე-3 გვარდიული სატანკო არმიის გასაძლიერებლად ბარუტის რაიონში ავტოტრანსპორტით გადაესროლა ორი დივიზია.

ამგვარად გაძლიერებულმა მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ, რომელსაც სამივე კორპუსი პირველ ეშელონში ჰყავდა, 22 აპრილს ერთი დაკვრით გაარღვია ბერლინის გარეთა თავდაცვითი ზღუდე და წინ წაიწია 25—30 კილომეტრით, ხოლო დღის ბოლოსათვის შევიდა ქალაქის სამხრეთ გარეუბანში. მე-4 გვარდიულმა სატანკო არმიამ ამავე დღის ბოლოს ასევე გაარღვია ბერლინის გარეთა თავდაცვითი რკალი, გავიდა ზარმუნდ-ბეელიტცის ზღუდეზე და ხელსაყრელი მდებარეობა დაიკავა გერმანელთა მთელი ბერლინის დაჯგუფების სრული გარემოცვისათვის.

მე-4 გვარდიული სატანკო არმიის მე-5 გვარდიული მექანიზებული კორპუსის ნაწილი მე-13 და მე-5 გვარდიული არმიების ჯარებთან ერთად დღის ბოლოსათვის გავიდა ბეელიტც-ტროენბრიტცენ-ცანას ზღუდეზე და გადაჭრა ყველა გზა, რომელთა გამოყენებაც კი შეეძლო მოწინააღმდეგეს ბერლინის დაჯგუფების განთავისუფლებისას სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან დარტყმებით.

შემდგომი ორი დღის განმავლობაში ფრონტის დამკვრელი დაჯგუფება თავისი მარჯვენა ფლანგით განაგრძობდა ბრძოლებს ბერლინის სამხრეთ ნაწილში და ამთავრებდა გერმანელთა ფრანკფურტ-გუბენსკის დაჯგუფების გარშემორტყმას. ცენტრით და მარცხენა ფრთით კი შეტევას ავითარებდა დასავლეთისაკენ — მდინარე ელბისაკენ.

მე-4 გვარდიულმა სატანკო არმიამ 24 აპრილს დღის ბოლოსათვის დაიკავა პოტსდამის სამხრეთ-აღმოსავლეთი გარეუბანი და

ამით უზრუნველყო გერმანელთა მთელი ბერლინის დაჯგუფების გარშემორტყმის ოპერაციის მალე დამთავრების შესაძლებლობა.

მე-13 არმია ძალების ნაწილით, ხოლო მე-5 გვარდიული არმია მთლიანად გადავიდნენ მდინარე ელბის აღმოსავლეთ ნაპირზე და ამით ბოლომდე განახორციელეს ოპერაციის გეგმით გათვალისწინებული ამოცანები.

გერმანელთა გერლიცკის დაჯგუფების 19 აპრილს დაწყებულ კონტრიერიშთან დაკავშირებით მე-5 გვარდიული არმიის ძალების ნაწილი გადაჯგუფებულ იქნა შპრემბერგის სამხრეთით მდებარე რაიონში — ამ კონტრდარტყმის მოგერიების მიზნით.

23 და 24 აპრილს მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ მძიმე ბრძოლებით გადალახა ტელტოვის არხი (სიგანე 40—50 მ, სიღრმე 2—3 მ, გრანიტის ნაპირების სიმაღლე 2—3მ).

25 აპრილს მე-4 გვარდიული სატანკო არმიის ჯარები პოტსდამისა და ბრანდენბურგის რაიონში შეუერთდნენ ბელორუსიის პირველი ფრონტის 47-ე არმიისა და მე-2 გვარდიული სატანკო არმიის ჯარებს და დაამთავრეს გერმანელთა მთელი ბერლინის დაჯგუფების გარემოცვა. ამავე დღეს ტორგაუს რაიონში 34-ე გვარდიულმა მსროლელმა კორპუსმა კავშირი დაამყარა აქ გამოსულ ამერიკის შეერთებული შტატების 1-ლი არმიის მე-5 საარმიო კორპუსის 69-ე ქვეით დივიზიასთან.

ბერლინისაკენ დასავლეთიდან გაჭრის მიზნით ბეელიტც-ტროენ-ბრიტცენის უბანზე 24 აპრილს დაწყებული გერმანელთა მე-12 არმიის შეტევები წარმატებით იქნა მოგერიებული მე-13 არმიის ნაწილების მიერ.

ამასთან ერთად, დრეზდენის მიმართულებით საბჭოთა ჯარების გადამწყვეტი მოქმედების შედეგად 25 აპრილს დღის ბოლოსათვის შეფერხდა გერმანელთა გერლიცკის დაჯგუფების კონტრიერიში.

გერმანელთა ჯარები შეჩერებულ იქნენ. ფრონტის ზოგიერთ უბანზე კი პოლონეთის ჯარების მე-2 არმიის (სარდალი — გენერალ-ლეიტენანტი სვერჩევსკი) ნაწილები თვით გადავიდნენ შეტევაზე და 3—5 კილომეტრზე უკუაგდეს მოწინააღმდეგე.

ამრიგად, ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების დამკვრელ დაჯგუფებათა წარმატებითი მოქმედების შედეგად 25

აპრილისათვის გერმანელ ფაშისტთა ჯარების ბერლინის დაჯგუფება გარშემორტყმულ იქნა და, ამავე დროს, გათიშული აღმოჩნდა ორ იზოლირებულ ნაწილად.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების მიერ გერმანელთა ბერლინის დაჯგუფების გარემოცვის მანევრის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით აუცილებელი აღარ იყო ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარების მიერ ბერლინის ჩრდილოეთიდან შემოვლა. 25 აპრილს მთავარბანაკმა უბრძანა ბელორუსიის მე-2 ფრონტის სარდალს განევითარებინა შეტევა ნოეშტრელიტც-როსტოკის მიმართულებით.

ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს მ ე-2 ფ რ ო ნ ტ ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს ს ა ო მ ა რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. გერმანელთა ბერლინის დაჯგუფების განადგურების დამთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების საომარ მოქმედებას გერმანელთა მე-3 სატანკო არმიის წინააღმდეგ, რომელსაც თავდაცვითი ზღუდე ეკავა ბერლინის ჩრდილოეთით.

20 აპრილის ღამით ბომბდამშენმა ავიაციამ , დაბომბა მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლი, ხოლო დილით მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, რომელიც სხვადასხვა უბანზე 45-დან 60 წუთამდე გრძელდებოდა, ფრონტის ჯარებმა დაიწყეს მდინარე ოდერის დასავლეთი ტოტის ფორსირება.

65-ე არმიამ არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ 6 საათსა და 30 წუთზე დაიწყო მდინარის გადალახვა. მოწინააღმდეგე შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ მდინარის ფორსირების ოპერაციის ჩაშლა ვერ შეძლო. მალე საბჭოთა მეომრებმა მიაღწიეს მეორე ნაპირს, გააფთრებული ბრძოლით გაარღვიეს მტრის თავდაცვის პირველი პოზიცია, დაიკავეს რამდენიმე საყრდენი პუნქტი და შექმნეს მცირე პლაცდარმი.

65-ე არმიის შემადგენლობაში მთავარი მიმართულებით პირველ ეშელონში მოქმედებდა 354-ე მსროლელი დივიზია გენერალ-მაიორ (ამჟამად გენერალ-ლეიტენანტი) ელადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავას მეთაურობით. დივიზიამ ორგანიზებულად გადალახა მდინარე ოდერის დასავლეთი ტოტი და დაიკავა პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე.

21-დან 25 აპრილამდე დივიზია სასტიკ ბრძოლებს ეწეოდა მო-

წინააღმდეგესთან, გააფართოვა დაკავებული პლაცდარმი, გაარღვია გერმანელთა ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, მოიგერია მრავალრიცხოვანი გააფთრებული კონტრშეტევები და ხელსაყრელი პირობები შექმნა შემდგომი შეტევისათვის.

დივიზიის მეომრებმა 26 აპრილს ღამით უნარიანად ჩატარებული საფლანგო მანევრის შედეგად დაიკავეს მსხვილი საპორტო ქალაქი შტეტინი და გზა გაუხსნეს შეტევისათვის მე-2 დამკვრელ არმიას. შემდგომში დივიზია განაგრძობდა აქტიურ მოქმედებას და სხვა ნაწილებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ქალაქების ტარგელოვის, ანკლამის, გრეიფენვალდის, შტრალზუნდის და კუნძულ რიუგენის აღებაში.

70-ე და 49-ე არმიებმა 20 აპრილს შეძლეს მდინარე ოდერის მბოლოდ ფორსირება და უმნიშვნელო პლაცდარმი დაიკავეს მის დასავლეთ ნაპირზე.

ჰიტლერელებმა ინტენსიური ცეცხლი გააჩაღეს. მათ ბრძოლაში ჩააბეს სს-ელთა 27-ე ქვეითი დივიზია „ლენგემარკი". აგრეთვე რამდენიმე სატანკო ბატალიონი და არაერთხელ გამოვიდნენ კონტრშეტევაზე. სულ 20 აპრილს დღის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა მტრის 25 კონტრშეტევა მოიგერიეს. მრავალ უბანზე ხელჩართული ბრძოლები ჩაღდებოდა მოწინააღმდეგის სანგრებში. ფაშისტებმა ვერ შეძლეს ოდერს იქით გადაერეკათ საბჭოთა ჯარები. ძლევდნენ რა მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას, ჩვენი მამაცი მეომრები პოზიციას პოზიციაზე ართმევდნენ მას.

70-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო ჩვენი თანამემამულე გრიგოლ გიორგის ძე სანაკოევი, რომელიც მეტად ნაყოფიერ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა არმიის მეომრებს შორის. იგი ხშირად დადიოდა მოწინავე ხაზის განაყოფებში, საუბრობრობდა პირად შემადგენლობასთან და ყოველმხრივ ეხმარებოდა შენაერთებს. მას ყველგან ნახავდით, სადაც კი რთული სამხედრო ვითარება შეიქმნებოდა.

70-ე არმიის შემადგენლობაში მე ვმეთაურობდი 165-ე სედლეცის წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას. დივიზიამ გადალახა მდინარე ოდერის ქვემო დინება ქალაქ გრეიფენჰაგენის რაიონში. საერთო მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ გერმანელებმა გახსნეს რაბები და წყლით წალეკეს მდინარე

ოდერის დასავლეთ და აღმოსავლეთ ტოტებს შორის მდებარე მთელი ტერიტორია, სადაც წყლის სიღრმე ზოგან რამდენიმე (5, 10, 15) სანტიმეტრს, ზოგან კი რამდენიმე მეტრს აღწევდა. ეს მეტად აძნელებდა შუამდინარეთის გადალახვას (შუამდინარეთის სიგანე დაახლოებით 2 კილომეტრს უდრიდა); შეუძლებელი იყო საცურაო საშუალებათა გამოყენება და ძნელი იყო ჩვეულებრივი წესით გადასვლაც.

20 აპრილს 6 საათსა და 15 წუთზე საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ დაიწყო ფორსირება. დივიზიამ საბრძოლო მწყობრით დაიწყო მდინარის გადალახვა ორ ეშელონად. პირველ ეშელონში უტევდა ორი მსროლელი პოლკი — 562-ე (პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი მენშიკოვი 20 აპრილსავე დაიღუპა და მის ნაცვლად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი მამონტოვი) და 641-ე (მეთაური — პოდპოლკოვნიკი ვისოცკი). მეორე ეშელონში მარჯვენა ფრთაზე უტევდა 751-ე მსროლელი პოლკი (მეთაური პოდპოლკოვნიკი ანისიმოვი).

ოდერის დასავლეთ ტოტის გადალახვის დროს 641-ე მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის მეწინავე ასეული მტრის არტილერიის გრიგალისებურ ცეცხლში მოჰყვა, უუმბარებმა დაამსხვრია საცურავი საშუალებები და ასეულის პირადი შემადგენლობა შუაგულ მდინარეში ჩაცვივდა. რამდენიმე კაცი დაიჭრა, ხოლო ასმეთაური უფროსი ლეიტენანტი კორპილიუკი დაიღუპა. პოლკის მეთაურის მოადგილე მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე გრაჩევი დაუყოვნებლივ გაეშურა მისაშველებლად სამი ნავით. მაგრამ უუმბარამ მისი ნავიც დაამსხვრია. გრაჩევმა და ასეულის მებრძოლებმა ცურვით მიაღწიეს ნაპირს. ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის საფარქვეშ მათ შეძლეს მცირე პლაცდარმის დაკავება და ორი საათის განმავლობაში, მაშველი ძალების მოსვლამდე, მამაცურად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გააფრთებულ კონტრიერიშებს.

ჰიტლერელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ბრძოლების პირველი დღის განმავლობაში ჩვენ შევძელით მხოლოდ მდინარე ოდერის გადალახვის ოპერაციის დამთავრება და მცირე პლაცდარმის დაკავება. გერმანელებს ზედიზედ მოჰქონდათ კონტრიერიში, ცდილობდნენ მდინარეში გადავეყარეთ, მაგრამ ამაოდ. საბჭოთა მე-

ომრებმა გაუძლეს მტრის დაწოლას. ოპერაციის მეორე დღეს, 21 აპრილს, დივიზიამ გააფართოვა პლაცდარმი, გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლის მხოლოდ პირველი პოზიციები და დაიკავა სოფლები მეშერინი, შტაფელდე. სოფელი შტაფელდე რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. აქ ორჯერ გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა მოწინააღმდეგის სანგრებში. საბოლოოდ სოფელი ჩვენ ავიღეთ 22 აპრილს გათენებისას.

მინდა აღვნიშნო ჩვენი იარაღის ოსტატების თავგანწირული მუშაობა ამ ბრძოლების დროს. ისინი მუდამ წინა ხაზზე იმყოფებოდნენ, ადგილზევე არემონტებდნენ ყველა სახის საომარ ტექნიკას. განსაკუთრებით დამამახსოვრდა უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი გიორგი ივანეს ძე კვიჟინაძე, რომელიც ქარივით დაჰქროდა განაყოფებში და არაერთი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი და სხვა იარაღი შეაკეთა უშუალოდ ცეცხლის ქვეშ, ყუმბარებისა და ტყვიების წვიმაში. პოდპოლკოვნიკი კვიჟინაძე ამჟამად საქართველოს სსრ ქარელის რაიონის სამხედრო კომისარია.

მდ. ოდერის გადალახვისას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა მეკავშირეებს. მართალია, ჯარების მართვის ძირითადი საშუალება მაშინ რადიოკავშირი იყო, მაგრამ სატელეფონო კავშირის გარეშე ყოფნაც არ შეიძლებოდა. სპეციალური მავთულები წყალქვეშა კავშირისათვის ჩვენ არ გვქონდა. მეკავშირეები ამ მიზნით ჩვეულებრივ საველე კაბელს იყენებდნენ, რომელსაც დივიზიის გამომგონებლები სპეციალურ განმხოლოებას უკეთებდნენ. ამიტომაც ჩვეულებრივი კაბელი წყალქვეშაც გამოსადეგი გახდა. ასეთი კავშირი საკმარისად უზრუნველყოფდა ჯარების მართვას. საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის ბევრ მეკავშირეს მიენიჭა მთავრობის მაღალი ჯილდო. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ კაპიტანი ბახტა, უფროსი ლეიტენანტი ფელდმანი, ტელეფონისტი-ჯარისკაცი კავკოევი და მრავალი სხვა.

22 და 23 აპრილს მოწინააღმდეგე განაგრძობდა გააფთრებული წინააღმდეგობის გაწევას. ჩვენ დავიკავეთ სოფლები გეეზოვი, ტანტოვი, შეფელდი, ბიუსოვი. 24 აპრილს ავიღეთ სოფელი პენკუნი, ხოლო 25 აპრილს — სოფელი რადეევიტცი და მთელი ფრონტით გავედით მდინარე რანდოვის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამ მდი-

ნარის დასავლეთით გადიოდა გერმანელთა თავდაცვის მეორე ზოლის წინა ხაზი.

26 აპრილს დილით გადავლახეთ მდინარე რანდოვი, ვავარღვიეთ მოწინააღმდეგის თავდაცვის მეორე ზოლი და დავიკავეთ სოფელი შმელნი. შემდგომში განვაგრძობდით შეტევას ქალაქ შვერინის მიმართულებით, ავიღეთ პრენცლაუ, დალგენი, ბლიუმენჰოლცი, დრატოვი, ვარენი, კრაკოვი, გოლდბერგი, შტერნბერგი, ბრიუელი და შვერინის აღმოსავლეთი გარეუბანი.

3 მაისს შუადღისას მთელი ფრონტის სიგრძეზე შევხვდით ინგლისელთა საჰაერო-სადესანტო კორპუსს.

✓ დივიზიაში ყველა კარგად იცნობდა შესანიშნავ მეკავშირეს კაპიტან ვლადიმერ მათეს ძე ბოგვერაძეს, რომელიც ბერლინის ოპერაციის მთელ მსვლელობაში სამაგალითოდ ასრულებდა თავის მოვალეობას, ბრძოლასა და შრომაში კარგი ცოდნა და ორგანიზებულობა გვიჩვენა. ვლადიმერ ბოგვერაძე დაიბადა და გაიზარდა ქუთაისში, სადაც ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა. ეწეოდა მშვიდობიან საქმიანობას. ომში მიღებული ჭრილობების შედეგად შესანიშნავი ადამიანი უდროოდ გარდაიცვალა.

✓ ასევე ყველას სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა დივიზიაში დაუღალავი ექიმი-ქირურგი იასონ გურჩიანი. იგი თავისი საქმის შესანიშნავი სპეციალისტი იყო, რომ იტყვიან, სწორედ ოქროს ხელი ჰქონდა. ყველა დაჭრილი მეომარი ცდილობდა სამკურნალოდ მასთან მოხვედრილიყო. — 1945 წლის 7 მარტს ღამით, ჯერ კიდევ პოლონეთში, გდინის მისაუგომებთან, ბალტიის ზღვის სანაპიროზე გაბატონებული 205,8[1] სიმაღლის შტურმის შე-

---

[1] ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებს მდინარე ვისლის ქვემო დინების წარმატებით გადალახვის შემდეგ 1945 წლის მარტის პირველ რიცხვებში მთავარსარდლის ბრძანებით შეტევა აღმოსავლეთით უნდა განეგრძოთ. ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით ბალტიის ზღვის სანაპიროები ფაშისტებისაგან გაეწმინდათ და აღმოსავლეთ პრუსიაში მტრის დაჯგუფება გაენადგურებინათ.

სიმაღლე 205,8 ჭ. ცოპოტიდან (ბალტიის ზღვის სანაპირო) დასავლეთით 12-13 კილომეტრის მანძილზეა. იგი 165-ე მსროლელმა დივიზიამ 19 მარტს დაძაბული ბრძოლების შემდეგ აიღო და 22 მარტს ბალტიის ზღვის სანაპიროზე გავიდა და ქ. ცოპოტი (სოპოტი) გაათავისუფლა გერმანელი ფაშისტებისაგან. ამის

მდეგ, როცა სამეთაურო სამეთვალყურეო პუნქტს ვიცვლიდით და გზაში ვიმყოფებოდით, ადამიანის კვნესა მოგვესმა. ფარნის შუქზე დავინახეთ ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც მძიმედ იყო მუცელში დაჭრილი. ნაწლავები გარეთ ჰქონდა გადმოყრილი და ხელით ეკავა. მე ვუბრძანე ადიუტანტს მანქანაში მოეთავსებინა დაჭრილი და ოფიცრის თანხლებით გაეგზავნა სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში, თან წერილი გაეტანებინა „სვანთან" (ასე ვეძახდით ქირურგ გურჩიანს) და ჩემი სახელით ეთხოვა პირადად ემკურნალა დაჭრილი ოფიცრისათვის. დაჭრილი დაუყოვნებლივ მიიყვანეს სამედიცინო სანიტარულ ბატალიონში. იასონ გურჩიანს თვითონ გაეკეთებინა მისთვის ოპერაცია. დაახლოებით მარტის ბოლოს ვამოწმებდი დაჭრილთა მკურნალობის მდგომარეობას დივიზიის სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში. ამ ბატალიონის მეთაური, სამედიცინო სამსახურის მაიორი ამხანაგი ხვოსტოვი პირადად მაძლევდა ახსნა-განმარტებას სხვადასხვა საკითხზე და, სხვათა შორის, ოფიცერი ვასილიევიც ახსენა. მან მიამბო, რომ ოფიცერი ვასილიევი მეტად მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს და გადარჩენის იმედი არ გვქონდა, მაგრამ მაიორ გურჩიანის მადლიანმა ხელმა იხსნა სიკვდილისგანო; ვასილიევი ორი კვირა უგრძნობლად იყო, ახლა კი გამოკეთდა და კითხულობს ვინ გადამარჩინაო.

ეს ერთადერთი შემთხვევა როდი იყო.

ხანმოკლე საარტილერიო მომზადების შემდეგ 165-ე მსროლელი დივიზიის 562-ე და 641-ე მსროლელმა პოლკებმა 1945 წლის 3 მაისს გათენებისას იერიშით აიღეს ქ. ბრიუელი და განაგრძობდნენ შეტევას დასავლეთისაკენ. სოფ. ტუროვთან (4 კილომეტრზე მდებარეობს ბრიუელის დასავლეთით) მძიმედ დაიჭრა დივიზიის არტილერიის უფროსი პოლკოვნიკი ა. ი. ფილიპოვი, რომელიც ამ დროს სათვალთვალო პუნქტზე იმყოფებოდა. მას ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა თავში და ქალა დაუმსხვრია.

შედეგად მტრის დაჯგუფება ორ იზოლირებულ ნაწილად იქნა გათიშული და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განადგურებული.

28 მარტს 70-ე არმიის (რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა 165-ე მსროლელი დივიზია) ჯარებმა იერიშით აიღეს ქ. გდინი, მსხვილი პორტი ბალტიის ზღვაზე.

30 მარტს კი საბჭოთა არმიამ დაამთავრა მტრის განადგურება დანციგში და ხელთ იგდო ქალაქი.

ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს დივიზიის სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში. სპეციალური სანიტარული მანქანით სასწრაფოდ მოვიდა შემთხვევის ადგილზე მედსანბატის ქირურგი მაიორი გურჩიანი. ფილიპოვს გონი დაკარგული ჰქონდა, მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა. იქ მყოფი ყველა ექიმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დაჭრილის გადარჩენა შეუძლებელი იყო, არც ოპერაციულ ჩარევას თვლიდნენ საჭიროდ. გურჩიანი არ დაეთანხმა მათ და პირადად გაუკეთა დაჭრილს ოპერაცია. ერთი თვის შემდეგ ფილიპოვი ძალზე ფრთხილად გადაიყვანეს უახლოეს საარმიო ქირურგიულ ჰოსპიტალში, სადაც იგი საბოლოოდ განიკურნა კიდეც.

ქირურგი-მაიორი გურჩიანი კი იმ დღეს დაიღუპა, რა დღესაც ფილიპოვი გადაარჩინა. როცა ოპერაციის შემდეგ სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში ბრუნდებოდა, იგი ნაღმს წააწყდა და აფეთქდა. ასე შეწყდა ამ შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე.

იასონ გურჩიანი დაიბადა და აღიზარდა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — სვანეთში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. შემდეგ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. იგი გამოჩენილი ქართველი ქირურგის გრიგოლ მუხაძის მოწაფე იყო.

ბერლინისათვის ბრძოლებში დიდად გამოიჩინა თავი უკრაინის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში შემავალი მე-4 საარტილერიო დივიზიის სამედიცინო სამსახურის უფროსმა გვარდიის პოლკოვნიკმა გიორგი ნოეს ძე ქუთათელაძემ.

ქალაქ ბერლინში ბრძოლების დროს დივიზიის არტილერია განაწილებული იყო მოიერიშე ჯგუფებში, რომლებიც მოქმედებდნენ ცალკეული სახლების, ქუჩების, დასახლებული კვარტალების მტრისაგან გასაწმენდად. ბრძოლას აქ ძალზე ართულებდა ის გარემოება, რომ ნანგრევებით იყო გადაკეტილი შენობებთან მისასვლელები, ქუჩიდან ქუჩაზე გადასასვლელები. მიუხედავად ამისა, დივიზიის მედიკოსებმა გ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით შეძლეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაეწიათ როგორც ჩვენი მებრძოლებისათვის, ისე განთავისუფლებული ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის 70-ე არმიის ჯერ 165-ე წითელ-

დროშოვანი სედლეცის სახელობის მსროლელ დივიზიაში, შემდეგ 1-ელ მსროლელ დივიზიაში სამედიცინო სამსახურის უფროსი იყო სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი იოსებ სიმონის ძე კვერნაძე, რომელმაც ბერლინისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. ის ურთულეს საბრძოლო და არახელსაყრელ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში დროულად ახერხებდა ბრძოლის ველიდან დაჭრილებისა და ავადმყოფების ევაკუაციას და მათთვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევას, რისთვისაც ბევრჯერ დაიმსახურა ხელმძღვანელობისაგან მადლობა.

მდინარე ოდერის გადალახვისას და ქალაქების ტემპლინის, გრანზეეს და ნოი-რუპინის აღების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის, გაბედული და სწრაფი მოქმედებისათვის ბელორუსიის მე-2 ფრონტის 70-ე არმიის მე-200 მსროლელი დივიზიის 650-ე საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსს მაიორ (ამჟამად პოლკოვნიკ) დავით იასონის ძე კობიაშვილს ხუთჯერ გამოუცხადა მადლობა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა.

21 აპრილს ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად. ჰიტლერელებმა გააძლიერეს თავიანთი დაჯგუფება მე-3 სატანკო არმიის რეზერვის ორი ქვეითი დივიზიით და 53-ჯერ მოიტანეს კონტრიერიში. გერმანელთა 281-ე დივიზია, რომელიც ბერლინის რაიონში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, 21 აპრილს ღამით სასწრაფოდ გადმოისროლეს ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების წინააღმდეგ.

საბჭოთა მეომრებმა მოიგერიეს ყველა კონტრშეტევა. დაკავებული პლაცდარმები გაფართოვდა.

მდინარე ოდერის გადალახვით და მის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმების დაკავებით ბელორუსიის მე-2 ფრონტის ნაწილებმა შებოჭეს მოწინააღმდეგის მე-3 სატანკო არმია და ამით მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებს, რომლებმაც ამ დროისათვის უკვე ბერლინის შტურმი დაიწყეს.

25 აპრილს დღის ბოლოსათვის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელ ფაშისტთა თავდაცვის მთავარი ზოლი და მიადგნენ მეორე ზოლს, რომელიც მდინარე რანდოვს გასდევდა. ამ ბრძოლების დროს ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებსაც

მხარს უჭერდა მე-4 საჰაერო არმიის ავიაცია, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს: მათ გაანადგურეს გერმანელთა არა მარტო წინა ხაზზე მებრძოლი ნაწილები, არამედ ოპერატიული რეზერვებიც; მტერმა დაკარგა ფრონტზე მანევრირების შესაძლებლობა.

26—27 აპრილს ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები პელიტცი, შტეტინი, შვედტი, ანგერმიუნდე და გაარღვიეს მტრის თავდაცვის მეორე ზოლი მდინარე რანდოვზე.

შეტევის ტემპის გაძლიერების მიზნით ფრონტის სარდლობამ მტრის თავდაცვის მეორე ზოლის გარღვევის შემდეგ ბრძოლაში ჩააბა 1-ლი და მე-3 გვარდიული სატანკო, მე-8 მექანიზებული და მე-3 გვარჯიული ცხენოსანთა კორპუსები.

შტეტინის ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან შტრალზუნდის საერთო მიმართულებით შეტევაზე გადავიდა მე-2 დამკვრელი არმია.

ფრონტის ჯარები სძლევდნენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას, სწრაფად მიიწევდნენ წინ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და 2 მაისს დღის ბოლოსათვის გაეიდნენ ზღუდეზე: ვარენემიუნდერებელი-პრიცვალკი.

3 მაისს ბელორუსიის მე-2 ფრონტი შეტევის მთელ ხაზზე გავიდა ზღუდეზე ვისმარი-შვერინი-დემიცი-ვიტენბერგი, სადაც შეხვდა ინგლისის ჯარებს.

მოწინააღმდეგის გარშემორტყმულ დაჯგუფებათა ლიკვიდაცია, ბერლინის აღება

ფრანკფურტ-გუბენის დაჯგუფების ლიკვიდაცია. გერმანელთა დაჯგუფება, რომელიც გარშემორტყმული იყო ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით. შედგებოდა 11 ქვეითი, 2 მოტორიზებული, 2 სატანკო დივიზიისაგან, აგრეთვე მე-9 და მე-4 სატანკო არმიების დიდი რაოდენობით ცალკეული ნაწილებისაგან. თავის შემადგენლობაში იგი ითვლიდა 200 000-მდე კაცს, 2000-ზე მეტ ქვემეხს, დაახლოებით 300 ტანკსა და საიერიშო ქვემეხს. მას ეკავა დაახლოებით 1500 კვ. კილომეტრი ტერიტორია, ადგილ-

მდებარეობის მხრივ (ტყეები. ტბები, მდინარეები) თავდაცვისათვის ძლიერ მოხერხებული და შეტევისათვის მეტად არახელსაყრელი.

ამ დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის საბჭოთა სარდლობამ თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს: ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მე-3. 69-ე და 33-ე არმიებს, აგრეთვე მე-2 გვარდიულ ცხენოსანთა კორპუსს; უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-3 გვარდიულ და 28-ე არმიებს, მე-13 არმიის ერთ მსროლელ კორპუსს; აგრეთვე ექვს საავიაციო კორპუსს.

გარეთა ფრონტზე გერმანიის მე-12 არმიის წინააღმდეგ მოქმედებდნენ მე-4 გვარდიული სატანკო არმიისა და მე-13 არმიის ჯარები.

26 აპრილისათვის საბჭოთა ჯარებს უპირატესობა ჰქონდათ მოწინააღმდეგეზე ცოცხალი ძალის მხრივ ერთნახევარჯერ, არტილერიის მხრივ — სამ-ოთხჯერ. ტანკების რაოდენობით მხარეთა ძალები თანაბარი იყო, რადგან საბჭოთა ტანკების ძირითადი მასა ამ დროს შიგ ბერლინში ეწეოდა ბრძოლებს.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 69-ე არმიის შემადგენლობაში მოქმედებდა 117-ე მსროლელი დივიზია საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ერმალოზ გრიგოლის ძე კობერიძის მეთაურობით. დივიზიამ თავი გამოიჩინა ბერლინისათვის ბრძოლებში. მან 16 აპრილს წარმატებით გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის ფრონტი და სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით დაიკავა ქალაქები ფიურსტენვალდე. პოტსდამი. ბაგდებურგი. განსაკუთრებით ისახელეს თავი დივიზიის მეომრებმა გერმანელთა ფრანკფურტ-გუბენის დაჯგუფების გარშემორტყმისა და მოსპობისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლებში. დაუნდობლად ანადგურებდა გერმანელთა ცოცხალ ძალასა და ტექნიკას საარტილერიო დივიზიონი, რომელსაც მეთაურობდა მამაცი ოფიცერი მაიორი ლევან ისელიძე.

ლ. ისელიძის მიერ განვლილი საბრძოლო გზა ბერლინამდე მდიდარია სიმამაცის ეპიზოდებით. მის მკერდს ამშვენებს ლენინის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის საბრძოლო ორდენები. სამამულო ომის წლებში სამჯერ იყო მძიმედ დაჭრილი, მაგრამ მკურნალობის შემდეგ ისევ და ისევ უბრუნდებოდა წინა ხაზს. მის მიერ გახსნილი საარტილერიო ცეცხ-

ლი მუსრს ავლებდა ფაშისტ დამპყრობლებს მოსკოვის მისაღგომებთან, ქ. რჟევთან, ქ. სტაროე რუსოსთან. მას არაერთხელ მოუგერიებია ფაშისტთა ტანკების, თვითმავალი ქვემეხების, ქვეითი ჯარის იერიშები უკრაინის და პოლონეთის ტერიტორიაზე. საარტილერიო დივიზიონის ზუსტი ცეცხლი, რომელსაც ისელიძე მეთაურობდა, გზას უკაფავდა ჩვენს ტანკებს და ქვეით ჯარს. ქ. ლუბლინოს აღების შემდეგ ლ. ისელიძის არტილერისტებმა პირველ ეშელონში გადალახეს მდ. ვისლა და ხელთ იგდეს პულავის პლაცდარმი. აი როგორ საბრძოლო დახასიათებას აძლევს მას 117-ე მაროლელი დივიზიის 322-ე საარტილერიო წითელდროშოვანი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ივაშენკო: „....მდინარე ვისლის გადალახვაში 1944 წლის 28 ივლისს მაიორმა ისელიძემ გამოიჩინა გმირობა, მტრის ძლიერი ცეცხლის მოქმედების მიუხედავად სახელდახელოდ მოზადებული ტივით, პირველმა გადალახა მდინარე ვისლა და საარტილერიო ცეცხლით უზრუნველყო ჩვენი ქვეითი ჯარის გადასვლა პლაცდარმზე და მისი შენარჩუნება. ამ მოქმედებისათვის წარდგენილი იყო საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე“.

ამავე არმიაში შემავალი 91-ე მსროლელი კორპუსის მეთაურის მოადგილე იყო გენერალ-მაიორი ილია ომანის ძე რაზმაძე, რომელმაც მძიმე საფრონტო გზა გმირულად განვლო მდინარე ოდერიდან მაგდებურგამდე.

ბერლინის ოპერაციაში ვაჟკაცური შემართებით მონაწილეობდნენ პროფესიონალი რევოლუციონერის უშანგი ჯაშის („ყარამანი“) შვილები: გალინა უშანგის ასული ჯაში და ნიკოლოზ უშანგის ძე ჯაში. ორივე ერთდროულად იბრძოდა ბერლინის მისადგომებთან, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა ერთმანეთის იქ ყოფნა.

გალინა ჯაში, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, მუშაობდა უკრაინის პირველი ფრონტის 28-ე არმიის შემადგენლობაში საველე ჰოსპიტლის წამყვან ქირურგად. მისმა მადლიანმა ხელმა არა ერთ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ბრძოლების პერიოდში გალინა დღედაღამ იდგა საოპერაციო მაგიდასთან და განუწყვეტლივ მუშაობდა. რამდენიმე საშიშროება ოპერაციის დროს მტრის ავიაციის თავდასხმისას. მოღლილობა დაძაბული მუშაობის შედეგად განიცადა ჩვენმა გალინამ. ის 1941 წლიდან მო-

ქმედი არმიის რიგებში იყო და სასახელოდ განვლო მძიმე საბრძოლო გზა: ქერჩში, კავკასიაში, ბელორუსიაში, პოლონეთში და გერმანიაში. გამარჯვების პირველ დღეს რაიხსტაგის კედელზე წააწერა: „ვიყავი ბერლინში 1945 წლის 9 მაისს. გალინა ჯაში. თბილისიდან“. საბრძოლო ამოცანების წარჩინებით შესრულებისათვის მის მკერდს რამდენიმე უმაღლესი ჯილდო, ორდენი და მედლები ამშვენებს. ომის მრისხანე წლების შემდეგ გალინა ჯაში დემობილიზაციით დაბრუნდა მშობლიურ ქ. თბილისში, სადაც ამჟამად განაგრძობს მშვიდობიან საქმიანობას თავისი სპეციალობით, არის საქართველოს დამსახურებული ექიმი.

ნიკოლოზ ჯაში, უფროსი ლეიტენანტი (ამჟამად თადარიგის მაიორი), ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 87-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიის 734-ე საზენიტო საარტილერიო პოლკის ბატარეის მეთაური, 1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყებისას მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო და ჯარში მოხალისედ წავიდა. საუკეთესოდ იცოდა მათემატიკა, რაც მას, როგორც ბატარეის მეთაურს, უადვილებდა სასწრაფოდ გაეანგარიშებინა მონაცემები ზუსტად და სწრაფად ცეცხლის გასახსნელად. ნიკოლოზ ჯაშის ბატარეამ არაერთხელ ისახელა თავი ძტრის თვითმფრინავების განადგურებაში კიუსტრინის პლაცდარმზე და ბერლინისათვის ბრძოლებში. სამამულო ომის წლებში მისმა ბატარეამ ჩამოაგდო მტრის 9 თვითმფრინავი.

ბერლინის ოპერაციამდე ნიკოლოზ ჯაშმა როგორც საზენიტო არტილერიის ოცეულისა და ბატარეის მეთაურმა გმირული საბრძოლო გზა განვლო. მამაცურად იბრძოდა კავკასიაში, ყირიმში, ბელორუსიაში, პოლონეთში, გერმანიაში.

1946 წლიდან, საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ნიკოლოზ ჯაში საქართველოში სხვადასხვა საპასუხისმგებლო საშუშაოებზეა. ამჟამად იგი არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობს გაზეთ „თბილისის“ რედაქტორად. ბრძოლასა და შრომაში მამაცობისათვის დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, მათ შორის დიდი სამამულო ომის თემაზე.

127-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში იყო ბრძოლებში ნაცადი მეთაური და პოლიტიკური

მომუშავე პოლკოვნიკი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე სოხაძე. მისმა დივიზიამ მე-3 გვარდიული არმიის სხვა შენაერთებთან ერთად 16 აპრილს განთიადისას წარმატებით გადალახა მდინარე ნეისე ქ. ფორსტის სამხრეთით და განავითარა შეტევა გროს-კერის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია 127-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლების მამაცობა გერმანელთა წინააღმდეგობის მთავარი კვანძის ქ. კოტბუსისათვის ბრძოლებში. ბერლინის აღების შემდეგ კ. სოხაძე 127-ე დივიზიასთან ერთად აქტიურად იბრძვის ჩეხოსლოვაკიაში. იგი პრაღის განთავისუფლების აქტიური მონაწილეა.

გეგმავდა რა მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციის ოპერაციას, საბჭოთა სარდლობამ გადაწყვიტა 28-ე არმიის ჯარებით და მე-3 გვარდიული არმიის ძალების ნაწილით მტკიცედ გამაგრებულიყო დაკავებულ ზღუდეებზე. ხოლო მთელი დანარჩენი ძალებით დაერტყა მოწინააღმდეგისათვის ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემხვედრი მიმართულებებით — გარემოცული დაჯგუფების რამდენიმე ნაწილად გათიშვის მიზნით.

საომარი მოქმედება დაიწყო 26 აპრილს გათენებისას, მოწინააღმდეგის შეტევით. მტრის ჯარების დაჯგუფებამ სამი ქვეითი და ერთი მოტორიზებული დივიზიის, აგრეთვე სატანკო დივიზიის ნაშთების შემადგენლობით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე პირდაპირ 28-ე არმიისა და მე-3 გვარდიული არმიის შესაყართან, გაარღვია მათი თავდაცვა, გავიდა ბარუტის რაიონში და გადაჭრა ამ არმიების კომუნიკაციები. ჩვენი ჯარების ზურგში გაჭრილი გერმანელთა დაჯგუფების გასანადგურებლად გაჩაღებულმა ბრძოლებმა მძაფრი ხასიათი მიიღო. იმავე დღეს გარღვევის ყელი შეიკრა, ხოლო ზურგში გაჭრილი გერმანელთა დაჯგუფება კვლავ გარშემორტყმულ იქნა ბარუტის რაიონში და მთლიანად მოისპო.

ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღოდა ავიაციას, რომელმაც მასირებული დარტყმებით დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის ჯარებს როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკის მხრივ.

ამ დაჯგუფების განადგურების დროს თავი გამოიჩინეს 234-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზიის მფრინავებმა, ავიაციის პოლკოვნიკის, შემდეგში გენერალ-მაიორის ესტატე ზაქარიას ძე ტატანაშვილის მეთაურობით. ისინი არც დღისით და არც ღამით არ

აძლევდნენ ჰიტლერელებს გონზე მოსვლის საშუალებას. პირადად ე. ტატანაშვილმა გამოიგონა და დაამკვიდრა საჰაერო ბრძოლის ტაქტიკა ვერტიკალურ სიბრტყეში. როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური საჰაერო ბრძოლის დროს ვერტიკალურ სიბრტყეში მა-ნევრი ჩვენს მფრინავებს დიდ უპირატესობას აძლევდა მტერზე ზე-გავლენიანობაში. მაგალითად, ჯერ კიდევ 1942 წლის ზაფხულში სამ-ხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ე. ტატანაშვილის მფრინავებმა ივან-1-ით 12 დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლის დროს გაანადგურეს მტრის 24 მე-109 ფ გამანადგურებელი. ამ ბრძოლებში დაეღუ-პა ჩვენი 2 თვითმფრინავი.

234-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზიის მფრინავები შე-სანიშნავად დაეუფლნენ ამ ტაქტიკურ ილეთს და მტერს არ უფმო-ბდნენ ჰაერში ბატონობას.

მომდევნო დღეებში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული და-ჯგუფება კვლავაც ცდილობდა გაერღვია გარემოცვის ფრონტი და შეერთებოდა მე-12 არმიას, რომელიც ამ დროს გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა მე-13 არმიის თავდაცვის ხაზის გასარღვევად გარეთა ფრონტზე. მოწინააღმდეგის ცდებს, გაერღვია გარემოცვის შიგნითა ფრონტი, 27-28 აპრილის განმავლობაში წარმატება არ მოჰყოლია. უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალმა გააძლიერა 28-ე და მე-3 გვარდიული არმიების თავდაცვა და ცოსენის, ლუკენვალდეს, იუტერბოგის რაიონში თავი მოუყარა რეზერვებს.

ამავე დროს, ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის შედეგად გარემოცვის წრე უკიდურესად შემჭიდროვდა. შეიკუმშა. ჰიტლერელთა სარდლობას ეშინოდა, რომ საბჭოთა ჯარების შემ-დგომ შეტევას მოჰყვებოდა გარშემორტყმული დაჯგუფების სრული განადგურება და გადაწყვიტა 29 აპრილს ღამით კვლავ გადაეწრით ეცადა გარემოცვიდან თავის დაღწევა. გარშემორტყმული დაჯგუ-ფების ჯარების შეტევის ერთდროულად მათ შესახვედრად იერიშზე უნდა გადასულიყო მე-12 არმია ლუკენვალდეს საერთო მიმართუ-ლებით.

გერმანელებმა შეტევა დაიწყეს 29 აპრილს ღამით. მათ იერი-ში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე ორი ფრონტის შესაყართან ტეი-ოოვახალბეს რაიონში. გერმანელთა დაჯგუფებამ 10000 კაცის შე-მადგენლობით, 35—40 ტანკის მხარდაჭერით, გააფთრებული ბრძო-

ლის შემდეგ გაარღვია ჩვენი ჯარების ფრონტი და გავიდა ტყეში 20 კილომეტრზე ლუკენვალდეს აღმოსავლეთით, სადაც შეჩერებულ იქნა 28-ე არმიის ჯარების მიერ.

მოწინააღმდეგემ 45 000 კაცამდე გაზარდა დაჯგუფების შემადგენლობა. გაარღვია 28-ე არმიის მე-3 გვარდიული მსროლელი კორპუსის ფრონტი და დაიწყო ტყიდან გამოსვლა 10 კილომეტრზე ლუკენვალდეს აღმოსავლეთით. სასტიკი ბრძოლების შედეგად გერმანელთა წინსვლა შეჩერებულ იქნა შპრენბერგ-კუმერსდორფის ხაზზე. მაგრამ მოწინააღმდეგის მიერ 29 აპრილს განხორციელებულმა გარღვეულმა ეამოიწვია ის, რომ მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიების და 28-ე არმიის ყველა კომუნიკაცია გადაჭრილი აღმოჩნდა. მანძილი ბარემოცვიდან თავის დახსნის მაძიებელი დაჯგუფების შეწინავე ნაწილებსა და გარემოცვის გარეთა ფრონტზე მოიერიშე გერმანელთა მე-12 არმიის ჯარებს შორის 35 კილომეტრამდე შემცირდა.

30 აპრილს დილით მოწინააღმდეგემ კვლავ განაახლა გაფთრებული შეტევები და დღის განმავლობაში 10 კილომეტრით წაიწია წინ დასავლეთისაკენ. ამავე დღის ბოლოსათვის გარშემორტყმული დაჯგუფების „კუდი“ მთლიანად გაანადგურეს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა. გავანადგურეთ აგრეთვე ლუკენვალდეს აღმოსავლეთით მეორე „ქვაბში“ გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების დიდი ნაწილიც.

მაგრამ მოწინააღმდეგის ცალკეული დაჯგუფებები არ წყვეტდნენ დასავლეთისაკენ გაჭრის ცდებს. ერთ-ერთმა ასეთმა დაჯგუფებამ, 20 000 კაცის შემადგენლობით, 1 მაისს ღამით გაარღვია ფრონტი მე-13 და მე-4 გვარდიული არმიების შესაყართან და გავიდა ბელიტცის რაიონში. მე-12 არმიისაგან მას აშორებდა მხოლოდ 3-4 კილომეტრი. მე-2 გვარდიული სატანკო არმიის სარდალმა ამ დაჯგუფების წინააღმდეგ გადაისროლა ორი სატანკო, ერთი მექანიზებული და ერთი მსუბუქი საარტილერიო ბრიგადა და მოტოციკლისტთა პოლკი. მოწინააღმდეგის წინსვლა შევაჩერეთ. 1-ლი გვარდიული საავიაციო-გამანადგურებელი კორპუსის დახმარებით დღის ბოლოსათვის ეს დაჯგუფება მთლიანად მოვსპეთ.

ამავე დღეს ლიკვიდირებულ იქნა აგრეთვე მოწინააღმდეგის დაჯგუფება ლუკენვალდეს რაიონში.

ბეელიტცისა და ლუკენვალდეს რაიონში მტრის ჯარების ლიკვიდაციით დამთავრდა გერმანელთა ფრანკფურტ-გუბენის დაჯგუფების განადგურების ოპერაცია.

საომარ მოქმედებათა მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 120 000 კაცი, ხელთ იგდეს 200-ზე მეტი ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 1500-ზე მეტი საველე ქვემეხი, 176 000 ავტომანქანა და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება. მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით 60 000 კაცი დაკარგა.

ბერლინის ოპერაციაში ბევრი ქართველი მონაწილეობდა:

ოთარ ჩეჩელაშვილი — მფრინავი, მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი;

ელისე სიმონის ძე ტუღუში — მსროლელი ასეულის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი;

გრიგოლ ილოს ძე შოტინაშვილი — ნაღმტყორცნელთა განაყოფის მეთაური;

გიორგი ვლასის ძე კვიტაიშვილი — ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 47-ე არმიის მთავარი ეპიდემიოლოგი, ამჟამად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი;

ვასილ გიორგის ძე ქურდოვანიძე — 70-ე არმიის სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის წამყვანი ქირურგი. ამჟამად ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი;

მიხეილ დომენტის ძე სიხარულიძე — მაიორი, მე-9 მსროლელი კორპუსის 189-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ დარგში. კორპუსი მოქმედებდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მე-5 დამკვრელ არმიაში.

ელეფთერ ქარქაშაძე — 1-ლი მსროლელი დივიზიის პოლკის უფროსი ექიმი, ამჟამად საქართველოს ერთ-ერთი რაიონის ექიმი;

ვახტანგ კონსტანტინეს ძე ელიოზიშვილი — მაიორი, ექიმი;

სილოვან პავლეს ძე იოსელიანი — საზენიტო არტილერიის ოფიცერი;

გიორგი ილოს ძე მჭედლიშვილი — ოფიცერი, სატანკო ბატალიონის მეთაური;

ბენიამინ გიორგის ძე სილაგაძე — ტანკისტი;

გიორგი გუჯარის ძე გაბედავა;

სევერიან ილარიონის ძე კობიძე — გვარდიის ზემდეგი;

ივანე ლავრენტის ძე კაპანაძე — მზვერავი;

შალვა მათეს ძე ცქვიტინიძე—არტილერისტი, ქვემეხის მეთაური,
შოთა ალექსის ძე ბარბაქაძე:
ალექსანდრე ქართველიშვილი — ნაღმმტყორცნელთა დივიზიონის მეთაური;
ირიდი ტაგუს ძე შენგელია — ნაღმმტყორცნელი;
ნიკოლოზ სიოსის ძე კვაჭაძე — ნაღმმტყორცნელი:
რევაზ ივანეს ძე ლუტიძე — ნაღმმტყორცნელთა ბატარეის მეთაური;
ი. ლესელიძე — მაიორი, ბატარეის მეთაური;
ა. ნ. ბიბილაშვილი — კაპიტანი, საბჭოთა კავშირის გმირი, ბატალიონის მეთაური;
გულაგაშვილი — უფროსი ლეიტენანტი;
ალექსანდრე აბაშიძე — მეავტომატე;
მაჩაიძე — სერჟანტი;
ინალიშვილი — მებრძოლი;
ს. ნაშაღომაშვილი — სერჟანტი;
ლ. თავართქილაძე — ლეიტენანტი;
მიხეილ კობახიძე — ლეიტენანტი:
ალექსანდრე მოდებაძე — ლეიტენანტი;
ბაჩაკაშვილი — პოლკოვნიკი:
ურუშაძე — გვარდიის კაპიტანი;
ვახტანგ ქორიძე — უფროსი ლეიტენანტი;
შოთა ბასილაია — გვარდიის სერჟანტი:
თევდორაძე — ლეიტენანტი, მესანგრე;
მ. კაკაბაძე — ზემდეგი, არტილერისტი:
კონსტანტინე დათუნაშვილი — მზვერავი, სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი;
ალექსანდრე ევგენის ძე მასხულია — ექიმი;
შალვა კაკიაშვილი — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი;
ალექსანდრე ნინუა — სერჟანტი;
ლეონტი ტოღოსის ძე ზუხბაია — კაპიტანი;
არტემ სიმონის ძე მამაცაშვილი;
გედევან აპოლონის ძე ცინცაძე;
გედეონ გრამიტონის ძე ჭიჭინაძე — 165-ე მსრ. დივიზიის სტამბის უფროსი;

შალვა კუპატაძე — სერჟანტი;
გიორგი ივანეს ძე წიკლაური — მეტყვიამფრქვევე;
იულიანე ალექსანდრეს ძე ჭაბუკიანი;
ლუარსაბ ჯანდიერი — კაპიტანი;
გიორგი სიმონის ძე მახარაძე — ტანკისტი;
მეკავშირეები: კონსტანტინე მათეს ძე ცისკარიშვილი, გიორგი აბულაძე, აკაკი წერეთელი, შალვა ელენტი, მიხეილ ქავთარაძე, დავით ჩხიკვიშვილი;
გიორგი კურტანიძე — ლეიტენანტი.
გრიგოლ ზედგენიძე — ლეიტენანტი
მიხეილ სიმონის ძე ნამიჩეიშვილი — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, 70-ე არმიის ექიმი; ამჟამად სამტრედიის დისპანსერის უფროსი ექიმი;
იოსებ ლორთქიფანიძე — საზენიტო არტილერიის ოფიცერი;
დავით იოანეს ძე დარეჯანიშვილი — სამედიცინო სამსახურის მაიორი, 295-ე მსროლელი დივიზიის სამედიცინო-სანიტარული სამსახურის უფროსი, ამჟამად ქ. თბილისის რაიონული პოლიკლინიკის გამგე;
იასონ ხუჭუა — უკრაინის 1-ლი ფრონტის 218-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლი;
კონსტანტინე კაკუბავა — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, 47-ე არმიის (ბელორუსიის 1-ლი ფრონტი) საველე-საევაკუაციო პუნქტის მთავარი ქირურგი;
კალენიკე სიკოს ძე დიხამინჯია — სამედიცინო სამსახურის მაიორი, 47-ე არმიის 767-ე ქირურგიული საველე მოძრავი ჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი;
ანდრო ბესარიონის ძე აბაშიძე — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, 47-ე არმიის სამედიცინო გაძლიერების ცალკეული ასეულის ქირურგი;
დემური მელქისედეკის ძე ახალაძე — 28-ე არმიის (უკრაინის 1-ლი ფრონტი) 55-ე მსროლელი დივიზიის 166-ე მსროლელი პოლკის სამედიცინო-სანიტარული ასეულის მეთაური;
დიმიტრი მიხეილის ძე გულისაშვილი — გვარდიის კაპიტანი, 175-ე მსრ. დივიზიის მზვერავი ასეულის მეთაური.

ესტატე ალექსანდრეს ძე ცომაია — სამედიცინო სამსახურის მაიორი, 70-ე არმიის მე-60 მსროლელი დივიზიის სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის მეთაური;

ვასილ იოსების ძე სტალინი (ჯუღაშვილი) — პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი, 286-ე ზამანადგურებელი საავიაციო დივიზიის მეთაური, მოქმედებდა 1-ლი ბელორუსიის ფრონტის შემადგენლობაში; ამ დივიზიის მფრინავებმა ბევრჯერ იხახელეს თავი ბერლინისათვის ბრძოლაში; ის-ნი ორჯერ 23 აპრილს და 2 მაისს, მთავარსარდლის ბრძანებაში მადლობით არიან მოხსენიებულნი;

ვარლამ ვასილის ძე რობაქიძე — მეავტომატეთა ასეულის პარტორგანიზაციის მდივანი;

უშანგი თავაძე — პოლკოვნიკი, 47-ე არმიის (ბელორუსიის 1-ლი ფრონტი) ქიმიური სამსახურის უფროსი;

მიხეილ წვერავა — ექიმი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი;

ოთარ ღონღაძე — 70-ე არმიის (ბელორუსიის მე-2 ფრონტი) კავშირგაბმულობის პოლკის ათეულის მეთაური.

სერგო შარაშენიძე —ექიმი; ამჟამად სამტრედიის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი;

ივანე ალექსანდრეს ძე კაკაურიძე — მებრძოლი;

გრიგოლ სილიბისტროს ძე ლორთქიფანიძე — მებრძოლი და მრავალი სხვა.

ბ ე რ ლ ი ნ ი ს დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა დ ა ბ ე რ ლ ი ნ ი ს ა ღ ე ბ ა. უშუალოდ ბერლინში გარშემორტყმულ ჰიტლერელთა დაჯგუფებაში შედიოდა მე-9 არმიის ნაშთები, სხვადასხვა საპოლიციო განაყოფები და ფოლკსშტურმის ბატალიონები. ამ დაჯგუფების საერთო რიცხობრივი შემადგენლობა 200 000 კაცს აღემატებოდა.

25 აპრილს დღის ბოლოსათვის მოწინააღმდეგეს ეკავა 325 კვ. კილომეტრი ტერიტორია. ბერლინი წინასწარ იყო მომზადებული თავდაცვისათვის. ყველაზე ძლიერ იყო გამაგრებული მისი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი გარეუბნები. თავდაცვა ემყარებოდა საყრდენი პუნქტების და წინააღმდეგობის კვანძების ცეცხლისა და ცოცხალი ძალის ურთიერთმოქმედებას და წინაღობათა მაქსიმალურად ფართო ქსელის შექმნას ჩვენი ჯარების წინსვლის ყველა შესაძლებელი მიმართულებით.

ბერლინის დაჯგუფების განადგურებაში მონაწილეობას იღებდნენ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 47-ე, მე-3 დამკვრელი, მე-5 დამკვრელი, მე-2 და 1-ლი გვარდიული სატანკო არმიები, აგრეთვე უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიები და 28-ე არმიის ძალების ნაწილი. ჩვენი ჯარების ფრონტის საერთო სიგრძე 100 კილომეტრს შეადგენდა.

საბჭოთა სარდლობამ უარი თქვა ქალაქის შტურმზე მთელი ირგვლივი ფრონტით, რადგან ეს გამოიწვევდა ძალებისა და საშუალებების მეტისმეტ დაფანტვა-დაქუცმაცებას და შეტევის ტემპის დაქვეითებას, რის იმედიც ჰქონდა სწორედ გერმანელ ფაშისტთა სარდლობას.

ბერლინისათვის ბრძოლების პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ჯარებმა მიმართეს ცალკეულ უბნებზე გაძლიერებული განაყოფებით მოქმედების ტაქტიკას, ე. ი. მოწინააღმდეგის განლაგებაში ღრმა და ვიწრო სოლებად შეჭრის თავისებურ ტაქტიკას, რათა გაეთიშათ გერმანელთა დაჯგუფება ერთმანეთისაგან იზოლირებულ ნაწილებად და აეძულებინათ იგი უსისტემოდ, მცირე, დანაწევრებული ძალებით ეწარმოებინა თავდაცვა.

საბჭოთა სარდლობის მითითებით, წინა ბრძოლების გამოცდილების საფუძველზე, ბერლინში საომარი მოქმედების წარმოებისათვის ყოველი დივიზიიდან გამოიყო ბატალიონები და ასეულები, რომლებსაც მოიერიშე რაზმები ეწოდებოდათ. ყოველ რაზმს, გარდა ქვეითებისა, თავის შემადგენლობაში ჰქონდა არტილერია, ტანკები, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, ჰყავდა მესანგრეები, ხოლო ზოგჯერ ცეცხლმტყორცნელები. ყოველი რაზმი გათვალისწინებული იყო რომელიმე ერთი გარკვეული მიმართულებით მოქმედებისათვის ან მსხვილი ობიექტის შტურმისათვის.

უფრო პატარა ობიექტების შტურმისათვის მოიერიშე რაზმებიდან გამოყოფილი იყო რამდენიმე ჯგუფი (შემადგენლობით 5-6 კაციდან ერთ ოცეულამდე), გაძლიერებული 2—3 ქვემეხით, 1—2 ტანკით ან თვითმავალი საარტილერიო დანადგარით, აგრეთვე მესანგრეებითა და ცეცხლმტყორცნელებით. მოიერიშე რაზმების და ჯგუფების მოქმედების დაწყებას, ჩვეულებრივ, წინ უძღოდა ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი საარტილერიო მომზადება.

გამაგრებული შენობის შტურმის დროს მოიერიშე განაყო-

ფი, ჩვეულებრივ, 2 ჯგუფად იყოფოდა: ჩამკეტი და დამცველი ჯგუფები.

ჩამკეტი ჯგუფი ტანკებისა და არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ იჭრებოდა შენობაში, იკავებდა სარდაფებიდან ამოსასვლელებს, სადაც, ჩვეულებრივ, თავს აფარებდა ხოლმე მოწინააღმდეგე ჩვენი საარტილერიო მომზადების პერიოდში, და ანადგურებდა მტერს გრანატებითა და საწვავსითხიანი ბოთლებით. დამცველი ჯგუფი მაშინვე იწყებდა შენობის ზედა სართულების გაწმენდას მოწინააღმდეგის მეავტომატეებისა და სნაიპერებისაგან, რის შემდეგაც აწყობდა დაკავებული შენობის თავდაცვას მტრის კონტრშეტევის მოსაგერიებლად.

ბერლინში ბრძოლების პერიოდში არტილერია სრულიად სხვადასხვაგვარად იყო გამოყენებული. დივიზიებსა და კორპუსებში შეიქმნა დამანგრეველი საარტილერიო ჯგუფები, ხოლო საერთო-საჯარისო არმიებში — შორი მოქმედების ჯგუფები. არტილერიის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენებოდა მოიერიშე ჯგუფებსა და რაზმებში ცეცხლის პირდაპირი დამიზნებით წარმოებისათვის. მაგრამ არტილერიის ამგვარი გამოყენება გაძნელებული იყო იმით, რომ ერთ ქუჩაზე შეიძლებოდა არა უმეტეს ერთი-ორი ქვემეხის მონაწილეობა ბრძოლაში. მძიმე სისტემის ქვემეხების ცეცხლი პირდაპირი დამიზნებით გამოიყენებოდა უმთავრესად დიდი შენობების, ბარიკადების დასანგრევად და ა. შ. სროლის დისტანცია, ჩვეულებრივ, 200—300 მეტრი იყო. დიდი შენობების დასანგრევად 2—3 ქვემეხიდან ზალპებით ესროდნენ ქვედა სართულებს, რაც იწვევდა სახლის მთლიანად ჩამოქცევას. მსუბუქი არტილერია გამოიყენებოდა სათოფურებისათვის, ფანჯრებისათვის, კარებისათვის და ღიად განლაგებული საცეცხლე წერტებისათვის ცეცხლის დაშენის მიზნით.

ბერლინისათვის ბრძოლებში ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების გამოყენების ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ მათ უნდა ემოქმედათ მხოლოდ ქვეითი ჯართან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით და მის საფარქვეშ. ტანკების დამოუკიდებლად მოქმედების ყოველი ცდისას ჩვენ უდიდეს ზარალს ვნახულობდით. ამის გამო სატანკო არმიებსა და კორპუსებში ქვეითი ჯა-

რის ნაკლებობა დიდ სიძნელეებს ქმნიდა მოიერიშე რაზმებისა და ჯგუფების ფორმირების დროს.

ცალკეული ნაწილებიაა და შენაერთების, აგრეთვე სატანკო არმიათა ზოგიერთი კორპუსის ტანკები მოქმედებდნენ საერთო-საჯარისო შენაერთებთან ერთად. როგორც კორპუსი, ისე ბრიგადებიც. საერთო-საჯარისო შენაერთების მსგავსად. უტევდნენ არა მთლიანი ფრონტით, არამედ მთავარ მაგისტრალებზე. სატანკო ბატალიონი უტევდა.ჩვეულებრივ. ერთ-ორ ქუჩაზე. მექანიზებულ ბრიგადას შეეძლო ოთხ-ხუთ ქუჩაზე ეწარმოებინა შეტევა.

ბრძოლის პირველობაში. როგორც წესი. ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების წინ მიდიოდა ქვეითი ჯარის ჯგუფი. რომელიც თავისი ცეცხლით ცხრილავდა ქუჩაზე გამოჩენილ სახლებს და იცავდა ტანკებს ახლო მანძილიდან მოსალოდნელი ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლისაგან, პირველ რიგში ფაუსტვაზნებისაგან.

ასეთ პირობებში ტანკები და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები წინ მიიწევდნენ ქუჩებში, თავისი ცეცხლით ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებსა და ცოცხალ ძალას და უზრუნველყოფდნენ შემტევი განაყოფების ძირითადი ძალების წინსვლას. ზოგჯერ, სუსტი ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლის დროს. ტანკები, რომლებზეც ქვეითი ჯარის დესანტი იყო, სწრაფ ნახტომს აკეთებდნენ რამდენიმე კვარტალით, მაგრდებოდნენ გზაჯვარედინებზე. მოედნებზე ან სკვერებში და უცდიდნენ ქვეითი ჯარის ძირითადი ძალებისა და არტილერიის მისვლას.

დიდი სიძნელეები გვხვდებოდა ავიაციის გამოყენების მხრივაც. ბრძოლების პერიოდში ბერლინი სულ მუდამ ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული. რაც თითქმის სავსებით გამორიცხავდა ბომბდამშენი ავიაციის მასირებულ მოქმედებას. დაბომბვა ხდებოდა უმთავრესად ერთეული თვითმფრინავებით. ამის გამო ბერლინში ბრძოლების დროს ბომბდამშენი და საიერიშო ავიაციის ძირითადი ძალები გამოყენებული იყო გერმანელთა ფრანკფურტ-გუბენის დაჯგუფების გასანადგურებლად.

გამანადგურებელი ავიაცია ანორციელებდა ბერლინის საჰაერო ბლოკადას.

მაშასადამე, ბერლინში საომარი მოქმედების პერიოდში ბრძო-

ლის მთელი სიმძიმე სახმელეთო ჯარებს დააწვა. ბრძოლებს ბერლინში უაღრესად შეუპოვარი, გააფთრებული ხასიათი ჰქონდა და არ წყდებოდა არც დღითა და არც ღამით.

საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც გამთიშავი, გამპობი დარტყმების ტაქტიკას იყენებდნენ, 26 აპრილს დღის ბოლოსათვის მოწყვიტეს გერმანელთა პოტსდამის დაჯგუფება ძირითად ძალებს, სოლისებურად ღრმად შეიჭრნენ ბერლინში და მის ცენტრში გააჩაღეს ბრძოლა.

გერმანელთა ცდებს, დახმარება გაეწიათ ბერლინისათვის გარედან დარტყმების გზით, წარმატება არ მოჰყოლია.

გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 28 აპრილს გერმანელთა დაჯგუფების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ტერიტორია, რომელიც მას ეკავა, მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან მხოლოდ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ერთი დღის განმავლობაში ბრძოლით გაწმინდეს მტრისაგან ქალაქის 300 კვარტალზე მეტი.

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ჩვენი ჯარების გადამწყვეტმა დარტყმებმა მოაახლოვა გერმანელთა მთელი დაჯგუფების 3 ნაწილად გათიშვის ოპერაციის დამთავრება.

29 აპრილს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მე-3 დამკვრელი არმიის ჯარებმა დაიწყეს ბრძოლა რაიხსტაგისათვის. შტურმი დაიწყო 13 საათსა და 50 წუთზე.

30 აპრილს 14 საათსა და 25 წუთზე, როდესაც რაიხსტაგის შენობაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები, მე-3 დამკვრელი არმიის 150-ე მსროლელი დივიზიის 756-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის უშიშარი მხვერავები მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია ავიდნენ რაიხსტაგის გუმბათზე და მასზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

30 აპრილს დღის ბოლოსათვის ბერლინში გერმანელთა ჯარების ძირითადი დაჯგუფება მარწყევებში მოექცა ტირგარტენის პარკის რაიონში და თითქმის მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი მეორე დაჯგუფებისაგან. ჯარების ხელმძღვანელობა პარალიზებული იყო. ჰიტლერელთა მთავარბანაკში პანიკა დაიწყო. ჰიტლერმა თავი მოიკლა (ტყვია პირში დაიბალა), ხოლო მისმა მეუღლემ ევა ბრაუნმა თავი მოიწამლა.

ამის შესახებ გ. ვ. როზანოვი წიგნში „ჰიტლერის უკანასკნელი დღეები“ წერს:

„მხოლოდ შუადღის შემდეგ 30 აპრილს, როცა საბჭოთა ჯარების მოიერიშე ჯგუფები უკვე მეტროს გვირაბებში იბრძვიან ფრიდრიხშტრასეს სადგურზე და ფოსშტრასეზე იჭრებიან, სადაც საიმპერიო კანცელარიის ფასადი გამოდის, ჰიტლერმა, დაბოლოს, მიიღო გადაწყვეტილება. მისი კამერდინერი ლინგე იძახებს „ფიურერის“ პირად მძღოლს კემპკას და აძლევს მას განკარგულებას: იშოვოს 200 ლიტრი ბენზინი და გადაიტანოს რაიხსკანცელარიის ბაღში. კემპკა ჯერ გაოცდა — რად დასჭირდა ჰიტლერს ბენზინი, ყველა გასაქცევი გზა ხომ მოჭრილიაო. შემდეგ იგი ხვდება: საჭირო იქნება „ფიურერის“ გვამის დაწვა.

მოხერხდა მხოლოდ 180 ლიტრი ბენზინის მოგროვება...“

„...ჯერ ჰიტლერმა საწამლავის ქმედება რომ შეემოწმებინა, ჰოწამლა თავისი ძაღლი და ოთხი ლეკვი“...

„...დაბოლოს, საათი უჩვენებს ოთხის ნახევარს (1945 წლის 1 მაისია). ისმის გასროლის ხმა. ნიურნბერგის პროცესზე აკსმანმა უჩვენა, რომ იგი შევიდა ჰიტლერის ოთახში გასროლისთანავე.

— ჩვენ დავინახეთ ფიურერი, რომელიც დივანზე იჯდა. ევა ბრაუნი იჯდა მის გვერდით, თავი ჰიტლერის მხარზე მიეყრდნო. ფიურერი წინ იყო დახრილი. ცხადი იყო, რომ იგი მკვდარია. ქვედა ყბა ჩამოვარდნილი ჰქონდა, იატაკზე ეგდო რევოლვერი.

ჰიტლერმა თავი მოიკლა ტყვიის პირში სროლით, ევა ბრაუნმა თავი მოიწამლა.

სს-ელი ოფიცრები — ლინგე, გიუნშე და სხვები იღებენ ჰიტლერის გვამს დივნიდან და ახვევენ იატაკზე დაგებულ ნოხში. შემდეგ სათადარიგო გასასვლელიდან ოთხსაქცევიანი კიბით ჩააქვთ თავიანთი ტვირთი საიმპერიო კანცელარიის ბაღში. მათ უკან ბორმანი მისდევს. მას მხარზე გაუდვია ევა ბრაუნის გვამი და ძლივს მიათრევს. ბაღში სს-ელები მწკრივად დგებიან, სწრაფად გადასცემენ ერთიმეორეს გვამებს და თანდათან უახლოვდებიან ფუგასური ბომბით ამოთხრილ დიდ ორმოს. აქ გვამებს დებენ ერთმანეთის გვერდით. სწრაფად ასხამენ ბენზინს და ცეცხლს უკიდებენ...“

„...ჯუჯა გებელსი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. მის მაგალითს ბაძავს მისი ცოლიც.

ქალის სახით მოვლენილი ფაშისტი ურჩხული ეკიმ-ესესელის დახმარებით მანამდე მშვიდად, აუღელვებლად კლავს თავის მცირე-

წლოვან ბავშვებს. ბავშვები რომ არ გაქცეულიყვნენ, კარი გასაღებით იყო დაკეტილი. მაგდა გებელსი რიგრიგობით იკერდა ბავშვებს, ხოლო ექიმი შხამიანი შპრიცის ნემსით ჩხვლეტდა მათ სხეულს.

სამი ბავშვი რომ მოკლა, გებელსის ცოლი გავიდა დერეფანში და სიგარეტი სთხოვა მცველს. მოსწია სიგარეტი, კვლავ შებრუნდა ოთახში და დაამთავრა დაწყებული საქმე".[1]

შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელმაც პარლამენტიორი გაუგზავნა საბჭოთა სარდლობას ფაშისტური გენერალური შტაბის უფროსის გენერალ კრებსის ფრონტის ხაზზე გადასვლის დროისა და ადგილის დასადგენად.

1 მაისს 3 საათსა და 30 წუთზე გენერალი კრებსი მიიყვანეს მე-8 გვარდიული არმიის სარდალთან, რომელსაც მან გადასცა ახალი მთავრობის წინადადება ბერლინში საომარი მოქმედების დროებითი შეწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმოებისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით. კრებსის ეს წინადადება მოხსენდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდალს, ხოლო უკანასკნელმა მის შესახებ მთავარბანაკს აცნობა. მთავარბანაკის მითითებით ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდალმა კრებსს უპასუხა, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ გერმანელ ფაშისტთა ჯარების უსიტყვო კაპიტულაციის შემთხვევაში. 9 საათზე კრებსი წავიდა თავისი მთავრობისათვის საბჭოთა სარდლობის პასუხის მოსახსენებლად.

დაწყებულ მოლაპარაკებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ბრძოლის ინტენსივობაზე ბერლინში. გერმანელთა ჯარების მდგომარეობა კატასტროფული იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1 მაისს 18 საათზე ფაშისტურმა ხელმძღვანელობამ უარყო მოთხოვნა უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ, მალე გერმანელთა სარდლობისაგან მიღებულ იქნა ახალი რადიოგრამა ცეცხლის შეწყვეტის და პარლამენტიორების მიღების თხოვნით.

2 მაისს 0 საათსა და 50 წუთზე (2 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით) გერმანელთა სარდლობის წარმომადგენლებმა განაცხადეს წინააღმდეგობის შეწყვეტის და ბერლინის გარნიზონის

---

[1] Г. Л. Розанов, Последние дни Гитлера, Изд. Института международных отношений. Москва, 1962, стр. 93—94—100.

კაპიტულაციის შესახებ. იმის გამო, რომ გერმანელთა ჯარების ცალკეულ ჯგუფებს შორის კავშირი დარღვეული იყო, ბრძანება კაპიტულაციის შესახებ ყველა ნაწილს არ მიუღია. ამიტომ 2 მაისს მოწინააღმდეგის ცალკეული ჯგუფები კვლავ განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას და ხელაღებით ცდილობდნენ თავი დაეღწიათ გარემოცვისათვის, მაგრამ ყველა ისინი გაანადგურეს ან დაატყვევეს.

2 მაისს 15 საათზე ბერლინის გარნიზონის წინააღმდეგობა მთლიანად შეწყდა და დღის ბოლოსათვის ქალაქის მთელი ტერიტორია საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს.

გერმანელთა ბერლინის დაჯგუფების ლიკვიდაცია და ბერლინის აღება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ჰიტლერული გერმანიის სრული სამხედრო განადგურების საქმეში.

ბერლინის აღების შემდეგ უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დაიწყეს გადაჯგუფება პრაღის მიმართულებით, რათა განეხორციელებინათ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების ამოცანა.

დიდხანს მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლები ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის, რომელიც დაიწყო 1944 წლის სექტემბერში კარპატების განთავისუფლების შემდეგ. საბჭოთა არმიას მოქმედება უხდებოდა უღრანი ტყით დაფარულ მთებში და ამის გამო შეტევა მიმდინარეობდა შედარებით ნელი ტემპით. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, საბჭოთა არმიამ შეძლო მტრის წინააღმდეგობის გატეხა და 1945 წლის 4 აპრილს გაათავისუფლა ქ. ბრატისლავა გერმანელი დამპყრობლებისაგან, ხოლო 9 მაისს — ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია მთლიანად გაწმენდილ იქნა მტრისაგან 1945 წლის 11 მაისს.

ამ დიდ ბრძოლებში თავი ისახელა ჩვენმა თანამემამულემ გვარდიის მე-9 ცხენოსანი, ლენინის ორდენოსანი, ორგზის წითელდროშოვანი, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენების დონის კაზაკთა ბარანოვიჩის სახელობის დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ვასილ გიორგის ძე გაგუამ. მისი მეთაურობით დივიზია იბრძოდა უკრაინის II ფრონტის შემადგენლობაში I ცხენოსან მექანიზებულ ჯგუფში, რომელსაც მეთაურობდა სახელგანთქმული მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი (შემდგომში არმიის გენერალი) ი. ა. პლიევი.

1945 წლის გაზაფხულზე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ბრძოლებში საბრძოლო ამოცანის საუკეთესოდ შესრულებისათვის და დივიზიის უნარიანი მეთაურობისათვის პოლკოვნიკი ვ. გაგუა საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ქ. ბ. სტალინის მიერ 3-ჯერ (30 მარტს, 1 და 4 აპრილს) არის მადლობით მოხსენიებული. ქ. ბრატისლავისათვის დაძაბული ბრძოლების დროს დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ვ. გაგუა სასიკვდილოდ დაიჭრა. ეს მოხდა 1945 წლის 5 აპრილს. იგი დასაფლავებულია ქ. ბრატისლავაში. სწორედ ერთი წლის შემდეგ დღიდან მისი დაღუპვისა, 1946 წლის 4 აპრილს, სლოვაკიის ეროვნული კომიტეტის დადგენილებით, ქ. ბრატისლავის განთავისუფლებაში თავდადებული მოქმედებისათვის პოლკოვნიკ ვ. გაგუას ბრატისლავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის 1-ლი გვარდიული არმიის შემადგენლობაში სასახელოდ იბრძოდა 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ვიქტორ ბოგდანის ძე ლისინოვი და ამავე დივიზიის 897-ე სამთო პოლკის მეთაურის მოადგილე პოდპოლკოვნიკი, შემდგომში პოლკოვნიკი დავით პორფილეს ძე მაჭარაძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ვაჟკაცური მოქმედება ქ. პოპრადის, ნოვი-ტარგის, ჟიველაის, ბელსკოს, ბიალას აღებისათვის დაძაბულ ბრძოლებში. პოდპოლკოვნიკი დ. მაჭარაძე განუწყვეტლივ იმყოფებოდა პოლკის მოიერიშე განაყოფებში და მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლის ველზე. 1945 წლის 15 აპრილს ქ. მაროვსკა-ოსტრავას მისადგომებთან დავით მაჭარაძე მძიმედ დაიჭრა.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ საომარ მოქმედებას ბერლინის ოპერაციის დასამთავრებლად. 7 მაისისათვის ისინი ფართო ფრონტით გავიდნენ მდინარე ელბასთან. მტრის წინააღმდეგობა საბოლოოდ იქნა გატეხილი და ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა კაპიტულაცია მოეხდინა.

8 მაისს ბერლინის აღმოსავლეთ გარეუბანში — კარლჰორსტში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

416-ე მსროლელი დივიზიის (რომელიც მოქმედებდა 1-ლი ბელორუსიის ფრონტის მე-5 დამკვრელ არმიაში) 1368-ე მსროლელი

პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ვასილ იაგორის ძე კურკაციშვილი თავის მოგონებაში „ბრძოლა პლაცდარმისათვის“ აღნიშნავს:

ქვემეხების ჭექა-ქუხილში, ტყვიამფრქვევების ტკაცატკუცში, თოფის წამლით და ცეცხლის კვამლით ჩაშავებული მიდამოების გავლით სულ უფრო და უფრო ახლოს მივდიოდით ფაშისტური ბუნაგის ცენტრისაკენ. ცეცხლის ალსა და ბოლში იელვა წყლის ზოლმა. ეს შპრეა. ორი მოწინავე ასეული ვერ ღებულობს გადაწყვეტილებას და ჩერდება. ხიდი, რომელიც გადებულია მდინარეზე, კარგ მდგომარეობაშია. რა არის ეს — მახე? მაგრამ აი, მათ რიგებს გამოეყო ოთხი მებრძოლი, რომლებმაც ჩქარა გადაირბინეს ხიდი. ისინი იყვნენ უფროსი სერჟანტი კუდაშოვი, სერჟანტი კალიტა, ეფრეიტორი ბელაკოვსკი და წითელარმიელი აბრამიანი. მათ მიჰყვა ორივე ბატალიონი, რომლებიც სწრაფად გამაგრდნენ მდინარის მეორე სანაპიროზე, შემდეგ კი მთელი პოლკი. მესანგრეებს უბრძანეს შეემოწმებინათ ხიდი. მტრის გრიგალისებური ცეცხლის გამო მესანგრეებმა ვერ შეძლეს ხიდის დეტალურად დათვალიერება, ვერ აღმოაჩინეს ხიდის დანაღმვის გარეგანი ნიშნები. გაიცა განკარგულება და ხიდისკენ გაემართა პირველი ტანკი. როგორც კი ტანკი ხიდზე შევიდა, გაისმა საშინელი გრგვინვა და ხიდი ჩაინგრა. მდგომარეობა კრიტიკულია. პლაცდარმი საფრთხეშია, საფრთხეშია ჩვენი ათასეულები. უტექნიკოდ, ჩვენგან მოწყვეტილნი, შეიძლება გაანადგუროს მტერმა, ერთადერთი გამოსავალია დავიცვათ პლაცდარმი მტრისაგან ძლიერი მჭიდრო ცეცხლით.

ჩვენმა არტილერისტებმა სასწრაფოდ წამოსწიეს თავიანთი ქვემეხები და სანაპიროზე მდებარე სახლების შუალედებში ამოაყოფინეს თავი ქვემეხთა ლულებს. ჩემი საკომანდო პუნქტი ჩემი ხელით გადავიტანე სანაპიროზე, დანგრეული სახლის სარდაფში. ახლა საკომანდო პუნქტს მტრისგან მხოლოდ მდინარე აშორებს. ცხადად ისმის ავტომატების ხშირი სროლა. ეს ჩვენები იგერიებენ გერმანელებს. ჩვენმა არტილერიამ გზა გადაუჭრა მტერს. მტერი უფრო და უფრო მეტი გააფთრებით გვიტევს. როგორც ჩანს, გერმანელებმა გადაწყვიტეს მოიკრიბონ მთელი ძალ-ღონე, რომ წყალში გადაყარონ ჩვენი მეომრები. იზრდება დაძაბულობა. კავშირი წყდება. მავთულები გაწყვეტილია მრავალ ადგილზე. გაბედულმა მებრძოლებმა კავშირის უფროსმა კაპიტანჭა დუბოვიცკმა წითელ-

არმიელ დავიდოვთან ერთად პატარა ნავით იწყეს მდინარის გადაცურვა მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ, რათა გაბმან ახალი მავთული. დადუმებული ტელეფონი გამოცოცხლდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, სიხარულით მომახსენა მორიგემ. — „მცირე მიწაზე" ყველაფერი რიგზეა, კონტრშეტევები მოგერიებულია. არტილერიას მიეცა მითითება. ჩვენმა არტილერისტებმა კარგად იმუშავეს. „მცირე მიწამ" გვთხოვა, მოგვეწყო კარგი კონცერტი. მთელი დღე არ წყდება მტრის შეტევები „მცირე მიწაზე", ჩვენები იგერიებენ მტრის იერიშებს და ამავე დროს აქრობენ ცეცხლს მათ მიერ დაკავებულ სახლზე. საღამოს გავიგე, რომ მტერს სანაპიროზე ყველა მეზობელი სახლი დაეკავებინა და ჩვენი პლაცდარმი რკალში მოემწყვდია. რჩება ერთადერთი გამოსავალი — „მცირე მიწაზე" მყოფი მეომრები შეტევაზე უნდა გადავიდნენ და ხელთ იგდონ სახლი, რომელიც მბრძანებლობს ბრძოლის ველს. ბრძანება გავეცი არტილერისტებს ცეცხლი დაეშინათ სახლისათვის. ბრძოლა მაშინაც არ შეწყვეტილა, როდესაც სახლის პირველი სართული ჩვენებმა დაიკავეს, არტილერისტებმა ცეცხლი დაუშინეს მეორე სართულს. უჩვეულო შემთხვევა — ქვედა სართულს ურტყამენ გერმანელები. ზედა სართულს კი ჩვენები. მალე გაიგეთ სასიხარულო ცნობა — ამოცანა შესრულდა, მთელი სახლი გადავიდა ჩვენების ხელში, მაგრამ მტერი არ ცხრებოდა, ორივე სანაპიროზე იწვოდა სახლები, იწვოდა ჩვენი საკომანდო პუნქტი. მტრის ცეცხლის ქვეშ გადავედით ახალ ადგილზე, შემდეგ დაიწვა მავთულები და „მცირე მიწა" კვლავ გაჩუმდა. ძალიან ვღელავ, ვიცი, რომ ჩვენებს საბრძოლო მასალა ელევათ, შეძლებენ გამაგრებას? მეკავშირეებს ვერ ვგზავნი, მდინარის ორივე ნაპირი ცეცხლის ალშია გახვეული. მალე მაინც დაღამდეს. აი კიდეც ჩამოღამდა. წყვდიადით შენიღბულნი ჩვენი მეომრები მოპირდაპირე სანაპიროზე გადადიან, ერთნი ხიდის გადარჩენილი ნაწილით, მეორენი ნავით, მიაქვთ საბრძოლო მასალა, აქეთ გადმოჰყავთ დაჭრილები. გამოირკვა, რომ „მცირე მიწა" კარგად იცავდა თავის პოზიციას, არც ერთი გოჯი არ დაუთმია მოწინააღმდეგისათვის. ამავე დროს მესანგრეები გამალებით აღადგენენ ხიდს. გათენებისას ხიდი მზადაა — „მცირე მიწა" „დიდ მიწას" შეუერთდა. მარცხენა მხარეზე მოქმედი მეზობლის მხარდაჭერით გავიმარჯვეთ. მოწინააღმდეგემ გაქცევით უშველა თავს. გზა

რაიხსტაგისაკენ გაიხსნა, ხოლო იმ სახლს, სადაც ჩვენები იგერიებდნენ მტრის ჭარბ ძალებს, ამშვენებს წარწერა: „აქ ბერლინის აღებისათვის მებრძოლი გმირები ვაუკაცურად ომობდნენ და მამაცურად კვდებოდნენ“.[1]

გვარდიის მამასახლისი შ. გოგლიძე ასე იგონებს ბერლინისათვის ბრძოლას:

როდესაც ბელორუსიაში და პოლონეთში ვიბრძოდით, ჩვენი ტანკები მიდიოდნენ უღრან ტყეებში, მიბობღავდნენ ჭაობებში. ამბობდნენ, ამ ჭაობებში გავლა მხოლოდ ადამიანს შეუძლიაო. მაგრამ სადაც საბჭოთა ჯარისკაცი მიდიოდა, იქ საბჭოთა ტანკებსაც მიჰყავდათ ტე-34. ბერლინისათვის ბრძოლის პერიოდში ჩვენი ტანკები ავიდნენ ზელოვსკის სიმაღლეზე.

სატახტო ქალაქზე მისასვლელი ბარიერები მტერმა მოგერიებისათვის გამოიყენა. სიმაღლის კალთაზე და თვით სიმაღლის მწვერვალზე გერმანელებმა თავი მოუყარეს არტილერიას დიდი რაოდენობით, მიწაში ჩაფლეს თვითმავლები და ტანკები, სიმაღლის ყველა ფერდობში გაჭრეს სანგრები, სანგარსასვლელი თხრილები და გამაგრებული ძელმიწურები. სიმაღლეზე მისასვლელი მრავალი უბანი დაფარული იყო მავთულხლართებით და ნაღმღობურებით. ზელოვსკის სიმაღლეზე იერიშში მონაწილეობა მიიღეს ყველა სახეობის ჯარებმა: არტილერიამ და ავიაციამ, ფეხოსნებმა და მესანგრეებმა, თვითმავლებმა და ტანკებმა. მძლავრი საცეცხლე დარტყმის შემდეგ ტანკები ფეხოსნებთან ერთად წინ გაიჭრნენ. მტრის საცეცხლე წერტები ბევრ ადგილას გამოცოცხლდნენ.

სიმაღლის ძირიდან მწვერვალამდე მანძილი გადავლახეთ ძლიერი სისწრაფით. ჩემი მანქანა მტკიცედ განაგრძობს წინსვლას, გვერდით სკდება ჭურვები, ჯავშანს ფოლადის ნამსხვრევები და ტყვიები ეხეთქებიან. მიუხედავად ამისა, გავხსენი საძვრენი, რომ ამერჩია გზა. წინ! წინ! მიბრძანებს მანქანის მეთაური გვარდიის ლეიტენანტი დრიომინი.

შეუნელებლად მიიწევენ წინ ფეხოსნები, ტანკისტები და არტილერისტები. ჩემს ზურგს უკან კოშკზე არის მამასახლისი ვასილიუკი და დამმუხტავი სერჟანტი ტკაჩენკო, რომლებიც ქვემეხე-

---

[1] Штурм Берлина, Военное издательство, Москва, 1948, стр. 241.

ბით შეუნელებლად ურტყამდნენ ფაშისტებს. გვერდით მიზის რადისტი პეტუხოვია, რომელიც ტყვიამფრქვევის ცეცხლს აყრის გერმანელებს.

აღმართი სულ უფრო ციცაბოა. ვუმატებ სიჩქარეს, მოტორი კვლავ ძველებურად ზუსტად და შეუნელებლად მუშაობს. ვახდენ ტანკის მანევრირებას, მანქანისათვის ვარჩევ შედარებით იოლად სავალ ადგილებს, მაგრამ ასეთი ადგილები სულ უფრო და უფრო მცირდება. სიმაღლის მწვერვალამდე ჯერ კიდევ შორს ვართ. საშინელმა დარტყმამ შეარყია ჩემი ტანკი. მტრის ყუმბარა მოხვდა კოშკის მარჯვენა მხარეს. მაგრამ გერმანელების ყუმბარამ მხოლოდ ღალოკა ჯავშანი, ვერ შეძლო მისი გაჭრა. დამმუხტავი ტკაჩენკო დარეტიანდა. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ განაგრძო მუშაობა. მარცხნივ სანგარში შევამჩნიე ორი შეიარაღებული გერმანელი, ისინი არა ჩვენს, არამედ მეზობელ მანქანას უმიზნებდნენ, გეზი მარცხნივ ავიღე. კიდევ ვუმატე სიჩქარეს და ფაშისტები ტანკის მუხლუხებით გავსრისე.

თანდათანობით მივიწევთ წინ. დაძაბულად ხმაურობს მოტორები. ციცაბოს გვერდი ვაქციე და მანქანა ირიბულად წავიყვანე სიმაღლისაკენ. ახლა მანქანა უფრო იოლად შიდის. მაგრამ ეზრდება დაწოლა მარჯვენა მუხლუხებზე. არა უშავს, გაუძლებს ტე-34-ის მოძრავი ნაწილი, ისევე როგორც ძრავა, საიმედოა.

დიდხანს მიმდინარეობდა ეს მძიმე მოძრაობა ციცაბო მაღლობის კალთებზე მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ. მაგრამ, საბედნიეროდ, საბჭოთა მანქანებმა გაუძლო საბრძოლო გამოცდებს. ტანკი ავიდა მწვერვალზე. მსუბუქად აგუგუნდა მოტორი, მანქანას შეუმსუბუქდა მდგომარეობა, მაგრამ ეკიპაჟის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე შეიქნა. ტანკს თავს დაატყდა მტრის ძლიერი ცეცხლი. მათ საპასუხოდ განუწყვეტლივ გრუბუნებდნენ ჩვენი ქვემეხები, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, მე ვეხმარებოდი ეკიპაჟს. რათა მოგვესპო მტრის ტექნიკა და ცოცხალი ძალა მანქანის მუხლუხებით, მანქანით ვსრესდით ფაშისტებს, ვანადგურებდით მტრის ტყვიამფრქვევებს და ქვემეხებს.

სიმაღლის მწვერვალზე ახალ-ახალი ტანკები ამოდიოდნენ. არტილერიამ ცეცხლი მტრის ზურგში გადაიტანა.

წინ! წინ! ისმოდა ჩემს შლემოფენში[1].

1945 წლის 15 მაისს 165-ე მსროლელი დივიზიის ოფიცერთა ჯგუფთან ერთად პირველად მომიხდა ბერლინში ყოფნა და იქ საკუთარი თვალით ვნახე ომის შედეგები. განსაკუთრებით ძლიერ იყო დანგრეული ქალაქის ცენტრი, ზოგიერთი ქუჩა მთლად ნანგრევებად იყო ქცეული, მაგრამ რაიხსკანცელარია როგორღაც გადარჩენილიყო. ეზოში შესასვლელთან, მარცხნივ, იდგა ორი დამსხვრეული ჯავშნოსანი. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს, ამ ჯავშნოსნებით დაბრძანდებოდა თურმე ჰიტლერი ქალაქში. შიგნით, შენობაში, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ჰიტლერის კაბინეტმა მიიპყრო. იატაკზე, მარჯვენა მხარეს, იდო დიდი დაგორგლილი ნოხი, საწერ მაგიდაზე, რომელზეც ჰიტლერი მუშაობდა, უწესრიგოდ ეყარა ქაღალდები, იქვე მარცხენა კუთხეში ეგდო ნახევრადდამტვრეული დიდი გლობუსი. ჩვენ საწერ მაგიდასთან სურათი გადავიღეთ.

რაიხსკანცელარიაში შესასვლელიც ასევე დანგრეული იყო. როგორც ჩანს, აქ დაეცა დიდი საავიაციო ბომბი, რომელმაც ჩაანგრია შენობა, ბლინდაჟი და აფეთქდა ქვემოთ, ბუნკერში, სადაც იყო ჰიტლერისა და მისი ამალის თავშესაფარი. ჩვენ ბუნკერზეც გადავიღეთ სურათი. მასზე ნათლად ჩანს ჩვენი დარტყმების შედეგი.

ბერლინის ოპერაცია, ისე როგორც დიდი სამამულო ომის პერიოდის სხვა ოპერაციები,იგეგმებოდა და ტარდებოდა ამხ. ი. ბ. სტალინის პირადი ხელმძღვანელობით[2].

საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი შტემენკო თავის მოგონებაში წერს:

„...მთავარბანაკში 1945 წლის დაწყებითი ოპერაციების გეგმის განხილვის შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა განსაზღვრა, რომ ჯარებს, რომლებიც აიღებენ გერმანიის დედაქალაქს — ბერლინს, უხელმძღვანელებს, მისი პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომელიც... დაინიშნა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლის პოსტზე. საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. კ.

---

[1] Штурм Берлина, Военное издательство, Москва, 1948, стр. 108.

როკოსოვსკიმ შეცვალა ბელორუსიის მე-2 ფრონტის სარდალი გენერალი გ. ფ. ზახაროვი. სტალინმა პირადად აცნობა ამის შესახებ ტელეფონით აღნიშნულ სარდლებს...“

„...ოთხი ფრონტის (ბელორუსიის მე-2, ბელორუსიის 1-ლი, უკრაინის 1-ლი და უკრაინის მე-4 ფრონტების — ნ. კ.) მოქმედების კოორდინაცია ბერლინის მიმართულებით გერმანიასთან ომის ამ დამამთავრებელ კამპანიაში სტალინმა თავის თავზე აიღო“[1].

ისტორიაში ფრონტების ჯგუფების ეს უდიდესი ოპერაცია მომზადდა 15-20 დღის განმავლობაში. ოპერაციის ძირითადი ამოცანები — მტრის მთავარი დაჯგუფების გარემოცვა და განადგურება და ბერლინის აღება—16-17 დღეში იქნა გადაწყვეტილი

ბერლინის ოპერაცია თავისი ფორმით წარმოადგენს ფრონტების ჯგუფის ოპერაციათა კლასიკურ ნიმუშს, რომელიც ჩატარდა მტრის მსხვილი სტრატეგიული დაჯგუფების გარემოცვის, ერთდროულად მისი იზოლირებულ ნაწილებად გათიშვის და თვითეული მათგანის ცალკე განადგურების მიზნით.

ბერლინის ოპერაციაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრიერ მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებამ მიგვიყვანა დიდი სამამულო ომისა და ევროპაში მეორე ქსოფლიო ომის დამთავრებამდე.

ამ ოპერაციის მსვლელობაში განადგურებულ იქნა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ყველაზე მსხვილი, თითქმის მილიონიანი დაჯგუფება. ფაშისტურმა გერმანიამ დაკარგა ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა და იძულებული იყო კაპიტულაცია მოებდინა.

საბჭოთა ხალხმა და საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, ასრულებდნენ რა დიად გამანთავისუფლებელ მისიას, ამ გამარჯვებით უზრუნველყვეს ფაშისტური რეჟიმის დამხობა გერმანიაში.

სწორედ საბჭოთა ჯარების შეჭრამ გერმანიის ცენტრალურ ოლქში და მათ მიერ ბერლინის აღებამ წინასწარ განსაზღვრეს ფაშიზმის საბოლოოდ აღმოფხვრა-ამოძირკვა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

ბერლინისათვის ბრძოლაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების

[1] Военно-исторический журнал, № 5, 1965, стр. 63.

გამარჯვებამ ჩაფუშა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტ მესვეურთა გეგმები, რომლებიც ცდილობდნენ დაესწროთ ჩვენთვის ბერლინის აღება და არ დაეშვათ საბჭოთა ჯარების გაჭრა ოდერ-ნეისეს ზღუდის იქით.

ბერლინის ოპერაცია ომის დამამთავრებელ ეტაპზე საბჭოთა კავშირის უდიდესი სამხედრო ძლიერების ბრწყინვალე დადასტურებაა. მან ნათლად გვიჩვენა, რომ რეაქციულმა ელემენტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, რომლებსაც ომში საბჭოთა კავშირის დასუსტების იმედი ჰქონდათ, სრული კრახი განიცადეს. ომის დასასრულს სსრ კავშირს მძლავრი შეიარაღებული ძალები ჰყავდა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბერლინის ოპერაციას საბჭოთა სამხედრო ხელოვნების განვითარებაშიც. ამ ოპერაციის დროს თავი იჩინა ჩვენი შეიარაღებული ძალების და უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ ომის წინა ოთხი წლის განმავლობაში დაგროვილმა უდიდესმა გამოცდილებამ.

უმაღლესი სტრატეგიული ხელოვნება იყო პირველ ყოვლისა ბერლინის ოპერაციაში მონაწილე დიდი რაოდენობით ჯარებისა და საომარი ტექნიკის უკიდურესად მოკლე ვადებში თავმოყრა და ყოველმხრივ უზრუნველყოფა.

არანაკლები ხელოვნება იყო თვით ოპერაციის იდეა. ჩანაფიქრი (როგორც ამას საბჭოთა კავშირის მარშალი კონევი იგონებს — იხ. „სოვეტსკაია როსია", 16/IV, 1965 წ.). მოწინააღმდეგის მთელი დაჯგუფების გათიშვა სამ ნაწილად, თვითეული მათგანის იზოლირება და განადგურება ჩვენი ჯარების ღრმა ფრონტალური დარტყმებით სტრატეგიული ოპერაციის ყველაზე გაბედული მიზნების გამოხატულებაა.

მთავარბანაკის მიერ განსაკუთრებით ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული ოპერაციაში მონაწილე ფრონტების ურთიერთმოქმედება. ყველაზე მჭიდროდ ურთიერთმოქმედებდნენ ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტები. ერთდროული დარტყმებით ისინი თიშავდნენ მოწინააღმდეგის დაჯგუფებას იზოლირებულ ნაწილებად, საერთო ძალებით გარს ერტყმოდნენ მათ და ცალ-ცალკე ანადგურებდნენ თვითეულ მათგანს.

ბერლინის ოპერაციაში გამარჯვება საბჭოთა შეიარაღებული

ძალების ძლიერების, საბჭოთა სამხედრო მეცნიერების სრულყოფის შესანიშნავი დადასტურებაა.

ამ ოპერაციის ორგანიზებისა და წარმოების გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სამხედრო ხელოვნებისათვისაც.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მრავალი შემუარული თუ სხვა ხასიათის შრომა გამოაქვეყნეს ყოფილმა ჰიტლერელმა გენერლებმა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთმა მხედართუფროსმა.

ამ შრომების ავტორები ცდილობენ უგულებელყონ საბჭოთა ხალხის გამარჯვების დიდი მნიშვნელობა, დააკნინონ საბჭოთა კავშირის როლი გერმანიის ფაშიზმის განადგურებაში.

ჰიტლერული გერმანიის დამარცხებას ისინი ხსნიან სხვადასხვა შემთხვევითობით. ერთნი ყველაფერს ჰიტლერს აბრალებენ, სხვებს მთავარ დამნაშავედ რუსეთის ყინვები მიაჩნიათ და ა. შ.

მაგრამ როგორც ომის მთელი მსვლელობა და მისი საბოლოო შედეგი გვიჩვენებს, საბჭოთა ხალხის გამარჯვება შემთხვევითი როდი იყო. ჩვენი გამარჯვების სათავე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების წიაღში უნდა ვეძიოთ. წყობილებისა, რომელმაც მძიმე განსაცდელის ჟამს უზრუნველყო ქვეყნის მთელი მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობათა ყველაზე სრულად გამოყენება.

სოციალიზმის უპირატესობის გამო ჩვენმა სახელმწიფომ შეძლო გადაელახა უდიდესი სიძნელეები და ძლევამოსილ გამარჯვებამდე მიეყვანა თავისი სამართლიანი ომი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. ცნობილი ინგლისელი სამხედრო მწერალი ლიდელ ჰარტი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „რუსების სტრატეგიამ გერმანიის სამხედრო მანქანის საერთო დამბლა გამოიწვია"[1].

საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ხალხის დამსახურებას ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში აღიარებდნენ ამერიკის შეერთე-

---

[1] Б. Х. Лиддель Гарт. Стратегия непрямых действий, Изд. иностранной литературы, М., 1957, стр. 390.

ბული შტატებისა და ინგლისის ხელმძღვანელი მოღვაწეებიც. ფრანკლინ რუზველტი 1943 წლის 23 თებერვალს წერდა:

„წითელი არმიის 25 წლისთავთან დაკავშირებით მე მინდა შეერთებული შტატების სახელით ჩვენი ღრმა აღტაცება გამოვხატო მისი შესანიშნავი, ისტორიაში სწორუპოვარი გამარჯვებების გამო... მსგავსი წარმატებები შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ იმ არმიამ, რომელსაც ჰყავს მცოდნე, უნარიანი ხელმძღვანელობა, აქვს მტკიცე ორგანიზაცია, სათანადო მომზადება და, პირველ ყოვლისა, გამბედაობა იმისა, რომ დაამარცხოს მოწინააღმდეგე საკუთარი მსხვერპლის მიუხედავად... წითელმა არმიამ და რუსმა ხალხმა გარდუვალად აიძულეს ჰიტლერის შეიარაღებული ძალები საბოლოო დამარცხების გზით ევლოთ და დიდი ხნით დაიმსახურეს შეერთებული შტატების ხალხის აღტაცება“[1].

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელმძღვანელებს მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი გადამწყვეტ ფრონტად რჩებოდა დასავლეთ ევროპაში მათი ჯარების გადასხდომის შემდეგაც. 1945 წლის თებერვალში უინსტონ ჩერჩილი წერდა ი. ბ. სტალინს:

„წითელი არმია ზეიმობს თავის ოცდამეშვიდე წლისთავს ტრიუმფით, რომელმაც მის მოკავშირეთა უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია და რომელმაც გადაწყვიტა გერმანიის მილიტარიზმის ბედი. მომავალი თაობები უსიტყვოდ აღიარებენ, რომ ვალში არიან წითელი არმიის წინაშე, ისე როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ, ცოცხალი მოწმენი ამ შესანიშნავი გამარჯვებებისა. მე გთხოვთ თქვენ, დიდი არმიის დიდ ხელმძღვანელს, ჩემი სახელით მიესალმოთ მას დღეს, საბოლოო გამარჯვების ზღურბლზე“[2].

---

[1] Переписка Председателя Совета министров СССР с Президентами США и Премьер-министром Великобритании во время Великой Отечественной войны, 1941—1945 гг., т. II, стр. 56—57.

[2] ციტ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 310.

ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის, რომ უკანასკნელი ორი ასეული წლის მანძილზე რუსეთის ჯარები სამჯერ იყვნენ ბერლინში: პირველად —1760 წელს, როცა დაამარცხეს ფრიდრიხ II არმია და აიძულეს ბერლინი კაპიტულაცია მოეხდინა; მეორედ — 1813 წელს. როცა ნაპოლეონის არმიის განადგურების შემდეგ გადალახეს ნემანი, ვისლა, ოდერი და შევიდნენ პრუსიის დედაქალაქში; 26 წლის წინათ ამ ტრადიციების მემკვიდრეებმა — საბჭოთა მეომრებმა კელავ (ეს უკვე მესამედ) აიღეს ბერლინი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენი ხალხი მშვიდობიან შენოქმედებით შრომაშია ჩაბმული. საბჭოთა ადამიანებს არ სურთ ომი და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ მსოფლიოში არიან რეაქციული ძალები, რომლებიც ცდილობენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, იმედი აქვთ იარაღის დახმარებით შეაჩერონ ისტორიის მსვლელობა. ამ ძალებმა ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით უკანასკნელ დროს გააძლიერეს თავიანთი საშიში პროვოკაციები. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები განაგრძობენ საშიშ მაქინაციებს ახლო აღმოსავლეთში, სამხედრო ინტერვენციას ახორციელებენ კონგოში, აფართოებენ ომს სამხრეთ ვიეტნამში, აწყობენ თავდასხმას ლაოსსა და კამბოჯაზე, აშკარა აგრესიას ეწევიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მშვიდობის საქმისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტების ზრახვები.

ისინი ამერიკელი იმპერიალისტების მფარველობითა და დახმარებით ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი, დაჟინებით მოითხოვენ გადაისინჯოს მეორე მსოფლიო ომის შედეგები და უსირცხვილოდ საქვეყნოდ გაჰკივიან რევანშზე.

დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტები სულ უფრო აძლიერებენ ომის საშიშროების კერას და მთავარი მოკავშირენი არიან ამერიკის შეერთებული შტატებისა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების საქმეში.

საბჭოთა ხალხი ფრიზლად ადევნებს თვალყურს ამერიკის რეაქციის ამ მაქინაციებს.

იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ იმას, რომ, თუ ისინი გაბედავენ ახალ თერმოატომურ ომში ჩაითრიონ კაცობრიობა, ამით მხოლოდ დააჩქარებენ დრომოჭმული კაპიტალისტური სამყაროს სრულ და საბოლოო დაღუპვას.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

სტალინგრადის ეპოპეა 15

ჰიტლერული გერმანიის გეგმების ჩაფუშვა საბჭოთა კავშირთან ომის პირველ წელს 19

საერთო მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1942 წლის ზაფხულისათვის 44

საბჭოთა ჯარების თავდაცვითი ოპერაციები სტალინგრადის მისადგომებთან 1942 წლის ზაფხულში 47

სტალინგრადის გმირული დაცვა 59

საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა და ჰიტლერელთა კარემოცვა სტალინგრადთან 69

კონტრშეტევის განვითარება და მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების დებლოკირების ცდის ლიკვიდაცია საბჭოთა ჯარების მიერ 88

გერმანელ ფაშისტთა ჯარების ალყაში მოქცეული დაჯგუფების ლიკვიდაცია 98

სტალინგრადთან ბრძოლის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა 124

კურსკის ბრძოლები 129

მხარეთა გეგმები 1943 წლის ზაფხულის კამპანიისათვის 136

მოგერიებითი ბრძოლების ორგანიზაცია კურსკის შვერილზე 139

მოგერიებითი ბრძოლები კურსკთან 142

კონტრშეტევა 148

სამამულო ომის დამამთავრებელი ეტაპის წინ 161

ბერლინის ოპერაცია 221

მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე ევროპაში 1945 წლის აპრილისათვის 225

ოპერაციის მომზადება 237

გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვის გარღვევა ოდერსა და ნეისეზე 250

გერმანელ ფაშისტთა ჯარების დაჯგუფების გარშემორტყმა და გაოიშვა 257

მოწინააღმდეგის გარშემორტყმულ დაჯგუფებათა ლიკვიდაცია, ბერლინის აღება 275

რედაქტორი ნ. ლობჟანიძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ჯ. რთველიაშვილი
კორექტორი თ. მაჩაბელი
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 9/VII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/X-71 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; პირ. ნაბეჭდი თაბახი 17,9+ჩაკვრა 2,67.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.23.

უე 11823 ტირაჟი 30.000. შეკვ. 2452
ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.